გილოცავთ ახალ 2002 წელს!

# კვირის პალიტრა

36 გვ

ყოველკვირეული გაზეთი

№ 53 (350) ◆ 31 დეკემბერი, 2001 წ. – 6 იანვარი, 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



## ახალი წელი, კალანდა, აბრამიანი... ანუ მრავალ ახალ წელს!..

ახალი წელი საქართველოში სხვადასხვა დროს იწყებოდა.

ბიზანტიაში 680 წლიდან, კონსტანტინე დიდის მაქსენციუმზე გამარჯვების აღსანიშნავად, ახალი წელი პირველი ენკენისთვიდან დაუწყიათ და როგორც იოანე შავთელი მოწმობს, ჩვენთანაც ამ დროიდან აითვლებოდა... გვ. 4

მე-11 საუკუნიდან საეკლესიო წელი იანვარში დგებოდა, ხოლო სამოქალაქო – სექტემბერში.

მე-17 საუკუნიდან, საეკლესიო და სამოქალაქო წლის დასაწყისად პირველი იანვარი დაწესებულა.

## ქვეყნისა და ხალხის ქონება საუკუნეების მანძილზე გროვდება, მე-20 საუკუნეში კი ორჯერ გაიძარცვა საქართველო!



როცა მოკვდა პატარა კაცი და გახადეს ტანსაცმელი, 80 წელს მიტანებულ კაცს მთელი სხეული ჭრილობებით ჰქონდა დასერილი. აი, ეს არის განსხვავება დღევანდელ ქართველობასა და მაშინდელს შორის... გვ. 3-4

საქართველო მე-20 საუკუნეში ორჯერ გაიძარცვა – ერთხელ კომუნისტებმა გაძარცვეს, ერთხელ, ანუ ბოლო ათწლეულში, თავად ქართველებმა. არადა, ქვეყნისა და ხალხის ქონება საუკუნეების მანძილზე გროვდება. ცარიელ ადგილზე არც დემოკრატია ხარობს და არც არაფერი. ჩვენ კი ჯერჯერობით ცარიელ ადგილს ვტკეპნით. არადა, შეგვეძლო მაგრად დავმდგარიყავით ფეხზე.

*აკა მორჩილაძე*

## ქართველი ელიტარები და მათი ცხენები



**მამუკა შევარდნაძის 6 წლის „გრანტი", ზაზა სიორიძის „ბაჩი" და ვანო ჩხარტიშვილის „ზორკი"**

რა ჯდება წელიწადში იპოდრომის კომერციულ თავლებში სრული პანსიონით წმინდა სისხლის, ანუ ჯიშიანი ბედაურების შენახვა.

„ერთი ორჯერ მყავს ნანახი ზაზა სიორიძე. ორი წლის წინ ვანო ჩხარტიშვილიც ვნახე. ჭორად ვიცი, რომ ორი ბედაური ლევან მამალაძესაც ჰყავს..."

„ვისაც ჰყავს, ყველას ვენაცვალე. მეტს – ვერაფერს გეტყვით... ისე, თუ ყველა იყოლიებს, ამას რა სჯობს." გვ. 6

## სანამ ახალ წელს რაიმეს გასროლას დააპირებთ...

გვ. 5



სანამ გონს მოვიდოდნენ და გაიქცეოდნენ, მანამდე პოლიციაც გამოჩნდა და ნახევრად დაყრუებულ-გაბრუებული, თუმცა უვნებლად გადარჩენილი მომავალი მენდელეევები დააკავა. პოლიციელები თვალებს ვერ უჯერებდნენ, როცა მოსწავლეების მიერ დამზადებული უამრავი ასაფეთქებელი ნივთიერება და მოწყობილობა აღმოაჩინეს.

*სამხედრო თემაზე* გვ. 8

## საქართველოს ნახევრად მშიერი მოქალაქეები, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად ყოველგვარ ხიფათზე მიდიან



**ფრთხილად! რადიოაქტიური ნივთიერებაა!**

ცოტა ძნელია ახალი წლის წინ ამ საზარელი ამბის მოყოლა, მაგრამ აუცილებელია, რათა სხვებმა იფრთხილონ...

როგორც დასხივებულების ახლობლები ამბობენ, თითქოს ვიღაც ბათუმელი საქმოსანი მწვანე დოლარებს შეჰპირდა მათ ამ რადიოაქტიური შავი ცილინდრების სანაცვლოდ.

## ჩვენ გაუტეხავ ჯიშსა და ჯილაგს გაუმარჯოს! ღმერთმა დაგლოცოთ!



– კაცო, ეხლა მაგას არ გეუბნებოდი, პრეზიდენტი ის არი, ვინც სუფრის თამადაა-მეთქი?! სად გინახავს თამადის მომზადებული პურმარილი, იმან ქეიფი უნდა წარმართოს სწორედა. თუ ლხინია, მაალხინოს ხალხი; თუ ჭირია, ატიროს. გლეხმა, მიწის მუშამ უნდა შაინახოს ქვეყანა. ღვინო, ხორცი და პური ჩვენი შესაქმნელია. რა უნდა ქნას ქალაქელმა, მეთორმეტე სართულზე რო ცხოვრობს?! გაჭირვებაო, აგიტეხიათ. გაჭირვება ის იყო, აკაციის და კოშმის ყვავილს რო ვჭამდით. ეხლა, საღამოს რო სოფელში გაივლი, ყოველ მეორე-მესამე სახლიდან სიმღერების ხმა გამოდის, ღმერთმა ამღეროთ. აბა რა ვიცი, გაჭირვებას რას ეძახით. გვ. 22

ვერსია

## მავთულხლართებს მიღმა აცრემლებული ღვთისმშობელი და მისი შემოქმედნი

გვ. 10

უეცრად ბავშვის ბაბუამ ერთი ისეთი გაიბრძოლა, რომ გათოკილი ხელები გაითავისუფლა და ახლაც არ ვიცი, საიდან და როგორ, მისმა მარჯვენამ ხმალი შემართა. დიახ, დიახ, ხმალი, ნამდვილი ქართული ხმალი და ისე მოუქნია ერთ-ერთ ჩვენგანს, რომ ნიკაპი ჩამოათალა...

ოქროსა და ბრილიანტს კი ველოდით, მაგრამ თუ ამდენი იქნებოდა, ვერ წარმომედგინა

გვ. 20



მიჯაჭვული რაინდები ანუ 20.000 ლარად დაკარგული ქართული იუმორი...



გილოცავთ შობა-ახალ წელს!

2002

ჯენტლმენი

გიწვევთ საშობაო ფასდაკლებაზე

ვაჟა-ფშაველას 10

მრავალ... მრავალ... მრავალჟამიერ!

## ხელისუფლებამ ენერგოკატასტროფა დაძლია?!

ხელისუფლების სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მან გადაიტანა „თბილსრესის" მე-10 ენერგობლოკის აფეთქებით და მე-9 ბლოკის დაზიანებით მიღებული დარტყმა და რეკორდულად მცირე დროში შეძლო ენერგოკატასტროფის დაძლევა და მდგომარეობის გამოსწორება. იმავდროულად, გაძლიერებულ დაცვაზე გადაიყვანეს კავკასიონის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. როგორც ჩანს, ელექტროდეფიციტი ახალი წლის დღეებში არ დაგვემუქრება. ენერგოსისტემას ასევე ღვთის წყალობად მოევლინა „თბილსრესის" მე-4 ენერგობლოკი, რომელიც 120 მეგავატს გამოიმუშავებს და რომლის შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვისაც მიუშვეს „ეი-ი-ეს თელასის" მე-9 და მე-10 ბლოკებისათვის შესყიდული ბუნებრივი გაზი. ამ ღონისძიებების შედეგად, დედაქალაქში შემოსვლა დაიწყო 550-მდე მეგავატმა ელექტროენერგიამ, რამაც 50 მეგავატით გადააჭარბა პიკის საათებში თბილისისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის რაოდენობას(!). „ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის შემოტანის ამ რეჟიმის შენარჩუნების შემთხვევაში, შესაძლოა გრაფიკის შემოღება საჭირო აღარ გახდეს! იმავდროულად, დღის წესრიგში დადგა უმნვავესი სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები. საქმე ის არის, რომ რუსეთიდან და სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია გაცილებით ძვირია იმ ელექტროენერგიაზე, რომელსაც მე-10 და მე-9 ენერგობლოკები გამოიმუშავებდნენ. ამიტომ, აშკარაა რომ ეს ფაქტორი დენის ტარიფზე გავლენას მოახდენს, თუმცა „ეი-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ ტარიფი უმნიშვნელოდ გაიზრდებაო! ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება სომხეთის პოზიციაზე, რომელიც 1-ლი იანვრიდან აპირებს ტარიფის გაზრდას...

## რომელ მუხლს მიენიჭება მამალაძის სახელი?

2001 წლის მთავრობის ბოლო სხდომაზე, რომელიც რიგით 37-ე გამოდგა, პრეზიდენტმა შევარდნაძემ კვლავ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ხელქვეითები. პირველად პრეზიდენტის რისხვა ეკონომიკის მინისტრ გიორგი გაჩეჩილაძეს დაატყდა თავს, რომლის წარმოდგენილ 2002 წლის ინდიკატორულ გეგმას შევარდნაძემ არაპროფესიონალური და ხავსმოდებული უწოდა... პრეზიდენტს ბოლო დროს აღარ მოსწონს მთავრობის სხდომებზე მინისტრთა და ჩინოვნიკთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და ცდილობს გამოაფხიზლოს ხელქვეითები. შევარდნაძე უცერემონიოდ აწყვეტინებს ყველა მომხსენებელს სიტყვას და საჯაროდ აძლევს შენიშვნებს და აკრიტიკებს კიდეც. ასე მოექცა ლევან მამალაძესაც.

ჯერ პარლამენტში ფრაქცია „ალიანსი ახალი საქართველოსთვის", შემდეგ კი ქვემო ქართლის გუბერნატორი მთავრობის ბოლო სხდომაზე პენსიონერებისა და მასწავლებლებისათვის პენსიებისა და ხელფასის მომატების ინიციატივით გამოვიდა, რაც „მოეწონა" კიდეც პრეზიდენტმა, მაგრამ იქვე სთხოვა — ოღონდ გამოძებნე ის ფინანსური წყარო, საიდანაც შეძლებ პენსიებისა და მასწავლებლებისათვის ხელფასების მომატებას და ბიუჯეტის შესაბამის მუხლს ლევან მამალაძის საპატიო სახელს მივანიჭებთო(!). შევარდნაძემ ასევე გააკრიტიკა სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე და მშენებლობის მინისტრი. მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფროსმა თემურ ხომერიკმა დაიმსახურა ქება და არცთუ უსაფუძვლოდ: [illegible]

## სახალხო პროექტი ერთი წლისაა!

### ჩემს შთამომავლობას, XXI საუკუნის მოქალაქეებს – „კვირის პალიტრის" ისტორიული მისია

ყველა მსურველს, პროექტში მონაწილე ბარათების ავტორებსა და სავარაუდო ადრესატებს, 2002 წლის 11 იანვარს („კვირის პალიტრის" წინა ნომერში გამოცხადებული 10 იანვრის ნაცვლად), 13 საათზე საშუალება ეძლევათ საქართველოს საარქივო დეპარტამენტში (ვაჟა-ფშაველას №1) პირველი (2001 წლის) გზავნილების სეიფის გახსნას დაესწრონ და მიიღონ მათ სახელზე [illegible] დამადასტურებელი საბუთის წარდგენისთანავე. შეგახსენებთ, რომ გზავნილების ადრესატების სრული სია 2002 წლის 14 იანვრის გაზეთ „კვირის პალიტრის" ფურცლებზე გამოქვეყნდება.

ნუ გამოგეპარებათ ისტორიული მომენტი!

2005, 2010, 2025, 2050 და 2100 წლების გზავნილების ადრესატებს კი „კვირის პალიტრა" მომავალში გაახარებს!

## [illegible]

ახალ წელს ქვეყანა უბიუჯეტოდ ხვდება. პარლამენტში შეტანილ 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თითქმის ყველა ფრაქცია და პარლამენტარი „ხიშტით" შეხვდა. [illegible] ორიგინალური წინადადებით მიმართა პრეზიდენტს: „ბატონო პრეზიდენტო, მოიძიეთ ეს თანხები საკუთარ ოჯახში, იმ სიგარეტისა და ნავთობის კონტრაბანდაში, რომელსაც თქვენი ოჯახის წევრები ეწევიან, დაბეგრეთ ისინი და არა მარტო პედაგოგებისათვის გამოჩნდება სახსრები, არამედ ბევრი სხვა საქმისთვისო"...

ერთი სიტყვით, 2002 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი შეფასდა როგორც დანაშაულებრივი და მთავრობამაც უკან წაიღო ქვეყნის №1 ეკონომიკური კანონის პროექტი, რომელსაც კვლავ დააბრუნებს პარლამენტში 10 იანვრამდე, თუმცა რა შეიცვლება მასში, ჯერჯერობით, გაურკვეველია...

## ვის დარჩება „ბორჯომგაზი"?

„საქგაზმა" ვალების სანაცვლოდ ხელში ჩაიგდო გაზგამანაწილებელი სტრატეგიული ობიექტი „ბორჯომგაზი". „იტერას" ემისარმა „საქგაზმა" ამას კარგად აპრობირებული ხერხით მიაღწია: „ბორჯომგაზს" „საქგაზის" დიდი დავალიანება დაუგროვდა. ამ უკანასკნელმა მიმართა სასამართლოს, რომელმაც „ბორჯომგაზის" მესაკუთრედ „საქგაზი" გამოაცხადა, შედეგად, მან აუქციონზე შეიძინა „ბორჯომგაზი". დამაფიქრებელი ის არის, რომ „ბორჯომგაზის" დავალიანება ხელოვნურად დაგროვდა, მისი ძირითადი ნაწილი გაზის დანაკარგებზე მოდიოდა, ანუ გაფუჭებული მილების წყალობით დიდი რაოდენობით გაზი ჰაერში „ორთქლდებოდა", ხოლო ვინ იყო და არის ამაში დამნაშავე „უცნობი" დარჩა(!). ბორჯომის გამგეობა აცხადებს, რომ „ბორჯომგაზზე" სახელმწიფო კონტროლის მოსალოდნელი დაკარგვის შესახებ დროულად აცნობეს ქონების მართვის სამინისტროს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს. სამინისტროში კი ამ პრეტენზიას კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ „ბორჯომგაზს" არ დათმობენ და უახლოეს მომავალში სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

## წინასაახალწლო საკადრო ცვლილებები

წინასაახალწლო საკადრო ცვლილებები მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი გოჩა სისაური თანამდებობიდან დაითხოვეს და სხვა განყოფილებაში გადაიყვანეს. მინისტრს კობა ნარჩემაშვილს არაფერი უთქვამს სისაურის მოხსნის მიზეზებზე.

ანტიკორუფციული საბჭოს წევრის გივი თარგამაძის განცხადებით, გოჩა სისაური ქვეყანაში მძვინვარე ნარკობიზნესს აკონტროლებდა პოლიციის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, რომლებმაც ჩეჩნებთან გარიგებით პანკისის ხეობაში შექმნეს ნარკოტიკების გადამამუშავებელი „ფაბრიკა" და იმავდროულად, თავიდან ჩამოიცილეს კონკურენტი „ბარიგები" მათი დაპატიმრებისა და მათ შორის, ფიზიკური ლიკვიდაციის გზითაც! სავარაუდოდ, სისაურის პოსტს ალეკო ტაბატაძე დაიკავებს, რომელიც სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობს!

## „ერთობა" და „Единство" ერთად არიან

ფილარმონიის დარბაზში ჩატარდა ჯუმბერ პატიაშვილისა და ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკური პარტია „ერთობის" ყრილობა, რომელსაც რუსეთის დუმის დეპუტაციაც დაესწრო, კერძოდ, ფრაქცია „Единство"-ს წარმომადგენლები. ყრილობამ პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკური კურსის ლანძღვა-გინების ფონზე ჩაიარა და დაფიქსირდა, რომ საქართველომ მჭიდრო ურთიერთობები უნდა დაამყაროს რუსეთთან, რომ რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ობიექტურადაა დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობით(!) და ა.შ. ყრილობაზე გააკრიტიკეს ამერიკა და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც, რომლებიც ღუპავენ საქართველოს... ყრილობას ესწრებოდნენ კომუნისტები და პარლამენტის ფრაქციათა წარმომადგენლები, მაგრამ 6-საათიანი ყრილობის ბოლოს დარბაზი სანახევროდ ცარიელი იყო. საინტერესოა ისიც, რომ ყრილობაზე ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობის ლოზუნგებიც ისმოდა.

## საახალწლო საპროტესტო აქციები

ზუგდიდი-თბილისის მაგისტრალი ლტოლვილებმა ზედიზედ რამდენჯერმე გადაკეტეს და კვლავ ძველი მოთხოვნით — მოგვეცით შემწეობა, პენსია, ხელფასი და ახალი წლის დღეებს მაინც ნუ ჩაგვაშხამებთო! მომიტინგეებმა ალყაში მოაქციეს საფოსტო ბანკის ზუგდიდის ფილიალი და მისი ხელმძღვანელობისგან მოითხოვდნენ კუთვნილი თანხების მიღებას, მაგრამ ფილიალის ხელმძღვანელები რას მისცემდნენ, რაც არ ჰქონდათ?! შემდეგ ლტოლვილებმა ალყაში მოაქციეს გაეროს წარმომადგენელთა ავტომანქანები, რომლებიც ენგურისაკენ მიდიოდნენ და ერთი საათი აყურყუტეს ასე. პოლიციის ჩარევის შედეგად დამკვირვებლები კი გაუშვეს, მაგრამ თვითონ სარკინიგზო მაგისტრალებზე დასხდნენ... აქცია გვიან დაიშალა მორიგი დაპირებების შედეგად. თბილისში კი მრავალშვილიანმა დედებმა გადაკეტეს გამსახურდიას გამზირი, რომლებიც ხელისუფლებისაგან დაპირებულ ერთჯერად დახმარებას მოითხოვდნენ და იმუქრებოდნენ, რომ აქციას იანვარშიც გამართავენ, თუ არ დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნები.

## ქართული ყველამ უნდა იცოდეს

პარლამენტში უარყოფითად შეაფასეს სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფო ენის პალატის მიერაა მომზადებული. პარლამენტარ მანანა გიგინეიშვილისა და გუჩა კვარაცხელიას თქმით, კანონი ეროვნულ უმცირესობებს შორის შუღლს გააღვივებს, ხოლო გურამ შარაძე ირწმუნება, რომ ეს კანონი, მიღების შემთხვევაში, უწინარესად სახელმწიფოს ინტერესების დაცვას მოემსახურება. კვარაცხელიას აზრით, უნდა დაკონკრეტდეს ორი პრინციპული საკითხი — პირველი, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია ფლობდეს სახელმწიფო ქართულ ენას და მეორე — საჯარო მოხელეთა ატესტაციისა და გამოცდების შესახებ კანონპროექტში დაფიქსირებული მუხლი, ანუ კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს ქართული ენა, თანამდებობებზე პრეტენზიის მქონე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა კი გამოცდა უნდა ჩააბარონ ქართულ ენაში და გაიარონ ატესტაცია. კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა თქმით, დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული მექანიზმი, თუ როგორ და რა ფორმით დაისჯება მოქალაქე, რომელმაც არ იცის ქართული ენა. გურამ შარაძის აზრით კი, კანონპროექტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული და ამოქმედებული, რათა ეროვნულმა უმცირესობებმა ამთავითვე დაიწყონ ქართული ენის შესწავლა. ამ პოზიციას ბევრი პარლამენტარი იზიარებს, თუმცა იქვე აღნიშნავენ, რომ კანონი სადამსჯელო დოკუმენტად არ უნდა იქცეს საქართველოში მცხოვრები მრავალენოვანი მოსახლეობისთვის!

## პრეზიდენტმა საჯაიას სამხრეები გადასცა

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს ნუგზარ საჯაიას დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით პრეზიდენტმა შევარდნაძემ გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭა და გენერლის სამხრეებიც საკუთარი ხელით გადასცა. პრეზიდენტის თქმით, ნუგზარ საჯაიამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქვეყნის კეთილდღეობასა და განვითარებაში(!).

## სასამართლომ განაჩენი გამოიტანა

ქუთაისის საოლქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა თურქეთის ხუთ მოქალაქეს, რომლებმაც რამდენიმე თვის წინ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე გადმოლახეს გემით, რომელიც ჯერ სოხუმში შევიდა, შემდეგ კი ოჩამჩირეში. დატვირთეს ქვანახშირით და უკანვე თურქეთში მიჰქონდათ, მაგრამ ჩვენს ტერიტორიულ წყლებში დააკავეს. სასამართლომ გემის კაპიტანს 7 წლით, დანარჩენებს კი 1,5-1,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის საფუძველზევე საქართველოში დარჩება ჩამორთმეული 918 ტონა ქვანახშირი და 102 ათასი დოლარი, რომელიც გემზე აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ეს თანხა სოხუმში კონტრაბანდული ტვირთის რეალიზების შედეგად ჰქონდათ დაკავებულებს.

## „იტერა" „აზოტში" შევიდა

რუსეთის კომპანია „იტერამ" მორიგი სტრატეგიული მიმართულებითაც განახორციელა შტურმი და რუსთავის „აზოტში" შევიდა. პრეზიდენტი შევარდნაძე 27 დეკემბერს თავად ეწვია „აზოტს" და „იტერა" სტრატეგიულ პარტნიორად გამოაცხადა. პრეზიდენტი დიდი ხნის მანძილზე გაჩერებული „აზოტის" ამუშავებას და პროდუქციის პირველი პარტიის გამოშვებას დაესწრო. „აზოტის" ამუშავება კი „იტერას" უშუალო დახმარებით და ფინანსებით განხორციელდა, რაც შესანიშნავ პირობებს უქმნის „იტერას", რათა მომავალში ტენდერის საშუალებით შეისყიდოს „აზოტი".

## ნაძვები ისევ გაიჩეხა

ახალი წლის წინა დღეებში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ როგორ უმოწყალოდ იჩეხება საქართველოს მარადმწვანე ნარგავები. უბედურება ის არის, საახალწლო ნორჩი ნაძვებითა და ფიჭვებით არა მხოლოდ თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ბაზრები და ქუჩებია სავსე, არამედ გაირკვა, რომ ერევანიც ნალეკილი აქვს სამცხე-ჯავახეთში მოჭრილ ნაძვებსა და ფიჭვებს. ქართველმა სამართალდამცველებმა კი სამხრეთისაკენ მიმავალი მხოლოდ რამდენიმე მანქანის დაკავება შეძლეს, რომლებიც ათასობით მოჭრილი მარადმწვანე ხით იყო დატვირთული(!).

## ხანძარმა სახლი, წიგნები და ხელნაწერები შთანთქა

ხუთშაბათს, გამთენიისას, წყნეთში მთლიანად დაიწვა აკადემიკოს გიორგი წერეთლის ორსართულიანი სახლი, რომელიც ამჟამად მის ერთადერთ მემკვიდრეს, მაია წერეთელს ეკუთვნის. ცეცხლი სახლს შიგნიდან გაუჩნდა და მეზობლებმა ალი დილითღა შეამჩნიეს, თუმცა უკვე გვიანღა იყო. სახლთან ერთად განადგურდა სახელგანთქმული ქართველი აღმოსავლეთმცოდნის ხელნაწერები და წიგნები. მაია წერეთლის თქმით, მას გამუდმებით სთავაზობდნენ აღნიშნული სახლის გაყიდვას, რაზეც კატეგორიულ უარს ეუბნებოდა ყველას. იგი არ გამორიცხავს, რომ სახლი წინასწარგანზრახვით დაწვეს...

## ლიანა ისაკაძის ვარსკვლავიც აკიაფდა

ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახელგანთქმული ქართველი მევიოლინისა და დირიჟორის ლიანა ისაკაძის იუბილისადმი მიძღვნილი მუსიკის შემსრულებელთა ფესტივალი გაიმართა. სახელმწიფო ფილარმონიის წინ კი ლიანა ისაკაძის სახელობის ვარსკვლავი დაიგო.

## ბოლოს და ბოლოს, ვისია „ყვავილების ქვეყანა"?

უპოპულარესი სიმღერის „ყვავილების ქვეყანა" ირგვლივ ამტყდარმა ხანგრძლივმა დავამ ახალი წლის წინა დღეებშიც შეგვახსენა თავი. სიმღერის ავტორობას დღემდე ეცილებიან ერთმანეთს ცნობილი კომპოზიტორების — მიხეილ ჩირინაშვილისა და გოგი ვასაძის ოჯახები. ორივე მხარე ირწმუნება, რომ სიმღერა სწორედ მათი წინაპრის შექმნილია. საოლქო სასამართლომ უკვე აღიარა სიმღერის ავტორად მიხეილ ჩირინაშვილი, რაც ვასაძის ოჯახმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. ხუთშაბათს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მოისმინა საქმე და საბოლოო გადაწყვეტილებას 3 იანვარს გამოაცხადებს, ახალ წელს კი ჩირინაშვილებისა და ვასაძეების ოჯახში, ისევე როგორც უამრავ სხვა ქართულ ოჯახში, კვლავ იმღერებენ „მრავალჟამიერს" — „ყვავილების ქვეყანას".

## უსამას ნათესავები კომენტარს თავს არიდებენ



ახალი წლის წინა დღეებში მსოფლიო მოიარა ინფორმაციამ უსამა ბინ ლადენის სიკვდილის შესახებ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თორა-ბორას გამოქვაბულების გაჩხრეკის შემდეგ ამერიკელებმა №1 ტერორისტის კვალს ვერსად მიაგნეს. პაკისტანის პრესა კი დაჟინებით იუწყება, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში ბინ ლადენი ფილტვების ანთებით და მედიკამენტების უკმარისობის შედეგად გარდაიცვალა და თორა-ბორას ხეობაში დაკრძალეს სამხედრო ვითარებაშიო. ეს ინფორმაცია პალესტინის პრესას „თალიბანის" ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა მიაწოდა. ეს ეჭვი ერთგვარად გააქარწყლა ბინ ლადენის მორიგმა ვიდეოგამოსვლამ, რომელიც კატარის ტელევიზია „ალ ჯაზირამ" გაავრცელა. ვარაუდობენ, რომ ჩანაწერი სწორედ დეკემბრის შუა რიცხვებშია გაკეთებული, სადაც ბინ ლადენი გვარიანად შელახული გამოიყურება. ამასობაში ფრიად საინტერესო ინფორმაციები ვრცელდება ლას-ანჯელესიდან. საქმე ის არის, რომ ლოს-ანჯელესშიც ცხოვრობს... ბინ ლადენი, ოღონდ არა უსამა, არამედ იბრაჰიმი. ეს იბრაჰიმი უსამას ნახევარძმაა (მამის მხრიდან) და საინტერესოა, რომ მისი ორსართულიანი ვარდისფერი ვილა ლოს-ანჯელესში დგას ჰოლივუდის ვარსკვლავების, რასელ ქროუსა და ჯულია რობერთსის ვილების გვერდით, შორიახლოს კი რონალდ რეიგანის და ლიზ ტეილორის ვილებია. ამჟამად იბრაჰიმ ბინ ლადენი და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი შეკეტილია საკუთარ ვილაში და პრესასთან კონტაქტზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ასევე შეკეტილები არიან საკუთარ სახლებში უსამა ბინ ლადენის ნათესავები, რომლებიც კალიფორნიის, მასაჩუსეტისა და ფლორიდის შტატებში ცხოვრობენ. ამერიკის ხელისუფლება აცხადებს, რომ მათ მიმართ არანაირი პრეტენზია არ აქვს, რადგან ისინი კანონმორჩილი და გადასახადების პატიოსანი გადამხდელი მოქალაქეები არიან და არ არიან შემჩნეულნი ტერორისტებსა და კრიმინალებთან კავშირში!

## უდიდესი ტელეკონტრაქტი ტელევიზიის ისტორიაში

თითქმის ტრადიციად იქცა, რომ კინოინდუსტრიაში ყველაზე მაღალ ჰონორარებს მამაკაცი მსახიობები იღებენ, ტელევიზიაში კი საპირისპირო სიტუაციაა.

ცნობილმა ამერიკელმა ტელეწამყვანმა ქეით კურიკმა, რომელსაც NBC-ზე პოპულარული გადაცემა „დღეს" მიჰყავს, აშშ-ის ტელევიზიის ისტორიაში უდიდეს ხუთწლიან კონტრაქტს (65 მლნ დოლარი) მოაწერა ხელი. ასე რომ, კურიკი ყოველწლიურად 13 მლნ დოლარს აიღებს. მან ABC-ის წამყვანის, ბარბარა უოლტერსის რეკორდი მოხსნა, 1 მლნ დოლარით გადააჭარბა მის ჰონორარს. კონტრაქტის მიხედვით, ძირითადი ჰონორარის გარდა, კურიკი ყოველწლიურად დამატებით მიიღებს კიდევ რამდენიმე მლნ დოლარს NBC-ზე ტელეგადაცემებისა და პროგრამების პროდიუსერობისათვის (ეს იქნება წილი ტელეკომპანიის მოგებიდან, რომელსაც იგი ამ გადაცემებიდან მიიღებს).

# ქვეყნისა და ხალხის ქონება საუკუნეების მანძილზე გროვდება, მე-20 საუკუნეში კი ორჯერ გაიძარცვა საქართველო!

*„მთელი საუკუნის განმავლობაში სცდილობდნენ, შეეჯერებინათ ძალა მეხსიერებისა ჩვენს აწმყოსა და წარსულს შორის. ამით ცხოვრება მისი ჩვენი ისეთ პირობებში ჩაეყენა, რომ შეეხება ჩვენი ეროვნული ორგანიზმის ცხოვრებისა, მისი ზრდისა, მისი აწმყო მდგომარეობისა და მომავლის საერთო მიმართულებისა — შეუძლებელი ჰყავდ — და მოავლი ქართველისა მარტო გვარის მეტი ქართული, წარსულ ისიც ბოლომდე შეცილდე და „ოვად“ გარდაქმნილი“.*

*მიხაკო წერეთელი*

დიდი ქართველი მამულიშვილი ამ სტრიქონებს 1910 წელს წერდა და ქართველთა აწმყოს და წარსულს შორის მეხსიერების გაწყვეტის მოსურნე ადრესატსაც მიუთითებდა... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბოლო ათწლეულში, როცა თითქოს უკვე პირობა შეგვექმნა დამოუკიდებლობის სათანადო მართვისა, რომ ეროვნული შეხედვა და ეროვნული მთლიანობა ქვეყნის აღმშენებლობისათვის გამოგვეყენებინა, მაგრამ (მცდელობა რომ იყო, ამის დასტურია ბევრი უმაღლესობა იქნება), მაგრამ მოხდა ისე, რომ მაინც ვერ მივაღწიეთ სასურველს. სამწუხაროდ, ისტორიული მეხსიერების დეფიციტი თან გვდევს და თუნდაც ბოლო ორი საუკუნის მანძილზე დაგროვილი უარყოფითი და ჩვენთვის სახიფათო თვისებები მთელი სიმძაფრით ჩნდება დღევანდელ ქვეყანაში. არადა ისტორიკოსებისგანაც ხშირად გაიგონებთ, რომ არა მარტო 1918-1921 წლებში, არამედ თვით მე-19 საუკუნეშიც საქართველოს სულ მცირე, ორჯერ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა თავი დაეღწია იმპერიის ბატონობისაგან — 1812 წელს, როცა ნაპოლეონი შეესია რუსეთს და 1856 წელს, ყირიმის ომში რუსეთის სასტიკი დამარცხების შემდეგ. ბოლო ათწლეულში რამდენიმეჯერ გაჩნდა დიდი შანსი, შესაძლებლობა, რომ შეგვეძლო უმტკივნეულოდ გავსულიყავით სამშვიდობოს და ბოლოს ისიც ითქვა, საქართველო არის ისტორიული შანსების გამოყენების უუნარო ქვეყანა...

იმედი ვიქონიოთ, 2002 წელს მაინც გამოსწორდება მდგომარეობა, გარდატეხა მოხდება ქართველთა მენტალიტეტშიც, წინა პლანზე წამოიწევს დადებითი. არც არავის გაგვიმეორდება, რასაც ორი საუკუნის მანძილზე ჰქონდა ადგილი და აღარასოდეს შეიქმნება ჩვენ ირგვლივ ისეთი ამაზრზენი გარემოცა, რაც დღევანდელ ჩემს რესპონდენტს აქვს აღწერილი თავის ნაწარმოებში „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“. ვესაუბრები მწერალსა და ისტორიკოსს **გიორგი ახვლედიანს (აკა მორჩილაძეს):**

— როგორც კარგი კაცი არ გამოილევა, ისე ცუდი კაცების ნაკლებობაც არასოდეს იქნება. ამიტომ ძნელია იმის თქმა, რომ ადამიანები იცვლებიან. უბრალოდ, მათ ემატებათ ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება, არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებს, არამედ თაობებს. როდესაც „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებს“ ვწერდი, თბილისში კაფე-რესტორნები და ბევრი სხვა რამეც არ იყო და ქუჩებში ისროდნენ. შეიცვალა ვითარება და აღარ ისვრიან... ჩემთვის ძალიან ცოტა რამ არის მისაღები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანი, რომელსაც ძალა არ შესწევს, ებრძოლოს თავის საქციელს, საკუთარ ცოდვებს, არ უნდა ლაპარაკობდეს, რა მოსწონს და რა არ მოსწონს სხვისი. ამ ადამიანებში ჩემს თავსაც ვგულისხმობ და მაქსიმალურად ვერიდები სხვათა ქმედებების შეფასებას. მე ის მომწონს, რომ ადამიანებს ბევრი ინფორმაცია აქვთ დღეს და თუ ჭკუით გამოიყენებენ მას, ბევრ სასარგებლოს შეიძენენ. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ არ ქცეულა ჩვევად ახალი ცოდნის მიღება.

რაც შეეხება ისტორიული შანსების გამოყენებას, მაინც მგონია, რომ მე-19 საუკუნეში არსებული შესაძლებლობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, მითურია. მაშინდელი ამბები დღევანდელს იმით ჰგავს, რომ საქართველო თავის ბედს და გაბრწყინებას უკავშირებს დიდი ქვეყნების ჭიდილიდან მისთვის სასარგებლო დივიდენდების მიღებას და შანსს, როცა ერთი ნაბიჯილა დაგვრჩება გადასადგმელი და სამშვიდობის გავალთ. მაგრამ ასე არ ყალიბდება სახელმწიფო, არამედ ძალიან ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში გამუდმებით ხდებოდა აჯანყებები, მაგრამ მათ ლოკალური ხასიათი ჰქონდა, მთელი ქართველი ერი არასოდეს დამდგარა ფეხზე რუსეთის იმპერიისაგან თავდასახსნელად. ხშირად ეს გახლდათ ბაგრატიონთა მიერ მოწყობილი აჯანყებები სამეფო ტახტის დასაბრუნებლად, მაგრამ იგი არ გასცდენია რეგიონებს. უფრო კულტურათა შეჯახებას ჰქონდა ადგილი. ქართველი გლეხებისთვის ძნელად შესაგუებელი გამოდგა რუსული სამართალი, ქცევა და წესები. უამრავი ფაქტია, თუ როგორ მხეცობას სჩადიოდნენ რუსები ქართველი გლეხობის მიმართ... ამას დაერთო ავტოკეფალიის დაკარგვა. ყოველივე ეს პროტესტს იწვევდა ქართველობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ლოკალური, რეგიონული მასშტაბით. დღემდე ვამაყობთ ქართველი თავადობით, რომელიც მაშინ, რა თქმა უნდა, არ იყო ინტელიგენცია. ინტელიგენცია მოგვიანებით, ბატონყმობის გაუქმების და 60-იანელების პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ გაჩნდა. ვფიქრობ, ილია ჭავჭავაძის თავკაცობით, ის 60-იანელები არიან დღემდე ჩვენთვის ყველაზე საამაყონი... ქართველი თავადობა ორგანულად შეერწყა საქართველოში რუსულ მმართველობას. თავადობა არანაკლები სისასტიკით ექცეოდა გლეხობას, მიუხედავად იმისა, რომ იმ თავადებში ბევრი ღირსეული მამულიშვილი იყო. გადავფურცლოთ იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და ვნახავთ, ვინ არის ქართველი თავადი და ვინ — ქართველი გლეხი. უბედურს და საწყალს თავადი ჰყავდა ბატონად და — რუსული კანონებიც. აბა, წარმოვიდგინოთ ციმბირში გადასახლებული მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართველი გლეხი, რომელიც არ გასცილებია თავის სოფელს და თბილისშიც ხუთ წელიწადში ერთხელ თუ ჩავიდოდა პირჯვრისწერით! შევიგრძნობთ, რა დიდი ტრაგედია ტრიალებდა მაშინ. ისტორიულ ამბავსაც გავიხსენებ: ერთ იმერელ გლეხს ქართლური ფესვები ჰქონდა. მთელი სიცოცხლე საქართველოს ქართლს ეძახდა და წუწუნებდა, — იმერეთში რა მიწაა, მიწა საქართველოშია; ეს რა პურია, პური — საქართველოშიაო და სიბერემდე ოცნებად ჰქონდა, ერთხელ მაინც გადასულიყო ქართლში. უკვე მოხუცს შვილიშვილებმა დაუ-



ტვირთეს ურემი, თან გაჰყვნენ და გადმოვიდნენ ლიხს აქეთ. მაშინ ახალი მოვლენა იყო ტრაქტირები ანუ დუქან-სასტუმროები და პირველსავე ტრაქტირში გაჩერდნენ ღამის გასათევად. იტირა ბერიკაცმა, ჭამა ქართლის პური, დალია ღვინო, დაიძინა და დილით, როცა გორისკენ უნდა დაძრულიყვნენ, დაინახა, რომ შვილიშვილმა მედუქნეს ფული მისცა. შვილო, რა მიეცი მაგასო? ფული მივეცი, პაპავ, დუქანში ღამის გათევისთვისო, უპასუხა. მოაბრუნე ურემი და უკან გავბრუნდეთ. იმ ქვეყანაში არაფერი მესაქმება, სადაც მასპინძლობაში ფულს გართმევენო! აი, ასე დაენგრა სანუკვარი ოცნება... საქართველო ჩვენთვის არის დღეს „იოლი“ ქვეყანა. ილიას კი შემთხვევით არ უთქვამს: — რომ დაიძახო, ქართველოო, გორის მაზრის მცხოვრები თუ გაიგონებს და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც მოღრიჯოს სხვილი კისერიო. რთული ქვეყანა იყო საქართველო და რთულია დღესაც!

**— თავადობა ახსენეთ — ორგანულად შეერწყა რუსულ მმართველობასო... ჩვენში ბოლო დროს საკმაოდ პოპულარული და მრავლისმომცველი გახდა ცნება — ფეოდალი, რომელიც ასოცირდება კომუნისტურ ნომენკლატურასთან და თავის დროზე ასევე ორგანულად შეერწყა ბოლშევიკურ კანონებს, ამ კანონებითვე ცხოვრობს დღემდე. ასევე ხშირად გაიგონებ ფრაზას — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“.**

**საქართველო მე-20 საუკუნეში ორჯერ გაიძარცვა – ერთხელ კომუნისტებმა გაძარცვეს, მეორედ, ანუ ბოლო ათწლეულში თავად ქართველებმა. არადა ქვეყნისა და ხალხის ქონება საუკუნეების მანძილზე გროვდება. ცარიელ ადგილზე არც დემოკრატია ხარობს და არც არაფერი. ჩვენ კი ჯერჯერობით ცარიელ ადგილს ვტკეპნით. არადა, შეგვეძლო მაგრად დავმდგარიყავით ფეხზე. ამასთან საქართველოში არასოდეს არავის უსწავლია პოლიტიკური მეცნიერება, ეკონომიკა. ახლა სწავლობენ და რა უნდა ქნას ქვეყანამ?**

— ვფიქრობ, არსენა ოძელაშვილს არანაირი კავშირი არა აქვს დღევანდელობასთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის არ იყო პოლიტიკოსი. მეტიც, არსენა არც პუგაჩოვი ან რაზინი არ ყოფილა. საერთოდ, საქართველოში სოციალურ ბუნტს არასოდეს ჰქონია ადგილი რუსების შემოსვლამდე და დარწმუნებული ვარ, არც არასოდეს ექნება. თუმცა, საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გახლდათ ენით აუწერელი და ტრაგიკული სიღარიბე ხალხისა. ეს ისტორიული ფაქტი უმალ გაგახედებს ირლანდიისკენ, სადაც ასეთივე სიღატაკე სუფევდა და ამის შედეგი იყო, როცა ამოხეთქა ირლანდიურმა ემიგრაციამ ამერიკასა და მთელ მსოფლიოში... არსენა ოძელაშვილი კი მდიდარი გლეხი გახლდათ, რომელიც ცუდ კანონებსა და მძიმე ურთიერთობებს გადაჰყვა. არსენას უკიდურესად ჰქონდა გამძაფრებული სოციალური უსამართლობის გრძნობა და საკუთარი სამართალი გააჩნდა! ამასთან, წარმოსადეგი ვაჟკაცი და მთელი ქართლ-კახეთის ნათლია გახლდათ! ეს იყო პირველი აჯანყებული ქართველი გლეხი, რომლის მსგავსი დიდება და სიყვარული სხვას არავის დაუმსახურებია. უბედურება ის იყო, რომ რუსებისაგან დიდი თავისუფლება მიიღეს ქართველმა თავადებმა და მათ შორის ბევრი გამოდგა უღირსი ქართველი, რომელიც სისასტიკეს იჩენდა ყმების მიმართ. კახელები ეუბნებოდნენ კიდეც ქართლელებს, რამდენს გიბედავენ თავადები, ხმა ამოიღეთო! შეგვიძლია ანალოგიც გავავლოთ და ვთქვათ, რომ მაშინდელი ქართველი თავადების ძირითადი ნიშან-თვისება გახლდათ გაუნათლებლობა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და საერთოდ მსოფლიო ისტორიის ცოდნის თვალსაზრისით, შესაბამისად, მათი ყოფაც შემოიფარგლებოდა გლეხებისაგან ნატურალური შემოსავლის მიღებით, ნადირობითა და ხანდახან ომში მონაწილეობით, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა... არის დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ ტრაქტირში არსენას ქართველი თავადი მხოლოდ იმიტომ შემოაკვდა, რომ არსენა რუსის ხელმწიფეს აგინებდა, ეს თავადი კი გამოექომაგა რუსთა მეფეს. ერთხელ, ხატობაზე, რუს აფიცერს აუშარდა მთვრალი არსენა და ხმალი მოსთხოვა. ხალხმა იმ აფიცერს მიაცემინა არსენასთვის ხმალი. მეორე დღეს კი, არსენამ ხმალიც დაუბრუნა და ცხენიც აჩუქა რუსს. ამას იმიტომ ვყვები, რომ ძნელია, 200 წლის მანძილზე კაცის სახელის შემონახვა. იგივე „დათა თუთაშხიაში“, რომელსაც აბრაგს ვეძახით და არა ყაჩაღს, ჩვენი უცნაური მონატრება და სოლიდარობა ძევს მარტოხელა კაცის მიერ გამოხატული პროტესტის მიმართ. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ არც ერთი ქართული ნაწარმოები არ გამოცემულა იმდენჯერ, რამდენჯერაც „არსენას ლექსი“, რომელიც ხალხმა ზეპირად იცოდა. დიახ, ეს სოციალური პროტესტი შინაგანად დღემდე მოგვყვა ქართველებს...

საერთოდ, საქართველოს ისტორია, თუნდაც ბოლო ორი საუკუნე, არ არის მხოლოდ უბედურების ისტორია, სილამაზისა და გმირობის ისტორიაცაა. მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველები ჯარში არ მიჰყავდათ. იყო მხოლოდ ლეგენდარული ფენომენი — ქართული მილიცია. არსებობდა გურულების და კახელების განთქმული მილიციის ბატალიონები. გურულები ყირიმის ომში იბრძოდნენ, კახელების მილიცია კი იბრძოდა ყველა ომში. აკაკი წერეთელს აქვს შესანიშნავი მოგონება: როცა თურქები ჩოლოქს მოადგნენ, პირველები კახელები წავიდნენ მათთან საომრად და აკაკიც ბრძანებს: მათ ყურებას არაფერი სჯობდა, გლეხებს და თავადებს ერთნაირი იარაღი ჰქონდათო... დიახ, სილამაზის და ვაჟკაცობის ისტორიაც იყო ჩვენი წარსული და სანამ 1801 წელს რუსეთი მოახდენდა ქართლ-კახეთის ანექსიას, მანამდეც არა ერთი ასეთი ლამაზი ფაქტი მომხდარა. ფრანგი ოფიცერი დე გრაი დაფუა გენერალ ტოტლებენს ახლდა საქართველოში. ეს დაფუა კარგად იცნობდა ერეკლეს. თავის წიგნში აღწერს, თუ როგორ უმსგავსობას სჩადიოდნენ რუსები ქართულ სოფლებში. ძარცვავდნენ გლეხებს და ეს მაშინ, როცა ერეკლე ყველაფრით ამარაგებდა ტოტლებენის ჯარს. როცა რუსებმა მაგრად გადააჭარბეს, ერეკლემ დაიბარა დაფუა და უთხრა: „ხომ იცით, რომ საკმარისია ერთი ჩემი სიტყვა და არც ერთი ცოცხალი აღარ დარჩებით? მაშ, რატომ იქცევით ცუდად? მე შენ არ გერჩი, ვიცი, ვინცა ხარ, მაგრამ რატომ იქცევა ასე გენერალი, რომელიც ჩვენს დასახმარებლად არის მოსული? მიუხედავად ამისა, არას გავნებთ, რადგან იმპერატრიცისათვის სიტყვა მაქვს მიცემული, ყველაფერს მოვითმენ და ამ სიტყვას არ გავტეხ!“ ამას ამბობს ერეკლე იმ ეპოქაში, როცა ვერაგობას, დიპლომატიას მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობებში საზღვარი არ ჰქონდა. 20 წელიწადში კი საფრანგეთში მოხდა რევოლუცია. ან თავად ტოტლებენი როგორი ვერაგი და ეშმაკი იყო, ცნობილია, ერეკლე კი რაინდული ეპოქიდან გადმოვარდნილი მეფეა ვერაგობის ზღვაში და ამბობს, — სიტყვას ვერ გავტეხო! ახლა ადგება რომელიმე ქართველი და დაიწყებს გინებას — ერეკლემ შეგვაერთა რუსეთთანო! ამ ხალხს, რომელსაც ცხვირწინ აქვს დამოუკიდებელი საქართველოს 10-წლიანი ისტორია, ვერც კი წარმოუდგენია, რა ძნელია 50 წლის მანძილზე მეფობა ღატაკ ქვეყანაში. ერეკლეს სასახლე თელავში შევადაროთ აგერ, საირმის გორაზე მდგარ ნებისმიერ სრას... როცა მოკვდა პატარა კახი და გახადეს ტანსაცმელი, 80 წელს მიტანებულ კაცს მთელი სხეული ჭრილობებით ჰქონდა დასერილი. აი, ეს არის განსხვავება დღევანდელ ქართველობასა და მაშინდელს შორის... სხვათა შორის, დე გრაი დაფუა აღწერს ასპინძის ბრძოლას და იქ ერეკლეს და ქართული ჯარის გამარჯვებას ჯადოქრობას უწოდებს. „როცა ტოტლებენმა უღალატა, ერეკლემ მითხრა: ჩვენ მაინც ვიომებთ, დადექი და გვიყურეო. მთელი სიცოცხლე ომებში მაქვს გატარებული, ასპინძის ომში ვერც ტაქტიკა და ვერც სტრატეგია ვერ დავინახე და ვერ მივხვდი, მცირერიცხოვანმა ქართულმა ჯარმა როგორ დაამარცხა თურქთა არმია“, — წერს დაფუა. ძრწოლა აგიტანს კაცს, ისეთ ამბებს ჰყვება ეს ფრანგი ოფიცერი ერეკლეს ეპოქის შესახებ. დღეს საქართველო სულ ... სხვა ეპოქაშია, არც ერეკლე გვყავს, არც ... ილია და აღარც არსენა და ალბათ აღარც გვეყოლებიან არასოდეს.

მსოფლიო დაპატარავდა, რომლის ერთ კუთხეში დგას საქართველო, მაგრამ ვერ ვიტყვი, საქართველო თავს ახსენებს ვინმეს-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, უცხოეთში ამის შეგრძნება არ მქონია. ვინც საჭიროა, იმან იცის საქართველოს შესახებ ყველაფერი, მაგრამ სამწუხაროდ, მსოფლიო არ გვიცნობს. უბედურება ის არის, რომ საქართველოს საუკუნეები გაუცდა, რათა ჩამოყალიბებულიყო სახელმწიფოდ... ოდესღაც რამდენჯერმე შანსიც ჰქონდა ამისი, დღეს კი არა მგონია, გვქონდეს. უფრო ნადირობაა ამ შანსის მოსაპოვებლად... ჩვენ დამოუკიდებლობა გვაჩუქეს 1918 წელს. ირლანდიელებმა კი 60-წლიანი არაადამიანური ძალისხმევით, ომით, ტერორით და გაფიცვებით მიიღეს დამოუკიდებელი, მაგრამ ნახევარი ქვეყანა. ხოლო მაიკლ კოლინზი, რომელმაც ეს მოაპოვებინა ირლანდიელებს, მოკლეს. ულატაკესი ირლანდიელების ძირითადი საკვები კარტოფილი იყო. ადამიანი ისე მოკვდებოდა, კარტოფილის მეტს ვერაფერს გაუგებდა გემოს. სასწავლებლად წასულ ირლანდიელს მშობელი მხოლოდ ერთ ტომარა კარტოფილს გაატანდა, რომელიც მთელი წელი უნდა გამოეზოგა და დღეში მხოლოდ ორი ცალი ეჭამა. აი, ასე სწავლობდნენ. ასე იყო ჩვენთანაც. გამხმარი პურის ნატეხით სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდობა ევროპაში იღებდა განათლებას. და ეს ხალხი 1924 და 1937 წლებში დახვრიტეს. ხოლო საქართველო მე-20 საუკუნეში ორჯერ გაიძარცვა — ერთხელ კომუნისტებმა გაძარცვეს, მეორედ, ანუ ბოლო ათწლეულში თავად ქართველებმა. არადა ქვეყნისა და ხალხის ქონება საუკუნეების მანძილზე გროვდება. ცარიელ ადგილზე არც დემოკრატია ხარობს და არც არაფერი. ჩვენ კი ჯერჯერობით ცარიელ ადგილს ვტკეპნით. არადა, შეგვეძლო მაგრად დავმდგარიყავით ფეხზე. ამასთან საქართველოში არასოდეს არავის უსწავლია პოლიტიკური მეცნიერება, ეკონომიკა. ახლა სწავლობენ და რა უნდა ქნას ქვეყანამ? ასეთი რამ ბევრგან ხდება, სადაც ვერ დაგროვდა სიმდიდრე და ევროპული ფასეულობები. არც ჩვენ გაგვითავისებია ეს ფასეულობები და ძნელია, კაცს მოსთხოვო, რომ ქრთამი არ აიღოს. ხომ ფაქტია, რომ ბავშვობიდან ქრთამის და ტყუილის მეტი არაფერი გვსმენია. ამ ტყუილმა ყველაზე მძლავრად ბოლო ათწლეულში მოიქნია კუდი და დღესაც იქნევს.

**— მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, მაგრამ იმ ფაქტს რა ვუყოთ, რომ უკიდურესად მძიმე სულიერ მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი საზოგადოების შეგნებული ნაწილი. არ არსებობს ეროვნული იდეა, არა გვყავს ერისკაცი თუ კაცები. არც ქართული მწერლობა და არც არავინ იღებს თავის თავზე ამ მისიას. ათი წლის წინ თითქოს ერთ მუშტად შეკრული ქართველობაც გაიხლიჩა.**

— მწერლობის სახელით ვერ გამოვალ, მაგრამ ვიტყვი, რომ ვერ იკისრებს ამ მისიას მწერლობა. მან მხოლოდ კარგი ლიტერატურა უნდა შექმნას. მეეჭვება, ხალხის წიაღიდან გამოსული ეროვნული გმირიც მოევლინოს ქვეყანას. პოლიტიკოსები და ბიზნესმენები კი, იცოცხლეთ, ბევრი გვყავს, რომლებიც „იზრდებიან“ და საქართველოს სახელმწიფოც უკვე არსებობს, ოღონდ ეს არის სუსტი, მოუწესრიგებელი და ღატაკი სახელმწიფო. მეეჭვება, რომ დღეს საქართველოში ვინმე აიგივებდეს საკუთარ თავს ხელისუფლებასთან, ხოლო თუკი მაინც ვინმე აკეთებს ამას, ისიც არსებობის საშუალების მოპოვებისა და გამდიდრებისათვის... ყველა თავის გზას ეძებს არეულ ქვეყანაში. მე, მაგალითად, მოვერიდებოდი ხელისუფლებასთან ახლოს დგომას. მაგალითად, დღევანდელი გერმანელი შორს არ დგას საკუთარი ხელისუფლებისგან მიუხედავად იმისა, რომ არანაირ კონტაქტში არ არის მთავრობასთან. მაგრამ თუ არ მოეწონება რაიმე ხელისუფლების ქმედებისაგან, არ გაჩერდება და გამოვა ქუჩაში. ახლახან ინგლისში ერთი საინტერესო ფაქტის მოწმე გავხდი. ტონი ბლერის მთავრობამ შემოიღო ბავშვთა აცრის სისტემა. არსებობს ერთი ნემსი, რომლითაც ერთდროულად სამ სახადზე ცრიან ბავშვებს და ხელისუფლებაც ამ ერთი ნემსით აცრას უწევს პროპაგანდას. ექიმებსაც, ვინც მიიზიდავს პაციენტებს, პრემიას აძლევენ. მაგრამ არსებობს სამი ნემსიც, რომლითაც ამ სამ სახადზე ცალ-ცალკე ცრიან ბავშვებს. საქმე ის არის, რომ მთავრობის მიერ მოწონებული ერთი ნემსით აცრა შეიცავს რისკს, რომ ათი ათასი ბავშვიდან ერთს კუჭ-ნაწლავი გაუღიზიანდეს. ადგნენ ინგლისელი ჟურნალისტები და ჰკითხეს პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჰყავს: თქვენი შვილი რომელი ნემსით აცერითო. უპასუხა: ეს ბავშვის პირადი ცხოვრების საკითხია და არ გეტყვითო!

მეორე დღეს ინგლისის გაზეთები აჭრელდა ფოტოებით, სადაც გამოსახული იყო ტონი ბლერის შვილი მშობლებთან და აღმზრდელებთან ერთად, სადღაც მიღებებზე, სტუმრებთან და ა.შ. ტექსტში კი ეწერა: — კი, მაგრამ როცა ამ ბავშვით იწონებენ თავს, ამით არ არღვევენ მის პირად ცხოვრებასო?! საღამოს ტონი ბლერი ტელევიზიით გამოვიდა და აუწყა ქვეყანას — ჩემი შვილი ერთი ნემსით ავცერითო! აი, ასეთი ცხოვრებაა იქ და მათი მთავარი ძალა მასმედიაა, რომლისაც სჯერათ, ეშინიათ და ანგარიშს უწევენ... ვფიქრობ, ნელ-ნელა ჩვენთანაც დაიწმინდება პროცესები და არც შანდორ პეტეფივით ბარიკადებზე მოუწევთ ქართველ მწერლებს და პოეტებს დგომა!

(გაგრძელება იხ. გვ. 4)

# გავალ გარეთ, შემოვალ და მეკვლეც მე ვიქნები...



ახალი წლის დადგომამდე, საქართველოს პრეზიდენტი წამყვანი გაზეთებისა და სააგენტოების წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც შეხვედრაზე გაირკვა, შევარდნაძე მთავრობისა და საკუთარ მოღვაწეობას კრიტიკულად აფასებს. ბუნებრივია, გვაინტერესებდა პრეზიდენტის წინასაახალწლო განწყობა და პირველი კითხვა, რომელიც დავსვით, მომავალი წლის პროგნოზირება იყო.

— ვვარაუდობდი, რომ ეს წელიწადი უკეთესი იქნებოდა, ვიდრე გასული წელი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ იმედი გამიმართლდა. სამთავრობო კრიზისმა, საგადასახადო შემოსავლების მინისტრების გაქცევა-გამოქცევამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩაგვაგდო. მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება — ხალხს აღარ უნდა დაუგვიანდეს პენსიები. მომავალი წელი გადამწყვეტი იქნება კორუფციასთან ბრძოლის საქმეში, სერიოზული რეფორმები გატარდება პროკურატურაში, შს სამინისტროში, უშიშროებაში.

საგარეო სფეროში შედარებით უკეთ მუშაობენ, მაგრამ აქაც გვაქვს სუსტი წერტილი — საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. დღეს უკვე ცხადია, რომ რუსეთთან ძველი ურთიერთობები არასოდეს აღდგება და ამის შესახებ პუტინსაც მოვახსენე — ახალი ურთიერთობებია დასამყარებელი, ანუ ახალი ხელშეკრულება, რომელიც დაიდება რუსეთთან. ალბათ, გაუქმდება სავიზო რეჟიმიც. რუსეთის პრეზიდენტს ამაზე უარი არ უთქვამს.

*— თქვენი ვიზიტისას, რუსულ მასმედიაში პუტინმა განაცხადა: — კოდორი და პანკისი თუ რუსეთმა დაბომბა, რატომ არ არის მსხვერპლიო. დაგაკმაყოფილათ ამ პასუხმა? პირისპირ საუბრისას მან სხვაგვარი კომენტარი ხომ არ გაუკეთა ამ ფაქტს და ხომ არ აჯობებს, თუ კიდევ დაირღვევა საქართველოს საჰაერო სივრცე, მსოფლიო საზოგადოებრიობის დასანახად მაინც, ჩამოვაგდოთ ერთი თვითმფრინავი?*

— ალბათ, სხვაგან თუ ჩავუსაფრდებით რუსულ თვითმფრინავს. ჩემი ვიზიტის შემდეგ აღარ დაურღვევიათ საზღვარი (იცინის). ეს ხუმრობით, ისე კი საქართველოს ტერიტორიების დაბომბვებთან დაკავშირებით დეტალური საუბარი მქონდა პუტინთან. ის რუსეთის პრეზიდენტია და არ შეიძლება არ იცოდეს ყველაფერი, რაც მოხდა. აუცილებლად უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ამ ინციდენტის მიზეზებს გაარკვევს. ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტს საახალწლო მილოცვაშიც შევახსენე. მინდა გითხრათ, რომ ამ დაბომბვებს დასავლეთში ძალზე უარყოფითი შეფასებები მოჰყვა. ამერიკელებმაც არაერთხელ დააფიქსირეს, რომ საქართველოს საზღვრის ყოველი დარღვევა გავლენას მოახდენს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე. მჯერა, ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდება. შეიძლება გამაკრიტიკოთ და საკმაოდ მწვავედაც და მართლებიც იქნებით, — შეიძლებოდა პუტინთან შეხვედრისას უფრო კატეგორიულიც ვყოფილიყავი, მაგრამ ჩვენ დღეს რუსეთზე ვართ დამოკიდებულნი. თუ მან გაზი არ მოგვცა, ამ ზამთარს გავითოშებით.

რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას ერთ-ერთი მთავარი საკითხი აფხაზეთიც იყო. როგორც მან განმიცხადა, რუსეთს აფხაზეთში არანაირი ინტერესი არ აქვს. მინდა საქმე ერთიან საქართველოსთან მქონდეს და არა დანაწევრებულთანო. სამაგიეროდ, თავად რუსეთიც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ საქართველოსგან პრობლემები არ შეექმნება.

6 წელია იგორ გიორგაძე რუსეთში დათარეშობს, ფულიც ბევრი აქვს და ქალებიც ბევრი ჰყავს (იცინის). მაგრამ ამისგან პრობლემას არ ვქმნით და მასზე არც დამისვამს საკითხი. ჰყავთ და ჰყავდეთ. სხვათა შორის, პუტინმაც მხოლოდ ერთი სიტყვით ახსენა ბადრი პატარკაციშვილი. რა არის ცუდი, თუ სხვაგან ნაშოვნ ფულს ეს კაცი საქართველოში დახარჯავს? იყოს აქ, მაგრამ თუ პატარკაციშვილი პოლიტიკურ პარტიებს დაუწყებს „თამაშს“, შეიძლება მართლაც გადავცეთ რუსეთს (იცინის). ისე, პოლიტიკას რაც შეეხება, თუ საქართველოში კიდევ რაიმე ძალა შეიქმნება, მას ერთადერთი საფუძველი ექნება — პოპულიზმი. ასეთი ძალები იძლევიან დაპირებებს მხოლოდ მთავრობისა და პრეზიდენტის კრიტიკის ფონზე, მაგრამ ისინი, ვინც ასე ცდილობენ გავლენის მოპოვებას, ვერაფერს მიაღწევენ. საქართველოში სერიოზული ავანტიურა იგეგმებოდა. არის ხალხი, რომელიც ფიქრობს — რაც უფრო ცუდად იქნება საქმე, უკეთესია — მთავრობაც წავა და შევარდნაძეცო. მართლაც რომ ვხედავდე საიმედო ძალას, არავითარი დემონსტრაცია არ მჭირდება, თავად გავუდგები გზას. ბოლოს და ბოლოს, მშობლიურ სოფელში ჯერ კიდევ შემომრჩა ხის პატარა სახლი და იქ წავალ (იცინის).

*— ახალ წელს როგორ შეხვდებით და ვინ გეყოლებათ მეკვლედ?*

— ახალ წელს, ძირითადად, მეუღლესთან ერთად ვხვდები. ახალი წლის დადგომა განსაკუთრებით უხარია, 31 დეკემბერს შინ 8 საათზე ვბრუნდები. ხანდახან ბავშვები შემოირბენენ ხოლმე. ვინც პირველი მოვა, მეკვლეც ის არის. თუ არა და მე თვითონ გავალ გარეთ, შემოვალ და მეკვლეც ვიქნები *(იცინის).*

***იზო რიკაძე***

# ქვეყნისა და ხალხის ქონება საუკუნეების მანძილზე გროვდება, მე-20 საუკუნეში კი ორჯერ გაიძარცვა საქართველო!

*(დასაწყისი იხ. გვ. 3)*

რაც შეეხება ათი წლის წინანდელ ერთობას, იყო კი ეს ქართველი ერის ერთიანობა?! თუ ქართველ ხალხს ბოლომდე გაცნობიერებული ჰქონდა მიზანი, რატომ გაიყო? თორემ მარტო იმის ძახილი, რუსები შემოვიდნენო, საქმეს ვერ შველის. ერთიანობის პრობლემა დღესაც არის და კარგა ხანს გვექნება! ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვწევს მენტალურად იმის ძალა და უნარი, რომ ქართული ნიურნბერგი მოვაწყოთ და ჩვენი ისტორია გავასამართლოთ, რაც საამაყო გვაქვს, იმით ვიამაყოთ და რაც სამარცხვინო — შეგვრცხვეს! არ შეიძლება მხოლოდ ამაყობდე კაცი და არ ფიქრობდე, რომ ვთქვათ, ჩემი წინაპარი ვინ იყო, რას აკეთებდა? იმას კი არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც 70-იანი წლებისკენ მივიხედოთ, როცა შევარდნაძე იყო ცეკას მდივანი, არამედ უფრო იქით და იქით!

**— დაბოლოს, ახლახან გამოიცა თქვენი მოთხრობების კრებული „შობაღამის ალქაჯები“. მოკლედ ამ მოთხრობის და თქვენი საახალწლო სურვილების შესახებ.**

— მოთხრობაში „შობაღამის ალქაჯები“ სიუჟეტი ვითარდება 25 დეკემბერს, ღამით. ორი ბიჭი დათვრება და დადის ქუჩებში, თან ერთმანეთს ეუბნებიან, დღეს ჩვენი შობის დღესასწაული არ არისო. შემდეგ გოგოებს გადაეყრებიან, რომლებიც ალქაჯები არიან... შედეგად, ძალიან ცუდად დაუმთავრდებათ შობის ღამე, მაგრად სცემენ... ბოლოს, იმას ამბობენ, — კიდევ კარგი, ჩვენს შობაზე არ გადაგვხვდა ეს ამბავი, სხვის შობაზე გავილახეთო. მორალი ის არის, რომ როცა დათვრები, შინ უნდა წახვიდე და გამოიძინო, რათა რაღაც უბედურებას არ გადაეყარო... ამიტომ მშვიდად და ბედნიერად ვიყოთ. საერთოდ, ბედნიერება წამობით გრძელდება. შეიძლება ადამიანი 100-ჯერ იყოს ცხოვრებაში ბედნიერი, ასი ბედნიერი წამი ჰქონდეს! მაინცდამაინც ნუ მივსდევთ სიმდიდრეს, წყნარად ვიაროთ. როცა ტაქსის ფული გვაქვს, ტაქსით წავიდეთ, თუ არადა „მარშრუტკით“, ბოლოს და ბოლოს, ფეხით, რაც ჯანმრთელობაა! ვფიქრობ, თითოეულ ქართველს საკუთარი ნამუსიანი და პატიოსანი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს და თუ ასე იქნა, გადავრჩებით და კარგი ქვეყანაც გვექნება!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

## დავიწყოთ სამეფო კარიდან...

ქართული სამეფო კარი ერთი კვირით ადრე შეუდგებოდა საახალწლო სამზადისს. მსახურთუხუცესი მოლარეთუხუცესისგან მიღებული ძვირფასი ნოხფარდაგებით მოფენდა სასახლეს.

მონადირეთუხუცესი ახალი ტანსაცმლით შემოსავდა მეფეს და მის ოჯახს.

სადღესასწაულოდ მორთულ მეფეს მაღალ სკამზე დააბრძანებდნენ, წინ საახალწლო ტაბლას დაუდგამდნენ, შუაში ველური ტახის თავით. ხელისუფალნი რიგის მიხედვით სხდებოდნენ, ზოგნიც ფეხზე იდგნენ: „მკურვალთუხუცესი და ტყისმცველნი დასხდებიან და მეხელადეთუხუცესნი დგანან“...

მანამდე კი, ცისკრის ლოცვის დაწყებამდე, ვაზირთა შორის უპირველესი მწიგნობართუხუცესი უკვლევდა ჯვრით, ხატით, ძვირფას ნივთებს მიართმევდა და ტკბილეულით „დააბერებდა“ მეფეს. წირვის შემდეგ საახალწლო მილოცვები დაიწყებოდა — მოდიოდნენ ერისთავები, ვაზირები, ხელისუფალნი: ბაზიერთუხუცესს ქორ-შავარდენი და ველური ტახის მოოქრული თავი უნდა მიერთმია. მეჯინიბეთუხუცესს ოქრო-ვერცხლით აღკაზმული ცხენი მოჰყავდა. ამირსპასალარს — ბურთი, ჩოგანი და ცხენი. დადიანს სამი ცხენი უნდა ეძღვნა მეფისთვის — „ორი უკეთესი და ერთი სატალახე“. ერისთავებსაც ცხენები მოჰყავდათ, ოღონდ ჯაგლაგი და გამხდარი (თუ რატომ, ამას ცოტა ქვემოთ შევიტყობთ — ე.ს.). მომლოცველები აუცილებლად მიართმევდნენ მეფეს ისარს (ეს ძველად იყო), შემდგომ კი ტყვიას და ასევე აუცილებლად დალოცავდნენ ამ სიტყვებით: „მრავალ ჟამიერ ჰყოს ღმერთმან, მეფობა თქვენი და ისარი ესე ანუ ტყვია განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულთა“.

დიდ ხელისუფალთ სამეფო დარბაზის ერნი და დიდებულნი მოჰყვებოდნენ, სულ ბოლოს — სპანი და ლაშქარნი.

დარბაზობას, რა თქმა უნდა, პურობაც მოჰყვებოდა „დიდითა განცხრომითა და სახიობითა“. აქ კი მოდღესასწაულეთ ართობდნენ მუსიკოსები, მომღერლები და მოცეკვავეები, იმართებოდა მოლექსემოშაირეთა პაექრობა, ფალავანთა ჭიდაობა და „საბელზე თამაშობანი“...

მეორე დღე ნადირობას ეთმობოდა. ის ფაქტი, რომ ლაშქრობა-ნადირობას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყანაში, იმითაც დასტურდება, რომ საახალწლო რიტუალისას მონადირეთუხუცესს უმთავრესი ადგილი ეკავა. ნადირობას მეკვლეობის ფუნქციაც ეკისრებოდა: მეფე, უფლისწულ(ნ)ი და დიდებულები სანადიროდ გაემზადებოდნენ. ნადირობის მოწყობა ბაზიერთუხუცესს ევალებოდა, რომელიც ერისთავთა მორთმეულ ჯაგლაგ ცხენებს დაახოცვინებდა და წინა დღით სანადირო მინდორზე დაყრიდნენ. მინდორი შემოღობილი ყოფილა. ღობის კარს ღიას ტოვებდნენ და ლეშის სუნზე ნადირი შემოდიოდა, გამთენიისას კარს ფრთხილად მიხურავდნენ...

...და როცა მეფე თავისი ამალით „სანადიროს“ მინდორს მიუახლოვდებოდა, კარს გააღებდნენ, დამფრთხალი ნადირი გარეთ გამოვარდებოდა და ატყდებოდა ისრების სროლა.

ნადირს მტრის სახესთან აიგივებდნენ და ამიტომ ცდილობდნენ ნიშანში არ აეცდინათ და რაც შეიძლება მეტი მოენადირნათ (მეტი მტერი დაეხოცათ). ნანადირევი ყოველთვის უხვი იყო და მონადირენი სიმღერით ბრუნდებოდნენ სასახლეში: „ესე იკვლევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ“.

ახალი წლის სადღესასწაულო დღეებს სახელმწიფოს საანგარიშო დავთრების მკაცრი გასინჯვა და შემოწმება მოჰყვებოდა...

სამეფო კარისთვის არც საახალწლო საჩუქრების გაცემა ყოფილა უცხო...

## მეგრელების და გურულების ჩიჩილაკი

სამეფო კარიდან სამეგრელოში გადავინაცვლოთ, სადაც ახალ წელს წინათ „კალანდა“ ეწოდებოდა. „კალენდა“ რომაულად თვის პირველ რიცხვს ნიშნავს და ეს სიტყვა ახალი წლის დასაწყისზე განუზოგადებიათ.

ახალ წლამდე ორი კვირით ადრე მეგრელი კაცი ტყეში წავიდოდა, თხილის გრძელ ჯოხს მოჭრიდა და წყალში ჩაალბობდა. ახალი წლის წინა ღამით კი ჯოხს კერიის ცეცხლზე ისე დაატრიალებდა, რომ ქერქს ალისგან სულ ტკაცატკუცი დაეწყო. მერე კანს გააცლიდა, თლას დაუწყებდა და მცირე ხანში თეთრწვერიანი ჩიჩილაკი „იბადებოდა“, რომლის წვერს ჯვარედინად გაყოფდნენ და ორ მოზრდილ ჩხირს ჩაარჭობდნენ. ჩხირებზე წამოაცვამდნენ ბროწეულსა და ვაშლს. ბროწეული, როგორც ბარაქისა და სისავსის სიმბოლო, აუცილებელი ატრიბუტი იყო. ვაშლებში ვერცხლის ფულს ამაგრებდნენ. ჩხირებს შინ ჩამოქნილ თაფლის სანთელს მიამაგრებდნენ. ქარვის კრიალოსანსაც დაჰკიდებდნენ...

ახალი წლის ღამეს ოჯახის უფროსი ჩიჩილაკითა და საახალწლო ხონჩით სახლიდან გადის სხვა სადგომში, ალიონზე კი დგება და წყაროზე მიდის. ხელ-პირს დაიბანს, ღომის მარცვლით სავსე მუჭას წყალში ჩაყოფს და ამოღებისას თუ ღომის მარცვლები მშრალი აღმოჩნდა, გვალვიანი წელი იქნება, ხოლო თუ სველი — მაშინ ბედი გაუღიმებთ.

წყაროდან დოქით წყალს წამოიღებს, სადგომიდან ჩიჩილაკს და ხონჩას აიღებს და ოჯახს მიაშურებს. კარზე სამჯერ დააკაკუნებს და კითხვაზე, რა მოგაქვს? — დაახლოებით ამდაგვარ პასუხს გასცემს: — „კალანდა მოვბრძანდები, ყველასთვის სიმრავლე, სიხარული და ყველაფერში გამარჯვება მომაქვს...“

საკალანდო სუფრას აუცილებლად ამშვენებდა ღორის თავი და სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარი „ბასილა“ — ჩვეულებრივზე დიდი მჭადი, რომელსაც გულად წვრილად დაჭრილი ღორის ქონი ჰქონდა, მარილით და ნიგვზით შეზავებული.

გურიაშიც ისევე ამზადებდნენ ჩიჩილაკს, როგორც სამეგრელოში. საახალწლო თადარიგსაც რამდენიმე დღით ადრე იჭერენ. ღორის თავი და ბასილა აქაც აუცილებელია. მამლის ყივილზე, ახალი წლის დილას, მთელი ოჯახი ფეხზე დგება. მამაკაცები მორთულ ჩიჩილაკს, ღორის თავს, ბასილას და სანოვაგით ავსებულ გობს აიღებენ და მარანში მიდიან, თან ცარიელი ჩაფიც მიაქვთ. შედიან მარანში, ოჯახის უფროსი ხმას არ იღებს, ისე დგამს საახალწლო გობს მინაზე, ჩაფს საგანგებოდ დაწურული ღვინით გაავსებს და დაჩოქილი შესთხოვს წმინდა ბასილას ოჯახის ბედნიერებას. თან გობიდან კაკალს იღებს და ისევ წმინდა ბასილას ევედრება — ამ კაკალივით აავსე ჩემი ოჯახი ბედნიერებითო. თუ კაკალი გატეხის შემდეგ ფუჭი აღმოჩნდება, იგი ხელმეორედ ეხვეწება მფარველს, რომ მისი ოჯახი ცარიელ კაკალს არ დაამსგავსოს.

სახლში მობრუნებისას ოჯახის უფროსი-მეკვლე სამჯერ დააკაკუნებს სიტყვებით — კარი გამიღე! და სამჯერვე ეკითხებიან — რა მოგაქვსო. გურული კაცის ფანტაზია ხომ კარგად მოგეხსენებათ და ალბათ არც ის გაგიკვირდებათ, თუ მის ჩამონათვალში მრავალი სიკეთისა და ხვავ-ბარაქის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად ასეთ წინადადებასაც შეხვდებით — „მომყავს ოსმალეთის ფაშა, სპარსეთის შაჰი და მათი სიმდიდრით დატვირთული ჯორები“.

...იღება კარი და იწყება საახალწლო მილოცვები. პირველად კალანდას ცხემლის ნაფოტით ოჯახის კერას ულოცავენ. ნაფოტს ცეცხლში აგდებენ და მრავალი წლის მშვიდობით გათენებას შესთხოვენ.

## „აბრამიანი“ ქართლში

საახალწლო ხონჩას ქართლში „აბრამიანს“ უწოდებდნენ. ხონჩაზე თავდაპირველად ღორის თავი უნდა ყოფილიყო, გარშემო ბედისკვერები, ზედაც ბასილას ქანდაკება. ხონჩის ერთ გვერდზე თაფლში ამოვლებული პურის პატარა ნაჭრები უნდა ყოფილიყო ჯამით, ოჯახის წევრთა „დასაბერებლად“ და ამ ჯამზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ.

საახალწლო სუფრის სამზადისში მთელი ოჯახი მონაწილეობდა. გამოაცხობდნენ ბასილას ქანდაკებას, ბედისკვერებს — ორ-ორს ოჯახის თითოეული წევრისთვის და თითოს შინაური პირუტყვისათვის.

გამთენიისას ოჯახის უფროსი მამაკაცი აბრამიანს ანთებული სანთლებით გარეთ გაიტანდა, სამჯერ ლოცვით შემოუვლიდა სახლს, მერე ბოსელს მიაკითხავდა, საქონელს მიულოცავდა, ისევ თავის დარბაზში დაბრუნდებოდა, აბრამიანს კერასთან დადგამდა, ცეცხლთან მივიდოდა, მუგუზალს აიღებდა და ცეცხლს შეუჩიჩხინებდა — ნაპერწკლები რომ გასცვივდებოდა, ისიც ხმამაღლა იტყოდა — ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი, ამდენი ფრინველი ჩემს ოჯახსო... ჯამიდან თაფლიან ლუკმებს ჩამოურიგებდა ოჯახის წევრებს, ტკბილად დააბერებდა.

## როგორ აკურთხა წმინდა ბასილმა ღორი...

ძველ ქართულ საახალწლო ტაბლაზე ღორის თავს გამორჩეული ადგილი ეჭირა. ამ ცხოველის საახალწლო ღვთაებასთან კავშირს ერთი თქმულებაც მოწმობს: „ერთხელ თურმე წმინდა ბასილი წირვად იდგა და იმ დროს მას ღორმა ახლო გაურბინა, ღორს მუცელში ეშმაკი ჰყავდა და იმის ხორცი არ იჭმეოდა. წმინდა ბასილი ხელში ჯვრით ღორს გამოეკიდა და სწორედ იმ დროს მოეწია, როდესაც ღორი წყალში გადახტომას აპირებდა. წმინდა ბასილმა მოასწრო და კუდზე ფეხი დააბიჯა. იმავე წამში ეშმაკი ღორიდან გამოხტა და წყალში გადავარდა. მაშინ ბასილმა ღორი აკურთხა და საჭმელად გაუჩინა ქრისტიანთ“...

ასე რომ, როდესაც ქრისტიანობის წმინდა მოციქულებმა ახალი წლის დასაწყისი წმინდა ბასილის (ვასილის) ხსოვნას დაუკავშირეს, საჭირო გახდა წარმართულ წესთა გადმოქრისტიანება. როგორც ჩანს, მზის წარმართული ღვთაება ბასილა წმინდა ბასილს დაუკავშირეს, ხოლო მზის ღვთაების მსხვერპლი, ღორი — საახალწლო ტაბლას. ზემოთ მოყვანილი თქმულებით კი წმინდა ბასილმა კუდზე ფეხის ერთი დაბიჯებით „ეშმაკეულ“ ღორს ტაბუ ახსნა...

## ცოტა რამ სხვა კუთხეებზეც...

— ჯავახეთში, ქრისტეშობისთვის 31-ში, მზე რომ ჩავიდოდა, ოჯახის უფროსი მამაკაცი ხელში რკინის ჯოხს დაიჭერდა, სახლს სამჯერ შემოუვლიდა და ფუძის ანგელოზს ოჯახის შემწეობას შესთხოვდა. გათენებისას კი საახალწლო ტაბლით ეზოს შემოუვლიდა, ხორბლის ფქვილისგან გამოქანდაკებულ ნამცხვრებს ყრიდა...

— საინგილოში მეკვლე ოჯახის უფროსი კი არა, გარეშე ადამიანი უნდა იყოს, ყოველმხრივ ბედნიერი და სასურველი.

— კახეთში მეკვლე ცოცხალი ხის ტოტებს მოიტანდა ბედნიერების ნიშნად. კახელი კაცი ტყეში საგანგებოდ არჩევდა საახალწლოდ დასაწვავ ხეს, მთელი ღამე რომ არ ჩამქრალიყო შუაცეცხლი და ოჯახს ღვთის წყალობა დაბედებოდა...

— ზემო რაჭაში საახალწლოდ ორ „ბაჭულას“ აცხობდნენ. ერთს — ახალი და მეორეს — ძველი წლისთვის. აქაც აცხობდნენ კაცა-ბასილას და ერთ დიდ პურს, რომელსაც „კერია-ბერიას“ ეძახდნენ...

*თვალის ერთი გადავლებით, „მოქცევაი ქართლისაის“, „სამეფო კარის გარიგების“, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიის“, თედო სახოკიასა და სერგი მაკალათიას ნაშრომების მიხედვით საახალწლო მიმოხილვა მოამზადა ელენე სალარიძემ*

## ახალი წელი, კალანდა, აბრამიანი... ანუ მრავალი ახალი წელი!..



ახალი წელი საქართველოში სხვადასხვა დროს იწყებოდა.

„მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით იგი წმინდა ნინოს მიერ არმაზის კერპის დამსხვრევას უკავშირდება და რადგან არმაზობა საქართველოში 6 აგვისტოს იმართებოდა, ახალი წელიც აგვისტოს დაამთხვიეს...

ბიზანტიაში 680 წლიდან, კონსტანტინე დიდის მაქსენციუსზე გამარჯვების აღსანიშნავად, ახალი წელი პირველი ენკენისთვიდან დაუწყიათ და როგორც იოანე შავთელი მოწმობს, ჩვენთანაც ამ დროიდან აითვლებოდა...

მე-9 საუკუნიდან ქრისტიანულ ქვეყნებში წლის დასაწყისად 1-ლი იანვარი დაწესდა. იოანე ზოსიმეს კალენდარში, მე-10 საუკუნიდან ჩვენთანაც ასევე 1-ლი იანვრიდან იწყება ახალი წელი.

მე-11 საუკუნიდან საეკლესიო წელი იანვარში დგებოდა, ხოლო სამოქალაქო — სექტემბერში.

მე-17 საუკუნიდან, საეკლესიო და სამოქალაქო წლის დასაწყისად 1-ლი იანვარი დაწესებულა.

# სანამ ახალ წელს რაიმეს გასროლას დააპირებთ...

**ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, საქართველოს დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით კი თბილისში, ხშირად გაისმის „პეტარდებისა" და მაშხალების აფეთქების ხმა. მოზარდები თავს ირთობენ, ხალხს კი გული უსკდება. ამას იურისტების ენაზე წვრილმანი ხულიგნობა ჰქვია და თურმე კანონითაც ისჯება.**



შარშან დეკემბერში, თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის უფროსკლასელები ქიმიის გაკვეთილზე საეჭვოდ დაინტერესდნენ ფეთქებადი ნივთიერებებით. გულუბრყვილო მასწავლებელმა, ოღონდ გაკვეთილზე სიწყნარე ყოფილიყო, მოსწავლეებს დაწვრილებით უამბო ყველაფერი. მისდა გასაოცრად, ის ბავშვებიც კი, რომლებსაც ქიმიის გაკვეთილებზე ყოფნას შატალოზე წასვლა ერჩივნათ, რვეულებში მასწავლებლის თითოეულ სიტყვას გაფაციცებით იწერდნენ. ბოლოს, თვალსაჩინოებისათვის, პედაგოგს მოსწავლეებმა ქიმიური ცდის ჩატარებაც მოსთხოვეს და როცა დარწმუნდნენ, რა შეუძლია რამდენიმე მილიგრამ მაგნიუმის ფხვნილს და ორიოდე წვეთ ნიტროგლიცერინს, სიხარულისგან ხელები მოიფშვნიტეს. რამდენიმე დღეში ასაფეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად ყველა საჭირო ქიმიური ელემენტი იშოვეს, ე.წ. „ლიმონკები" დაამზადეს და გამოსაცდელად თბილისის ზღვაზე მთელი კლასი ავიდა. თუ მათი ნაკეთობა გაამართლებდა, მოსწავლეები ახალ წელს ფეიერვერკით შეხვდებოდნენ. ყველაზე თამამმა, სამმა ყმაწვილმა თავიანთ საცდელ „ფეიერვერკის" ნაწილს ცეცხლი მოუკიდეს. რამდენიმე წამში გამაყრუებელმა აფეთქების ხმამ არემარე შეძრა. ასეთ რეაქციას არც „ნორჩი ქიმიკოსები" ელოდნენ, რომლებიც აფეთქების ტალღამ მოცელა და გააბრუა. სანამ გონს მოეგებოდნენ და გაიქცეოდნენ, მანამდე პოლიციაც გამოჩნდა და ნახევრად დაყრუებულ-გაბრუებული, თუმცა უვნებლად გადარჩენილი მომავალი მენდელეევები დააკავა. პოლიციელები თვალებს ვერ უჯერებდენ, როცა მოსწავლეების მიერ დამზადებული უამრავი ასაფეთქებელი ნივთიერება და მოწყობილობა აღმოაჩინეს. მაგრამ მათი გაოცება შიშით შეიცვალა, როცა შეიტყვეს, რომ მთელი კლასი ახალ წელს, ზუსტად 12 საათზე ცხრასართულიანი კორპუსის სახურავიდან კუსტარულად დამზადებული ცეცხლწაკიდებული ასაფეთქებელი მოწყობილობების ქვემოთ გადმოყრას ფიქრობდა — ასე აპირებდნენ სკოლის დამამთავრებელი წლის შეხვედრას. როგორც პიროტექნიკოსებმა მითხრეს, ახალგაზრდებს ეს „საახალწლო ფეიერვერკი" რომ მოეწყოთ, ან თვითონ დაიღუპებოდნენ იქვე, სახურავზე, ან ტრაგედია ქვემოთ, ქუჩაში დატრიალდებოდა, ერთი სიტყვით, პოლიციის დროულმა რეაგირებამ ოცდაათი მოსწავლე და ღმერთმა იცის, რამდენი ადამიანი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა. ეს ამბავი არ გახმაურებულა, რადგან ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი საკმაოდ გავლენიანი პირი აღმოჩნდა და ყველაფერი დროულად ჩაიფარცხა, მით უმეტეს, რომ მსხვერპლი არ ყოფილა.

შარშანწინ თბილისის მერიამ მკაცრად შეზღუდა ინდოეთიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან პიროტექნიკის საშუალებების (მაშხალების, სალუტების, ფეიერვერკების მოსაწყობი საშუალებების, ტკაცუნების და სხვა) შემოტანა და რეალიზაცია. მიუხედავად ამისა, მარტო იმ წელს სწორედ ინდოეთიდან და თურქეთიდან შემოტანილმა სხვადასხვა სახის მაშხალებმა და ე.წ. სატკაცუნოებმა 19 ბავშვს ახალი წლის დღეებში თვალი ამოსთხარა; რამდენმა ბავშვმა დაკარგა ერთი ან ორი თითი, ან სულაც ხელის მტევანი — ამაზე სტატისტიკა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ შარშანწინ მერიამ აკრძალა უკონტროლოდ ამ „გასართობის" რეალიზაცია, დღეს ეს განკარგულება თითქმის აღარავის ახსოვს და დღესაც ვაჭრებს განუსაზღვრელი რაოდენობით ჩამოაქვთ ე.წ. „პეტარდები". აღსანიშნავია, რომ „პეტარდების" არც ერთი იმპორტიორს არ აქვს შესაბამისი ლიცენზია და სერტიფიკატი ასეთი საქონლის იმპორტირების შესახებ. უფრო მეტიც, ამ ბიზნესით დაკავებულ ხალხს თითქმის არაფერი სმენია სახიფათო ტვირთების უსაფრთხო ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის თაობაზე. სერიოზული დარღვევაა ისიც, რომ არც ერთი მაშხალის შესაფუთ ქაღალდზე რუსულად (ქართულზე რომ არაფერი ვთქვათ) არაფერი აწერია, არც მოხმარების ინსტრუქცია ახლავს — ის, თუ როგორ უნდა დავიჭიროთ, რომელ ზონარს უნდა მოვქაჩოთ, ან ცეცხლი სად წავუკიდოთ. არადა, სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ ახალი წელი ბევრ ოჯახში ტრაგედიის მიზეზი ხდება. თავად შევესწრებივარ, ბაზრობაზე, ჩინურიოლი ქართული ბიჭი ცრემლებით სთხოვდა ერთი პატარა ბიჭის დედას აზერბაიჯანელი მაშხალების გამყიდველი, თუ როგორ უნდა ესროლა მის შვილს „პეტარდი". ამჯერად ჩანდა, მშობელმა ვერაფერი გაუგო მის „ინსტრუქციებს". მართალი გითხრათ, ვერც მე „გამანათლა" სახელდახელო პიროტექნიკურმა გაკვეთილმა. ერთი სიტყვით, ქალბატონმა მაშხალის ყიდვა გადაიფიქრა და ალბათ სწორად-აც მოიქცა, თუმცა კი გულდაწყვეტილი ბიჭი ცრემლებს აღვარღვარებდა.

პიროტექნიკოსმა ვალერი მიშკინმა, რომელიც 40 წლის სტაჟის მქონე პროფესიონალი ამფეთქებელია, ასეთი რამ გვითხრა: „საქართველოში ყველაფერს იშოვი ძმაკაცობით თუ არა, ფულით მაინც. საქმე ის არის, რომ ახალი წლის დადგომას საქართველოს ზოგიერთ რაიონში დინამიტის აფეთქებითაც აღნიშნავენ. განსაკუთრებით ეს იმ რაიონებზე ითქმის, სადაც მაღაროებია და სასარგებლო წიაღისეულს მოიპოვებენ. იქაურები, ასე თუ ისე, კარგად იცნობენ დინამიტს და იციან, როგორ და სად ააფეთქონ ისე, რომ არავინ დააშავონ... თუმცა წელს, ასე ორიოდე კვირის წინ რამდენიმე ტყიბულელს შევხვდი, რომლებიც ბაზრობაზე საკმაოდ ძლიერი მუხტის დინამიტს ყიდიდნენ, რა თქმა უნდა, მალულად. როცა ვუსაყვედურე, თავი იმართლეს — რა იყო, შე კაცო, გამოცდილ მეთევზეებზე ვყიდითო! თითქოს თევზის დახოცვა შეიძლებოდეს დინამიტით. ერთი სიტყვით, ერთი ამბავი ავტეხე და უკან გავაბრუნე, მაგრამ ეს საქმეს არ უშველის, სხვებიც ხომ ყიდიან..."

„კვირის პალიტრამ" ამ პრობლემასთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა შსს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკ **ლევან ხოზრევანიძეს**: „ვისაც ბაზრობაზე ან სადმე სხვაგან ასეთ ნივთიერებას აღმოვუჩენთ, მათ უხიფათო მაშხალებით ვაჭრობასაც ავუკრძალავთ. ისე კი, გაცილებით სჯობს, ხალხი ახალ წელს მაშხალების და ტკაცუნების სროლით შეხვდეს, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღის სროლით.

**— ძნელი დასაჯერებელია, თქვენ, ტაბელური იარაღის მფლობელმა ახალ წელს ერთი მჭიდი მაინც არ დაცალოთ.**




— ახალ წელს ერთად შევხვდეთ ჩემს ოჯახში და მაშინ დარწმუნდებით, რომ იარაღს ნამდვილად არ გავისვრი და ამიტომ არც სხვას ვურჩევ. სხვათა შორის, კანონით აკრძალულია, თვით გაფორმებული ცეცხლსასროლი იარაღით, თუნდაც ფილთა თოფით სროლა დღესასწაულების დღეებშიც კი. როგორც ახალ, ისე ძველ წელს, ჩვენი თანამშრომლები სხვადასხვა უბანს ჩამოივლიან და დააფიქსირებენ ცეცხლსასროლი იარაღის ყოველ გასროლას, და ვისაც „დანაშაულზე წაასწრებენ", არცთუ ისე სასიამოვნო პროცედურა ელით ახალ წელს — დაჯარიმდება. ვიმეორებ, კანონით აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის უმიზეზოდ ხმარება, თუნდაც ეს ახალი წლის აღნიშვნისთვის გასროლა იყოს..."

როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარ სამმართველოში შევიტყვეთ, ერთი შეხედვით უწყინარ ხუმრობას, შარშან ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა — მას თურმე გული გაუსკდა, ფეხმძიმე ქალს — მუცელი მოეშალა, ხოლო ერთი მე-7 კლასის მოსწავლე, რომელსაც ამხანაგებმა ტკაცუნა საყელოში ჩაუგდეს, შოკში ჩავარდა და დღესაც ვერ გამოსულა მდგომარეობიდან.




ჩვენ შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პროფესიით და განათლებით პიროტექნიკოსს, **ზაზა ალთუნაშვილსაც** ვესაუბრეთ: „საქართველოში უმეტესწილად შემოდის პიროტექნიკური ნივთიერებების ნარევით უხარისხოდ დამზადებული საახალწლო მაშხალები, ტკაცუნები. ამ უკანასკნელებს უფრო ბომბის ხმა აქვთ, ვიდრე ტკაცუნასი. „პეტარდებზე" ხომ ლაპარაკი ზედმეტია. აუცილებელია მათი დაუყოვნებლივი ამოღება-განადგურება. ასეთი უხარისხოდ დამზადებული საქონელი ძალზე საშიშია. ხშირია სხეულის დაზიანების მძიმე შემთხვევები. მშობლების კონტროლს მოკლებული ზოგიერთი მოზარდი თვითონ ყიდულობს ამ პიროტექნიკური ნივთიერების ნარევით დამზადებული საქონელს, ყრის იქიდან ასაფეთქებელ ნივთიერებას, აგროვებს, ვთქვათ, „კოკა-კოლას" ბოთლში და ჰერმეტულად თავდახურულს ცეცხლში აგდებს. ამას შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. პოლიცია კი იბრძვის უხარისხო პიროტექნიკური ნივთიერებებისაგან დამზადებული საქონლის წინააღმდეგ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ეფექტი მაინც ნულის ტოლია.

**სანამ გონს მოვიდოდნენ და გაიქცეოდნენ, მანამდე პოლიციაც გამოჩნდა და ნახევრად დაყრუებულ-გაბრუებული, თუმცა უვნებლად გადარჩენილი მომავალი მენდელეევები დააკავა. პოლიციელები თვალებს ვერ უჯერებდნენ, როცა მოსწავლეების მიერ დამზადებული უამრავი ასაფეთქებელი ნივთიერება და მოწყობილობა აღმოაჩინეს.**

**— რას ურჩევთ მოსახლეობას, შეიძინონ თუ არა იმპორტული მაშხალები და სხვ...**

— შეიძინონ იმ შემთხვევაში, თუკი დარწმუნდებიან, რომ საქონელი ხარისხიანია, თუკი დაადგენენ მისი მოხმარებისა და გამოყენების წესს. და რაც მთავარია, ნუ მისცემენ ბავშვებს უფროსების ზედამხედველობის გარეშე სროლის უფლებას. რასაკვირველია, ბაზრობაზე შეძენილი მაშხალა სჯობს, ვიდრე რუსეთის სამხედრო ნაწილებიდან გამოტანილი აზიმუტის გამზომი სასიგნალო რაკეტები და სალუტები, რომლებსაც გასასროლად სპეციალური პისტოლეტი სჭირდება. ეს უკანასკნელი ბევრს არა აქვს, ამიტომ კუსტარულად გაკეთებული იარაღით ისვრის. დაბოლოს, მინდა გითხრათ, რომ პიროტექნიკა მეცნიერებაა, ყველა აფეთქება კი — ხელოვნებაა. მაგალითად, ჩვენ, ამ დარგის სპეციალისტებს, შეგვიძლია ისე მივმართოთ აფეთქების ძალა, რომ უზარმაზარი სახლი დავანგრიოთ და ამ დროს მეზობლად მდგარი სახლიდან ერთი აგურიც კი არ გადმოვარდეს..."

რამდენიმე დღე იმ ფირმების ძებნას მოვუნდით, რომლებიც საქართველოში პიროტექნიკის იმპორტით და ფეიერვერკების მოწყობით არიან დაკავებულნი. ბოლოს ერთ-ერთი საზღვარგარეთული ფირმის ოფისის ქართველმა თანამშრომელმა ამ საქმიანობით დაკავებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს „ფეიერვერკის" ხელმძღვანელის, ვინმე ბადრის მობილური ტელეფონის ნომერი მომცა. ბევრი არ მიფიქრია და ორიოდე წუთში შპს „ფეიერვერკის" მეპატრონეს დავუკავშირდი და შევხვდი კიდეც. თავი იმ შეძლებულ მშობლად გავაცანი, რომელიც ორიოდე დღეში შვილის დაბადების დღის გადახდას ფეიერვერკების თანხლებით აპირებდა. ჩემი ექსპრომტით მოგონილი იძულებითი ტყუილი რესპონდენტს ბადრის ეჭვს არ გამოიწვევია. როგორც ჩანდა, ასეთი ნიჭიანადმყდელები მას ხშირად მიმართავენ.

**— კაცო, შენ ძებნით ფეხები დამაცვდა. ოფისი არა გაქვს, ერთი მისამართი ჩაშაერთინე...**

— ოფისი რად მინდა, სავარძელში ჩასაჯდომად სად მცალია, იცი, რამდენი „ზაკაზი" მაქვს ამ საახალწლოდ?! ჩემი ოფისი ჩემი ავტოფარეხია — იქ ვინახავ ყველაფერს, რაც საჭიროა. ვისაც ვჭირდები, ტელეფონითაც კარგად მპოულობს. ახლა საქმეზე გადავიდეთ. იცოდე, კორპუსის ბინაში ამ საქმეს არ ვაკეთებ...

**— ერთი ეს მითხარი, კორპუსმა რა დაგიშავა?**

— იმიტომ, რომ კორპუსის ეზოში უსაფრთხოების ზომებს ვერ დაიცავ. რამდენწუთიანი გინდა — 2,5 თუ 10-წუთიანი. 2-წუთიანი 150 დოლარი ჯდება, 5-წუთიანი — 300, 10-წუთიანი 500 დოლარი ღირს.

**— როგორი ფეიერვერკი იქნება?**

— როგორი და შენს სტუმრებს კარგა ხანს ექნებათ სალაპარაკოდ.

**— ისე, ჩემმა ძმაკაცმა შენი ტელეფონი რომ მომცა, მითხრა, მაგარი კურიოზებიც შემთხვევიაო...**

— ეგ კურიოზებს ეძახის და მე, ძმაო, თუ ცოცხალი გამოვასწრებდი, არ მეგონა. ერთი მაგარი ბანკირია, ახლა კანცელარიაში ზის. მისი ქალიშვილის ქორწილი იყო. ნიშანი მომცეს თუ არა, მეც და ჩემმა ბიჭებმა შევუბერეთ. მოულოდნელად „წითელი თაიგულის" (ასეთი სალუტია) სასროლი მილი წაიქცა, არადა პატრუქს უკვე ცეცხლი ეკიდა და საცა იქნებოდა, გაისროდა. გაისროლა კიდეც, ოღონდ მილი ისე წაიქცა, რომ პირი პატარძლისაკენ ქნა და 3000-დოლარიანი კაბა ერთ წამში დაიწვა. პატარძალი შიშველი დარჩა.

**— იოლად გადარჩენილხარ. ეს ხელები რატომ გაქვს დამწვარი?**

— უცნაური კაცი ჩანხარ. პოლიციელი ხომ არა ხარ? დამწვარი მექნება, აბა, რა იქნება, ჩემი პროფესიის გადამკიდე ხან რა ფუჭდება, და ხან — რა. შენ სხვა ფირმების ბიჭები უნდა ნახო, რომლებიც თურქული ნაწარმით მუშაობენ. მე რა მიჭირს, ფეიერვერკები იტალიიდან ჩამომაქვს...

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად პიროტექნიკური საშუალებებით ვაჭრობა მთელ ქალაქში მიმდინარეობს, მათ შორის მეტროპოლიტენშიც. ხელზე მოვაჭრეები ვაგონ-ვაგონ დადიან და მგზავრებს „პეტარდებს" სთავაზობენ. თითოეულს ჩანთაში ათეულობით მაშხალა, ტკაცუნა თუ „პეტარდი" უწყვია. არადა, მეტროპოლიტენით სარგებლობის წესებში, რომელიც ყოველი ვაგონის კედელზეა გაკრული, კერძოდ, მე-4 თავის მე-5 პუნქტში წერია: „... კატეგორიულად აკრძალულია მეტროპოლიტენით ცეცხლსაშიში, ადვილად აალებადი, ფეთქებადი, მომწამლავი და შხამიანი ნივთიერებების გადატანა". სამწუხაროდ, არა მარტო გადატანა, არამედ პირდაპირ მოძრავ შემადგენლობაში მიმდინარეობს ვაჭრობა მაშხალებით. როცა ამ ფაქტის დასაფიქსირებლად ფოტოკორესპონდენტთან ერთად მეტროში ჩავედით, სრულიად შემთხვევით გადავაწყდით პოლიციელებს და მეტროპოლიტენის თანამშრომლებს, რომლებიც მაშხალებით ხელზე მოვაჭრეებს ვაჭრობას უკრძალავდნენ.

დირექტორის მოადგილე რეჟიმის დარგში **მერაბ საბულუა**: „ერთს რომ გავაგდებთ მეტროპოლიტენიდან, მეორე შემოდის. ასეთი ფეთქებადი ნივთიერებებით დატენილი საქონლის რეალიზაცია მეტროში არ შეიძლება, რადგან მეტროს დახშულ სივრცეში რომ აფეთქდეს, პანიკა მგზავრებში გარდაუვალი იქნება. ეს კი შეიძლება ტრაგედიით დამთავრდეს..."

**P.S.** 90-იანი წლების დასაწყისში ყოველ ახალ წელს საქართველო, განსაკუთრებით, თბილისის მოსახლეობა ისეთი სროლით და ბათქით ხვდებოდა, იმ ტყვია-წამლის მეათედიც დანიშნულებისამებრ რომ მოეხმარებინათ ჩვენს ჯარისკაცებს, ახლა ალბათ ერთიან საქართველოში ვიზეიმებდით 2002 წლის დადგომას. სჯობს წელს მაინც დავზოგოთ ტყვია-წამალი და მაშხალებსაც განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# როგორ გამოიყურებიან ქართველი ელიტარების ცხენები?

## იპოდრომის მწვრთნელი ცხენის მეკვლედ წაყვანას აპირებს

გველის წელიწადიც უკან ჩამოვიტოვეთ და მალე შავი წყლის ცხენი შემოჭენდება ჩვენს ცხოვრებაში. როგორი იქნება საქართველოსთვის შავი რაშის წელი, ამას 2002 წლის ბოლო გვიჩვენებს. თუმცა ქართველი კაცი და ცხენი



ზაზა სიორიძის „ბაჩი“

ერთმანეთს ისტორიულად იმდენად არიან გადაჯაჭვულნი, ვფიქრობთ, არც ისე ურიგო უნდა გამოდგეს.

ცხენოსნობით ცნობილი ქართველებიც არიან გატაცებულები. ისინი თავისუფალ დროს იპოდრომზე ერთობიან, მათ ცხენებს კი აქაური მეჯინიბეები უვლიან და შეიძლება ითქვას, ცივ ნიავს არ აკარებენ.

ყველაზე თვალში საცემი ნუგზარ შევარდნაძის თავლაა. როგორც შევიტყვეთ, ცხენოსნობით მისი ვაჟი, მამუკა შევარდნაძე და მისი მეგობრები არიან გატაცებულნი. აქ თურმე შვიდი ცხენი ხრავს ლაგამს. თავლაში უცხო პირის შესვლა ასე ვთქვათ, სასტიკად აკრძალულია, ამიტომ უმეტესად დაკეტილია. თუმცა, სრულიად შემთხვევით შევესწარით — ერთ-ერთი მეჯინიბე მამუკა შევარდნაძის წმინდა ინგლისური ჯიშის წაბლისფერ ბედაურს გარეთ ავარჯიშებდა და მისი ფოტოზე აღბეჭდვა მაინც შევძელით. რატომღაც მომსახურე პერსონალი ცნობილი პიროვნებების ცხენებზე საუბარს გაურბის.

„საირმის გორაზე სასახლეებს რომ აშენებენ და მუშამ არ იცის — ვის სახლს აშენებს, აქაც ისეთი სიტუაციაა. ვერ გაიგებ, ვისია ცხენი. ვინც დადის, იცი, ვისიც არის. ზოგს კი ჰყავს, მაგრამ აქაურობას არ ეკარება. ერთი ორჯერ მყავს ნანახი ზაზა სიორიძე. ორი წლის წინ ვანო ჩხარტიშვილიც ვნახე. ჭორად ვიცი, რომ ორი ბედაური ლევან მამალაძესაც ჰყავს, თუმცა აქ არ შემხვედრია.

— **უფრო რა ჯიშის ცხენები ჰყავთ?**

— ინგლისური.

— **რა ფერისა?**

— მამალაძეს ერთი წითელი ცხენი ჰყავს, მეორე — შავრაა... უმეტესად თაფლა ცხენები ჰყავთ.

— **ძირითადად რა კატეგორია დადის აქ?**

— დადიან ვილაცები, — გვესაუბრება ცხენოსნობაში საქართველოს ათგზის ჩემპიონი როინ მარგიანი, რომელსაც ავთანდილ მარგიანმა არაბული კვიცი აჩუქა.

მართალია, მამალაძის ცხენებს ვერსად მივაკვლიეთ, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენი თვალით ვნახეთ ზაზა სიორიძის არაბული „ბაჩი“ და ვანო ჩხარტიშვილისეული ყაბარდოული „ზორკი“, რომელიც გაუჩუქებია. იპოდრომზე ჩხარტიშვილზე ხუმრობენ, — ოდესღაც ეს ცხენი მასაც აჩუქეს, მაგრამ თვითონ ზედ არც კი მჯდარაო.

თქმულება, ღამღამობით ცხენებს ფაფარს ჭინკები უწნავენო, იპოდრომზე ძალაში რჩება: „ხან ისე არის დაწნული, რომ კარგი პარიკმახერი ვერ გაუკეთებს. რამდენჯერმე წავსწრებივარ კიდეც, საქმიანობაში ეგრეთ წოდებული ჭინკა, სინამდვილეში პატარა ცხოველი დედოფალა გამოდგა“, — გვანდობს ერთ-ერთი მეჯინიბე.

ხშირად ცხენებს სახელს დედ-მამის სახელის მიხედვით არქმევენ. მაგალითად, „ხედი“, მშობლების სახელებიდან („ხეივანი“ და „დევისი“) მომდინარეობს.

ცხენი ჯიშით ფასდება. ასევე ამბობენ მნიშვნელოვანია, როგორ არის იგი გაწვრთნილი. ამის თაობაზე ვესაუბრებით საცხენოსნო სპორტის ოსტატს, იპოდრომის მწვრთნელს ***შალვა ქაფოძეს:***

— **ბატონო შალვა, როგორც მითხრეს, თქვენ წვრთნით ცხენებს...**

— მარტო მე არა. თუმცა ორი-სამი კაცი დავრჩით. დანარჩენები საზღვარგარეთ წავიდნენ. ვწვრთნით როგორც ცხენებს, ისე ბავშვებს.

— **ბავშვებს?**

— დიახ, ყმაწვილებს ვასწავლით ცხენის გაწვრთნას.

— **ნებისმიერ ცხოველს თავისებური ზნე აქვს. ცხენის მოთვინიერებასაც თავისი ხერხი ექნება...**

— 100 წელი რომ გაატარო ცხენთან, ბოლომდე მაინც ვერ გაუგებ. ქალივით არის. ყველა ცხენს თავისი ჭკუა აქვს. ეს არ არის მანქანა, პირველ ან მეხუთე სიჩქარეში რომ ჩააგდო... ზოგი კეთილია, ზოგიც მავნე, ბრაზიანი.

— **თვინიერი უფრო რომელი ჯიშია?**

— წმინდა სისხლის ინგლისური ყველას ისვამს ზურგზე.

— **თურმე, ძირითადად კერძო პირების ცხენები გყოლიათ.**

— სახელმწიფო ცხენებიც შემორჩა. მათაც ისე უჭირთ, როგორც ქვეყანას, მაგრამ გულახდილად გეტყვით, რომ ეს საკუთარი ცხენები გვშველიან, მათ ხარჯზე ვინახავთ სხვებსაც.

— **ვისი ცხენები გყავთ?**

— ვისაც ჰყავს, ყველას ვენაცვალე. მეტს — ვერაფერს გეტყვით... ისე, თუ ყველა იყოლიებს, ამას რა სჯობს. ბატონ ედუარდსაც ვთხოვ იყოლიოს თავისი ცხენი. ხალხსაც საქმე გაუჩნდება და ეს სპორტიც წავა წინ. დღესდღეობით ყველაზე ჩამორჩენილი სპორტია. ახლა უფრო სხვა თამაშობებს ეტანებიან, „ბეისბოლი“ უფრო მოსწონთ.

— **რა ღირს ინგლისური ჯიშის ცხენი?**



ვანო ჩხარტიშვილის „ზორკი“

— ინგლისში კნუტი და ლეკვი ღირს იმაზე მეტი, რაც ცხენი საქართველოში. კაი ბედაურს ფასი არ აქვს. ამას წინათ რუსულ ჟურნალში წავიკითხე: ერთ ინგლისელ ქალს ქმრის გარდაცვალების შემდეგ ერთი ბედაურის გარდა, მთელი საბადებელი გაუყიდია. ერთ დღეს ეს ცხენი შემთხვევით უნახავს ამერიკელ ბიზნესმენს,



მამუკა შევარდნაძის 6 წლის „გრანტი“

მოსწონებია და დიდი ფული შეუძლევია. ქალი უარზე დამდგარა. ამერიკელი მილიონამდე ასულა, მაინც ვერ დაუყოლიებია, შემდეგ ჩეკი დაუტოვებია და უთქვამს, რამდენიც გინდა, ჩაწერე და ამერიკაში გამომიგზავნეო... ქალს მალე ცარიელი ჩეკი გაუგზავნია ბიზნესმენისთვის... ისე, ცხენის ფასი პირობითია, შეიძლება 500 ლარადაც იყიდო.

— **ძირითადად რას აჭმევთ?**

— შვრიას, ქერს, თივას. თუ ესენი არა გვაქვს, ქატოსაც ვაჭმევთ. ისე შეძლებას გააჩნია, თორემ ცხენი ქიშმიშსაც ჭამს და შაქარსაც.

— **თქვენ გყავთ ცხენი?**

— მყავს. ჩემი ცხენი თუშურია. მე სვანეთის უბანში ვცხოვრობ, კუკიაზე. ახალ წელს შინ მიმყავს. ასე რომ, ის იქნება ჩემი მეკვლე.

***აბზაცი განსჯისთვის:***

***არაოფიციალური ინფორმაციით, წმინდა სისხლის ანუ ჯიშიანი ბედაურების შენახვა ე.წ. კომერციულ თავლებში სრული პანსიონით წელიწადში 10 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს. სრულ პანსიონში შედის სადგომის დაგვა-დასუფთავება, ცხენის ყოველდღიური ვარჯიში, კვება, ვეტექიმის მომსახურება და სხვ. სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია ადამიანები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 10 ათას დოლარს უახლოვდებოდეს... ერთი პენსიონერის წლიური შემოსავალი კი 168 ლარია.***

*მარინა მამისაშვილი*

## ვინ როგორ ხვდება შავ ცხენს?!

ვიცოდით, რომ ქართველი მაღალჩინოსანნი ახალ წელს საზღვარგარეთ ან მდიდრულ რესტორნებში ხვდებოდნენ. როგორც ჩანს, ამჯერად ტრადიციას გადაუხვიეს — ცხენის წელთან შეგებებას შინ, ოჯახურ ატმოსფეროში აპირებენ.

ისიც შევიტყვეთ, რომ ჩვენს მინისტრებს სუფრაზე უხვად ექნებათ ათასგვარი ნუგბარი და შემწვარ-მოხრაკული, გოჭი და ინდაური... როგორც თავად გვითხრეს, მარხვით „დიდად არ შეუწუხებიათ“ თავი.

როგორი აცილებენ აღმასრულებლები ძველ წელს და როგორ ეგებებიან ახალს, ვინ ვისი სტუმარი იქნება, ჩვენი ბლიც-ინტერვიუდან გაიგებთ. მაშ ასე, ჩვენი მინისტრები „კვირის პალიტრას“ თავიანთ საახალწლო სურვილებს უმხელენ.

**კობა ნარჩემაშვილი:** *მთავარი საახალწლო სურვილი — მინდა სტაბილურობა შევინარჩუნოთ.*

— **ბ-ნო კობა, ქართული ტრადიცია — ძველი წლის იარაღის ზათქით გაცილება წელსაც ძალაშია? ტრადიციების მიმდევრებს დასჯას ხომ არ უპირებთ?**

— მოსახლეობას იარაღის გამოყენებას ახალი წლის ღამესაც არ ვურჩევთ. წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ სპეციალური ღონისძიებები ჩატარდება.

— **დაგვიკონკრეტეთ, ახალი წლის ღამეს მაინც რა სპეციალურ ღონისძიებებს უნდა ველოდოთ?**

— რომ დავაკონკრეტო, ყველა გაიგებს და ოპერატიული ღონისძიების ჩატარებას ხელი შეეშლება.

— **ე.ი. ვინც თქვენს რჩევას არ გაიზიარებს, შესაძლებელია, პოლიციელთა მეკვლეობას გამოჰკრას ხელი?**

— რა თქმა უნდა... იარაღის სროლა ახალი წლის ღამესაც გამორიცხულია.

ვისაც ხმაური უნდა, იხმაუროს — ტკაცუნები ან მაშხალები გაისროლოს...

— **თქვენ როგორ გააცილებთ ძველ წელს?**

— ტკაცუნებით. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე მივალ სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად შევხვდები ახალ წელს, დავლევ ერთი ბოკალ შამპანურს და ისევ სამსახურში დავბრუნდები... ახალი წლის ღამე ყოველთვის მძიმეა ოპერატიული თვალსაზრისით.

— **ისე გველის წელზე სამდურავი არ გეთქმით, გამინისტრდით.**

— მძიმე წელი იყო და, რა თქმა უნდა, წარმატებულიც.

— **მარხვა ხომ არ შეგინახავთ?**

— სამწუხაროდ, ისეთი დაძაბული რეჟიმი მაქვს, ვერ ვიმარხულე.

**ირაკლი მენაღარიშვილი** — *მიუხედავად იმისა, რომ გურული ვარ, ახალ წელს მშვიდობიანად, ანუ თოფის გარეშე ვხვდები.*

— ახალი წლის ღამეს ოჯახთან ერთად აუცილებლად მივდივართ ჩვენი ოჯახის დიდ წევრებთან — მშობლებთან. იქ მოდის ჩემი ძმაც. აუცილებელი რიტუალიც გვაქვს — ერთმანეთს პატარა საჩუქრებს, სუვენირებს ვჩუქნით ხოლმე.

— **საჩუქრებს წინდაში ხომ არ აწყობთ?**

— (იცინის). არა, იმ ზომის წინდებს ვერ ვშოულობთ, რომ ის საჩუქრები ჩაეტიოს. ხმაურის გამომწვევი და ასაფეთქებელი საშუალებებით ჩემი უმცროსი შვილია დაკავებული. დედამისს უამრავ მაშხალას აყიდვინებს ხოლმე და ისეთ ბახაბუხს ტეხს, კაცს მართლა შეეშინდება.

არ მაქვს ილუზია, რომ დამდეგ წელიწადში ყველა პრობლემა მოგვარდება, რაც ხალხს აწუხებს, მაგრამ ღმერთმა ქნას, ნაწილი მაინც დაგვეძლიოს. თქვენც და ყველას მშვიდობას გისურვებთ.

**ლევან პირველი** *(შექეიფიანებული, მაგრამ უგუნებო).*

— ვენაში შევხვდები ახალ წელს.

— **ვისთან ერთად?**

— საცოლესთან ერთად.

— **როდის იქორწინებთ?**

— ალბათ, გაზაფხულზე.

— **ახალ წელს რას აჩუქებთ?**

— ვნახოთ.

**ლევან ძნელაძე,** *შემოსავლების მინისტრი.*

— მინდა ოჯახში შევხვდე, მაგრამ ვინ მაღირსებს? არც მეეჭვება, რომ სამუშაო ოთახში მომიწევს ახალ წელთან შეხვედრა.

— **ისე, როგორ ილხენთ სუფრასთან?**

— თამადად არ ვარგივარ. არც ცეკვა და არც სიმღერა ვიცი.

— **შარშან სად შეხვდით?**

— ოჯახში. ძალიან კარგი იყო.

— **არ მითხრათ, ახლა ის დრო მენატრებაო.**

— ეეჰ, მენატრება, აბა, რა?! ალბათ, ეს დროც მალე დადგება.

— **უკვე გადადგომას ხომ არ აპირებთ?**

— ვნახოთ.

*იზო რიკაძე*
*ქეთი ბერეკაშვილი*



# ახლა მაღაზიაში შესვლასაც ვერ ვახერხებ, რომ შამპუნი მაინც მივიტანო შინ...

*მიიწურა მღელვარე და ბობოქარი წელიწადი. როგორი იყო შარშანდელი წელი და რას ველით ახლისგან? — ამ კითხვებზე საკუთარ შეხედულებებს პარლამენტის თავმჯდომარე ქ-ნი* **ნინო ბურჯანაძე** *გვიზიარებს საახალწლო ინტერვიუში.*

**— ქ-ნო ნინო, როგორ შეაფასებდით ნოემბრის დასაწყისის მოვლენებს, რასაც ფაქტობრივად თქვენი გასპიკერება მოჰყვა?**



— ჯერჯერობით ძნელია რაიმეს თქმა, ალბათ, ისტორია ყველაფერს დააყენებს თავის ადგილზე და უპასუხებს მრავალ კითხვას. ის გამოსვლები და პროტესტი სავსებით გასაგები და ბუნებრივი იყო ჩემთვის. ის, რაც ამ არეულობის მიზეზი გახდა, მართლაც ალმაშფოთებელი იყო. ფაქტია, დღეს ბევრი პრობლემა აქვს საქართველოს, მაგრამ ხალხი ყველაფერს ითმენს, ითმენს, რათა ჰქონდეს სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიული, თავისუფალი სახელმწიფოს აშენების გარანტია. ჯერ ვერ ვამბობთ, დაგეგმილი იყო თუ არა ნოემბრის პროცესები, მაგრამ თუ მართლაც ყველაფერი რაღაც სქემის მიხედვით მიდიოდა, სად იყვნენ ის სამინისტროები, რომლებიც ამ პროცესებში მონაწილეობდნენ? შესაძლოა, მათ იფიქრეს კიდეც, რომ ასეთ ქმედებებს გარკვეული პროტესტი მოჰყვებოდა, მაგრამ ეტყობა, ამ პროტესტის ჩახშობას ვარაუდობდნენ, რაკი გვაშინებდნენ, ყველას ძალიან მალე გასწავლით ჭკუასო, მაგრამ მასშტაბები ვერ გაიანგარიშეს... მადლობა ღმერთს, ამ კრიზისმა ჩაიარა. მოვლენები პარლამენტის თავმჯდომარისა და მთავრობის გადაყენებამ გაანეიტრალა, თუმც იმავე მთავრობის დამტკიცებით ჩვენს ქვეყანაში სერიოზული ცვლილებების განხორციელების შანსი დავკარგეთ და ახალ მთავრობას მივეცით ახალი რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობა. იმედს მაინც არ ვკარგავ, რომ ეს მთავრობა მართლაც დროებითი იქნება და ჩვენ შევძლებთ მინისტრთა კაბინეტის იდეის განხორციელებას. მაგრამ დღევანდელ პარლამენტარებს ისეთ პოლიტიკურ ამბიციებს ვატყობ, გაჭირდება 157 ხმის მოგროვება საკონსტიტუციო ცვლილებისთვის.

**— ძველი მთავრობა ხომ იმ პარლამენტმა დაამტკიცა, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებით...**

— საქმე ის არის, რომ მე არ ვარ სპიკერი, რომელსაც პარლამენტში თავისი უმრავლესობა ჰყავს და მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სწორად მიაჩნია. უმრავლესობა ფიზიკურად არ არსებობს.

**— ალბათ ამიტომ ამბობენ, დღევანდელ პარლამენტს შევარდნაძე მართავსო.**

— ვერ ვიტყოდი, რომ დღეს ვინმე პარლამენტს მართავს და მხოლოდ ვინმეს ინტერესები გადის. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს სერიოზული გავლენა აქვს პარლამენტში, მაგრამ პარლამენტარების ნაწილი ითვალისწინებს ჩემს აზრსაც. არ შეიძლება თქმა, რომ ნებისმიერი წინადადება, რომელიც შევარდნაძეს შემოაქვს, გადის — პარლამენტში ასე მარტივად ნამდვილად არ არის საქმე.

**— სანამ პარლამენტის თავმჯდომარეობას შემოგთავაზებდნენ, „მოქალაქეთა კავშირის" ფრაქციას დაუბრუნდით. ამის გამო გავრცელდა ხმა, რომ თქვენი გასპიკერება წინასწარ იყო დაგეგმილი.**

— მოქალაქეთა კავშირში დაბრუნება ნამდვილად არ უკავშირდებოდა ჩემს შესაძლო გასპიკერებას. გარკვეული ხნის მანძილზე მართლაც განზე გავუდექი მოქალაქეთა კავშირს. ჩემთვის მიუღებელი იყო პროცესები, რაც ხდებოდა ფრაქციაში და ამიტომ გავემიჯნე მას. მაგრამ შემდეგ მოქალაქეთა კავშირმა მართებული პოზიცია დაიკავა — აღდგა თავისუფალი სიტყვის დასაცავად, ხელი შეუშალა ქუჩის მღელვარების სერიოზულ დესტაბილიზაციაში გადაზრდას. შესაძლოა ჟვანია და მოქალაქეთა კავშირი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, ისევ განზე დავრჩენილიყავი, მაგრამ არ მჩვევია გასაჭირში ვინმეს მიტოვება. როცა დაისვა კითხვები — დარჩება თუ არა მოქკავშირი ხელისუფლებაში, განადგურდა თუ არა ეს პარტია საბოლოოდ, ჩავთვალე, რომ არ მქონდა უფლება, შორიდან მეყურებინა პროცესებისთვის და ნიშნიც მომეგო — ხომ გეუბნებოდით, სწორად არ იქცევით და სცდებით-მეთქი.

ამის შემდგომ მართლაც გავაკეთე განაცხადი ფრაქციაში დაბრუნებაზე, მაგრამ იმ აჟიოტაჟის დროს ფრაქციას ეს საკითხი არ განუხილავს. ვფიქრობ, ეს კარგიც არის. დღეს არც ერთი ფრაქციის წევრი არ ვარ და ეს მაძლევს საშუალებას, ერთის კი არა, უფრო მეტი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ვიყო. ვცდილობ, ყველა პოლიტიკურ ძალასთან მქონდეს ნორმალური ურთიერთობა. ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ იმედი მაქვს, შევძლებ მათთან თანამშრომლობას. ცალმხრივი სურვილით ამის გაკეთება შეუძლებელია.

ითქვა, თითქოს პირადი წყენის გამო დავტოვე ფრაქცია. არადა, ამ ნაბიჯის გადადგმა ჩემთვის ძნელი და უსიამოვნო იყო. მართლაც ბევრი რამ მეწყინა — გააუქმეს ის სახელმწიფო სამსახური, სადაც მამაჩემი მუშაობდა, ჩემი ფრაქციის წევრები დაუპირისპირდნენ ჩემს მეუღლეს, 2000 წლის არჩევნებში კი მამამ არჩევნები წააგო თერჯოლაში, მაშინ როდესაც მინიმალური მხარდაჭერა სჭირდებოდა მოქკავშირიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი სუბიექტური შეხედულებები გადამწყვეტი არ ყოფილა. ჩემთვის აგრეთვე მიუღებელი იყო პოლიტიკური გარიგებები, რომლებიც ფრაქციაში ხდებოდა... და კიდევ, ფრაქციიდან გასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ „ახლებმა" დატოვეს მოქალაქეთა კავშირი. მათ გვერდით დავუდექი, დღეს კი ეს რატომღაც არ ახსენდებათ...

**— ბ-ნმა ზურაბ ჟვანიამ გადადგომისას განაცხადა, — ბევრს ტყუილად ჰგონია, რომ სპიკერის სავარძელი კომფორტულიაო... თქვენ რას იტყოდით?**

— ვეთანხმები ბ-ნ ზურაბს, ძალიან არაკომფორტული სავარძელია. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, იქ ვაკეთებდი იმ საქმეს, რომელიც კარგად ვიცოდი... ამავდროულად, ეს იყო თანამდებობა, რომელიც ქვეყნის საშინაო პოლიტიკიდან შორს იდგა და აქედან გამომდინარე, შიდაპოლიტიკური ინტრიგებიდან მოცილებული იყო.

დღეს ნამდვილად არაკომფორტულ მდგომარეობაში ვართ მეც და ჩემი ახლობლებიც. ოჯახს ჩემი ყურადღება მოაკლდა, მათ უწევთ ბევრი ისეთი რამის მოსმენა და წაკითხვა, რაც ძალიან შორს არის სინამდვილიდან და ის სიმართლე, რაც ინერება, ისეთი ბოლმით და იმდენად არადელიკატურად კეთდება, შეიძლება ადამიანს გული გაუსკდეს. ვიღაცის თვალთახედვით, იქნებ მე და რომელიმე ჩემი ოჯახის წევრი ვიმსახურებთ კიდეც ასეთ ცინიზმს, მაგრამ მიკვირს, თავად ის ადამიანები როგორ აძლევენ თავს ამის უფლებას. როგორ შეიძლება კაცს უთხრა — ვინ იქნებოდი დღეს, რომ არა შენი ცოლიო? რატომ იმას არ კითხულობენ, — ვინ ვიქნებოდი მე, რომ ჩემი ქმარი ბადრი ბიწაძე არ ყოფილიყო? ვიქნებოდი პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი ქმარი რომ არ მიწყობდეს ხელს? ბადრი არ მიქმნიდა პრობლემას იმის გამო, რომ მისი პერანგი გაუთოებული არ იყო, რომ თავის დროზე არ მქონდა გამზადებული სადილი. ხომ შეეძლო ეთქვა, — შინ დაჯექი, იმის ფასს არაფერს აკეთებ, რომ შვილებს ენატრებოდეო.

**— როგორ გამოგდით ორასამდე მამაკაც პარლამენტართან ურთიერთობა?**

— სასაყვედურო არაფერი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ არის პრობლემები და კრიტიკაც მესმის ხოლმე. ეს, ალბათ, ბუნებრივია. ანგარიშს მიწევენ. ვგრძნობ, რომ შესაძლოა ზოგი საკითხი უფრო აგრესიულად დასმულიყო, ქალი რომ არ ვყოფილიყავი. ჩვენი მამაკაცები იდეალურ ჩარჩოებს არ ერგებიან, მაგრამ ნამდვილად ცდილობენ, კორექტულები იყვნენ. მეც არ ვარ დიქტატორული ბუნების და არასოდეს ვიყენებ ისეთ მექანიზმებს (თუნდაც არგუმენტაციისას), რაც მათ თავმოყვარეობას შეულახავს.



შვილთან ერთად

**— პოლიტიკოსი ქალისთვის რა თვისებებია აუცილებელი?**

— მადლობა ღმერთს, ჩვენს ქვეყანაში იციან მანდილოსნის პატივისცემა და არც ნორმალური ქალები გვაკლია. ვერ ვიტყვი, თავად რამდენად მაქვს ის თვისებები, რაც პოლიტიკოსი ქალისთვის აუცილებლად მიმაჩნია, მაგრამ ვცდილობ... პოლიტიკოსი ქალი, ვფიქრობ, ყველაფერში გაწონასწორებული და ზომიერი უნდა იყოს, დაწყებული ჩაცმულობის სტილით. არც კონფლიქტურობა წაადგება, მაგრამ ადვილად არც კომპრომისზე მართებს წასვლა (ვგულისხმობ კომპრომისს საკუთარ სინდისთან).

**— ხშირად პოლიტიკოსი ქალბატონები სამკაულს განწყობის შესაბამისად ატარებენ, თქვენ თუ გაქვთ ასეთი ჩვევა?**

— არანაირ დატვირთვას არ ვაძლევ სამკაულს. სადღაც წავიკითხე, თითქოს გასაგიჟებელი ბროშების კოლექცია მქონდეს... არ არის ასე. რამდენიმე ბროში მართლაც მაქვს, რომელსაც ჩაცმულობის და სტილის შესაბამისად ვიკეთებ, გუნება-განწყობილებას ეს ნამდვილად არ უკავშირდება. ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქოს ბევრი დრო მრჩებოდეს ჩაცმულობასა და სამკაულებზე საზრუნავად.

**— ჩვენს საკანონმდებლო ორგანოზე რას იტყოდით — როგორი პარლამენტი გვყავს?**

— ეს არ არის იდეალური ორგანო, რადგან შეუძლებელია დღევანდელ საქართველოში იდეალური პარლამენტი გვქონდეს. თუმც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოსახლეობა უკეთეს პარლამენტს იმსახურებს. მაქვს კონკრეტული გეგმები, რომელიც დღევანდელ პარლამენტს უკეთესს გახდის და ამას მოსახლეობაც მალე დაინახავს.

**— პრეზიდენტთან თანამშრომლობაზე რას იტყვით, ახერხებთ ერთად მუშაობას?**

— ვფიქრობ, რომ ნორმალურად ვთანამშრომლობთ, კონსტრუქციულად ვმსჯელობთ. ბუნებრივია, ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული აზრიც გვაქვს. პრეზიდენტს ყოველთვის ვეუბნები სიმართლეს, თუნდაც იგი ძალზე უსიამოვნო მოსასმენი იყოს. ვფიქრობ, პრეზიდენტი აფასებს იმას, რომ არ ვცდილობ სურათის შელამაზებას და ვეუბნები იმას, რაც სწორად მიმაჩნია. როცა პრეზიდენტს აქვს დამაჯერებელი არგუმენტები, ჩემი გადარწმუნება ძნელი არ არის.

**— გენერალური პროკურორის მოადგილედ თქვენი მეუღლის დანიშვნის შემდეგ პარლამენტარები პოლიტიკურ ზნეობაზე ალაპარაკდნენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— რომ გვეფიქრა, რამე ამორალურს ვაკეთებდით, მე და ჩემი ქმარი ამ ნაბიჯს არ გადავდგამდით. ვიცოდით, რომ ეს ფაქტი აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა, მაგრამ ასეთ რეაქციას ნამდვილად არ ველოდით. არასწორად მიმაჩნია აჟიოტაჟი, რაც ამისთვის ატყდა და წარმოუდგენელია, ამის გამო პარლამენტი დავტოვო. ყველაფერი დალაგდება და „ახლების" ფრაქციაც დარწმუნდება, რომ ბადრი ბიწაძე გენპროკურატურაში ანგარიშსწორებისთვის არ მისულა. ბ-ნმა ლევან გაჩეჩილაძემ თქვა, — ისიც ვერ მოიფიქრეს, ამ თანამდებობაზე ვინმე „პადსტავნოი" დაენიშნათო. ჩვენ არ გვიკადრია, ამ თანამდებობაზე ისეთი ვინმე დაგვენიშნა, ვისაც მართვას დავუწყებდით. ბადრი ბიწაძე მთავარი სამხედრო პროკურორი იყო, ის ქუჩიდან არ მიუყვანიათ პროკურატურაში. რეალურად მისი ჰორიზონტალურად გადანაცვლება მოხდა და არა ვერტიკალზე ასვლა.

**— რაკი თქვენს მეუღლეზე ვლაპარაკობთ, იქნებ გაიხსენოთ, როგორ გაიცანით...**

— 11 დეკემბერს 17 წელი გახდა, რაც მეუღლეები ვართ. პირველ კურსზე ვიყავი, როცა ბადრი გავიცანი. ძალიან ყურადღებიანი და დელიკატური იყო. იმ დროს კალათბურთს ვგულშემატკივრობდი. არასდროს დამავიწყდება, ბადრიმ სპორტის სასახლეში დამპატიჟა თბილისის „დინამოსა" და კაუნასის „ჟალგირისის" მატჩზე. 4 ბილეთი მოიტანა, 2 ჩვენთვის, დანარჩენები კი მათთვის, ვისაც საჭიროდ ჩავთვლიდი — უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამაყენა. ასეთ დელიკატურობას ყოველთვის ამჟღავნებდა და ჩემთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ტრადიციულ ოჯახში ვიყავი გაზრდილი და თავს ზედმეტ თავისუფლებას არ ვაძლევდი.

**— როგორი სტილის ტანსაცმელს ანიჭებთ უპირატესობას?**

— კლასიკური სტილი მომწონს, არასოდეს ჩავიცვამ რამე ექსტრავაგანტურს. მეტ-ნაკლებად მშვიდი და ზომიერი ტანსაცმელი მიყვარს, სიგრძე-სიგანითაც და ფერებითაც.

**— ვარცხნილობას სად იკეთებთ?**

— ბოლო ხანებში შინ. ძალიან ცოტა დრო მრჩება საკუთარი თავისთვის.

**— თქვენი გასპიკერების შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ოჯახში?**

— ძალიან ბევრი რამ. ხან ხელსაწმენდი თავდება, ხან ნათურა იწვება უდროოდ... მანამდე ასეთ საკითხებს მე ვაგვარებდი, ახლა მაღაზიაში შესვლასაც ვერ ვახერხებ, რომ შამპუნი მაინც მივიტანო შინ. ოჯახში პირველი 2-3 კვირის მანძილზე ისმოდა განცვიფრებული შეძახილები: — რა ყველაფერი ახლა ფუჭდება და რა ყველაფერი ახლა თავდებაო! რაზეც აღშფოთება გამოვთქვი, — ადრე თქვენ ვერ გრძნობდით, რომ ყველაფერ ამას მე ვაგვარებდი-მეთქი. ახლა ჩემი ძველი ფუნქციები უკვე ოჯახის სხვა წევრებზე გადანაწილდა.

**— საახალწლო სუფრაზე თქვენი ნახელავი რა გექნებათ?**

— ნამცხვარი. იმედია, მექნება იმის საშუალება, რომ „იდეალი" ან „კალათები" გამოვაცხო. მაცივარში საგანგებოდ ვინახავ გარგარს, რადგან ძალიან მიყვარს გარგარის ღვეზელი. შეიძლება სადილიც მოვამზადო. აი, საცივის გაკეთებას კი დედაჩემი არავის ანებებს.

**— ოჯახის წევრები ასაჩუქრებთ ერთმანეთს?**

— ბუნებრივია, თოვლის ბაბუას მოაქვს საჩუქრები, რომელთაც ნაძვის ხესთან აწყობს. შესაძლოა უფროსებმა ერთმანეთს კაშნე, კოსმეტიკური ნაკრები ან ჰალსტუხი ვაჩუქოთ.

**— რა სურვილს ჩაიფიქრებთ ღამის 12 საათზე?**

— ყველაზე მეტად ვისურვებდი სიმშვიდეს ქვეყანაშიც და ჩემს ოჯახშიც. ძალიან აფორიაქებულები ვართ და მინდა ეს განცდა ნაკლებად გვქონდეს.

მთელ მოსახლეობას ვუსურვებ ბედნიერებას, წარმატებებს, ეცხოვროთ ისეთ საქართველოში, როგორსაც იმსახურებენ. ქართველი კაცი არც ზარმაცია და არც უნიჭო... ჩვენს პოლიტიკოსებს ვუსურვებ, ხალხისთვის საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება მიეცეთ.

**იზო რუკაძე**

## საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოსა და ბიუროს საახალწლო მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

ანტიკორუფციული მოძრაობა სახელმწიფოში ადამიანის ღირსებათა და უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ფორმაა და არა ფორმალური ბრძოლის იარაღი. ანტიკორუფციული საბჭოსა და ბიუროს თანამშრომლებიც საზოგადოების ისეთივე ნაწილი ვართ, როგორც თითოეული თქვენგანი — ჩართული ყოველდღიური ცხოვრების პრობლემებში და მონაწილე ჩვენ გარშემო არსებულ კორუფციულ და უსამართლო პროცესებში. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვამოძრავებს — რწმენა.

ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია, თავადვე შევქმნათ ის სინამდვილე, რომელშიც ვიცხოვრებთ. ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სახელმწიფოში საზოგადოება ადამიანური ღირსების შესაფერი გავხადოთ.

ძნელია, ისაუბრო ღირსების შენარჩუნებაზე, როცა ქვეყანაში ძალზე ბევრია ადამიანი, რომელიც მიიჩნევს, რომ ჩვენში გონებისა და ზნეობის კანონებით არასოდეს იცხოვრებენ. და ეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ხელისუფალთა სენი არ არის.

ამიტომაც ჩვენი შვილები უცხოეთში გარბიან და შორიდან გვითვლიან, რომ მხოლოდ იქ იგრძნეს ადამიანური ღირსება, რადგან ჩვენ აქ მათ ვთავაზობთ საზოგადოებას, სადაც უიმედობა ბუნებრივ მდგომარეობად არის ქცეული.

ყველაფერი ეს ჩვენ გარშემო ხდება და ყოველივე ამაში თავად ვმონაწილეობთ. ამიტომაც არის, რომ ჩვენი საზოგადოება დღეს ჯერ კიდევ ნაკლებად ჰგავს თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებას.

მხოლოდ ღირსების მქონე ადამიანისთვის არის თავისუფლება ღირებული.

არც ერთ ჩვენგანს არ სურს, რომ სიცრუე, ძალადობა და ქურდობა ჩვენი ცხოვრების წესს წარმოადგენდეს და გულის სიღრმეში გვწამს, ყოველ შემთხვევაში, უნდა გვწამდეს, რომ ერთიანი ძალისხმევით ბევრი რამის შეცვლა შეგვიძლია.

დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს რომ რაღაც შეძლებია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ჩვენმა გლეხობამ სულ ორიოდე წელიწადში განდევნა უცხო საქონელი ქართული ბაზრიდან, რომ ახალგაზრდებმა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურეს უცხოეთში, თუნდაც ერთეულთა ძალისხმევით, თუნდაც სხვების დახმარებით, მაგრამ მათ ირწმუნეს და მიაღწიეს ელემენტარულს — ჰქონოდათ საშუალება, საკუთარი პროფესიით მატერიალური პრობლემების გადაჭრისა.

ქართულმა სახელმწიფომ უნდა იარსებოს — მიუხედავად საყოველთაო ნიჰილიზმისა და მიუხედავად ჩვენი ცხოვრების არსის თავსმოხვეული მუდმივი დილეტანტური შეფასებებისა. ახალი სახელმწიფოს შენება, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივ რევოლუციას ნიშნავს. ამის გარეშე უიმედობა ბუნებრივ მდგომარეობად დარჩება და ჩვენი შვილებიც ვერასდროს გაიზრდებიან თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ, ღირსების მქონე მოქალაქეებად.

ერთობლივი ძალებით, პრეზიდენტით დაწყებული და რიგითი მოქალაქით დამთავრებული, ყველამ ერთად კიდევ ერთხელ მივიღოთ გადაწყვეტილება — გავხადოთ ჩვენი საზოგადოება ადამიანური ღირსების შესაფერი.

*საქართველოს ანტიკორუფციული საბჭო და ბიურო გილოცავთ ახალ წელს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. გისურვებთ სიკეთეს, სიხარულს და ამასთან, გისურვებთ თითოეულ თქვენგანს გეპოვოთ საკუთარი თავი ზნეობრივად განახლებული, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გამართული ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში.*

*გვიგულეთ თითოეული თქვენგანის თანამდგომად საქართველოსთვის გაწეულ კეთილ საქმეში.*

# რას ვერჩით რუს „ცისფერჩაფხუტიანებს", როცა თავად ხელისუფლებამ არ იცის, რა უნდა!



ამ რუს „ცისფერჩაფხუტიან" ჯარისკაცს სახლი ენატრება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება მათ ვერ ელევა—

ორი თვის წინ საქართველოს პრეზიდენტი სახალხოდ (პირდაპირი გაგებით, რადგან მოულოდნელად საკუთარი ფეხით გამოვიდა მისი სამუშაო კაბინეტის ფანჯრებქვეშ თავმოყრილი მოსახლეობის წინ) აცხადებდა, — თუკი პარლამენტი გადაწყვეტს რუსი სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანას, ალბათ სწორიც იქნება და მერე დანარჩენი ჩვენ ვიცითო.

„დანარჩენის ცოდნა" კი მოქკავშირის ბოლო თავყრილობაზე გამოჩნდა — იმავე პრეზიდენტმა კარდინალურად შეიცვალა შეხედულება აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნა-არყოფნის შესახებ: რუსი „ცისფერჩაფხუტიანები" აფხაზეთიდან რომ გავიყვანოთ, რა ვუყოთ გალის რაიონის ტერიტორიაზე დაბრუნებულ იმ 40-50 ათას ქართველს, რომელიც მათი იმედით მეტ-ნაკლებად უშიშრად გრძნობს თავსო?!

ამის კომენტირებაც კი ძალზე ძნელია — ნუთუ ორი თვის წინ, როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე წინააღმდეგი არ იყო რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" გაყვანისა, გალის რაიონის სოფლები ცარიელი იყო? რა თქმა უნდა, ათასობით ქართველი ამ სოფლებში ამ ორი თვის განმავლობაში არ დაბრუნებულა, ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს — ოღონდ საპირისპირო მიმართულებითაც: როდესაც აფხაზი სეპარატისტებისაგან შეწუხებული აქაურები თავის საშველად ისევ ენგურის მარცხენა სანაპიროს მიაშურებენ ხოლმე, რაღაც არ გვახსოვს, რუსების „სამშვიდობო" დანაყოფებს ქართველი გლეხების დაცვა ეკისროთ.

რატომღაც არ გვინდა იმის დაჯერება, სახელმწიფო კანცელარიის ზემო სართულებზე ვერ ხვდებოდნენ, რომ რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ჯარები" სინამდვილეში მდ. ენგურზე საზღვრის დაფიქსირებას უწყობენ ხელს.

რომელი სამშვიდობო მისიის შესრულებაზეა ლაპარაკი, როცა რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" კონფლიქტის ზონაში ჩადგომის (1994 წლის ზაფხული) შემდეგ აქ 1.700-მდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა? ისიც ხომ არაერთხელ დაფიქსირებულა, როგორ ატარებდნენ სადამსჯელო „წმენდებს" რუსულ ჯავშანტრანსპორტიორებს ამოფარებული სეპარატისტები?

ეს — რაც ცხადად ხდება. ამას გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის სადაზვერვო და საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რასაც რუსი „ცისფერჩაფხუტიანების" სადაზვერვო სამსახური და დანაყოფები სამეგრელოს ზონასა და აფხაზეთის სვანეთში ატარებენ.

ისე, რას ვერჩით რუს სამხედროებს? ისინი ასრულებენ თავიანთი პოლიტბოსების ბრძანებებს, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება რუსეთის ფედერაციის სასიცოცხლო ინტერესების სამხრეთ კავკასიაში განმტკიცებას. მთავარი პრეტენზია, ეტყობა, ჩვენი ხელისუფლების მიმართ უნდა გვქონდეს, რომელმაც რუსეთის სამშვიდობო ძალების დაკანონება მდ. ენგურის გასწვრივ და კოდორის ხეობაში პირველ რიგში თავისი სავარძლების ანუ ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენა.

პირველად საქართველოს მოსახლეობას პირში ჩალა მაშინ გამოავლეს, როდესაც 6 წლის წინ უმტკიცებდნენ — რუსი „ცისფერჩაფხუტიანები" მხოლოდ „От р. Ингири" ჩადგებიან გალის ტერიტორიაზეო. სინამდვილეში მათი საკონტროლო-გამშვები პუნქტები ამ მდინარის მარცხნივ, სამეგრელოში, 24 კმ-ის სიღრმეში განთავსდა.

ასეა დღესაც — რუსეთ-საქართველოს დიდი ჩარჩო-ხელშეკრულების დადების წინ პრეზიდენტი შევარდნაძე ისევ არ გაირთულებს საქმეს მოსკოვთან, ხოლო ორი თვის წინანდელი მისი სახალხო გამონათქვამი (არადა, მაშინ, პრეზიდენტის მიმართ ბევრს გარკვეული სიმპათიებიც გაუჩნდა, — ბოლოს და ბოლოს, შევარდნაძემ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვაო), ეტყობა, ერთგვარი პოლიტიკური ზონდაჟი იყო პუტინთან შეხვედრის წინ.

და კიდევ ერთი „მარგალიტის" შესახებ, რომელიც 22 დეკემბერს მოქკავშირის ყრილობაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ „გააცოცხლა" — რომელ ქართულ არმიაზეა ლაპარაკი, მე ხომ ყველაზე კარგად ვიცი, იგი რა დღეშიც არისო!

ეს ასეც უნდა იყოს — უმაღლესმა მთავარსარდალმა უნდა იცოდეს თავისი სამხედრო ძალების რეალური შესაძლებლობები ისევე, როგორც ის ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებები, რამაც ქართული არმია აქამდე მიიყვანა.

მაგრამ ვინ არის ამაში უპირველესად დამნაშავე? რა თქმა უნდა, ისევ ის უმაღლესი ხელისუფლება, რომლის არათანამიმდევრულმა ეკონომიკურმა და საკადრო პოლიტიკამ ქართული სამხედრო ძალები ნაკლებად ბრძოლისუნარიანი გახადა, ხოლო საბრძოლო მარაგის რეზერვები კი ამოწურა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ხელისუფლების მთავარ საზრუნავად კვლავ სავარძლების შენარჩუნება და შინაპოლიტიკური ინტრიგები რჩება მაშინ, როდესაც მთლიანად ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები მეათეხარისხოვანი ხდება.

# საქართველოს ნახევრად მშიერი მოქალაქეები, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად ყოველგვარ ხიფათზე მიდიან

## ფრთხილად! რადიოაქტიური ნივთიერებაა!



ცოტა ძნელია ახალი წლის წინ ამ საზარელი ამბის მოყოლა, მაგრამ აუცილებელია, რათა სხვებმა იფრთხილონ...

3 დეკემბერი. წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას სამი მკვიდრი მამაკაცი სოფლიდან 20 კმ-ის დაშორებით ტყეში მიემართება. ისინი მალე აღწევენ ნაბორზალის სახელით ცნობილ ადგილს, სადაც გადამალული აქვთ ორი უცნაური მეტალის ცილინდრი, რომლებიც გარშემო სითბოს აფრქვევენ. ცილინდრებს ადვილად პოულობენ, მაგრამ რაღაც ეჭვი მაინც არ ასვენებთ, გულის გასამაგრებლად სვამენ თან წამოღებულ არაყს, ცილინდრებს იღებენ და სოფელში ბრუნდებიან. იმედი აქვთ, მათში საკმაო თანხას გამორჩებიან და ახალ წელს ოჯახებში კაცურად აღნიშნავენ. მაგრამ რამდენიმე კმ-ის გავლის შემდეგ პირღებინება ეწყებათ, რასაც თავდაპირველად მდარე არაყს აბრალებენ, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ხვდებიან, რომ მათი ცუდად გახდომის მთავარი მიზეზი შეიძლება ის ამოუცნობი მეტალის ცილინდრებიც კი იყოს. ტვირთს იქვე, გზის პირას, კლდის უკან მალავენ. სოფელში დაბრუნებულებს მალე ზურგზე პატარა წყლულები უჩნდებათ და კანი უწითლდებათ. ახლობლები თავდაპირველად ყველაფერს ალერგიას აბრალებენ, მაგრამ სამივეს მდგომარეობა ნელ-ნელა რთულდება. ისინი ზუგდიდის საავადმყოფოში გადაჰყავთ. ვიღაც ეჭვს გამოთქვამს და უცნაური სენით შეპყრობილებს თბილისში, სისხლის გადასხმის ინსტიტუტში გზავნიან გამოსაკვლევად...

დიაგნოზი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს — მწვავე რადიაციული დასხივება.

ფაქტობრივად, 2001 წლის 3 დეკემბერს საქართველოში, სამეგრელოს ერთ-ერთ პატარა სოფელთან გათამაშდა თითქმის იგივე ტრაგედია, რაც 1996 წლის 26 აპრილს უკრაინაში, ჩერნობილში მოხდა. სამმა ქართველმა მიიღო იმ ტიპის რადიაციული დასხივება, რაც თავის დროზე ჩერნობილელმა მეხანძრეებმა...

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის საგანგებო რადიაციული სიტუაციების შეფასებისა და ლიკვიდაციის სამსახურის უფროსი **ლერი მესხი** აზუსტებს: — მათ უშუალო შეხება ჰქონდათ იმ რადიოაქტიური გამოსხივების წყაროსთან, რომელიც საათში არანაკლებ 24 ათას რენტგენს ასხივებს! ეს მაშინ, როდესაც რადიაციის ბუნებრივი ფონი საქართველოში სთ-ში 8-12 მიკრორენტგენს არ აღემატება.

მაინც საიდან მოხვდა სიცოცხლისათვის ასე სახიფათო რადიოაქტიური გამოსხივების წყაროები საქართველოში?

**ჩვენი დოსიე:** **საქმე გვაქვს ძალზე სახიფათო, თბურ რადიოიზოტოპურ წყაროსთან — РИТ-90, რომელიც სტრონციუმ-90-ს შეიცავს. სტრონციუმი მეტალოკერამიკასთან ერთად არის ჩამოსხმული და მიცემული აქვს ცილინდრის ფორმა ზომებით — დიამეტრი 9 სმ, ხოლო სიგრძე 11 სმ. მუდმივი გამოსხივებისა და ტემპერატურის გამოყოფის გამო გარედან შავი ფერისაა. იგი გამოიყენება, როგორც მუდმივი ელექტროენერგიის წყარო და საათში დაახლოებით 15 კვტ-ს გამოიმუშავებს. ენერგიის მიღების მექანიზმი ამგვარია: სტრონციუმის ბეტა-გამოსხივება გარდაიქმნება გამა-რენტგენულ გამოსხივებად სითბოს გამოყოფით, ხოლო თავის მხრივ, სითბო გარდაიქმნება ელექტროენერგიად.**

ეს პირველი შემთხვევა როდია რადიოაქტიური გამოსხივების სახიფათო წყაროს გამომჟღავნებისა. 1998-99 წლებში ხაიშიდან გამოტანილ იქნა ანალოგიური სახის ოთხი РИТ-90, რომლებსაც ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები გასათბობად საწოლის ქვეშ დებდა. ოთხივე რადიოიზოტოპური წყარო თბილისში იქნა ჩამოტანილი, მოთავსდა სპეციალურ დამცავ კონტეინერში და შენახულია გარკვეულ ადგილას.



**ასე გამოიყურება РИТ-90. ეს მისი ნახატია. ფოტოსურათის გადასაღებად მასთან მიახლოება ძალზე სახიფათოა და თანაც რადიაცია ფოტოფირს გააფუჭებს.**

ამ ოთხი ცილინდრის გაუვნებელყოფის შემდეგ ატომური უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციის „მაგატეს" დახმარებით საქართველოში ჩამოიყვანეს ის რუსი სპეციალისტები, რომლებმაც შეიმუშავეს და ჩვენკენ გამოგზავნეს ეს რადიოაქტიური დანადგარები. რადიოიზოტოპური ტექნიკის ინსტიტუტმა ВНИИРТ-მ 1984 წელს საქართველოში გამოგზავნა 8 ცალი თბური რადიოიზოტოპური წყარო РИТ-90, რომლებიც დამონტაჟდა ენგურის კაშხალსა და მშენებარე ხუდონჰესის შორის მონაკვეთზე. ისინი რადიოკავშირის სარეტრანსლაციო გადამცემებს ელექტროდენით უზრუნველყოფდნენ — თითოეულ რადიოგადამცემზე РИТ-90 ეყენა.

სულ ოთხი ასეთი გადამცემი დამონტაჟდა.

გავიდა დრო. ხუდონჰესი არ აშენდა. საბჭოთა კავშირი დაინგრა. გახარებულმა ქართველმა მწვანეებმა, რა თქმა უნდა, უპატრონოდ დარჩენილი საშიში რადიოაქტიური გამოსხივების წყაროებისთვის ველარ მოიცალეს...

სამაგიეროდ, გამოჩნდნენ ნახევრად მშიერი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ოჯახში ლუკმაპურის მისატანად ყოველგვარ ხიფათზე წავიდოდნენ, მით უმეტეს, რომ ზუსტად არ იცოდნენ, რა ელოდათ.

დაახლოებით ასე მოხდა 3 დეკემბერსაც. როგორც დასხივებულების ახლობლები ამბობენ, თითქოს ვიღაც ბათუმელი საქმოსანი მწვანე დოლარებს შეჰპირდა მათ ამ რადიოაქტიური შავი ცილინდრების სანაცვლოდ.

თავად სოფელში პანიკაც იყო ატეხილი, რისი სრული საფუძველიც არსებობდა — ის ორივე ცილინდრი სოფელში რომ დაემალათ, ასობით ადამიანი დასხივდებოდა. სოფელში შესამოწმებლად ჩასულმა ექსპერტებმა საბედნიეროდ, რადიაციის თანამედროვე გამზომი ხელსაწყოებითაც კი ვერ აღმოაჩინეს ვერავითარი რადიოაქტიური გამოსხივების წყარო.

სამაგიეროდ, ცილინდრების დამალვის ადგილიდან კილომეტრ-ნახევარში რადიაციული ფონი უკვე 100 მიკრორენტგენ/სთ-ს აღწევდა (არ დაგავიწყდეთ, რომ ბუნებრივი რადიაციული ფონი საქართველოში დაახლოებით ათჯერ ნაკლებია). ჯერჯერობით, სპეციალისტებმა ვერ მოახერხეს ორივე ცილინდრის დამცავ კონტეინერებში მოთავსება, რადგან უამინდობისა და უგზოობის პირობებში ვერ მიაღწიეს დანიშნულების ადგილამდე. არავის ეგონოს, რომ ამ ცილინდრების ამოღება ადვილი საქმეა — ამ მძლავრი რადიოაქტიური გამოსხივების წყაროსთან გატარებული თითოეული ზედმეტი წამი ნიშნავს სიცოცხლის შემოკლებას. მათ მხოლოდ დამცველი ტანსაცმლით (სავარაუდოდ, რენტგენოლოგების ტყვიის შემცველი ხალათით) უნდა მიუახლოვდეს სპეციალისტი, რომელიც გრძელი მაშით (არანაკლებ 2 მ სიგრძისა) აიღებს ცილინდრს და სპეციალურ კონტეინერში მოათავსებს. ეს ოპერაცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს, თორემ შეიძლება დიდთოვლობამ კარგა ხნით შეაფერხოს.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დროს ბუნებას უმოწყალოდ აჩანაგებდნენ, РИТ-90-ისაგან ადამიანების დაცვაზე ასე თუ ისე, ფიქრობდნენ. ოთხივე რადიოგადამცემის რვავე რადიოაქტიური ენერგიის წყარო სპეციალურ დამცავ კონტეინერებში იყო მოთავსებული. თუმცა ბოლო შემთხვევაში დამცავი კონტეინერები, რომლებიც ტყვიას შეიცავდნენ, შემოაძარცვეს რადიოაქტიურ წყაროებს, სოფელში ჩამოიტანეს და მისგან თურმე საფანტს ასხამდნენ(?!).

როგორც აღვნიშნეთ, ოთხი ცილინდრი საიმედოდაა იზოლირებული, ორის ადგილსამყოფელი უკვე ცნობილია, მაგრამ დაკარგულად ითვლება კიდევ ორი ამგვარი ძალზე საშიში მოწყობილობა. არ არის გამორიცხული, ისინი ვიღაცამ გამორჩენის მიზნით ბარშიც ჩამოიტანა და სადმე სარდაფში აქვს შენახული სარფიანი კლიენტის მოლოდინში.

სწორედ ასეთ ადგილას იქნა აღმოჩენილი ცეზიუმ-137-ის რადიოაქტიური იზოტოპის შემცველი მეტალი ფოთის შესასვლელთან, მრავალსართულიანი სახლების ეზოში.

ეს აღმოჩენა იმ ფრანგი სპეციალისტების დამსახურებაა, რომლებიც „მაგატემ" დაიქირავა საქართველოში რადიაციული მონიტორინგის ჩასატარებლად. 2000 წლის მაის-ივნისში მათ 82 საფრენი სთ შეასრულეს ფრანგული (ოღონდ საქართველოს ერთ-ერთი ფირმის კუთვნილი) შვეულმფრენით ზუგდიდი-ქუთაისის შემაერთებელი ზოლის გაყოლებით და თავად ამ ქალაქებისა და ფოთის შემოგარენში. ფრენა დაბალ, 50-100 მ სიმაღლეზე სრულდებოდა. ასე იპოვეს ცეზიუმ-137-ის წყარო ფოთის შესასვლელში.

რადიაციული საჰაერო მონიტორინგი ჯვარი-ხაიშის მიდამოებში ვერ განხორციელდა რთული რელიეფის, ელექტროენერგიის გადამცემი მაღალი ანძების და, რაც მთავარია, ჩამოგდების საშიშროების გამო.

სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ანალოგიური რადიოაქტიური ენერგიის წყაროები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც იყოს მიმობნეული, რადგან მათ მიერ „ნაკვებები" რადიოგადამცემები სამხედრო მიზნებსაც ემსახურებოდა (სამხედრო თვითმფრინავების ფრენებს უზრუნველყოფდა), ხოლო ანალოგიური სამხედრო დანადგარები შეიძლება თუშეთსაც და ჯავახეთშიც იყოს განთავსებული.



რადიოაქტიურ ნივთიერებებთან მუშაობა დიდ საშიშროებასთან არის დაკავშირებული და სპეციალურ დამცველ აღჭურვილობას საჭიროებს

ყოველ შემთხვევაში, ასეთი რადიოაქტიური საჩუქრები მოსკოვს არც თავად რუსეთისთვის დაუშურებია (რომლის ჩრდილოეთი საზღვრის ტუნდრები მოფენილია РИТ-ებით), არც მოკავშირე რესპუბლიკებისა და არც საზღვარგარეთისთვის.

ყაზახეთში ორი მწყემსიც ასე ცდილობდა გამთბარიყო ნაპოვნ ცილინდრზე, მაგრამ რადიაციამ ადგილზევე იმსხვერპლა. გერმანელმა სპეციალისტებმა კი, იმ 7 წლის განმავლობაში, რაც თავისი ტერიტორია დაატოვებინა რუსებს, მათ ყოფილი სამხედრო ნაწილებში რადიოაქტიური გამოსხივების 2200 წყარო აღმოაჩინეს.

ასე რომ, საქართველოს მდგომარეობა ამ მხრივ შეიძლება მთლად კატასტროფულიც არ იყოს, მაგრამ საჭიროა, დაუყოვნებლივ განხორციელდეს ქვეყნის მთელი ტერიტორიის რადიაციული მონიტორინგი სიცოცხლისათვის სახიფათო გამოსხივების წყაროების აღმოსაჩენად და გასაუვნებელსაყოფად.

ჩვენს მკითხველს კი ვურჩევთ: ხელს ნუ ახლებთ მეტალის ისეთ ნაწილებს, რომლებიც სიმხურვალეს გამოყოფს.

# ინდოეთი და პაკისტანი სერიოზული ომისთვის ემზადებიან

მეტ-ნაკლებად დასრულდა მასშტაბური საბრძოლო ოპერაციები ავღანეთში, მაგრამ მსოფლიომ ჯერ კიდევ ვერ ამოისუნთქა მშვიდად — პაკისტანისა და ინდოეთის მუდმივი დაპირისპირება შეიძლება ბირთვულ ომში გადაიზარდოს.

სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, რაც ინდოეთის პარლამენტს ორი კვირის წინ თავს დაესხნენ შეიარაღებული ისლამისტი ტერორისტები, რომლებიც თავს ქაშმირის პროვინციას აფარებენ. სწორედ ქაშმირი იქცა იმ განხეთქილების ვაშლად, რაც დელისა და ისლამაბადს მოსვენებას, ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ აძლევს.




1947 წელს დიდმა ბრიტანეთმა დათმო თავისი კოლონია, რის შემდეგაც წარმოიშვა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ინდოეთი და პაკისტანი. ქაშმირის შტატი ინდოეთის შემადგენლობაში დარჩა, რასაც ვერ შეეგუენ ისლამისტი პაკისტანელები, რომლებიც წლების განმავლობაში შეიარაღებულ თავდასხმებს აწყობენ ინდოელ სამხედროებზე.

ამ სასაზღვრო კონფლიქტებმა დღემდე სამჯერ გამოიწვია მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო დაპირისპირება ინდოეთსა და პაკისტანს შორის, რომელთაგან ყველაზე შთამბეჭდავი 1971 წელს მოხდა, როდესაც ბრძოლებში ავიაციასა და სახმელეთო ჯარებთან ერთად წყალქვეშა ნავები და სარაკეტო კატარღებიც ჩაერთვნენ.

მაგრამ მაშინ არც დელი და არც ისლამაბადი ატომური იარაღის საიდუმლოს არ იყვნენ დაუფლებულნი. დღეს კი სიტუაცია სულ სხვაგვარია — ორი წლის წინ ორივე მეზობელმა ქვეყანამ დემონსტრაციულად ჩაატარა საცდელი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება. გარდა ამისა, ინდოელებსა და პაკისტანელებს აქვთ ამ ბირთვული ქობინებისა და ბომბების გადამტანი ბალისტიკური რაკეტები და ბომბდამშენი ავიაცია.

საზღვრისპირა რაიონში ინდოეთის შეიარაღებულმა ძალებმა უკვე გადაისროლეს მობილური ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტები „Prithvi" (ქართულად „მიწას" ნიშნავს). დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები არ აზუსტებენ ამ რაკეტების რაოდენობას, თუმცა „კვირის პალიტრის" ინფორმაციით, ინდოელებს ა.წ. ზაფხულისთვის შეიარაღებაში მხოლოდ რვა ასეთი მობილური დანადგარი ჰქონდათ. „Prithvi"-ის მოქმედების სიშორე 150 კმ-ს არ აღემატება. ინდოელმა სპეციალისტებმა საგანგებოდ ამ რაკეტისთვის ნეიტრონული ქობინი შექმნეს.

ინდოელებს არც პაკისტანელები ჩამორჩნენ. მათ ასევე საზღვართან განალაგეს საშუალო რადიუსის მქონე ბალისტიკური რაკეტები „Shahin-2" (მას დაახლოებით ორტონიანი ქობინის 600 კმ-ზე გადატანა შეუძლია) და ტაქტიკური M-2 ტიპის რაკეტები (ჩინური წარმოების ეს რაკეტა 100 კმ-ზე მოქმედებს).

ერთი შეხედვით პაკისტანელების შესაძლებლობები უფრო შთამბეჭდავია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდოეთს წლის დასაწყისში ასევე შეიარაღებაში ჰქონდა 10 ცალი „აგნი-1" (ქართულად „ცეცხლს" ნიშნავს) და ორი „აგნი-2"-ის ტიპის საშუალო სიშორის მოქმედების (1000 კმ-მდე) ბირთვული ბალისტიკური რაკეტა, რომლებიც ინდოეთის შუაგულიდანაც მისწვდებიან პაკისტანელთა სტრატეგიულ ობიექტებს. თითოეულ „აგნის" 45 კტ ტროტილის ეკვივალენტი სიმძლავრის ბირთვული ქობინი გადააქვს.

სიმართლე რომ ითქვას, 1,5 მლნ-იანი ინდოეთის არმია უფრო თანამედროვე იარაღითაა აღჭურვილი, ვიდრე პაკისტანისა და თითქოსდა მეტი შანსი აქვს ბრძოლაში გამარჯვების, მაგრამ როდესაც საქმეში ბირთვული იარაღი ერევა, მაშინ ზემოხსენებული უპირატესობა ბათილდება.

ისე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ბირთვული ომი დაიწყოს, რადგან რადიოაქტიური წვიმა და ჰაერი სამხრეთ კავკასიამდეც დაუბრკოლებლად მოაღწევს.

# ნაძვის ხეს ავღანეთში ამერიკელებამდე ქართველები დგამდნენ

დეკემბრის ბოლოს მსოფლიოს ყველა წამყვანმა ტელეკომპანიამ გააგრძელა ვიდეოკადრების ჩვენება იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ახალი წლის შესახვედრად ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლები ავღანეთში. ისინი ბაგრამისა და ყანდაარის აეროდრომებზე ნარისგან ნაძვის ხეს აკეთებენ და ზედ საჩუქრებს კიდებენ.



Су-25-ების ესკადრილია ავღანეთში, ბაგრამის აეროდრომზე

თუმცა ამერიკელები პირველები ამ საქმეში ნამდვილად არ არიან, რადგან ორი ათეული წლის წინ ახალ წელს შორეულ ავღანეთში ქართველები ტრადიციულად ხვდებოდნენ.

გვესაუბრება შპს „თბილავიამშენის" მთავარი ინჟინერი **გოჩა გოგუაძე**:

— 80-იანი წლების დასაწყისში ავღანეთში ომის ესკალაცია დაიწყო და საბჭოთა გენერლები იარაღის ახალ-ახალ პარტიებს გზავნიდნენ იქ. მოჯაჰედებზე შეტევისთვის Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებიც იყო მომზადებული, რომელთა სერიული ათვისება თბილისის საავიაციო ქარხანას ახალი დაწყებული ჰქონდა. ამიტომაც ამ მრისხანე საბრძოლო მანქანებს სამხედრო ნაწილებში ჯერ კიდევ ცუდად იცნობდნენ და მათ დასახმარებლად ჩვენი ქარხნის სპეციალისტებს გზავნიდნენ. ასე მოვხვდი ავღანეთში, ბაგრამის სამხედრო აეროდრომზე, სადაც მოიერიშე თვითმფრინავების შეიარაღების მთავარი სპეციალისტის ფუნქციას ვასრულებდი. Су-25-ები ინტენსიურად დაფრინავდნენ საბრძოლო დავალებების შესასრულებლად. ხანდახან დღეში 4-5 გაფრენასაც კი ასწრებდნენ, რაც 50 გრადუსიან სიცხეში ბევრ პრობლემას უქმნიდა არა მარტო პილოტებს, არამედ ჩვენც, აეროდრომზე მომუშავეთაც.

თუკი ზაფხულში სიცხისაგან ვითანგებოდით, ზამთარში ყინვა გვაწუხებდა, ტყუილად როდი ეძახიან ავღანეთის რელიეფს „მთვარის ლანდშაფტს".

ამას ემატებოდა მოჯაჰედების მიერ „საჩუქრად" გამოგზავნილი რაკეტებიც. ამ გაუსაძლის პირობებში ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე ახალი წელი იყო. ქართველი სპეციალისტები ცალკე ვაგონებში ვცხოვრობდით და მეტ-ნაკლები თავისუფლება გვქონდა. ახალი წლის ღამეს ერთად ვიკრიბებოდით, მშვენიერ სუფრასაც ვშლიდით. სატრანსპორტო თვითმფრინავს, რომლითაც თბილისიდან ბაგრამში მივფრინავდით, საბედნიეროდ, ბევრი კუნჭული ჰქონდა ღვინის ტიკჭორებისა და ჭაჭის არყის დასამალავად. ეს მარაგი ახალ წლამდე გვყოფნიდა. სუფრასთან აუცილებლად ვიწვევდით აეროდრომზე, სხვადასხვა ნაწილში მომსახურე ქართველ ჯარისკაცებს და ასე ერთად ვადღეგრძელებდით დედასამშობლოს. რუსი სამხედროები, მათ შორის მაღალჩინოსნებიც, ბოლოს ჩვენთან შემოლაგდებოდნენ ხოლმე, არა მარტო კახური ღვინის ეშხით, არამედ იმ ატმოსფეროს გამო, რაც ჩვენთან სუფევდა.

ერთ-ერთი ახალი წლის აღნიშვნისას კურიოზი მოხდა. მოსკოვიდან მოვიდა საგანგებო ბრძანება — ახალი წლის დადგომა სროლით არ აღნიშნოთო. იმ დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკება ავღანელ მოჯაჰედებთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. „ოსობისტებმა" ყველას ხელწერილი დააწერინეს და მკაცრად გააფრთხილეს სროლის აკრძალვის შესახებ. და აი, 12 სთ-ის შესრულებამდე ვიღაცას გულმა ვერ მოუთმინა და მაინც მისცა ავტომატის ჯერი ჰაერში. ორიოდ წუთში გაკოჭილი კანონის დამრღვევი ჩვენი ვაგონების გვერდით გაათრიეს „ოსობისტებმა", მათი უფროსი კი გარეთ გამოფენილ ქართველებთან შეჩერდა და წაიტრაბახა — ხომ ხედავთ, დაუმორჩილებლობას რა მოსდევს. მე ქართველებს იმიტომ გცემთ პატივს, რომ ასეთ რამეს არ ჩაიდენთო. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ორივე ყურის ძირში ათი „კალაშნიკოვის" თითო-თითო მჭიდი დავუცალეთ — თბილისის დროით ახალმა წელმაც ჩამოჰკრა.

გაოგნებული „ოსობისტი" იქვე ჩაიკეცა. მისმა ნაქებმა ქართველებმა კინაღამ დააყრუეს... თუმცა რუს ოფიცერს უფრო იმის შიში ჰქონდა, აეროდრომთან მოდარაჯე მოჯაჰედები საპასუხოდ თავს არ დაგვესხმოდნენ. თუმცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა — მოჯაჰედები მიხვდნენ, რომ საახალწლო სალუტი მათთვის არ იყო განკუთვნილი. საბედნიეროდ, არც ქართველი სპეციალისტები დაუსჯიათ — მათ გარეშე Су-25-ები ველარ განახორციელებდნენ იმ საბრძოლო გაფრენებს.

# „თბილისს" ახალ წელს ვულოცავთ!



„კვირის პალიტრის" რედაქციის წარმომადგენლები „თბილისის" ეკიპაჟთან ერთად

ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ „კვირის პალიტრამ" გაზაფხულზე მეურვეობა აიღო საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ფლაგმანზე, სარაკეტო კატარღა „თბილისზე".

ამ ხნის განმავლობაში „თბილისის" 33-კაციან ეკიპაჟს ყოველ კვირას ვაწვდიდით ჩვენს გაზეთსა და ჟურნალებს, ამ ნომერთან ერთად კი საახალწლო საჩუქარსაც მიიღებენ. თუმცა მთავარი ალბათ ის ყურადღებაა, რასაც ქართველი სამხედრო მეზღვაურების მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც იჩენდა.

„კვირის პალიტრა" გულმხურვალედ ულოცავს ახალ, 2002 წელს „თბილისის" ეკიპაჟს ისევე, როგორც საქართველოს მთელ სამხედრო ძალებს და იმედი აქვს, რომ მათი ბრძოლისუნარიანობა, მიუხედავად ყველა პრობლემისა, მომავალში სათანადო დონეზე იქნება!

# NATO-ს თავდაპირველად «საჰაერო სივრცით» დავუკავშირდებით

გასულ კვირას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბიდან დაბრუნებულმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, — ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ NATO-ს ერთიანი საჰაერო თავდაცვის საინფორმაციო სისტემაში ჩავერთოთო.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ნურავინ იფიქრებს, რომ გერმანელები თუ იტალიელები საქართველოში საზენიტო რაკეტებს ჩამოიტანენ და ჩვენი საჰაერო სივრცის დამრღვევებს პანტაპუნტით ჩამოყრიან ძირს.

ლაპარაკია საჰაერო სივრცეში არსებული წინასწარი სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის შესახებ და ისიც აუცილებლად დროის რეალურ მასშტაბში, ანუ ქართული ლოკატორების მიერ დაფიქსირებული ყველა საჰაერო ობიექტის სახელმწიფოებრივი კუთვნილება, ფრენის ტექნიკური მაჩვენებლები (სიჩქარე, სიმაღლე) და მარშრუტი დაუყოვნებლივ, ავტომატურად მიეწოდება NATO-ს ერთიანი საჰაერო თავდაცვის საინფორმაციო სისტემას, საიდანაც მისი მიღება შეუძლიათ ინგლისელ, ამერიკელ თუ თურქ მეზენიტეებს.

ინგლისელებისა და ამერიკელებისთვის შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს (თუმცა კი NATO-სთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონი და მით უმეტეს, რუსეთის სამხრეთ საზღვრები ნაკლებღირებული არასოდეს ყოფილა და არც იქნება), მაგრამ თურქებისთვის ძალიან საინტერესოა, რომელმა საბრძოლო თვითმფრინავმა გადმოლახა კავკასიის ქედი ჩრდილოეთიდან. ოფიციალური ანკარის ასეთი დაინტერესება ადვილი მისახვედრია — 150-ოდე კმ-ის გადმოლახვა (დაახლოებით ასეთი მანძილია საქართველოს ჩრდილო და სამხრეთ საზღვრებს შორის) და თურქეთის საჰაერო სივრცეში შეჭრა თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავს 4-6 წუთში შეუძლია!



საინტერესო კი ეს არის: ამ ხუთიოდე წლის წინათ, ვარდიკო ნადიბაიძის მინისტრობის პერიოდში, საქართველოს საჰაერო თავდაცვა საპირისპირო ამოცანის გადასაწყვეტად ემზადებოდა — დროულად დაეფიქსირებინა სამხრეთიდან — თურქეთის მხრიდან მოახლოებული საჰაერო სამიზნეები და ინფორმაცია უმალვე გადაეცა მოსკოვში. ამისათვის ქართულ საჰაერო თავდაცვას დსთ-ის კოლექტიური საჰაერო თავდაცვის სისტემაში გაერთიანებას ჰპირდებოდნენ.

ის, რომ ჩვენი საჰაერო თავდაცვა ექსპერიმენტის ერთ-ერთ პირველ ობიექტად იქცა, შემთხვევითი არ არის — მიუხედავად დასავლეთის და რუსეთის „ურთიერთჩახუტებისა", ისინი მალულად მაინც აძლიერებენ თავიანთ თავდაცვას საჰაერო თავდასხმებისგან, რადგან ბოლო შეიარაღებული კონფლიქტებიც სპარსეთის ყურეში, ყოფილ იუგოსლავიასა თუ ავღანეთში თვალნათლივ მოწმობს, რომ ნებისმიერი ომი საჰაერო თავდასხმითი ოპერაციით იწყება. ისე, ჩვენი შეფასებით, საქართველო ორივე შემთხვევაში ერთგვარ ბუფერულ ზონად რჩება და პირველი დარტყმა, დიდი ომის დაწყების შემთხვევაში (რაც, სამწუხაროდ, სულაც არ არის გამორიცხული) სწორედ ჩვენზე განხორციელდება.

დავუბრუნდეთ ქართული საჰაერო თავდაცვის პრობლემებს. ახალ წლამდე, საბედნიეროდ, აღდგა ელექტროენერგიის მიწოდება ცენტრალურ საკომანდო პუნქტზე — მახათის მთაზე. თუმცა, მოძველებული რადიოელექტრონული ხელსაწყოები ხშირად გამოდის მწყობრიდან.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები უკრაინასთან, რათა მათ ხელი მოჰკიდონ ჩვენი საჰაერო თავდაცვის აპარატურის მოდერნიზებას. მოდერნიზაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ოპერატორების გარეშე მოხდეს საჰაერო სივრცეში არსებული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, ხოლო მძლავრი კომპიუტერული სისტემა ვიდეომონიტორის საშუალებით ელექტროპლანშეტზე გამოიტანს გამოსახულებას (დღემდე ჩვეულებრივ პლანშეტებზე ოპერატორები, ძირითადად ქალები, ხელით გადაადგილებდნენ საჰაერო სამიზნეების მაჩვენებლებს). განსაზღვრულია სამკოორდინატიანი ლოკატორების შემდგომი დამუშავებაც (დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ასეთი დანადგარი გვაქვს). ყოველივე ამის პარალელურად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ჩადგება რამდენიმე (არ დავაზუსტებთ) С-125 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი. ყოველივე ამაში კი, ბუნებრივია, უკრაინელი სპეციალისტები რამდენიმე მლნ დოლარს (ჯერჯერობით არც ამ თანხას გავშიფრავთ) ითხოვენ და იძლევიან არანაკლებ ათი წლის გარანტიას, რომ ქართული საჰაერო სისტემა მეტ-ნაკლებად ეფექტიანად და გამართულად იმუშავებს. ვნახოთ, შეძლებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება თანხის (რასაც საკუთარ დაცვაზე ხარჯავს) დამატებით მოძიებას, ჰაერიდან მთლიანად ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად.

**P.S.** ოთხიოდე წლის წინ, სტატიის ავტორმა დაათვალიერა ფოთის პორტთან, საზღვაო აკვატორიაში მდგარი აშშ-ის მე-6 ფლოტის ფლაგმანის, სამეთაურო გემ „ლა სალის" მართვისა და საინფორმაციო ანალიზის კაიუტა. მოზრდილ, სამგანზომილებიან ელექტრონულ პლანშეტზე გამოსახული იყო ყველა ის თვითმფრინავი, შვეულმფრენი თუ გემი, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში იმყოფებოდნენ. თუ დაახლოებით ასეთი, ყოველდღიური საინფორმაციო სურათი ექნებათ ჩვენს მეზენიტეებს ქართულ ცაში არსებულ ოპერატიულ მდგომარეობაზე, მაშინ საქართველოს სუვერენიტეტს ვერც ჩრდილოეთიდან და ვერც სხვა მხრიდან, დაუსჯელად ვერავინ დაარღვევს.

*რუბრიკა მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*

# მავთულხლართებს მიღმა აცრემლებული ღვთისმშობელი და მისი შემოქმედნი

**ოქროსა და ბრილიანტს კი ველოდით, მაგრამ თუ ამდენი იქნებოდა, ვერ წარმომედგინა**

ამ ტაძრის მშენებლობა ალბათ მომავალ ზაფხულს დასრულდება და მასთან მისასვლელი გზაც გაიწმინდება. ჯერჯერობით კი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მკაცრი რეჟიმის მეექვსე კოლონიას, რომლის ეზოშიც იგი შენდება, გარე სამყაროსთან მავთულხლართებით და ავტომატიანი გუშაგებით გამაგრებული სამმაგი ღობე აკავშირებს.

უამური ამინდი იდგა და მშენებლობაზე მხოლოდ ერთი კაცი დამხვდა. კაპიტელის ჩუქურთმას კვეთდა ქვაში და ამას ისე ოსტატურად აკეთებდა, მივხვდი, რიგით ხელოსანთან არ მქონდა საქმე. საუბარი ქართული ჩუქურთმით დავიწყეთ, მაგრამ ჩემი მასპინძელი მალე თავის მოგონებებზე გადაერთო და ისეთი ისტორიები მიამბო, ოჯახის წევრებს რომ არ გაანდობენ ხოლმე. მით უმეტეს, აქ, საპყრობილეში, სადაც თითქმის ყოველი მეორე „ცამდე მართალია".

## ამბავი ჩვეულებრივი ბიჭისა

— აკაკი ჯანჯიბუხაშვილი გახლავართ ველისციხიდან. დავიბადე და ვიზრდებოდი მშრომელი გლეხის ოჯახში. ჩემი ტოლებივით მეც უფროსებს ვედექი გვერდში და რითაც შემეძლო ვეხმარებოდი. საშუალო ისე დავამთავრე, სამი ოთხიანი გამომყვა მხოლოდ. იმდენად ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ჩემი სანუკვარი ოცნება — არქიტექტორობა — ვერაფრით ავისრულე. კოლმეურნეობაში ჩავრჩი რამდენიმე წელს, თუმცა საბოლოოდ მაინც ჩემი გავიტანე და რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, არქიტექტურულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. იმ დროისათვის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ისე კარგად მიცნობდნენ, რომ იმავდროულად კათედრაზე, რომელსაც აკადემიკოსი ირაკლი ციციშვილი ხელმძღვანელობდა, ლაბორანტად ამიყვანეს. მოგვიანებით კი, ბატონი ირაკლი ოჩიაურის ხელმძღვანელობით ვეუფლებოდი ქანდაკებასა და ლითონზე ჭრის ხელოვნებას და კარგ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...

იმხანად დავცოლშვილდი, ლაბორანტის ხელფასი მხოლოდ ბინის ქირას არ ჰყოფნიდა. ვიფიქრე, ერთი-ორ წელს მშენებლობაზე ნავიმუშავებ და არქიტექტურას შემდეგ მივუბრუნდები-მეთქი და მესამე სამშენებლო ტრესტს მივაკითხე. თავი არ შემირცხვენია — ნამუსიანად ვმუშაობდი, მაგრამ სამოცდაათი მანეთი, რომელიც ლაბორანტის ხელფასს ორჯერ კი აჭარბებდა, მაგრამ ოთხ სულს არ გვყოფნიდა. ჩემი წითელდიპლომიანი პედაგოგი მეუღლე ბავშვებს ვერ სცილდებოდა, ნაქირავებ ნესტიან სარდაფში ვცხოვრობდით, ამიტომაც ბავშვები ხშირად ავადმყოფობდნენ. ერთ ღამეს სასწრაფო გამოვიძახეთ. როცა ექიმი თავის საქმეს მორჩა, უკანასკნელი ხუთმანეთიანი გავუწოდე, მაგრამ იქვე მაგიდაზე დააგდო და მითხრა, — შენგან ფულს როგორ ავიღებ, ახალგაზრდავ. რა დღეში გყავს ცოლ-შვილი, რა გაგიჭირდა ამის ფასი, ამ სარდაფში რომ ხოცავ ბავშვებსო... მთელი ღამე ქუჩაში ვიხეტიალე იმის ფიქრში, რა გავაკეთო, რით ვუშველო ოჯახს-მეთქი და ვერაფერი მოვიფიქრე. მშენებლობიდან რაიმეს მოპარვას არ ვკადრულობდი. არადა, ყველა იპარავდა. ბევრი ვიფიქრე და სახელმწიფოს გაქურდვას კერძო პირის გაქურდვა ვამჯობინე.

ერთ დღეს, როცა ერთ თანამშრომელს ვუსაყვედურე, ცოლშვილი მშიერი მყავს და მე არ ვკადრულობ ქურდობას, შენ რა მოგივიდა-მეთქი, მეორემ ეს რომ გაიგონა, შემპარავად მითხრა — თუ დამიჯერებ, ფულს გაშოვნინებო. სწორედ მან გაალვიძა ჩემში ჩაბუდებული ეშმაკი.

## პირველი ნაბიჯები

ჩემმა ნაცნობმა შემომთავაზა, ერთი კაცი ვიცი, დიდ ფულს შოულობს. სახელმწიფოს ჰპარავს და იმ ნაქურდლიდან ცოტა რომ მოგვცეს, ყაჩაღობაში კი არა, არსენობაში ჩაგვეთვ-



ლება. თანაც ისეთი კაცია, კაცურად რომ სთხოვო, ისედაც მოგვცემს, მაგრამ მე მიცნობს, შენ უნდა მიხვიდე და დაელაპარაკოო. როგორლაც იარალი ვიშოვეთ და იმ კაცთან რომ შევედი, პიჯაკი საგანგებოდ შევიხსენი — მინდოდა იარალი დაენახა. ვერ გეტყვით, შენიშნა თუ არა, მაგრამ შიში არ დასტყობია. როცა ვუთხარი, ძალიან მიჭირს და ათი ათასი მანეთით უნდა დამეხმარო-მეთქი, ვაჭრობა არ დაუწყია. ვაჟკაცი კაცი ჩანდა, გაეღიმა და — ბიჭო, კაკო, ასეთი რა გაგიჭირდა, ამ გზას რომ დაადექიო, — მითხრა და სეიფიდან გამოღებული ფული გამომიწოდა. მიწა გამსკდომოდა, ის მერჩია. სირცხვილითა და შიშით გაოგნებულმა ისიც ვერ ვკითხე, საიდან მიცნობ-მეთქი. პიჯაკი სასწრაფოდ შევიბნიე და ისლა ვუთხარი — არ გეგონოს ამ ფულს გძალავდეთ, ალბათ ოდესმე ამოვალ გაჭირვებიდან და აუცილებლად დაგი-



იმ „წუნიდან" ისე გამოესახა ღვთისმშობელს ცრემლი, ნამდვილი გეგონებოდა...

ბრუნებთ-მეთქი.

— არა, — მითხრა, — ამ ფულს გჩუქნი, ოღონდ სხვას ნუ შეაწუხებ და თუ ძალიან გაგიჭირდეს, აგერ ჩემი ტელეფონი და ისევ მე დამირეკეო.

სინდისმა კი შემაწუხა, მაგრამ რადგან ასე იოლად გამომივიდა პირველი საქმე, მეორედაც გავრისკე და ბლომად ფული ვიშოვე. კარგა ხანი იყო გასული პირველი ამბიდან. ავდექი და იმ კაცს დავურეკე. მახსოვს, ნოდარი ერქვა (მოგვიანებით, მისი ოფისიც დაანგრიეს და ტელეფონის ნომერიც დამავიწყდა). ვუთხარი, ახლა იმდენი ფული მაქვს, შენი ვალი უნდა დაგიბრუნო-მეთქი. ჩათვალე, რომ დამიბრუნე და მე ისევ გაჩუქეო, — მიპასუხა. მივხვდი, ჩემი თავიდან მოშორება სურდა, მაგრამ უკვე მაშინ იმდენად გაზულუქებული ვიყავი, მაინცდამაინც არ მიწანია. ამასობაში ერთი სართიჭალელი ბენზინით მოვაჭრე, ვინმე გენგაშვილი ამოვიღე მიზანში. მითხრეს, დიდ ფულს შოულობსო. ავდექი და

> როგორლაც იარაღი ვიშოვეთ და იმ კაცთან რომ შევედი, პიჯაკი საგანგებოდ შევიხსენი — მინდოდა იარაღი დაენახა. ვერ გეტყვით, შენიშნა თუ არა, მაგრამ შიში არ დასტყობია...

მივადექი. მაგრამ... ჩვენი „კლიენტი" დაშინებული ყოფილა — ჩვენს „ვიზიტამდე" რამდენიმე დღით ადრე ვილაცას მუქარის წერილი გაუგზავნია, ან ფულს გადაიხდი ან აგაფეთქებო და მასაც თადარიგი დაუჭერია — გზის შორიახლო მილიცია ჩაუსაფრებია. ბუნებრივია, ყველანი დაგვიჭირეს. იარალები აგვართვეს და გაგვასამართლეს ყაჩაღობის მცდელობისათვის. ამასთან, ორი ისეთი საქმე ამკიდეს, ყურმოკვრითაც რომ არ მსმენოდა. დამაბრალეს, თითქოს მე დამეყაჩაღებინოს ცოლ-ქმარი მარიამ და გიორგი ბიბილეიშვილები. კაცმა კი ვაჟკაცურად აღიარა ჩემს სასამართლოზე, წინასწარ მაჩვენეს შენი სურათი და იმიტომ დაგადე ხელიო, მაგრამ ცოლმა გადაიკლა თავი — გინდა თუ არა, შენ იყავიო და ამით დამძიმებული ჩემი ყაჩაღობის მცდელობის საქმე ანუ პირველი ნასამართლობა თერთმეტწლიანი განაჩენით დაგვირგვინდა... ათი წელი ვიჯექი. ერთი წელი კი გორბაჩოვის ამნისტიამ მაპატია და ოთხმოცდაშვიდ წელში გავთავისუფლდი. თავს პირობა მივეცი, რომ დანაშაულს აღარ ჩავიდენდი. იმხანად კინოსტუდიასთან შეიქმნა კოოპერატივი „ნატვრის ხე". იქ დავიწყე მუშაობა დეკორატორად. სხვა რამეებთან ერთად, ძველებული ფაეტონები უნდა გვეკეთებინა. რაკი მხატვარიც ვიყავი, ხეზე ჭრა და ლითონის დამუშავებაც შემეძლო. ამასთან, პატიმრობის პერიოდში ნასწავლი რამდენიმე ხელობაც გამომადგა. უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდი — სამუშაოც ბევრი მქონდა, მაგრამ სულ მალე ისე გაუჭირდა კინოსტუდიას, რომ ჩვენი ნამუშევრების შესყიდვა აღარ შეეძლო და ისევ უკაპიკოდ დავრჩი. ერთ დღეს ერთ ჩემს ძველ ნაცნობს გადავეყარე. მითხრა — რას შეჩერებიხარ ამ დამშეულ ქალაქს, წამოდი ჩვენთან, ლაგოდეხში, რამდენიმე კაცს ოცდაათი ჰექტარი მიწა გვაქვს აღებული, შემოგვეშველე, მოსავალი მოვიყვანოთ, გავყიდოთ და ფულიც გაგვიჩნდებაო. სიხარულით დავთანხმდი და გავყევი, მაგრამ გამოირკვა, რომ მიწის დასამუშავებლად არც ტრაქტორები ჰქონდათ, არც სანვავი და არც ფული. კომპანიონები ჩემსავით ნასამართლევები იყვნენ და, ბუნებრივია, გული ერთხელ ნაცადი საქმისკენ უფრო მიგვიწევდა ყველას — გადავწყვიტეთ, ვინმე შეძლებული კაცი გაგვეძარცვა. კანდიდატურაც მალე შევარჩიეთ — როგორც გვითხრეს, მეზობელი რაიონის ავტოინსპექტორი ნაქურდალ-ნაყაჩაღარი მანქანებით ვაჭრობდა.

## პროფესიონალი

იმხანად საკმაო გამოცდილება მქონდა საიმისოდ, რომ ადრინდელივით ტყუილუბრალოდ არ ჩავვარდნილიყავი. დასაყაჩაღებელ ობიექტს რამდენიმე დღის მანძილზე ვაკვირდებოდით. თითქმის ყველა წვრილმანი გავთვალეთ — სახლის მდებარეობა, შესასვლელი და გამოსასვლელი გზები, მეზობლები, განათების არარსებობა, ნაყაჩაღარის გადანახვა და სხვა დეტალები, მაგრამ... სამწუხაროდ, გვიან გავიგე სახარებისეული ჭეშმარიტება — არ არსებობს საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ღამით მივადექით ჩვენს „კლიენტს". სახლი სოფლის განაპირას იდგა და იმ დღეს ქალებისა და ბავშვების ანაბარად იყო მიტოვებული. მილიციელი ამჯერადაც ნაალაფარი მანქანების გასაყიდად იყო წასული, თუმცა ვიდრე ჩვენ ამ უმწეო არსებებს ვამშვიდებდით, ოჯახის უფროსიც მოვიდა და ისე აყარა ტლინკები, ქალებიც იმდენად აიყოლია, რომ ვიდრე ყველანი არ გავთოკეთ, არაფერი გამოგვივიდა. მაშინ მანეთობა იყო. კაცს ექვსასი ათასი მოვთხოვეთ — შენმა შვილმა ჩვენგან ექვსი ცალი ავტომატი შეიძინა და ფულს არ იძლევა-თქო, ვუთხარით. კაცმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — რი ფული, რა ფული, მაგოდენა ფული ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. გავმხეცდით, — წარმოიდგინეთ, ლამპის შუქზე ნილაბაფარებული იარაღიანი შვიდი-რვა კაცი მთელ სახლს თავდაყირა რომ აბრუნებს ფულის საპოვნელად, გათოკილი ოჯახის პატრონები კი იატაკზე ყრიან. თან, ყველაფერ ამას უყურებენ ბავშვები, რომლებსაც, წესით, ახლა უნდა ეძინოთ. ამ ქექვა-ძებნაში ქვაბებსა და კარადებში გადამალულ რვაას ათას მანეთამდე ფულს მივაგენით. ერთმა რამემ კი დაგვაფიქრა — ოქროს ან ბრილიანტის ერთი უბრალო ნივთიც ვერ ვიპოვეთ, ე. ი. ძვირფასეულობა სადღაც ჰქონდათ გადამალული. ერთმა ჩვენიანმა ათი წლის ბიჭს ჩაავლო ხელი და „მასპინძლებს" მიმართა, თუ ოქროს არ გამოაჩენთ, ამ ბიჭს წავიყვანთ და ველარასოდეს იხილავთო. ამის გაგონებაზე ბავშვმა ისეთი ღრიალი მორთო, მე სისხლი გამეყინა ძარღვებში და მის პატრონებს რაღა მოუვიდოდათ. უეცრად ბავშვის ბაბუამ ერთი ისეთი გაიბრძოლა, რომ გათოკილი ხელები გაითავისუფლა და ახლაც არ ვიცი, საიდან და როგორ, მისმა მარჯვენამ ხმალი შემართა. დიახ, დიახ, ხმალი, ნამდვილი ქართული ხმალი და ისე მოუქნია ერთ-ერთ ჩვენგანს, რომ ნიკაპი ჩამოათალა... ამ სახლში შესვლამდე ჩემი ერთადერთი მოთხოვნა იყო, რაც უნდა გაუთვალისწინებელი რამ მომხდარიყო, იარაღი არავის ეხმარა. მადლობა ღმერთს, ჩემიანებმა ეს პირობა შეასრულეს და არ უსვრიათ. „მასპინძელი" კვლავ გავკოჭეთ და უკვე აქეთ გვეხვეწებოდნენ, ოღონდ ბავშვი არ წაიყვანოთ და მთელი ჩვენი ძვირფასეულობა, ეზოში, ხეივნის ქვეშ ჩაფლულ ქილაშიაო...

ოქროსა და ბრილიანტს კი ველოდით, მაგრამ თუ ამდენი იქნებოდა, ნამდვილად ვერ წარმომედგინა. ერთი სიტყვით, სასამართლოზე ბრალად დაგვდეს ოთხ-ნახევარი მილიონი მანეთი ფულისა და ნივთების ნალება. მე კი დღესაც მგონია, რომ ნადავლი ბევრად მეტი იყო. ამ ამბიდან მესამე დღეს დაგვიჭირეს. ყველაფერი უკან დავაბრუნეთ და ჩემი პირადი ასი ათასიც ზედ მიაყოლეს...

სასამართლომ თოთხმეტი წელი მომისაჯა. რა თქმა უნდა, დაზარალებული მხარე ცდილობდა, უფრო მძაფრად წარმოეჩინა ჩვენი სისასტიკე და მიზანსაც მიაღწიეს. რა მეთქმოდა...

როცა რამდენიმე დღის შემდეგ მილიციამ იმათ ეზოში მიმიყვანა ექსპერიმენტის ჩასატარებლად, უცებ სახლიდან ჩვენკენ ბავშვები გამოქანდნენ. ორივემ ჩემთან მოირბინა. დავიჩოქე და ბავშვებს ხელები დავუკოცნე. ისიც ვუთხარი, მე ის კაცი ვარ, იმ ღამით ნიღბით რომ ვიყავი თქვენთან-მეთქი და პატიება ვთხოვე. მასპინძლებს ისე მოულბათ გული, რომ სხვებთან ერთად სახელდახელო სუფრაზე მეც მიმიწვიეს...

ახლა ცხოვრებას სულ სხვა თვალით ვუყურებ. ამაში კი ამ საყდრის მშენებლობა დამეხმარა — ეს მიმსუბუქებს პატიმრობას და კიდევ იმის შეგნება, რომ აქ ტყუილად კი არა, დამსახურებულად ვზივარ.

## კათარზისი

— კაკო, მჯერა, რომ გულწრფელად ნანობ, მაგრამ როგორ გგონია, ჩვენი მკითხველი დაგვიჯერებს?

— მე ხომ მაგაზე არ ვფიქრობ. ჩემი ცოდვები მაწუხებს და მათგან მინდა თავი დავიხსნა. თუ მოვახერხე, ხომ კარგი, არადა, ეს საყდარი მაინც დარჩება, რომელსაც ჩემს მეგობრებთან ერთად ვაშენებ.

— ვისი იდეა იყო მშენებლობის დაწყება?

— ზვიადისტებმა დაიწყეს და ჩვენც აგვიყოლიეს. ზაურ ქობალიამ რკინის ნაჭრებისაგან ქვის სახერხიააწყო. მექანიკოსიც იყო, ჩუქურთმასაც ჭრიდა და სამშენებლო ნახაზებსაც აკეთებდა. აქვე იყვნენ ძმები ზვიად და კობა ძიძიგურები, მათი სიძე ვაჟა წერეთელი. ეს ხალხი პოლიტიკური ბრალდებებით იხდიდა სასჯელს. მათი განთავისუფლების შემდეგ კი, როგორც ნოდარ დუმბაძე იტყოდა, დავრჩით მკვლელები, ბანდიტები, ყაჩაღები და მძარცველები, მაგრამ მშენებლობა არ გაჩერებულა. ადრე მას პაატა გულიკაშვილი ხელმძღვანელობდა, ახლა კობა ჭედია თავკაცობს, რომელმაც აქვე ისწავლა ჩუქურთმის ხელოვნებაც და შესანიშნავად მუშაობს. ბადრი ცხონდიას კი ეს საქმე ჯერ კიდევ გარეთ შეუსწავლია და ნახეთ, ეს კარის ჩუქურთმა მისი ნახელავია, გაგაოცებთ, ისეთი ნამუშევარია. დახვრეტა ჰქონდა ბადრის ბანდიტობისათვის და ოცი წლით თავისუფლების



აკაკი ჯანჯიბუხაშვილი

აღკვეთით შეუცვალეს. ბანდიტობისთვის იხდის სასჯელს გოდერძი ლომიაც და ახლა ფანჯრის ჩუქურთმებს აკეთებს საყდრისათვის. უკეთესი რა უნდა აკეთოს ამ ხალხმა.

— ვინმე გეხმარებათ?

— კოლონიის ადმინისტრაციას მატერიალურად არაფერი შეუძლია, თუმცა სხვა მხრივ თანაგვიგრძნობენ. ქვას პატიმრების მიერ შეგროვილი კაპიკებით ვყიდულობთ ქუთაისსა და ზესტაფონში. სხვა მასალებით თემქის ეკლესიის წინამძღვარი მამა ამირანი გვამარაგებს, რომელიც ჩვენი კოლონიის მოძღვარია.

— რით ახსნი, კაკო, რატომ იცრემლება შენი ღვთისმშობელი, ასეთი რამ არსად მინახავს, როგორ მიაღწიე ამას?

— არა, არა, მაგის მიღწევა შეუძლებელია. მე არაფერ შუაში ვარ. მხოლოდ ის იყო, რომ ვიდრე კვეთას შევუდგებოდი, ღმერთს ვთხოვე, სასწაული შემაძლებინე-მეთქი და მეტი არაფერი. ქვაზე მუშაობის დროს აღმოვაჩინე, რომ ათი სანტიმეტრის სიღრმეზე კაჟის ზოლი გადიოდა. ასეთი ქვა, ჩვეულებრივ, წუნიანად ითვლება და, წესით, თავი უნდა მიმენებებინა, მაგრამ ვიფიქრე, მაინც დავამთავრებ, ვნახოთ, რა გამოვა-მეთქი. ბოლოს, იმ „წუნიდან" ისე გამოესახა ღვთისმშობელს ცრემლი, ნამდვილი გეგონებოდა თუმცა, ეს ცრემლი უფრო ჩემი ცრემლია, იმ ავკაცობის საზღაურია, რომელიც ოდესმე ჩამიდენია!

*ვაჟა გაგაშელი*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## შოთას და ილიას პორტრეტები



1964 წლის ამბავს გიყვებით. თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში. ყველა სიხარულის ზენიტში იყო. იმ პერიოდში, ერთ-ერთ დაწესებულებაში ვმუშაობდი და ქართველ მწერალთა სტენდი უნდა მომემზადებინა. შევედი წიგნების მაღაზიაში და გამყიდველს ვთხოვე შოთას და ილიას პორტრეტები. გამყიდველმაც დაუფიქრებლად მომაწოდა ორი არასტანდარტული ფორმის პორტრეტი...

... ფეხბურთის სიყვარულს წიგნის მაღაზიაშიც შეეღწია და ქართველ მწერალთა პორტრეტების ნაცვლად გამყიდველმა შოთა იამანიძისა და ილია დათუნაშვილის სურათები მომაგება...

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*

## ხანძარი რუსული მეგონაო...



საბჭოთა კავშირის პერიოდში ქუთაისიდან მოსკოვში გაემგზავრნენ ქუთაისის რკინიგზელთა სახლის დირექტორი ილია ახობაძე და მისი მეგობარი, ლოკომოტივის საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ზივზივაძე.

მოსკოვში რომ ჩაფრინდნენ, აეროპორტიდან ტაქსი დაიქირავეს. როდესაც სასტუმრო „როსიას“ ჩაუარეს, სადაც იმ პერიოდში ახალი მომხდარი იყო ხანძარი, ილია დაინტერესდა და ტაქსის მძღოლს ეკითხება: „ზდეს ხანძარ ბილ?“ მძღოლმა შეკითხვა, ბუნებრივია, ვერ გაიგო და ნოდარს გადახედა. ნოდარმაც აუხსნა. ამის შემდეგ კი ილიას მიუბრუნდა და ეუბნება — შე კაი კაცო, სამტრედიელი მაინც არ იყო, შენი დღე და მოსწრება მარტო შენ კი არა, მთელი სამტრედია „პაჟარს“ ამბობთ და ამ შუა მოსკოვში რამ გაგახსენა ხანძარიო. მაშინ ილიამ მიუგო — ხოდა, პაჟარს რო ვამბობდი, იგი მეგონა ქართულიო.

*ამირან ხუჯაძე, ქუთაისი*

## ინდაური თვითონ გვეხვეწებაო...



სენაკში დღესაც პოპულარულია სპორტსკოლის ყოფილი დირექტორის დემურ კიტოვანის და რაიონის განათლების განყოფილების ასევე ყოფილი გამგის კალისტრატე შარტავას ღიმილიანი „თავგადასავლები“ (ბ-ნი კალე ჩვენი ეროვნული გმირის ქიული შარტავას მამა გახლავთ). ერთხელ, ორივენი რაიონში ერთ პატივსაცემ ოჯახს ესტუმრნენ. სხედან მასპინძლის ეზოში ჩრდილში და მუსაიფობენ. ამასობაში მასპინძელი გამალებით დასდევს მამალს დასაკლავად, ეზოში კი დიდრონი ინდაურები იწონებენ თავს... ერთი მათგანი ბ-ნ კალეს მიუახლოვდა და მედიდურად აიფხორა. სტუმარმა თავისთან მოკრძალებით იხმო მამლის დევნით გადაქანცული დიასახლისი და დარბაისლურად მიმართა:

— რად წუხდებით ამდენს, ქალბატონო, რად გინდათ ამდენი სირბილი... აგერ აქეთ იხვეწება ინდაური!..

მასპინძელმა მყისვე „გამოასწორა“ თავისი შეცდომა და მამაპაპურადაც მოილხინეს...

*მერაბ ხუბუა, სენაკი*

## გონიერი მამა



ასტერა მყავს ერთი მეგობარი, მთვრალი მისულა სამშობიაროში, შვილს ელოდა. არ უშვებდნენ შიგნით, მერე უკითხავს, ბავშვებს რომ აჩენინებს ქალებს, იმ ექიმს რა ჰქვიაო, უთხრეს თურმე — მაგ ექიმს გინეკოლოგი ჰქვიაო.

მისულა ასტერა ფანჯარასთან და იძახის თავგადაკლული — ბატონო გენო, ბატონო გენო!..

ექთანს გამოუხედავს, რა გნებავთ, ბატონოო. რა და გენო რომ არის მანდ, კოლეგია, — სასწრაფოდ დაუძახეთო (თურმე, გინეკოლოგი გვარ-სახელი ჰგონებია).

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## ეს ერთი მაპატიეთ...



ჩემმა ახლო ნათესავმა, კარგი აღნაგობის ვაჟმა აბაშიდან ლამაზი გოგონა „მოიტაცა“ და ქუთაისში ბიძამისს, გრიგოლ ქუთათელაძეს მიჰგვარა.

ბიძამ გაიხარა დისშვილის ბედნიერებით, სუფრის გაშლის განკარგულებაც გასცა...

სახელდახელოდ მოიწვიეს სტუმრებიც. ერთი სიტყვით, ქეიფისთვის ყველაფერი მზად იყო, ოღონდ მასპინძლის განკარგულებას ელოდნენ.

მასპინძელი კი არ ჩქარობს, თვალი გზისკენ უჭირავს, პატარძლის მშობლებს ელოდება. მათაც არ დააგვიანეს და როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, საყვედურების კორიანტელი დაახვიეს სიძე-პატარძალს. თუმცა კი, როცა სიძეს ახედ-დახედეს, მოეწონათ, მალევე დამშვიდდნენ და სადღეგრძელოებიც გაჩაღდა.

ყველამ დალოცა ნეფე-დედოფალი, სასიმამრომაც გამოიმეტა ერთი-ორი თბილი სიტყვა. ბოლოს კი ჯერი ნეფეზე მიდგა, რომელმაც დიდი ფიქრის შემდეგ ასე მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი სათქმელ-სამადლობელი:

— ეს ერთი მაპატიეთ და მეტს აღარ ვიზამ!..

*შ. გვალია, სამტრედია*

## ეხლა არ ჩაიცეცხლე, ჩაი?!



არბოშიკელი ქალები ტელესერიალ „შავ მარგალიტს“ უყურებდნენ. დაიწყო მორიგი სერიალი. არ გასულა ათი წუთი, ჩვენება შეწყდა და ეკრანზე გამოჩნდა ჩაი „ლიპტონის“ რეკლამა. გავიდა კიდევ ათი წუთი, ისევ შეწყდა ფილმის ჩვენება და ისევ გამოჩნდა ეკრანზე ჩაი „ლიპტონით“ უსაზღვროდ გახარებული მამაკაცი, ჩაის ჭიქით ხელში...

— უიმე, ქა! მეხი კი დაგაყარე, ეხლა არ ჩაიცეცხლე, ჩაი?! — მიაძახა ჩაის მსმელ მამაკაცს გულმოსულმა და გაკვირვებულმა დარიკო დეიდამ.

*მერი მათიაშვილი, დედოფლისწყარო*

## წინ რო გევიხედო, მერე იკითხე შენ!..



ლეჩხუმი-ქუთაისის ავტობუსის მძღოლი ელამი კაცია, საკმაოდ ოხუნჯი. ერთმა მოხუცმა ქალმა, წინა ადგილზე რომ დასკუპებულიყო და თვალს არ აშორებდა სახიფათო გზას, უყურა, უყურა მძღოლს, ბოლოს ველარ მოითმინა და შეშფოთებულმა უთხრა:

— შვილო, სულ გვერდზე რო იხედები, მეშინია, არსად გადაგვჩეხო, თუ შეიძლება წინ გაიხედე!

— დეიდა, ახლა არაფერი გიჭირს, წინ რო გევიხედო, მერე ნახე შენ, გადაჩეხვა!

*სოფიო ბურჯალიანი, ლეჩხუმი*

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სეროჟას საცოლე გაუბრაზდა:

— შენისთანა წუწურაქს ცოლად არასდროს გავყვები! აჰა, შენი ნაჩუქარი ბეჭედი, გიბრუნებ!

— კოლოფი რა უყავი, ტო?!

*ვოვა ჩისტოპრუდოვი, ქუთაისი*



— მომაწევიე ერთი სიგარეტი — ეუბნება ჭიჭიკია ბიჭიკიას.

— წეღან არ მოგაწევიე?

— იგი ძაან დეიწვა და გადავაგდე.

*ტ. და ზ., რუსთავიდან*



გურული დილით აივანზე გამოვიდა, მხრებში გაიშალა, თვალები მოიფშვნიტა, არემარეს თვალი მოავლო და გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა:

— რაია აი, კიდო არ დოუგიათ აბრეშუმის გზა?!

*ალიკო მაჩაიძე, თერჯოლა*

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული, ასევე ზოგიერთი ქართული სიტყვის განმარტებითი ლექსიკონი



ბალკონი — 2002 წლის სიმბოლოს — ცხენის კარნავალი
ბანანი — ანას აივანი (ანუ ბანი)
ბელკანტო — თეთრი არშია
ბუხუტი — ხუტას ბუ
ბეგონია — გონია ბე მისცეს (იმერ.)
ბამბუკი — საყვირი ბამბე
ბალონი — რაჭული ბალი
ბუბუ — ორი ბუ
ბარნოვი — ახალი კაფე
ბეგლარი — ლარის გაქცევა
ბუხარა — ვესროლე, არ გავარდა
ბუხარი — ვესროლე, გავარტყი

P.S. გავარტყი, ე.ი. დავირტყი „კვირის პალიტრის“ წლის საუკეთესო იუმორისტის ტიტული. ვიყავი ყველა ნომრის სტუმარი.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

# კეთილი თოვლის ბაბუა — სანტა კლაუსი

## (წმინდა ნიკოლოზის სასწაულები)

წმინდა ნიკოლოზის სახელი მთელ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილია, როგორც გაჭირვებულთა ქომაგის, უპოვართა განმკითხავის, ბავშვებზე მოამაგისა და მზრუნველისა. მისი უანგარო შემწეობა და ქველმოქმედებანი დაედო საფუძვლად ყველა ბავშვისთვის საყვარელი თოვლის ბაბუის განზოგადებულ სახეს, რომელსაც მათთვის საახალწლო საჩუქრები მოაქვს ჩუმად და ნაძვის ხესთან ტოვებს. სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა შემთხვევამ, როდესაც წმ. ნიკოლოზმა სასოწარკვეთილების პირას მისული ოჯახი დაიხსნა სირცხვილისა და სილატაკისაგან — ღამით ფანჯრიდან ჩუმად გადმოგდებული ოქროთი ავსებული ქისით! ამიტომაც, მსოფლიოს დასავლეთ ნაწილში თოვლის ბაბუას სწორედ სანტა-კლაუსის, იგივე სანტა-ნიკოლაუსის ანუ წმინდა ნიკოლოზის სახელით იცნობენ.

ქვემოთ მოგითხრობთ რამდენიმე სასწაულის შესახებ, რომელიც წმინდა ნიკოლოზს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში აღუსრულებია.

### წყალობა

მღვდელმსახური, მამა ალექსი კიბარდინი საბჭოთა ხელისუფლების წლებში სარწმუნოებრივი ერთგულებისთვის შორეულ გადასახლებაში მოხვდა, საკონცენტრაციო ბანაკში. ორმოცდაათიან წლებში, როცა ოდნავ დათბა პოლიტიკური კლიმატი და მთელი ბანაკი გათავისუფლების მოლოდინმა შეიპყრო, მამა ალექსიმ პატიმრებს მიმართა:

— ჩვენ ყველამ ვუწყით, რომ წმინდა ნიკოლოზი დიდი მეოხი, მსწრაფლშემწე და სასწაულთმოქმედია. მოდით, ლოცვით შევთხოვოთ წმინდა ნიკოლოზს ჩვენი გათავისუფლება და მისი შემწეობით სამი დღე ვიმარხულოთო.

რამდენიმე ათეული პატიმარი დათანხმდა, მაგრამ ბოლომდე მომარხულეთა რიგებს მხოლოდ ოცდაექვსი კაცი შემორჩა. მამა ალექსიმ ყველა მემარხულე აზიარა. ეს ამბავი ხდებოდა 1955 წლის გაზაფხულზე. დადგა 22 მაისი — წმინდა ნიკოლოზის ნაწილების აღმოყვანების დღე და მოვიდა ბრძანება მოსკოვიდან — ოცდაექვსი პატიმრის გათავისუფლების შესახებ! წარმოიდგინეთ, რა ყოფაში იქნებოდნენ ის პატიმრები, რომელთაც ნებისყოფა არ ეყოთ მარხვის გასაგრძელებლად!

### ჩვილი გადაარჩინა

ერთხელ ერთი მორწმუნე წმინდა მოწამეების ბორის და გლების ნაწილებისა და წმინდა ნიკოლოზის სასწაულთმოქმედი ხატების თაყვანსაცემად ვიშგოროდში გაემგზავრა, თან წაიყვანა ცოლი და ძუძუმწოვარა ბავშვი. გზად დნეპრი უნდა გადაელახათ. ისინი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდნენ. ცოლს ჩაეძინა და მძინარეს ხელიდან გაუვარდა პატარა. ბავშვი წყალში ჩაიძირა და მათი თვალთახედვიდან გაქრა. თავზარდაცემული მშობლები საშველად წმინდა ნიკოლოზს კარგა ხანს უხმობდნენ, მაგრამ საშველი რომ არ გამოჩნდა, სასოწარკვეთილნი შინ დაბრუნდნენ. წმინდა ნიკოლოზი კი დიდ სასწაულს ამზადებდა იმ ქალაქის მცხოვრებთათვის. ღამით მან ამოიყვანა დნეპრიდან ჩვილი და სოფიის ჩაკეტილ ეკლესიაში თავისი ხატის ქვეშ დააწვინა. ცისკარზე მნათე რომ შევიდა ეკლესიის ეზოში, ბავშვის ტირილი შემოესმა და დარაჯს უსაყვედურა:


წმ. ნიკოლოზის „სველი" ხატი XI ს. — კიევი

— შენ რა, ბავშვიანი ქალების სასტუმროდ აქციე ტაძარი?!

დარაჯმა მნათეს გაკვირვებულმა შეხედა და ჩაკეტილ კარზე მიუთითა. მაშინ შევიდნენ ტაძარში და სასწაულთმოქმედი ნიკოლოზის ხატის წინ ნახეს მტირალა ჩვილი, რომლის სახვევებს ჯერაც ვერ მოესწრო გაშრობა. დილაადრიან მიტროპოლიტმა თავისი წარგზავნილების პირით ამცნო ბავშვის მშობლებს და მთელი ქალაქის მცხოვრებლებს ეს ამბავი. ასე იპოვეს უკვე გამოტირებული ჩვილი მშობლებმა წმინდა ნიკოლოზის ხატთან, რომელიც ცნობილია „სველის" სახელწოდებით. ეს სასწაულთმოქმედი ხატი დღესაც კიევში, წმ. სოფიის ტაძარშია დაბრძანებული.

### საკურნებელი პარაკლისი


მამა გრიგოლი და აკაკი

ეს ამბავი შარშან შეემთხვა 7 წლის აკაკი ჯანელიძეს, რის შესახებაც გვიამბობს მისი მამა, დავითი: „ჩემი პატარა აკაკი თავისი სახლის ეზოში თამაშობდა, გლდანულაში. ბავშვები გარაჟის თავზე დარბოდნენ. იქიდან ჩამოსვლისას აკაკის ფეხი დაუცდა და სახის მარცხენა მხარე მძლავრად დაარტყა მიწას. სამი ნაბიჯის გადადგმა შეძლო მხოლოდ — წაიქცა ბავშვი და გონდაკარგული აიყვანეს შინ. სახე ისე ჰქონდა დასახიჩრებული და იმდენად სერიოზული იყო ჭრილობა, რომ ექიმები პლასტიკურ ოპერაციას გეგმავდნენ, რათა სახეს პირვანდელი იერი დაბრუნებოდა.

ორი დღე იწვა აკაკი სახლში. მე მაშინ შინ არ ვიყავი და, როდესაც დავბრუნდი, ბავშვი ნაიარევი დამხვდა, შეიძლება ითქვას, მძიმე ავადმყოფი. ყოველდღე მალამოს ადებდნენ, მაგრამ ოდნავადაც არ ემჩნეოდა გაუმჯობესება — ისე აწუხებდა ტკივილი, რომ ლოყაზე ხელს ვერ მიაკარებდით. მაშინვე მოვკიდე ხელი და წავიყვანე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, ჩუღურეთში და იმავე დღეს მამა გრიგოლს გადავახდევინე მისთვის პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ საღამოს ლოცვასაც დავესწარით. ლოცვაზე აკაკის ბებია მოვიდა და ბავშვი კალთაში ჩაისვა. ბებია მხედველობას უჩივის და აკაკის დაეკითხა: რომელ მხარეზე გქონდა იარები, ვერა ვხედავო — მას ეგონა, მხედველობა ღალატობდა. სინამდვილეში კი ბავშვი პარაკლისის შემდეგ მორჩენილიყო — ლოყა მორჩენოდა.

შინ რომ დავბრუნდით, აკაკის მნახველი მეზობლები — სასწაულის მხილველნი, პირჯვარს იწერდნენ. . ბევრი მათგანი ამ მოვლენამ ეკლესიისკენ გამოახედა.

თვითონ აკაკიმ კი ასე განმარტა მომხდარი: — იმიტომ შემეწია წმინდა ნიკოლოზი, რომ ყოველდღე „მამაო ჩვენოს" ვკითხულობდიო. ისედაც სულ ეკლესიისკენ უწევდა გული აკაკის, ამ ამბის შემდეგ კი იგი ამ ტაძრის სტიქაროსანი გახდა".

## რას გვეტყვი, მამაო?

ჩვენი მკითხველების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაგცემთ გასული საუკუნის ცნობილი საღვთისმეტყველო კრებულიდან: „სულიერი რეცეპტები".

**— რა განწყობილებით უნდა შეეგებოს ახალ წელს მართლმადიდებელი ქრისტიანი?**

— ახალი წლის დადგომისას კარგად დაფიქრდი გარდასული წლის შესახებ, ვაითუ ვერ ჰპოვო, თუნდ ერთი კეთილი საქმე, შენგნით აღსრულებული. ვინ იცის, ათასობით შემთხვევა გაგახსენდეს, როცა ბოროტებას იქმოდი. იქნებ ენა შენი გინებით გქონდა წაბილწული, ხმა — უხამსი სიმღერებით, თვალები იმით, რისი ცქერაც არ ეგების, ყურები — მაცდუნებელი საუბრებითა და მუსიკით, ხელები — ძარცვით და ჩხუბით, ფეხები — ლოთობისა და მუცელღმერთობის დუქნებში სიარულით, თავი — უკეთური ფიქრებით, გული — ცოდვიანი სურვილებით. იქნებ შენ მთლიანად მოცული და განმსჭვალული ხარ ბილწი აზრებით. იქნებ შენ მთელი წლის მანძილზე დღეები და ღამეები მხოლოდ ცოდვას ცოდვაზე ამატებდი, უკანონობას — უკანონობას და ისეთი სიმძიმე დააგროვე, რომ ჯოჯოხეთის ფსკერამდე გძირავს. ო, თუ ეს ასეა, გამოფხიზლდი, მოხედე უკან — ცოდვებში განვლილ შენს ცხოვრებას, გაიხედე წინ — მოახლოებული სიკვდილისკენ, ახედე მაღლა — მკაცრ მსაჯულს, იფიქრე ჯოჯოხეთის საშინელ უფსკრულზე და იმაზე, თუ რა გელოდება იქ და რა განგემზადება აქ! შენს თავზე უკვე აღმართულია რისხვის მახვილი უფლისა...

შეძრწუნდი! თუ გონი შეგრჩენია დაუყოვნებლივ მიიქეც ქრისტე მაცხოვრისკენ სინანულითა და ლოცვით. მას შეუძლია გაგიცამტვეროს შენი ყველა ცოდვა, გასწავლოს სიკეთის კეთება, შეგიწყალოს და თავისი მადლითაც აღგავსოს. ოღონდ კი მტკიცედ გადაწყვიტე, ამ დროიდან უფლის შეწევნით შეცვალო შენი ცხოვრება, ცოდვას განერიდო და სიკეთეს ესწრაფვო!

**— რატომ უნდა გვიყვარდეს ქვეყნად ყველაზე მეტად ღმერთი?**

— დაფიქრდი, ვინ გიყვარს შენ მთელ ქვეყანაზე? დავუშვათ, რომ გიყვარს დედა და მამა, ცოლი და შვილები, ნათესავები და მეგობრები. ბუნებრივია — ისინი უნდა გიყვარდეს, როგორც, საზოგადოდ, ყველა ადამიანი, მაგრამ აბა, ჰკითხე თავს და დაფიქრდი: ვინ გიბოძა დედა და მამა, ცოლი და შვილები ან ყოველი, ვინც შენს ირგვლივაა? ღმერთმა. რაკი ყოველი გიბოძა ღმერთმა, უნდა გიყვარდეს კიდეც იგი უფრო მეტად, ვიდრე დედ-მამა, ვიდრე ისინი, ვისაც შენ შენიანად თვლი. თუ ღმერთი არ გეყვარება, წაგგვრის, რაც ღმერთზე მეტად გიყვარს. იქნებ უდედმამო ხარ, ცოლ-შვილი არ გყავს ან ობოლი ხარ და მიუსაფარი? მით მეტად გმართებს ყველაზე მეტად ღვთის სიყვარული.

## საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია

**გთავაზობთ აკაკი წერეთლის ლექსის ფრაგმენტს და ჩვენს მკითხველს ვულოცავთ დიდებულ დღესასწაულს: ხორციელად შობას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი!**



### შობა

გაჩერდა ბეთლემს მნათობი,
ქვაბზე სხივები დაჰფინა,
სთქვეს მოგ ზაურთა: „აქ არის
ახალშობილის, სჩანს, ბინა!"
შევიდნენ, ნახეს მწოლარე
ბაგაში საკვირველი ყმა;
ნაცვლად „მზე შენის" ისმოდა
ანგელოზთ საამური ხმა!
ხედავენ ღარიბ სახვევში...
არსად სჩანს ხოჭოჭ-ა კვანი!..
დაემხვენ მის-წინ მორჩილად,
სასოებით სცეს თაყვანი.
ოქრო, გუნდრუკი და მური
შესწირეს ახალშობილსა,
და უგალობენ სიმდაბლით
საგალობელსა წყობილსა:
„დიდება ყოვლის შემოქმედს!
დიდება მისა მცნებასა!..
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა!..

## გულითადი განდობანი

# ღმერთო, შეუნდე...

ჩემს სოფელს მიქელ-გაბრიელი ერქვა. აქ დღესაც ახსოვთ ლამაზი, სათნო მოხუცი კაცი, რომელზეც ასე ამბობდნენ: ნახუცარი რომანოზია — ბოლშევიკებმა ეკლესია რომ დაანგრიეს, მაშინ დაიჭირეს და წვერი გაპარსესო. თავად რომანოზ ბატონი კი, როცა იმ დროს შეახსენებდნენ, ასე იტყოდა: — ღმერთმა შეუნდოთო... და იმ დღეთა ავი მოლანდება მტკივნეულად გაჰკრავდა მის ბებრულ გულს.

...30-იანი წლების შობის კვირადღე ხალხის კივილმა შეძრა. მაღლობზე შემდგარ ეკლესიაში სალოცავად მისულ მორწმუნეთ თოფ-იარაღიანი ბოლშევიკები შეუცვივდნენ და გარეთ ერეკებოდნენ.

— არ შეუშვათ საყდარში ხალხი!

— გამოყარეთ ხატები გარეთ!

— ჩააჩუმეთ ზარები!

გაჰყვიროდა ფეხებგაჩაჩხული ბოლშევიკი მეთაური აბიბო მაკარიძე და წაჭუტულ ცალ თვალს იარაღს აყოლებდა.

— არ დავნებდეთ, ხალხო!

— არ მივატოვოთ ჩვენი სალოცავი!

— ხატები არ და-ვა-ნე-ბოთ!

ერთმანეთს აგულიანებდნენ მორწმუნეები და ეკლესიიდან ფეხს არ იცვლიდნენ.

იყო გნიასი, ყვირილი, წივილი, ხვეწნა, მუდარა, გინება და თოფების სროლა.

გამწარებული რომანოზ ხუცესი წინ და უკან დარბოდა ეკლესიის ეზოში და და ვერ მოესაზრა, რა ეღონა. ბოლოს ეკლესიაში შევარდა, სულმოუთქმელად სამრეკლოს მიაშურა და მთელი ძალით ზარები აახმიანა. აკივლდა ზარები და ცასა და მიწას ამცნო ღმერთის წინაშე აღმდგარი ხალხის უკულმართი საქმე.

— ჩამოათრიეთ ის უბედური! — იკივლა აბიბო მაკარიძემ და მაუზერიანი ხელი ცისკენ აღმართა.

ორი თოფიანი კაცი ავარდა სამრეკლოზე, ხუცესს წვერში სტაცეს ხელი და ცემა-ცემით წინ გამოიგდეს.

— აქ მოათრიეთ! — დაიძახა აბიბო მაკარიძემ და ხუცესის სისხლით შეღებილ წვერს გახედა.

ხუცესი შედგა.

— რაო, არ მოგწონვართ? — ნიშნისმოგებით იკითხა ბოლშევიკმა მეთაურმა და გააგრძელა, — არც ჩვენ მოგვწონდა, ამდენ ხანს რომ გვალოცვინებდი არარსებულზე.

ხუცესმა სისხლიანი სახე ხელისგულით მოიწმინდა, მერე მზერა ზეცისკენ აღაპყრო და წარმოთქვა:

— ღმერთო, შეუნდე...

— ღმერთი?! — ახლა მთლად გაგიჟდა მეთაური — სად არის შენი ღმერთი, საად? თუ სადმეა, ჩამოვიდეს, დამენახოს, მეჩვენოს, მომკითხოს, დამსაჯოს აი, ამისათვის — იქვე დაყრილ ხატებს ფეხებით შედგა და ცემა დაუწყო, — აი, ამისათვის, — ჯვარი ხელში აიღო და ძირს დაანარცხა, — სად არის ღმერთი, საად?! — მერე ხუცესის მკერდზე მოელვარე ვერცხლის ჯვარს მოჰკრა თვალი და მისკენ გაიწია...

და აი სწორედ აქ მოხდა საკვირველი რამ — უეცრად ღრუბლებიდან მზემ ამოანათა, მისი სხივები შარავანდედივით დაეკიდა მოხუცის სახეს და იგი თითქოს ბიბლიურ პერსონაჟად იქცა. მერე ყველამ გაიგონა ხუცესის არამიწიერი, ღვთიური, ძალისმიერი ხმა — დაეც, უწმინდურო!!!

და... მიწაზე გართხმული აბიბო მაკარიძე თხუნელასავით მალავდა სახეს.

ხუცესი მობრუნდა. ხალხის წინ ისევ ის, მათი ხუცესი რომანოზი იდგა, ხმაც თავისი დაუბრუნდა.

— ღმერთო, შეუნდე ამათ, რამეთუ არა იციან, თუ რას სჩადიან! — მშვიდად წარმოთქვა და ოთხ თოფიან კაცს შინსახკომისკენ გაჰყვა.

მეორე დღეს დედისგან მიტოვებული ბავშვივითატირებული შეხვდა ნაეკლესიარი მაღლობი სოფელს. იქიდან წამოსული კვამლი ცისფრად ბოლავდა და ახლომახლო გამვლელს თვალსა და გულს უცრემლავდა.

მას შემდეგ კარგა ხანს შემორჩნენ ამ ცხოვრებას აბიბო მაკარიძე და რომანოზ ხუცესი — ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნახევრად გადარეული აბიბო მაკარიძე ჯაჭვით ჰყავდათ დაბმული და საჭმელს ორპოტიკა ჯოხით აძლევდნენ, ხოლო რომანოზ ხუცესი კიდევ დიდხანს დააფრიალებდა თავის ვერცხლისფერ ანაფორას სოფლის ორღობეებში და ბავშვებს მალულად ნათლავდა. ოღონდ ეს კი იყო, ახალი ეკლესიის აშენებას მაინც ვერ მოესწრო ხუცესი...



*რამაზ ხომერიკი*
*ოზურგეთი, სოფელი შრომა*

# დედის ლოცვამ ბებო გამოცოცხლა

ეს ამბავი ქვემო ბოდბეში, ვალერი მასწავლებელმა მიამბო.

„31 დეკემბრის დილა თენდებოდა. ოჯახი საახალწლო სამზადისში იყო, მაგრამ არ გვიხაროდა ახალი წლის შემობრძანება. ცალკე ოთახში სულთმობრძავი ბებია იწვა. მამიდაჩემი და დედაჩემი მორიგეობით უთენებდნენ ღამეებს. სასიკვდილო აგონიაც დაეწყო. ბოლოს დედაჩემმა ერთი შეჰკივლა და ყველაფერი გათავდა: ბებო გარდაიცვალა. შევიცხადეთ, როგორი შეცხადებაც შეიძლებოდა. გავაღეთ ქუჩის კარი. დავუძახეთ ახლომახლო ნათესაობას. დედას ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, მაგრამ არ დაიბნა. მაშინვე დაანთო სანთელი: ღმერთო, ვერ დავიჯერებ, რომ დედა მკვდარია, გევედრები, ახალ წელს ნუ ჩამიმწარებო. გავიდა ორი საათი ბებოს გარდაცვალებიდან და როგორც წესია, დაუწყეს მიცვალებულს ჩაცმა. მეზობლის ქალმა ჩააცვა ზედატანი და ის იყო წინდის ჩაცმა დააპირა, რომ ერთი შეჰკივლა და თავზარდაცემული გამოვარდა გარეთ — კარი დახურეთ, მგონი დედაკაცი ცოცხალიაო. შევიდნენ და რას ხედავენ: მიცვალებულს ფერი მოსდის ნელ-ნელა. საათ-ნახევარში ჩვეულებრივ დაილაპარაკა — გონს მოვიდა. ალბათ დედაჩემის ლოცვამ უშველა.

26 იანვრამდე იცოცხლა ბებიამ. ახალი წელიც მასთან ერთად ვიზეიმეთ და ძველიც. მერე კი სამუდამოდ მიიძინა. გარდაცვალებამდე მამიდაჩემმა ჰკითხა: შენ იცი, რომ მკვდარი იყავი და გაცოცხლდი? როგორ არ ვიცი? — ისეთი ტონით გვიპასუხა, მეტი კითხვა ველარ გავუბედეთ".

ნ. ტ.

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის" ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხილეთ გაზეთის ბოლო გვერდზე.

*გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა*



# „მე და ჩხარტიშვილს ნამდვილად არ დაგვიხანჯლავს ერთმანეთი“



ახალ 2002 წელს საქართველო უამრავ სხვა „სიკეთესთან“ ერთად, მიუღებელი ბიუჯეტითაც შეხვდება. პარლამენტარები უკვე საახალწლო არდადეგებზე წავიდ-წამოვიდნენ. ბიუჯეტის დამტკიცების „ისტორიულმა“ თარიღმა საშობაოდ გადაიწია, თუმცა მეტისმეტად საეჭვოა, რომ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მისი ამ სახით მიღება მომავალ წელს მაინც მოახერხოს — დღესდღეობით პარლამენტში თითქმის ყველა ფრაქცია (ერთი-ორის გამოკლებით) თავგამოდებით აცხადებს, რომ ბიუჯეტის ასეთ პროექტს მხარს არ დაუჭერს.

უბიუჯეტო ქვეყნის ნომერ პირველი ფინანსისტი, რომელსაც ხალხმა „მოფერებით“ სეკვესტრის მინისტრი შეარქვა, მიუხედავად არსებული კატასტროფული სიტუაციისა, იმედიანად გამოიყურება. ზურაბ ნოღაიდელი „კვირის პალიტრასთან“ საუბარში აცხადებს, რომ მომავალ წელს სეკვესტრები აღარ გვექნება.

**— ბატონო ზურაბ, სეკვესტრები ჯანდაბას, საერთოდ ბიუჯეტი თუ გვექნება?**

— დიახ, ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, გვექნება. რაც შეეხება სეკვესტრებს, იმედი მაქვს, რომ 2002-ში საჭირო აღარ გახდება. ამ მიმართულებით სტრატეგია უკვე დავსახე და ვაპირებ ძალიან მკაცრ, შესაძლოა არცთუ პოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას. სეკვესტრი თავიდან თუ არ ავიცილეთ, უბედურება მოხდება.

**— ვის თვალში დაგიკარგავთ ე.წ. პოპულარობას თქვენი გადაწყვეტილებები?**

— როგორ გითხრათ, საქართველოში არსებობენ მთელი რიგი გავლენიანი ჯგუფები. გამორიცხული არ არის, ჩემმა ნაბიჯებმა მათში გარკვეული გაღიზიანება გამოიწვიოს. მათი მხრიდან ალბათ სერიოზული წინააღმდეგობაც გვექნება, მაგრამ დავალება პრეზიდენტისგან გვაქვს მიღებული და უახლოეს ხანში უნდა შევასრულოთ.

**— ზოგადად საუბარი ადვილია, მაგრამ იქნებ მაინც დააკონკრეტოთ — ვინ არიან ეს ჯგუფები?**

— არ იფიქროთ, რომ ვინმეს დასახელების მეშინია და იმიტომ არ გეუბნებით. ის კაცი არა ვარ, ზოგ-ზოგიერთებმა ასე იოლად შემაშინონ. უბრალოდ, ამ წუთში ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობ. ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ ამ ჯგუფების გავლენა ძალიან დიდია და მათ წინააღმდეგ სასწრაფოდ რამე თუ არ მოვიმოქმედეთ, მძიმე შედეგებს მივიღებთ. თავის დროზე ეს ყველაფერი აუცილებლად გამოაშკარავდება.

**— ბატონო ზურაბ, ხალხმა „სეკვესტრის მინისტრი“ შეგარქვათ. მოგწონთ ეს მეტსახელი?**

— მართლა?.. პირველად გავიგე... (იცინის) მაინცდამაინც სეკვესტრის მინისტრი რატომ შემარქვეს, ჩემი მინისტრობის მანძილზე სხვა არაფერი გამიკეთებია? თუმცა, რას იზამ, ყველას თავისი შეხედულება აქვს.

**— მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებისას თქვენი კანდიდატურის ირგვლივ პარლამენტში დიდი სჯა-ბაასი გაიმართა. გულახდილად მითხარით, ელოდით, რომ ისევ დაგამტკიცებდნენ?**

— დიახ, ცხადია, ველოდი. უფრო მეტიც, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, პარლამენტი ხელმეორედ დამამტკიცებდა, მინისტრობას არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი. თუმცა ისიც მშვენივრად ვიცოდი, პარლამენტში ვინ და რატომ იყო ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგი.

**— მაინც, ვინ და რატომ იყო?**

— არ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი.

**— ამბობენ, რომ სავალუტო ფონდიდან შევარდნაძემ მკაცრი დირექტივა მიიღო თქვენი და კიდევ რამდენიმე მინისტრის უპირობო დამტკიცების შესახებ. მართალია?**

— ის, რომ მე მთელ რიგ საფინანსო ორგანიზაციებთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მართალია, მაგრამ არავითარი დირექტივა მათგან არ წამოსულა. ჯერ ერთი, არც სავალუტო ფონდი და არც მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტები ასეთ მკაცრ ბრძანებებს არ იძლევიან. მეორეც, ჩვენი პრეზიდენტი ის კაცი არ არის, ვინმეს დირექტივებით მიიღოს გადაწყვეტილება.

**— იმასაც ამბობენ, რომ თქვენი გამინისტრება კარგა გვარიანი თანხა დაჯდა. ხუმრობდნენ — მთელი ბიუჯეტი ნოღაიდელის დამტკიცებას შეეწირა და ხელფასებს და პენსიებს უნდა დავემშვიდობოთო.**

— ყველაფერი გამიგია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მსგავსი — არაფერი. რა ფული, რის ფული... პირველად მესმის. ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა. როგორ ფიქრობთ, ასეთ რამეს დავუშვებდი? ვის რაში სჭირდება ამისთანა ფინანსთა მინისტრი? ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბიუჯეტში ნამდვილად არ არის გათვალისწინებული ისეთი ხარჯები, რომლებიც მავანთა გამინისტრებას მოხმარდებოდა.

**— ისე, როგორც ამბობენ, მინისტრთა დამტკიცებისას პარლამენტში მართლა ძალიან დიდი ფული ტრიალებდა.**

— არ ვიცი, არა მგონია. ასეთი სერიოზული პოლიტიკური საკითხები ფულით არ წყდება ხოლმე.

**— რაც შეეხება ზემოხსენებულ „ხუმრობას“ ხელფასებთან და პენსიებთან დაკავშირებით, მართლა ხომ არ აუხდება ჩვენს მოსახლეობას?**

— იმედი მაქვს, მომავალ წელს ამ სფეროში პრობლემები აღარ გვექნება. საამისო რესურსები არსებობს.

**— ბატონო ზურაბ, თქვენ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრად მოიაზრებით. იგივე გუნდი ახლა პრეზიდენტის ოპონენტად ითვლება. არადა, თქვენ, რატომღაც, ორივეს მხარდაჭერით სარგებლობთ. რა ხდება?**

— განსაკუთრებული არაფერი. სიმართლე გითხრათ, სააკაშვილზე ახლა რამის თქმა გამიჭირდება, მაგრამ არასოდეს დამიმალავს, რომ ჟვანიას გუნდის წევრი ვიყავი და ვარ კიდეც. რაც შეეხება დაპირისპირებას, დამიჯერეთ, რომ არავითარი დაპირისპირება შევარდნაძისა და ჟვანიას გუნდებს შორის არ არსებობს. ასე რომ, მე ვარ როგორც ჟვანიას, ისე შევარდნაძის დიდი გუნდის წარმომადგენელი.

**— ერთ-ერთ ბოლო მთავრობის სხდომაზე თქვენ და ლევან მამალაძე ერთმანეთს დაეჯახეთ. ზოგმა ეს ორი გუნდის დაპირისპირების მორიგ ეპიზოდად მიიჩნია.**

— ასეთი ახსნა ძალიან პრიმიტიულია. გამოდის, რომ ამოჩემებული გვყავს ხალხი, რომლებსაც აუცილებლად უნდა დავუპირისპირდეთ, მიუხედავად იმისა, რას ამბობენ ან რას აკეთებენ? სხვა არ ვიცი და, ჩემს შემთხვევაში, ასე ნამდვილად არ ხდება. მამალაძეს დავუპირისპირდი ერთ კონკრეტულ საკითხზე, რომელზეც მე და მას რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება გვაქვს და ალბათ მომავალშიც გვექნება. პირადად მე სუბიექტური ფაქტორებით არასოდეს მიხელმძღვანელია.

**— თუმცა ვისაც წაეჩხუბეთ, რატომღაც ყველა მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენელი აღმოჩნდა.**

— ეს კიდევ ახალი ამბავია... სხვას ვის წავეჩხუბე?

**— ვის და, მაგალითად, ვანო ჩხარტიშვილს... გია არსენიშვილის კაბინეტში კინაღამ დაგიხანჯლავთ ერთმანეთი.**

— დაგვიხანჯლავს? (იცინის) მერე, რა თქვეს, ვინ უფრო მაგრად დახანჯლაო?

**— ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენო...**

— არა, არა, ნამდვილად არ გვიჩხუბია. მით უმეტეს, ერთმანეთი არ დაგვიხანჯლავს. უბრალოდ ვიკამათეთ. სხვათა შორის, ხშირად გვიკამათია, ოღონდ საქმის და არა რაღაც აკვიატებული იდეე ფიქსის გამო. უამრავ ადამიანთან მქონია დაპირისპირება, მაგრამ ეს არასოდეს ყოფილა დაკავშირებული პიროვნულ ინტერესებთან.

**— მტრები გყავთ?**

— ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მთელი საქართველო გადამტერებული მყავს.

**— ერთხელ პრეზიდენტმა თქვენზე თქვა — კაცმა მინისტრობა რომ ისწავლა, ახლა ხომ არ გადავაყენებო. ეს ნათქვამი კომპლიმენტად მიიღეთ?**

— რა ვიცი, მე მგონი ეს, უბრალოდ, ერთგვარი ფრთიანი ფრაზა იყო და, რა თქმა უნდა, ჩემი მუშაობის შეფასებაც.

**— ისე, მაინც რამდენ ხანში ისწავლეთ მინისტრობა?**

— ჯერ კიდევ ვსწავლობ... აი, მომავალში გაცილებით უფრო კარგი მინისტრი ვიქნები.

**— სეკვესტრის თუ ფინანსთა კარგი მინისტრი?**

— კარგი ფინანსთა მინისტრი.

**— ახალ წელს სად შეხვდება საქართველოს კარგი (სამომავლოდ) ფინანსთა მინისტრი?**

— ალბათ წყნეთის სამთავრობო რეზიდენციაში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ.

**— იმედია, თქვენი საახალწლო სუფრა და საჩუქრები სეკვესტრში არ მოჰყვება.**

— (იცინის) ვნახოთ, შეიძლება ასეც მოხდეს.

*ხათუნა ყვირალაშვილი*

# ყურადღება! თქვენც ხომ არ შეგხვედრიათ?!

## თბილისი, „ჯიბის მოცარტი“ დიანა ახალგაზრდა პოლიტიკოსს დოლარებით გატიკნილი საფულისგან „ათავისუფლებს“

### ჯიბის მოცარტი

ძალზე საინტერესო პიროვნებას გაგაცნობო, — შემპირდა მეგობარი. გასულ ხუთშაბათს შევხვდით ერთმანეთს „მარკო პოლოსთან“. ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა ქალი ახლდა თან — პირმშვენიერი, მკერდსავსე, ტანკენარი. თავი ამაყად ეჭირა, იერით თავადის ასულს ჰგავდა, თუმცა თვალებში ეშმაკები უხტოდნენ. მეგობარმა გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა. ასე რომ, „მარკო პოლოში“ მე და დიანა მივუსხედით მაგიდას.

*— დიქტოფონით ჩაიწერთ ჩვენს საუბარს? — მკითხა თანამეინახემ, — პიჯაკის მარჯვენა გულისჯიბეში გაქვთ.*

გამიკვირდა. პაწია დიქტოფონი მაგიდაზე დავდე და ჩავრთე. დიანა ხელში ოქროსფერ „პარკერს“ ათამაშებდა.

*— ჩემნაირი ავტოკალამი გქონიათ, — გავუღიმე.*

— თქვენია, — დიქტოფონს მიუდო გვერდით, — წეღან, გაცნობისას ამოგაცალეთ.

*— ილუზიონისტი ხართ? ცირკში მუშაობთ?*

— არა, ჯიბის ქურდი, ტრანსპორტში ვმუშაობ.

*— ქურდი? ვერ დავიჯერებ!..*

— უკვე დაგიმტკიცეთ.

*— დიდი ხანია ამ... ხელობას მისდევთ?*

— მას შემდეგ, რაც ქვეყნის ნგრევა დაიწყო. მამა ადრე დამეღუპა. დედა ხეიბარია, მხოლოდ ქსოვა და კერძის მომზადება შეუძლია. მუშაობა რომ დამეწყო და უნივერსიტეტი მიმეტოვებინა, დარდით გული გაუსკდებოდა. ჩემი სტიპენდია კი... ჰოდა, სწავლას ჯიბის ქურდობა შევუთავსე.

*— დაამთავრეთ უნივერსიტეტი?*

— მოდი, რა „შენობით“ მელაპარაკე, ჩემი საქმის პროფესორი კი ვარ, მაგრამ მაინც ქურდი მქვია... კი, დავამთავრე, თან — წარჩინების დიპლომით. მაგრამ სად წავიდე? მასწავლებლობა დავიწყო? სკოლაში რასაც იძლევიან, კი იცი, გაამათხოვრეს პედაგოგები. თუმცა მხოლოდ პედაგოგები? ერთმა ჩემმა ნაცნობმა პოეტმა თითქმის მთელი გვერდი ლექსები დაბეჭდა მწერალთა გაზეთში და 6 ლარი გამოუწერეს ჰონორარი.

*— დედაშენმა თუ იცის, რას საქმიანობ?*

— ცხადია, არა. პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობ-მეთქი, — ვატყუებ.

*— სანამდე აპირებ ასე ცხოვრებას?*

— სანამ ცხოვრება არ დალაგდება ისე, რომ ჩემი დიპლომირებული პროფესიით თავის შენახვა შემეძლოს. მერე გავთხოვდები, შვილებს გავზრდი. რომ მოვხუცდები, ჩემს ქურდულ წარსულზე წიგნს დავწერ (იცინის)...

*— ბევრს შოულობ?*

— მე და დედაჩემს გვყოფნის. ის კი არა, ცოტ-ცოტას ვინახავ კიდეც.

*— არასოდეს არ ჩავარდნილხარ?*

— ეჭვის თვალითაც კი არავის შემოუხედავს.

*— რაიმე განსაკუთრებული მეთოდი გაქვს?*

— რა ვიცი, შეიძლება... საერთოდ, ამ დროს უმთავრესი „კლიენტის“ ყურადღების გაფანტვაა.

*— პიანისტის თითები გაქვს...*

— კოლეგებმა „ოქროსთითება დიანად“ მომნათლეს. სხვა სახელიც მაქვს — „ჯიბის მოცარტი“. თავადვე ხედავ: უნაკლო ტანადობა მაქვს. ხალხმრავლობაში მკერდით ავეკვრები „კლიენტს“ ან თეძოთი მივაწვები. იმას ელეთმელეთი მოსდის ჩემი სიახლოვისგან, ჯიბე კი არა, თავი ავიწყდება. ხოლო თუ ჩემი იდუმალი მზერით თვალებში ჩავხედე, ქამარიც რომ შევხსნა, გონს ვერ მოვა. ამასობაში თითებს ჯიბეში ჩავუცურებ და საქმეც წამებში მთავრდება.

*— უმთავრესად ვინ არიან შენი „კლიენტები“ — მამაკაცები თუ ქალები, მდიდრები თუ ღარიბები?*

— მხოლოდ მდიდარი მამაკაცები! ერთხელ მეტროს ვაგონში ვმუშაობდი. შევნიშნე — ორი ჯიბგირი ატმასნოდა სიმპათიურ მანდილოსანს, ხელჩანთა გაუხსნეს კიდეც. ჯიქურ ჩავუდექი შუაში, საფულე ამოვაცალე, იატაკზე დავაგდე, მერე დავიხარე, ავიღე, ქალს მივაწოდე და ვუთხარი — ქალბატონო, ეტყობა, ჩანთა შეუკრავი დაგრჩენიათ, საფულე დაგივარდათ, ინებეთ-მეთქი. მლოცა საბრალომ — ამდენი ხნის ნალოდინები ერთი თვის პენსია მედო შიგო.

*— ის ჯიბგირები?*

— დარჩნენ ხახამშრალნი. მდიდარს შუბლზე, ჩაცმულობაზე, ღიპზე აწერია, რომ ფული უდევს ჯიბეში. მათთან მუშაობისას საოცარი აზარტი მიპყრობს, თითქოს შურს ვიძიებ არა მარტო ჩემ გამო, იმათ მაგივრადაც, ვინც უმუშევარი, არასმქონე ან გამათხოვრებულია. მათხოვრობით ახლა ვის გააკვირებ... ნანახი გექნება, მეტროს სადგურ „რუსთაველთან“ ხშირად დგას ჩამოძონძილი მაწანწალა. ერთ დილას დავინახე, სადგურში შედიოდა კარგად ცნობილი ახალგაზრდა პოლიტიკოსი. ხელგამოწვდილი მათხოვრისკენ არც გაუხედავს. მივყევი. მატარებლის ვაგონში ხალხმრავლობა იყო. ტკიპასავით ავეკარი, ყველა ჩემი ხიბლი გამოვიყენე და პიჯაკის გულისჯიბიდან გატიკნილი საფულე ამოვაცალე... ორასი დოლარი და ორმოცდაათამდე ლარი ედო შიგ... უკან ამოვბრუნდი, „რუსთაველთან“ მდგარ მათხოვარს ათლარიანი მივეცი და ვუთხარი — შინ წადი და დაისვენე-მეთქი. კინაღამ გაგიჟდა სიხარულით. სხვა მათხოვრებსაც დავურიგე ფული.

*— გულახდილად მითხარი, დიანა, კლეპტომანია ხომ არ შეგეყარა?*

— არა. მიშოვე ნორმალური სამსახური და ჯიბგირობას მეორე დღესვე თავს დავანებებ.

*— ერთი კურიოზიც მიამბე და ამით დავამთავროთ...*

— მთელი ჩემი ცხოვრება კურიოზი არ არის?.. კარგი, მაინც გავიხსენებ რაიმეს... ერთი ახალგაზრდა კაცი გავიცანი, დავუახლოვდით ერთმანეთს, ბოლოს — ცოლად გამომყევიო, — შემომთავაზა. არ იყო ცუდი ბიჭი და — მოვიფიქრებ-მეთქი... ერთხელაც მეტროთი ვმგზავრობდით ერთად. ნაძალადევში ცხოვრობდა. საღამო იყო. ესკალატორზე შარვლის შესაკრავი გავუხსენი შიგ ჩემი სუნამონაპკურები ცხვირსახოცი ჩავუდე და ისევ შევუკარი. მე სამარშრუტო ტაქსით წავედი შინ... დილით დამირეკა — ეს რა მიყავი, შე იმნაირო, ცოლი გამექცაო... იმნაირის ხმა მესმის-მეთქი, მივახალე და ყურმილი დავუგდე...

**P.S.** არა, ნამდვილად არ ჰგავს „ჯიბის მოცარტი“ კლეპტომანს... რაც შეეხება დიანას ნამდვილ სახელსა და გვარს... დაველოდოთ, გამოაქვეყნებს თავისი ცხოვრების წიგნს და ყველაფერს ნათელი მოეფინება... ოღონდ კი დალაგდეს ეს ქვეყანა...

**ლერი ფალიაშვილი**

# „კვირის პალიტრა“ ჩემი გაზეთიცაა...

**„კვირის პალიტრის“ მთავარ რედაქტორს**

დამდეგი ახალი წელი მინდა მოგილოცოთ!..

გულწრფელად თქვენი გულშემატკივარი და პირველი მკითხველი ვარ... ჩემი ოჯახის ყველა წევრისთვის „კვირის პალიტრა“ სამაგიდო გაზეთია. ექსპრეს-ფოსტით ან ნაცნობის ხელით, აუცილებლად ვაგზავნით ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში, „იქაურები“ კი ლამინირებას უკეთებენ და ასე გადადის ხელიდან ხელში.

მომწონს ყველა რუბრიკა. ყველა სტატია შემოქმედებითი, შემეცნებითი ნაშრომია. აი, ცოტა ისტორიულ თემაზეც რომ წერდეთ მეტს...

თქვენი გაზეთით მე შვილიშვილებს და მალე შვილთაშვილსაც იქ, ლოს-ანჯელესში, წერა-კითხვაც უნდა ვასწავლო და ქართულ ზნეობასაც ვაზიარო. გაზეთი ერის სახეა...

... მალე საცხოვრებლად შვილებთან წავალ, წავალ სამუდამოდ, რაც სამწუხაროა, მაგრამ სხვაგვარად აღარც მე შემიძლია და აღარც ჩემს შვილებს...

ეს ბარათი პირად ბარათად ჩათვალეთ. იქიდან კი მიუხედავად ჩემი სოლიდური ასაკისა, ვაპირებ გამოგიგზავნოთ თქვენთვის საინტერესო მასალები. „კვირის პალიტრას“ მე კვირაში ერთხელ ამერიკაშიც მივიღებ, აუცილებლად!..

...ამ რამდენიმე წლის წინ სასწრაფო ოპერაცია დამჭირდა და მსოფლიოში ცნობილ კლინიკა „მედიკალინტერნეიშნელში“ აღმოვჩნდი. გამოირკვა, რომ წინა ოპერაცია, რომელიც ნაღვლის ბუშტზე გამიკეთდა, საკმაოდ რთული, უმაღლეს კატეგორიათა რანგისა ყოფილა. ქირურგის ვინაობა და კლინიკის მისამართი მთხოვეს. კომპიუტერში ბევრი ეძებეს ოზურგეთი და ქირურგი ლეო თოიძე. მერე ჯორჯიის შტატის ქირურგიის ცენტრს გადასცეს ჩემი მონაცემები და იქიდანაც რომ უარი მიიღეს, ჩემს გონზე მოსვლას აღარ დაელოდნენ და უფროს ვაჟს დაურეკეს...

ჩემს ქირურგს, ლეო თოიძეს, რეანიმაციის იმ განყოფილებაში, სადაც მე ვიწექი, ამერიკელმა ქირურგებმა ტაში დაუკრეს. სწორედ მათ, ჩემთვის უკვე ძვირფას ადამიანებს და ჩემს ქართველ ქირურგს ახალი წელი ჩემი გაზეთის მეშვეობით მინდა მივულოცო (დიახ, „კვირის პალიტრა“ ჩემი გაზეთიცაა).

**მადლობა თქვენ ყველას, მართლა დიდი მადლობა!**

***პატივისცემით ლიანა ტრაპაიძე***

# ღმერთო, განა შეიძლება ამქვეყნად ამაზე დიდებული რამე არსებობდეს

## მითიდან გადმოსულმა კოლხებმა გერმანელებს თავი მოაწონეს...



ირინე ლამბაშიძე



გერმანიაში, ქალაქ ბოხუმის სამთო მუზეუმში 28 ოქტომბერს გაიხსნა და ივლისის ბოლომდე გასტანს გამოფენა „საქართველო. განძი ოქროს საწმისის ქვეყნიდან“.

„აქ ვიხილეთ ანტიკური საქართველოს საოცარი სურათი, გამოფენა მეგზურობას გვიწევს ლეგენდების, ჯადოსნურ და საარაკოდ მდიდარ ქვეყანაში. აქ თავმოყრილი ნაკეთობები საქართველოს უმდიდრეს ისტორიას გვაცნობს და გვაახლოებს ამ ულამაზეს, საკვირველ მხარესთან“, — თქვა გერმანიის პრემიერ-მინისტრმა ვოლფგანგ კლემენტიმ გამოფენის გახსნაზე.

„სენსაციური, წარმოუდგენელი სასწაული“ უწოდა მრავლისმნახველმა გერმანულმა საზოგადოებამ და სპეციალისტებმა სამსჯავროზე გამოტანილ ანტიკური ხანის 1000-ზე მეტ ოქროს (ასლების სახით), სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის ნაკეთობას, რომელმაც პირველად დატოვა თბილისი, ერთი გერმანელი ჟურნალისტის თქმისა არ იყოს, „ბოხუმში თავის მოსაწონებლად“.

გამოფენა ორი ქვეყნის პრეზიდენტების — ედუარდ შევარდნაძისა და იოჰანეს რაუს მხარდაჭერითა და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის, არქეოლოგ ირინე ლამბაშიძის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის, ბოხუმის სამთო მუზეუმის დირექტორის, პროფესორ რაინერ ზლოტას, ამავე მუზეუმის პროფესორის ანდრეას ჰაუპტმანის და დოქტორ უნზალ იალჩინის ძალისხმევით მოეწყო.

უმთავრესი და სენსაციური ის გახლდათ, რომ გერმანელებმა ამ გამოფენისათვის ხომალდი „არგო“ ააშენეს სპეციალურად — ანტიკური მედეასა და იაზონის ხომალდი, რომელზედაც მისულ დამთვალიერებლებს ნიჩბების ნაცვლად სტენდები ხვდებოდა ქართული კულტურის ძეგლებით...

და როგორც ამბობენ, ყველა დიდი საქმე მცირედით იწყება.

...რედაქციაში გვეწვია ამ გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ქალბატონი **ირინე ლამბაშიძე,** რომელმაც მეტად საინტერესო მასალები წარმოგვიდგინა, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა ქართული კულტურის ძეგლების გამოფენას გერმანულ პრესაში (ქართულ პრესას კი აღნიშნული მოვლენის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერი გაუშუქებია).

— **ქალბატონო ირინე, რის საფუძველზე მოეწყო აღნიშნული გამოფენა?**

— რამდენიმე წლის წინ ბოხუმის სამთო მუზეუმში ჩემთვის საინტერესო საკითხებზე ვმუშაობდი და მუზეუმის თანამშრომლებს გავაცანი საქართველოს ისტორია. გერმანელები, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკად იცნობდნენ, ძალიან გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ ძველი კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე ლითონის მოპოვების და დამუშავების კულტურა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე ათასწლეულში უკვე არსებობდა, რომ აქ ფლობდნენ შენადნობების დამზადების საიდუმლოს, განვითარებული იყო ჭედური ხელოვნება, რისი დასტურიც არის ბოლნისში, აჭარაში, რაჭაში, სვანეთში, აფხაზეთში აღმოჩენილი მაღაროები, სახელოსნოები. ხოლო ანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ოქროს, ბრინჯაოს, ვერცხლის, რკინის უიშვიათესი ნაკეთობების სიუხვე მოწმობს, რომ ისინი ადგილზე კეთდებოდა. გერმანელებისთვის ეს აღმოჩენა იყო, დაინტერესდნენ და საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა და გერმანიის სამთო მუზეუმმა ერთობლივი კონცეფცია შეიმუშავეს. ამის შემდეგ დავიწყეთ გამოფენისთვის მზადება. მოსამზადებელი პერიოდი სამი წელიწადი გრძელდებოდა.

— **რამდენადაც ვიცით, ამ გამოფენაზე საქართველოს პრეზიდენტიც ყოფილა მიწვეული...**

— დიახ, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო იგი გამოფენის გახსნას არ დასწრებია, თუმცა კი ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი ჩამოვიდა ბოხუმში და რამდენიმე საინტერესო ხელშეკრულებასაც მოაწერა ხელი. ბოხუმის შემდეგ გამოფენა ვისბადენში გადავა. და ბოლოს მთელი თავისი ატრიბუტიკით საქართველოს დაუბრუნდება.

ამ გამოფენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საქართველო მსოფლიო ისტორიული მეცნიერების სფეროში ხვდება... მსოფლიო ისტორია ჩვენ გარეშეა შესწავლილი. ამიტომ არსებობს თეთრი ლაქები, სხვა ტერიტორიებზე აღმოჩენილი კოლხური ამა თუ იმ ნაკეთობის წარმომავლობა აბნევს მკვლევარებს და მცდარ დასკვნებს აკეთებენ. ამ გამოფენის შემდეგ ეს თეთრი ლაქები შეივსება. მეტსაც ვიტყვი, მსოფლიო ისტორია უნდა გადაიწეროს და შიგ საქართველომ თავისი კუთვნილი, ღირსეული ადგილი დაიკავოს.

...

„დოქტორ ირინე ლამბაშიძის თანადგომის და დიდი შრომის გარეშე ეს გამოფენა ვერ მოეწყობოდა... იგი შესანიშნავად ლაპარაკობს გერმანულად. გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ძვირფასი ექსპონატის ისტორია იცის, ზოგიერთი თავად მისი აღმოჩენილია. აქედან უმრავლესობას სპეციალისტები პირველად იხილავენ“.

***ანდრეას ჰაუპტმანი, „ვოხე“***

„ფანტასტიკური“ უწოდა პრემიერ-მინისტრმა ვოლფგანგ კლემენტმა იმ ინტერესს, რაც გერმანელმა ხალხმა ამ გამოფენის მიმართ გამოიჩინა. ასეთი რამ არ ახსოვთ, რომ უზარმაზარ საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებელი არ დატეულიყო და საზეიმო გახსნისთვის მეზობელ დარბაზებში დიდ ეკრანებზე ედევნებინა თვალი.

***რამდენიმე ციტატა გერმანული პრესიდან:***



„საქართველოს გერმანელები მხოლოდ „წითელი მეფის“ იოსებ სტალინის სამშობლოდ, აფხაზეთთან დაუსრულებელი კონფლიქტით და პრეზიდენტ შევარდნაძის სამშვიდობო პოლიტიკით იცნობდნენ, კიდევ ანტიკური ხანის მითოლოგიით და კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანით, ახლა კი ამ გამოფენის ნახვის შემდეგ ვხვდებით, რატომაც მიადგა ბერძენი იაზონი არგონავტებითურთ კოლხეთის ნაპირებს. აქ მას „იშვიათი ხარისხის ბრინჯაო, ოქრო, რკინა, სპილენძი, ვერცხლი ეგულებოდა. იასონის მიერ ოქროს საწმისისთვის ბრძოლა სხვა არაფერია, თუ არა ანტიკური ხანის ლაშქრობა უძვირფასესი ლითონის ხელში ჩასაგდებად, რაც შეიძლება დღევანდელ ნაკეთობისთვის ბრძოლას შევადაროთ“.

***NRZ***



„საქართველო არა მარტო ნაყოფიერი მხარეა, არამედ მადნეულითაც მდიდარი. უძველესი დროიდან აქ მდინარეებში ოქროს ქვიშას ქვა-ღორღისგან ცხვრის ტყავებით ასუფთავებდნენ. ოქრო ცხვრის ბეწვს ეწებებოდა და ამიტომაც იქცა „ოქროს ვერძი“ სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლოდ.

და ჰკიდია აქ ერთ-ერთ ვიტრინაზე „ოქროს ვერძის“ ტყავი, იქვე აწყვია ხანჯლები, სატევრები, დანები და უამრავი სხვა ნაკეთობა, რაც ამ ქვეყანაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინ სამჭედლო საქმის არსებობას ადასტურებს. კარგად ჩანს, რომ ყველაზე მეტად ბრინჯაოს და რკინას იყენებდნენ. ვანის სამარხებში აღმოჩენილი ოქროს სამაჯურები მშვენიერებით და ფილიგრანული სინატიფით არაფრით ჩამოუვარდება ტროას ძვირფასეულობას. არქეოლოგებმა ყურადღებით შეისწავლეს ლითონი, რომლითაც აქ წარმოდგენილი ნაკეთობებია დამზადებული და დაადგინეს, რომ ეს სპილენძის და დარიშხანის ნაერთია“.

***„შტატშპიგელ ბოხუმი“. ბოებერს-ზიგსმანი***

„ნაკეთობისთვის ოქროს ბრწყინვალების მისანიჭებლად სპილენძს კალას ურევდნენ. ამ მინარევით მზადდებოდა უმშვენიერესი სამკაულები, მათ შორის, მზის დისკო, რომელსაც, ალბათ მზის ქურუმ ქალებს დასაფლავებისას მკერდზე ადებდნენ. ამ დისკის ორნამენტები არასოდეს მეორდებოდა. მამაკაცების სამარხებში კი ნაპოვნია იშვიათი ოსტატობით დამზადებული ბუნიკები, საკინძეები.

მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ქართველებმა ფოლადის წრთობის საიდუმლოც იცოდნენ, რისგანაც ძირითადად იარაღს, სატევრებს, ხანჯლებს ამზადებდნენ.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რომლებსაც ჩვ. წ. აღ-მდე V ათასწლეულში ასეთი მაღალგანვითარებული ცივილიზაცია ჰქონდათ, არავინ იცის. ენა, რომელსაც არც ერთ ევროპულ ენასთან საერთო არაფერი აქვს, ბასკურს ჩამოჰგავს. მხოლოდ ერთი რამ არის ფაქტი: ამ ნაყოფიერი ველების, წყალუხვი მდინარეების და კლდოვანი მთების ბინადრები შრომისმოყვარენი და მაღალი კულტურის ქვეყნის შვილები იყვნენ. ამას აქ გამოფენილი ნივთები მოწმობს“.

***ზიგფრიდ გუსიკი***

„სამთო მუზეუმში გამოფენილი ნაკეთობები გატყვევებს და გიკვირს, თუ რისი გაკეთება შეძლებია ადამიანის მარჯვე ხელს ჯერ კიდევ 7000 წლის წინ — უნატიფესი სამკაულების, პატარა დანების, საკინძეების და სხვა.“

***უნზალ იალჩინი***

„როცა ჩაუვლი დიზაინერ დეტლეფ ვოლფელის ვიტრინებს, რომლებიც ზემოდან ნათდება და შიგ მოთავსებული ცხოველების ნატიფ სკულპტურებს, ამულეტებს, სამკაულებს მთელი თავისი მშვენიერებით წარმოაჩენს, ფიქრობ, ღმერთო, განა შეიძლება ამქვეყნად ამაზე დიდებული რამე არსებობდესო. ამ დროს მიადგები უბრწყინვალეს მზის დისკოს და გაოგნდები.

დიახ, კვლავ აღსდგნენ მითოლოგიური კოლხები და გერმანელების წინაშე სწორედ მათ მიერვე დამზადებული მზის დისკოს ბრწყინვალებით წარდგნენ“.

***ოდო დრაიერი***

# კავკასიელი ტყვეები

**პანკისის ხეობის ტყვეობიდან გამოხსნილი ესპანელი ბიზნესმენები ფრანსისკო როდრიგესი და ხოსე ანტონიო ტრემინო თბილისში შიშით ხმას ვერ იღებდნენ, ხოლო სამშობლოში ჩასვლისთანავე ენა ამოიდგეს...**

„სექტემბრის ერთ ღამეს თავზე ტომარაჩამოცმულები ტყეში გაგვიყვანეს, დაგვაჩოქეს, მობილური ტელეფონი მოგვცეს ხელში და გვიბრძანეს, კიდევ ერთხელ გაგვემეორებინა ახლობლებისთვის: „იშოვეთ ფული და გადაიხადეთ“. თან გვცემდნენ, რომ მათ ჩვენი ყვირილი გაეგონათ. ტყვეობის მეათე თვე იწურებოდა, ბოლო დღეებში ჩვენი გამტაცებლები სულ გამხეცდნენ — ყველა წვრილმანზე გვცემდნენ. დახველებაც არ შეგვეძლო, ხმა რომ არ გასულიყო იმ ჭუჭყიანი თავლიდან, სადაც შეგვყარეს. ორი ჩეჩენი გვყავდა მოჩენილი. მათ გვითხრეს, პანკისის ხეობაში ხართო“, — ყვება ფრანსისკო როდრიგესი.

როდრიგესი უკრაინაში ხეტყეს ყიდულობდა და ევროპაში გზავნიდა, რუსულიც ცოტაოდენი იცის. გატაცებამდე სამჯერ ყოფილა თბილისში, სადაც მისი ფირმა ფილიალის გახსნას აპირებდა. ერთხელ, ერთ-ერთმა ახალმა პარტნიორმა, შედარებით იაფად ბრილიანტებით მოოჭვილი უნიკალური ძველებური კოლიე შესთავაზა, რომელიც ვითომდა ბანკის სეიფში ინახებოდა. მაგრამ რადგან ფრანსისკოს ძვირფასეულობისა არაფერი გაეგებოდა, ამიტომ მადრიდში თავის მეგობარ ხოსე ანტონიო ტრემინოს — იუველირსა და ანტიკვარს უამბო ამის შესახებ და საქართველოში გამგზავრება ურჩია. კოლიე, რასაკვირველია, თვალით ვერ იხილეს — ახლა კი დარწმუნებული არიან, რომ სამკაული ბანდიტების დაგებული ხაფანგი იყო. აეროპორტის გზაზე მეგობრები ორმა ქართული პოლიციის ფორმიანმა ადამიანმა გააჩერა, თავში რაღაც ჩასცხეს და გაბრუებულები ძველ „ოპელში“ გადაათრიეს.

ესპანელები სადღაც ჯურღმულში მოეგნენ გონს. ერთმანეთზე მოკლე ჯაჭვით იყვნენ გადაბმულნი. ასე გაიარა რვა თვემ.

სოროში იდგა ხის ვიწრო საწოლი, რომელზეც რწყილებდახვეული ცხვრის ტყავი ეგდო და სანთლის ნატეხი ბჟუტავდა. ჯაჭვი, რომლითაც ტყვეები იყვნენ დაბმულნი, გარეთ იყო გატანილი და ბოქლომით დაკეტილი. ისე რომ, მცველები იმისდა მიხედვით, თუ როგორ დაიჭიმებოდა ჯაჭვი, ხვდებოდნენ, ისხდნენ თუ იწვნენ პატიმრები. სიარული შეუძლებელი იყო. პირველ ხანებში ცოტ-ცოტას კი აჭმევდნენ, მერე კი „დიეტაზე“ გადაიყვანეს.

„პირველად გამტაცებლებს ორი კვირის შემდეგ შევხვდით — შემოვიდა შავად შემოსილი მაღალი კაცი და რაღაც დაგვიყვირა რუსულად, ფრანსისკომ უთხრა, — ვერ გავიგეო და ისეთი სილა მიიღო, რომ კედელს შეენარცხა. განრისხებულმა კაცმა თმით ითრია, თან ღრიალებდა, — მასონები, ებრაელები, მილიონერები და ნარკოტიკებით მოვაჭრენი — სიკვდილის ღირსნი ხართო და გათავისუფლებაში 7 მილიონი დოლარი მოითხოვა. თუ 15 დღეში ფული არ იქნება, ერთს დავხვრეტთ, მეორეში კი, 5 მილიონს დავჯერდებითო.

ამხელა ფული ჩვენს ოჯახებს არ ჰქონდათ. ასე გავიდა 15 დღე, მერე ზამთარიც მიიწურა. არავის გავხსენებივართ. მხოლოდ ა.წ. 1 ივნისს მოგვიკითხეს. მოვიდა ორი სამხედროფორმიანი „კალაშნიკოვიანი“ კაცი, წერილი დაგვაწერინეს ჩვენ ცოლებთან და ფირმებთან, რომ ჩვენი გამოსასყიდი გადაეხადათ. ახლა თანხა საგრძნობლად შემცირებული იყო — მილიონი დოლარი. საოცარია, მაგრამ წერილმა ადრესატებამდე მიაღწია.

ივლისში სარდაფიდან გამოგვიყვანეს და სადღაც ხევში ჩაგვიყვანეს, მერე რაღაც ფურგონში ჩაგვსვეს, სადაც შვიდი სამხედროფორმიანი შეიარაღებული ჩეჩენი და ორი სამოქალაქო პირი იჯდა. ეს უკანასკნელნი, როგორც შევატყვეთ, ქართველები იყვნენ. გაგვაფრთხილეს, ჩუმად იყავითო და ზურგზე პისტოლეტები მოგვაბჯინეს. ვერაფერს ვხვდებოდით, რა ხდებოდა, მაგრამ ერთ-ერთ გამშვებ პუნქტზე მანქანიდან დაიძახეს: ყველაფერი რიგზეა, ეს ქართველი ტყვეებიაო. თავისუფლად გაგვატარეს. ცხადი იყო, ან ვიღაცაზე გაგვცვალეს, ან სხვა ბანდას მიგვყიდეს. ახლაც არ ვიცით, სინამდვილეში რა მოხდა.



მერე კი 25 კილომეტრი სადღაც მთებში მივლასლასებდით, მდინარე გადავიარეთ და 8 თვის მანძილზე პირველად ვიბანავეთ და გავიპარსეთ. მერე გვითხრეს ვიღაცამ გამოგისყიდათ, მაგრამ ფულს ჩვენამდე არ მოუღწევია და კიდევ უნდა გადაიხადოთო... ისევ გზას გაგვიყენეს. თითქოს მდევარს გავურბოდით, ადგილსამყოფელს წარამარა ვიცვლიდით, კვლავ ტყე-ტყე გვახეტიალეს. ჩეჩენი მცველები გვეუბნებოდნენ, — რუსეთთან საომრად ფული გვჭირდებაო. სექტემბერში რიგით მეცხრე სადგომში აღმოვჩნდით. აცივდა. ეტყობა, რაღაც შეიცვალა, რადგან კვლავ მობილურით დაგვარეკინეს, თანაც ფრანსისკოს ტყუილი ათქმევინეს, — ხოსე ანტონიოს ყური მოაჭრესო. ჩეჩნები მასხრად გვიგდებდნენ, — პისტოლეტს შუბლზე მიგვადებდნენ, ჩახმახს გამოკრავდნენ — აბა, გეშინიათ თუ არაო. ჩვენ კი შიშის გრძნობაც დავკარგეთ მგონი, მხოლოდ ვლოცულობდით და ერთმანეთს ვამხნევებდით. მერე რაღაც სამხედრო ბაზაზე გადაგვიყვანეს, ახლა მარიხუანით დაბოლილი იქაური სამხედროები იყრიდნენ ჯავრს ჩვენზე. მერე ისევ დაგვარეკინეს ცოლებთან — ახლა სხვა შუამავლისთვის უნდა გადაეხადათ ფული. მივხვდით: ჩვენს მოცილებას ჩქარობდნენ, რაღაც შეიცვალა“.

ნამდვილად შეიცვალა სიტუაცია. ყოფილი მძევლები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩეჩნები ქართველ პოლიციელებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ, ეს მათი საერთო ბიზნესი იყო. ხოლო როდესაც საქართველოს შსს-ს ხელმძღვანელობა შეიცვალა, მფარველები გამოეცალათ და გადაწყვიტეს, მოესწროთ და რაღაც მაინც დაეცანცლათ ესპანელებისთვის.

ფრანსისკოს მეუღლე მადრიდიდან ფულით ჩამოფრინდა და გამტაცებლებს დაუკავშირდა. ამჯერად მოლაპარაკება შედგა. ესპანეთის გაზეთები ირწმუნებიან, რომ ბანდიტებმა 650 ათასი დოლარი მიიღეს. ყოფილი კავკასიელი ტყვეები ამაზე დუმილს ამჯობინებენ. მთავარია, ორივე ცოცხალია.

***ელ პრადო***
***მადრიდი***

# ბავშვებო, გილოცავთ ახალ წელს!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვინითხობენ

**5 წლის ბექა ირემაშვილმა** შუაღამისას ატეხა ყვირილი:

— მიშველეთ, მგელმა შემჭამა.

მშობლები აწყნარებდნენ:

— ნუ გეშინია, შვილო, შინ ხარ, აქ მგელს რა უნდა.

— ეე, შემჭამა უკვე და... ამოიკვნესა ტირილითა და სინანულით ბექამ.

* * *

**4 წლის ნინო დოგრაშვილი** დედას უზის კალთაში, მამაც იქვეა. ნინო ხმამაღლა ნატრობს:

— ნეტა ორი თავი მქონდეს — ერთს დედას ჩავუდებ კალთაში, მეორეს კი — მამას.

* * *

ბახმარო. ხის სახლი. დილა. წამოდგა თუ არა **პატარა დათუნა** ღამის ქოთნიდან, დედამ მიაძახა:

— დაახურე თავზე.

— ჩავარდება, — უპასუხა დათუნამ.

— დაახურე-მეთქი, თავზე!

— ჩავარდება!

— ახლავე დაახურე თავზე, ჩქარა!

დათუნა იღებს თავის კახურ ქუდს და მიაქვს „დასახურავად“.

— არ დაახურო, არ დაახურო!..

— ხომ გითხარი, ჩავარდება-მეთქი, — ამბობს დათუნა.

* * *

**3 წლის გიორგი ბეკურაშვილმა** პარასკევს დედას უთხრა:

— დედიკო, დღეს ბაღში მივდივარ?

— კი, დედა, მიდიხარ, ხვალ და ზეგ აღარ წახვალ.

შაბათს გიოს ბებო ეკითხება:

— გიო, ბაღში არ წახვალ?

გიომ უპასუხა:

— ბებო, ხვალ ხო ვიყავი ბაღში?

* * *

**2 წლის დათა თადუმაძე** ეკითხება ბებიას:

— კაკლის ჭამა არ შეიძლება?

— არა, — პასუხობს ბებია.

— როდესაც ნიგოზი გახდება, მაშინ ხომ შეიძლება?

როგორც ხედავთ, თოვლის ბაბუას თბილი ქვეყნებიდან ცხოველები ესტუმრნენ. შეიტანეთ კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ ახალი წლის ფეხბედნიერი სტუმრის სახელს.






გამოიცანი, რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა

მიიყვანე თოვლის ბაბუები ნაძვის ხესთან








დაეხმარე სანტა-კლაუსს საჩუქრების სწორად განაწილებაში



გამოიცანი, საგანთა რომელ ჯგუფს რომელი ნიშანი მიესადაგება



ვინ რომელი ნაკვალევი დატოვა?

შეაერთე ხაზებით ერთნაირი ხელთათმანები



## იპოვეთ 19 განსხვავება



## 1 რებუსი



## კროსვორდი

| ქართველი მწერალი ქალი ანა... | ზღაპრული ცხენი | ასის მეხუთედი | ჩიტების ციხე | გოჩას მეგობარი „მამლუქიდან“ | მეექვსე ნოტი |
|---|---|---|---|---|---|

| ახალი წელი გურულად | მტაცებელი ფრინველი | ... მღვიმელი | პატარა მარხილი | მდინარე საქართველოში | სიმინდის ხმელი ფუჩეჩი ანუ... |
|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 32-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაკა ხუციშვილმა



# თურმე „ფასიანზეც" ფულით ეწყობა ხალხი...

## ბაბუა რომ ბუხრის წინ მოიკალათებს და მთვლემარეს რომ არაფერი აინტერესებს, ეგრეა ჩვენი საქმე...

„შეგიძლიათ, 50 წლის ბავშვი წარმოიდგინოთ? — სწორედ ასეთ მდგომარეობაშია დღეს თქვენი ქვეყანა. თქვენ მრავალსაუკუნოვანი კულტურა და ისტორია გაქვთ, მაგრამ სახელმწიფოს ახლა აშენებთ და ვერა და ვერ აგიშენებიათ, იმიტომ, რომ „აგურებს" წამდაუწუმ იპარავენ...", — ეს სიტყვები ერთ-ერთმა უცხოელმა დიპლომატმა მითხრა პირად საუბარში. ვფიქრობ, მისი მოსაზრება სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს. საინტერესოა, მაინც რატომ ვერ ვეღირსეთ ქართველები ნანატრ სახელმწიფოებრიობას? — მიუხედავად იმისა, რომ უკვე ათეული წელია, თავისუფლები ვართ...

ვესაუბრებით ბატონ **ვახუშტი კოტეტიშვილს**:

— რასაკვირველია, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს იმ ეროვნული მენტალიტეტის დამკვიდრებას, რაც ოდითგანვე მოგვდგამს ქართველებს და იმით ვართ საინტერესო, რომ, ვთქვათ, არ ვგავართ არც ფრანგს, არც ინგლისელს, არც მონღოლს და არც ირანელს. ჩვენ ჩვენი სახე გვაქვს, ჩვენი ადათ-წესები და მრავალსაუკუნოვანი კულტურა. თაობიდან თაობას ასეთი რამეები გენეტიკურად არ გადაეცემა და, რასაკვირველია, ყველაფერ ამას მოფრთხილება და პატრონობა სჭირდება, მაგრამ პატრონი არ არის. ან კი არსებობს დღევანდელ საქართველოში რომელიმე დარგი, პატრონი რომ ჰყავდეს და მისი ხელი ეტყობოდეს? ჩვენ ხომ ლოზუნგების ქვეყნად გვაქციეს ბოლშევიკებმა... მივეჩვიეთ ალბათ და დღესაც ხშირად გაიგებთ ბევრ უცნაურ ლოზუნგს — ვთქვათ, როგორიც არის: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს". მე ამ პარტიისა თუ მოძრაობის საწინააღმდეგო, თავისთავად, არაფერი მაქვს — ღმერთმა გაუმარჯოს გოგი თოფაძეს, მშვენიერ ლუდს ასხამს... მაგრამ მრეწველობა საქართველოს ვერ გადაარჩენს. იგი სულიერებამ უნდა გადაარჩინოს, რომელიც დღეს ნულამდეა დასული, ვინაიდან სულიერება არ არსებობს მთავრობაში, არ არსებობს პარლამენტში — სადაც უნდა ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ ამაზე... ხშირად მოგვდგებიან ხოლმე და გვიყიყინებენ — სად არის ქართული ინტელიგენცია, რატომ ხმას არ იღებსო... ვიღებთ ხმას, მაგრამ ვინ გვისმენს. თორემ, ჩემზე გაცილებით უფრო უკეთესი და ღვაწლმოსილი ხალხი ყოფილა, მუდამდღე რომ მოთქვამდნენ ერის ამ სულიერი გალატაკების გამო. პირადად მთელი ჩემი მოღვაწეობაც ამ სულიერი კულტურის აღორძინება-განმტკიცება იყო, რომელიც გამოგვარჩევდა ქართველებს სხვა ერებისგან, დღეს კი სავალალო მდგომარეობაში ვართ... ქართულ ტელევიზიას შეხედეთ, განა მას ეროვნულობის რაიმე ნატამალი სცხია?! მე დიდ და გამორჩეულ ეროვნულ მოღვაწეობაზე პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს და არც ის მინდა, საყვედურად ჩამითვალოს ვინმე — მაგრამ ფაქტი ხომ ის არის, რომ I არხზე გადაცემა დამიხურეს — სპონსორი იშოვეო... თურმე, მხოლოდ მე უნდა ვიწანწალო კარდაკარ და ბიზნესმენებს ვეხვეწო, ორიოდ გროში გამოიმეტეთ, ხალხს ხალხური შემოქმედება რომ არ დაავიწყდეს-მეთქი... ერთ დროს არც ამას ვერიდებოდი, მაგრამ გამოვტყდები და მომბეზრდა მათხოვრობა...

> **ის, რაც დღეს ქართულ ესტრადაზე ხდება, სხვა არაფერია, თუ არა უსმენობის, უკულტურობისა და კიდევ უარესი — უნამუსობის ზეიმი...**

თუ ტელევიზიაში ეთნოგრაფიული გადაცემა შეწყდება, თუ ერქომაიშვილის გადაცემა გაჩერდება, თუ ხალხს ნაღდ ქართულ ცეკვას აღარ ვაჩვენებთ... თვალი გადაავლეთ იმ კლიპებსა და საესტრადო სიმღერებს, დღეს რომ იდგმება და იმღერება — როკსაც ვაფასებ, ჯაზსაც და თავის დროზე თავგადაკლული მელომანიც გახლდით, მაგრამ ის, რაც დღეს ქართულ ესტრადაზე ხდება, სხვა არაფერია, თუ არა უსმენობის, უკულტურობისა და კიდევ უარესი — უნამუსობის ზეიმი... მასე, ამათ შემხედვარეს, მეც რომ ამელო ნამუსზე ხელი, ჩემი ხმის პატრონს, ალბათ, ლუი არმსტრონგად გამომაცხადებდნენ „იმიჯმეიკერები"... ყველაფერი ამის შემდეგ, დარჩება კი რაიმე ქართული ჩვენს ცნობიერებაში, გადაგვარებული და გადაჯიშებული ჭამა-სმის, ველური როკვისა და უსმენო ბღავილის მეტი?! მერე ყველა ერთად დავსხდეთ და წუწუნსა თუ მოთქმა-ტირილში გავასვენოთ ის, რასაც ეროვნული მენტალიტეტი და ქართული სულიერება ჰქვია...

— **ამ ცნებებს საფრთხე თითქოს მაშინ უფრო დაემუქრა, როცა თავისუფლებას მივაღწიეთ... რა მოხდა, არ ყოფილა ქართველი ხალხი თავისუფლების ღირსი? ვერ შევიშნოვეთ თუ ვერ ვიგუეთ თავისუფლება?**

— თავისუფლება მძიმე ტვირთია... არც ქართველი ხალხია ეგრე ადვილად გასამტყუნარი და გასალანძღი... ბოლშევიკებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ქართველი ერი ცხვრის ფარად ექციათ. ეს არ იყო ადვილი... ჯერ 1924 წელს, სარკინიგზო ვაგონებში დაგვიხვრიტეს მებრძოლი სული; 37-38 წლებში „ღამეული ვიზიტებით" საქართველოს თავი მოაჭრეს, 56-ში კი უკვე ფარად ქცეული ხალხის ნებაც მოკლეს, როდესაც ათასობით ადამიანს ტყვია დაუშინეს... მაშინ კი გვიმძიმდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან თურმე იმ „ცხვრის ფარაში" ცხოვრება ბევრად უფრო ადვილი იყო, ვიდრე დღეს, თავისუფლებაში. მთავარი იყო, ფარას იქით გაჰყოლოდი, საითაც მწყემსი გაირეკავდა და გზიდან არსად გადაგეხვია — არაფერი გეკითხებოდა და პასუხისმგებელიც არაფერზე იყავი, ყველას მაგივრად „დიდი პარტია და მისი ბელადი" ფიქრობდა. ხალხიც მიეჩვია მწყემსსა და სახრეს. დღევანდელი გაწუკითხაობის შემყურეთ, ახლაც ხშირად აღმოხდებათ ხოლმე, მაგარი ხელი სჭირდება ქვეყანასო — ეს მაგარი ხელი ხომ სხვა არაფერია, თუ არა სახრე... მაგარი ხელი რომ იქნება, ასე უკიდეგანოდ ვეღარ იქურდებენო, საწყალ ხალხს ესლა დარჩენია სანატრელად. როდესაც ასე თუ ისე თავისუფლების წინაშე აღმოვჩნდით, მერეღა გავარკვიეთ, რომ თურმე არ ვიცოდით, ამ თავისუფლებისთვის რა გვეყო, რა ხილი იყო და რაში მოგვეხმარა. ლოგიკის ამბავია — როდესაც ამა თუ იმ ნივთის ხმარება არ იცი და ვერაფერში იყენებ, რაოდენ ძვირფასიც არ უნდა იყოს, გინდ გქონია და გინდ არა — ის შენი არ არის...

— **ალბათ, ეს კიდევ ერთხელ განასხვავებს ერთმანეთისგან შინაგან და გარეგნულ თავისუფლებას...**

— ასეა. ერთი შეხედვით, უცნაური რამ ხდება — დღეს ხომ ცენზურა აღარ არის, ილაპარაკე, რაც გინდა, არავინ გიჭერს. მაგრამ საზოგადოების ამჟამინდელი ჭირიც სწორედ ამაში მდგომარეობს — კომუნისტების დროს, სადმე თუნდაც ერთი თავისუფალი სიტყვა რომ გაგეპარებინა, მთელ ქალაქს შემოივლიდა და თავის მიზანსაც უთუოდ მიაღწევდა. ახლა, იკივლე და იწივლე თუ გინდა, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის". ფასი დაკარგა სიტყვამ... აქედან გამომდინარე, აზრმაც, მოქალაქეობრივმა პათოსმა და ყველაფერმა, რაც კი თავისუფალი, ნორმალური სახელმწიფოს არსებობასთან არის დაკავშირებული.

— **რა არის ამის მიზეზი?**

— მთავრობა დარწმუნდა, რომ ჩვენთან პიროვნება არ არსებობს. დამოკიდებულება მთავრობისა ხალხისადმი იგივეა — ცხვრის ფარა, მწყემსი და სახრე.

— **უბრალოდ, პრეტენზიები ჩნდება ხოლმე მწყემსის მიმართ, — „კარგ საძოვარზე" რად არ დაგვაყვართო, სახრე ყველას ერთნაირად რად არა ხვდებაო...**

— ასეა. და როდესაც თქვენგან ნახსენები მიზეზების გამო, ეს ცხვრის ფარა ბრბოდ იქცევა, შეეშინდებათ ხოლმე და პატარ-პატარა დათმობებზე მიდიან. ისევე, როგორც ახლახან მოხდა — ვითომ, მთავრობა დაიშალა, სტუდენტობა რომ დაწყნარებულიყო. შედეგი? თითქმის იგივე მთავრობა დაგვიმტკიცეს, ოღონდ დიდი ბასტი-ბუბუთი და აჟიოტაჟით... საქმე ის კი არ არის, თუ ვინ იჯდება ამა თუ იმ მინისტრის სავარძელში. სისტემაა თავიდან ბოლომდე შესაცვლელი, რათა ყველაფერი დღევანდელივით ერთ კაცზე არ იყოს დამოკიდებული...

— **დღეს ხომ ყველამ იცის, რომ ნებისმიერი სახელმწიფო მოხელის ადგილს მხოლოდ ფულის გასაკეთებლად იკავებენ, რომ ყველგან და ყველაფერში ჯერ პირადი ინტერესები კმაყოფილდება, მერე კი — სახელმწიფო... ვითომ იმ „ერთმა კაცმა", რომელზეც სამწუხაროდ, ყველაფერია დამოკიდებული, არაფერი იცის?**

— ძალიან კარგად ვიცი, ჩვენი პრეზიდენტის თავს რაც ხდება — შემიძლია, სხვებსაც ავუხსნა. როცა კაცი ასაკში შედიხარ, დიდი ცვლილებები და აურზაური არ მოგწონს. გირჩევნია, სიმშვიდე იყოს, სიწყნარე, ცხოვრება ძველ კალაპოტში მიედინებოდეს... რაღაც სიახლეებზე ფიქრი, ზრუნვა და ბრძოლა ძალიან ძნელია — მოკლედ, ბაბუა რომ ბუხრის წინ მოიკალათებს და მთვლემარეს, ქვეყნად არაფერი აინტერესებს, აი, ეგრეა ჩვენი საქმე.

— **მაგრამ არც პრეზიდენტია „კეთილი ბაბუა" და მაინცდამაინც არც ჩვენი მინისტრები ჰგვანან ბუხართან უწყინრად მოთამაშე ბავშვებს...**

— ამიტომაც ახალგაზრდა, ენერგიული კაცი გვჭირდება. კომუნისტების დროს ჩამოყალიბებული მენტალიტეტის მქონე თაობის კაცი, რაც არ უნდა ძლიერი მოაზროვნე იყოს, მაინც ვერ ივარგებს. ახალგაზრდა, სხვა ცნობიერების მქონე პიროვნებაა საჭირო. თაობა უნდა მოვიდეს, რომელსაც თავისუფლების ყადრი ეცოდინება და ქართველობის პასუხისმგებლობა ექნება...

— **მაგრამ დღევანდელ ყოფაში, თქვენ მიერ აღწერილ გარემოში ასეთი თაობა როგორ გაიზრდება? ნებისმიერ ბავშვს რომ ჰკითხოთ, თუ რატომ უნდა გახდეს, ვთქვათ, პოლიციელი ან თუნდაც მინისტრი — პასუხი ერთი და იგივე იქნება — „რომ ბევრი ფული ვიშოვო"...**

— მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. ალბათ, გახსოვთ, ვინ ითვლებოდა კომუნისტურ საქართველოში „კარგ კაცად" — ის, ვინც უფრო ბევრ ფულს შოულობდა და ხარჯავდა იოლად. პატიოსანი, მშრომელი კაცი სულელად ითვლებოდა. დღესაც ასეა, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მავანნი „დიად საბჭოეთს" კი არა, საკუთარ სამშობლოს ხრავენ და ძარცვავენ. მომისმენია, როგორ ტრაბახობდნენ — შვილი იურიდიულზე მოვაწყვე და 20 ათასი დამიჯდაო... ეგ კი არა, გადავირიე, კაცო, თურმე „ფასიანზეც" ფულით ეწყობა ხალხი. აბა, ასე რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებს ვინმე, მერე ქრთამებით დაამთავრებს და სამსახურშიც ქრთამებითვე მოეწყობა, რა გასაკვირია, მგელივით რომ იყოს და მარტო იმაზე იფიქროს, ვის რა წაგლიჯოს?!

— **ზემოთ „ერთ კაცზე" დამოკიდებული ქვეყანა ახსენეთ. დღესდღეობით ამ კაცს საკუთარი ხალხი ერთსულოვნად ლანძღავს და აგინებს. ხომ არ შეიძლება, დაუსრულებლად იყო პრეზიდენტი, ან მთელი სიცოცხლე კბილებამდე შეიარაღებული დაცვის თანხლებით იარო... თუ თავი არ გეფიქრება, იმაზე ხომ მაინც უნდა იფიქრო, პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს რომ მოჭრა კბილი...**

— მეც ეგ გამკვირვებია. ალბათ, რაღაც გარკვეული ზღვრის შემდეგ ფხიზელი აზროვნების უნარი ეკარგება ადამიანს... თორემ ამ ქვეყანაზე მადლიერი ხომ უნდა დატოვო ვინმე. როგორ შეიძლება არ იფიქრო იმაზე, თუ შენს შთამომავლობას რას უტოვებ? — აქ, რა თქმა უნდა, ზნეობრივ ფასეულობას ვგულისხმობ... თუკი მე ვფიქრობ ჩემს შვილებსა და შვილიშვილებზე, ის რატომ არ ფიქრობს? მე პირადად, მამაჩემის მადლი დღემდე მაცოცხლებს და მომყვება. მიუხედავად იმისა, რომ ორი წლის ვიყავი, როდესაც მამა დამიხვრიტეს, მისი ჩადენილი კეთილი საქმეები მთელი ცხოვრება წინ მხვდებოდა და მეშველებოდა... მაგრამ, როგორც ჩანს, ამაზე არც ფიქრობენ... იცით, ალბათ ესეც კულტურის ამბავია. ჯერ ერთი, შე დალოცვილო, ვიღაცა ხარ, ამხელა ქონება რა ჯანდაბად გინდა, თან ხომ ვერ წაიღებ? ვერც ცას გამოეკერები. მადლი ქენი და კარგი სახელი დატოვე, არ გირჩევნია? მაგრამ, არ ესმით და რად გინდა...

> **თურმე არ ვიცოდით, ამ თავისუფლებისთვის რა გვეყო, რა ხილი იყო და რაში მოგვეხმარა. ლოგიკის ამბავია — როდესაც ამა თუ იმ ნივთის ხმარება არ იცი და ვერაფერში იყენებ, რაოდენ ძვირფასიც არ უნდა იყოს, გინდ გქონია და გინდ არა — ის შენი არ არის...**

— **ბოლო დროს, ახალგაზრდა პოლიტიკოსებს რატომღაც ხშირად ეკითხებიან ე.წ. „ქუჩის აკადემიის" შესახებ. ეს უკანასკნელნიც დიდი სიამაყით ადასტურებენ ხოლმე, რა თქმა უნდა, ამ აკადემიის გარეშე კაცად როგორ ვიქცეოდიო. თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა არსებობს თბილისის ქუჩებში პრესტიჟული „აკადემია"?**

— დღეს არავითარი „ქუჩის აკადემია" არ არსებობს. როგორ შეიძლება საკუთარი დედის გინება და ნარკომანობა აკადემია იყოს? განა დღეს თბილისის ქუჩებში სხვა რამეს ისწავლის ბავშვი?! თუმცა, ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ქუჩაში მეც გამიტარებია, მაგრამ მაშინ სხვანაირი ფასეულობები არსებობდა... მახსოვს, საღამოს 7 საათზე რუსთაველზე უნდა ვყოფილიყავით დარჭობილი — კარგი სამსახურივით, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი ხოლმე, გეგონება, ათი წუთით რომ დამეგვიანა, ვინმე იქ აღარ დამხვდებოდა „ლაღიძის წყლებთან" ატუზული... ხანდახან სუფრას თუ გამოვკრავდით ხოლმე ხელს და ვპურმარილობდით — ეს იყო ჩვენი „ქუჩის აკადემიაც" და „ასპირანტურაც". აქ ვსწავლობდით კაცურ ურთიერთობებს... რა ვიცი, მაშინ სიტყვა „ნარკომანის" მნიშვნელობაც არ ვიცოდით ბევრმა. ჩხუბებიც იყო და უარესიც, მაგრამ ვაჟკაცურად, მუშტით. დანას მაშინ ვინ იხმარდა... ათასში ერთხელ თუ მოხდებოდა და ისიც ელვასავით გადაუვლიდა ხოლმე ქალაქს — „გუშინ, ავლაბარში ჩხუბის დროს ვიღაცა დაუჭრიათო", მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა... ერთ იმდროინდელ ისტორიას მოგიყვებით: მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი. უბნელი ბიჭები დაბადების დღეზე, ვერაზე ვიყავით. გვიანობამდე, ღამის 2 თუ 3 საათამდე შევრჩით. წამოსვლისას ყველამ ჯენტლმენურად გავინაწილეთ გოგონები სახლში გასაცილებლად. ერთ-ერთი მათგანი რატომღაც ყველამ აირიდა და ბოლოს მითხრეს, აბა, შენ იცი, ამ გოგოს გაბარებთო. მოკლედ, დავრჩით მარტონი. ვკითხე, სად ცხოვრობ-მეთქი. — ლოტკინის მთაზეო, რომ მითხრა, კი მივხვდი, რაც მომიწყვეს და თავზარი დამეცა, მაგრამ ამ გოგოსაც ხომ არ ვეტყოდი, დავიშალოთ, აბა, კარგად იყავი-მეთქი. იმ პერიოდში ტაქსებიც არ იყო, ერთი-ორი მანქანა დადიოდა ქალაქში. რაღას ვიზამდი, ნაველით ფეხით. გადასასვლელ ხიდს რომ მივატანეთ, შევატყვე, რამდენიმე ბიჭი აგვედევნა. გოგონამ გახედა და ჩაიბურტყუნა, ამან ხომ გამიჭირა საქმეო. გული გადამეწურა, ვკითხე, ვინ არიან-მეთქი. აი, იმ მაღალს ვუყვარვარ და ყოველდღე თავისი ძმაკაცებით ასე მხვდება ქუჩაშიო. რვა-ათი კაცი მაინც იქნებოდა. მაშინ დაუწერელი კანონი იყო — ბიჭი რომ გოგოსთან მიდიოდა ქუჩაში, მოსისხლე მტერიც რომ ყოფილიყო, ხმა არ უნდა გაეცა. ვიცოდი, სანამ გოგოსთან ვიყავი, ხმას არ გამცემდნენ. მივდიოდით და ისინიც უხმოდ მოგვაცილებენ. მივიყვანე გოგო ჩოდრიშვილის ქუჩაზე. ნახვამდის, დიდი მადლობაო, მითხრა და შევიდა სახლში. ის ბიჭები ქვემოთ მელოდებიან. აშკარაა, ცემას ვერ გადავურჩები... ერთი პირობა კი ვიფიქრე, გვერდით ქუჩაზე დავეშვები-მეთქი, მაგრამ იმათ უბანში სად გავექცეოდი? ავდექი და ჯიქურ იმათკენ წაველი. გამაჩერეს. წავიდა ლაპარაკი. შევატყვე, შარზე იყვნენ. ვუთხარი, ამ გოგონას დღეს პირველად ვხედავ, უბრალოდ, ასე და ასე მოხდა, თორემ ამ სიშორეზე რას გამოვყვებოდი-მეთქი. ერთ-ერთმა თქვა, მართალი ჩანს ეს კაცი და თავი გავანებოთო. მერე მე მომიბრუნდა — ოღონდ იცოდე, მეორედ მაგ გოგოსთან გავლილი არ დაგინახოთო. მე ვუთხარი, ეგ ვერ მოხდება-მეთქი. აბა, კიდევ რომ სადმე სუფრაზე შემხვდეს, შუაღამისას სახლში მარტოს ხომ არ გამოვუშვებ-მეთქი... დაფიქრდნენ. მერე, გამოგვყევიო, — მომიგდეს და გვერდით ქუჩაზე ჩაუხვიეს. ვიფიქრე, ალბათ შუა ქუჩაში ცემა-ტყეპის ატეხა არ უნდათ და სადმე მოფარებულში მივყავარ-მეთქი. მოკლედ, მივყვები მუხლების კანკალით, თან ვფიქრობ, რა მოხდა, ვინ არ უცემიათ-მეთქი. ამ ფიქრებში ვიყავი, ერთ ეზოში რომ შევედით და მარანში ამოვყავი თავი. დილამდე ვიქეიფეთ და გამთენიისას ხაშზეც დამპატიჟეს. კარგ ძმაკაცებად დავშორდით... ახლა, თუ ვინმე იტყვის, რომ მსგავსი სიტუაცია დღესაც შეიძლება გადახდეს თავს, ვაღიარებ, რომ „ქუჩის აკადემია" გვქონია, მაგრამ ასე ხომ აღარ არის...

*დაჩი გრძელიშვილი*

## ანონსი

*(შემდეგ ნომერში ინტერვიუ **გიორგი კახაბრიშვილთან**)*

*გიორგი (კახა) კახაბრიშვილმა სამადლობელი სიტყვები არ დაიწანა ჩვენთვის, — „კვირის პალიტრის" დამსახურებაა, რომ კარგი იდეა შთამაგონაო.*

*შარშან, როდესაც ჩვენ გამოკითხვა-რეიტინგი ჩავატარეთ — „ვის ისურვებდით მეკვლედ?" — პირველი ადგილი გივი ბერიკაშვილს ერგო. კახაბრიშვილმა, რა თქმა უნდა, ამ ფაქტს გვერდი ვერ აუარა და საახალწლო გადაცემას, „ბერიკას წისქვილს" ჩაეყარა საფუძველი...*

*„ბერიკას წისქვილი" ეთერში 2 იანვარს, ბედობის დღეს გავა. ყველა ქართული ოჯახის მეკვლეები იქნებიან: ცოტნე დადიანი, ანა კალანდაძე, აკაკი ხორავა, ნოდარ დუმბაძე და თვით ილია ჭავჭავაძე, რომელიც შემოქმედებითმა გაერთიანება „თეატრონმა" ქარელიდან ჩამოიყვანა.*



## მინდია არაბული

# მინიატურები

### 9 იანვარი... და მზის რიგითი ამოსვლა...

ეთიკა, ლოგიკა, შემეცნებითი განათლება და გვეჭიკჭიკება ბორნერი დილიდან.

თეთრი, შავი... დადებითი, უარყოფითი, მეძინება. „და შემდეგ უცებ იწყებთ მიზეზების ძებნას, რომ საქმე აიცილოთ...“, — ამბობს ბორნერი და შეკითხვების ალავერდს გადმოდის.

ჩვეულებრივი დღეა, თბილი ამინდი. აი, ახლა ჯგუფებად გაგვანაწილა, ხუთნი ვართ, ვართ რა... განვიხილეთ რა ამბავი ოჰაიოელ მონამეთა, მოგახსენებთ შემდეგს: გამოსავალი ერთია, მოსამართლის ხელი სჭირდება საქმეს, ქალბატონო ბორნერ... ინფორმაცია დაფაზე გადადის, ანუ ალავერდის მადლი და ძალი გფარავდეთ, ქ-ნო მარგარეტ.

ორსაათნახევრიანი კლასი და გამოსირებული სიფათებით სავსე ოთახი.

...ენერბო! დავჯდებოდი ბანზე ჯუთაში და ნერთხალას ამოვავლებდი ხის ჯამში, „ტელეგრეიკა“ და ჩქარი ტაში არაგვისა!..

ეკრანზე ტალღა შეიცვალა.

დილით ვილაცამ გაიარა მოხდენილი სინაზით და მერე ვჯღაბნიდი...

ორშაბათი, სამშაბათი და კიდევ ასი წელი.

მოკლედ, ეგეთი ამბები და იყო დრო ერთობისა, სხვა ეშხი დაუდეგრობისა... და ჟულივერას დუქანში ერთი ვინმე პალერმოელი ჩამოუყვანიათ, ადრე მონმარტზე უკრავდაო აკორდეონს.

ჩაი და მერე 7 საათი ძილი...

დილით ვილაცამ გაიარა მოხდენილი სინაზით...

და მერე ვჯღაბნიდი...

ეთიკა, ლოგიკა და კიდევ ასი წელი!

*9 იანვარი, 2001*

• • •

ღამეებს უთენებ ამ შენს ერთხელ მოსვლას, ფიქრობ და მერე საათობით იკარგები წვიმიან ქუჩებში. ამ წვიმის სევდას ინაწილებ, იხსენებ მომხდარს შარშან, შარშანწინ და ადრე, დილით ცა ისევ კიდებს კედლებზე ფერებს, გენატრება ვილაც, რალაც, სადღაც მოსული განწყობა და დასცინი სიმარტოვეს, რომელმაც შეგცვალა, ვერავის ეუბნები თუ რა სხვანაირი ამოდის იქ მზე და ქარს ატან უსიტყვოდ შენს ყველა ლამაზ ავადობას მაღლა, ცაში... არ გჯერა, ეომები შენს შინაგანს — ყველაზე ძლიერს, მოსულიყავი შენც წვიმად და ეფიქრათ სხვებს ამ ერთხელ მოსვლისას... არ განამებდეს შენი ლამაზი ავადობა, არ გენატრებოდეს არავინ, არაფერი, არსად აღარ დაიკარგო წლობით, რა არის ერთხელ მოსვლა... დუმილი, ლია ფერის კედლებში, კვამლი და მონათლავ შენი ძველი მეგობრის პატარას, ქართულ მზეზე უამბობ, მერე ეტყვი, რომ თავის საშინლად ლამაზ დედას გაუფრთხილდეს. გამოხვალ წვიმაში, გაინაწილებ ისევ იმ შემოჩვეულ სევდას, მაინც ილიმები, სული სუფთა გაქვს ჯერ კიდევ, ნათლია ხარ. მეგობრის პატარა... იყო მეგობრობა უთქმელი, თვალები. ღამეებს უთენებ ამ შენს ერთხელ მოსვლას, ვერავის ეუბნები, თუ რა სხვანაირი ამოდის იქ მზე...

— ჩაჯექი, ნავედით, რას დგახარ წვიმაში, გაგიჟდი?

— გავგიჟდი, — ამბობ ღიმილით და გარბიხარ წვიმაში გზიდან შორს, ძალიან შორს.

*2001 წელი, ატლანტა*



### ხელები მაღლა!

აბა, ხელები მაღლა! და დედებს, მამათ, ნათესავ-მოყვარეთ... ყველა ჩაიკარით გულში მონატრებით, სხვებური სიყვარულით, ოდორზეც რომ ცნობთ, ხელები მაღლა სიხარულით! მონატრებით დაღლილო მელანქოლიკებო! აავსეთ ქართლის დედის თასი მტრის სისხლით, ეთხოვეთ მძიმე ხმალით და მურდალი, „ისპალნიწელური“ გულებით დადექით საზღვრებზე, ბევრისგან ძუძუგამოხრული თქვენი ქვეყანა! ყოველ შესუნთქვას დაუთმე დიდი მზის სითბო, უფრო ხშირად ახედეთ თბილისის ცას — ფერები რომ შეასხა ღმერთმა სხვებური. დაივიწყეთ დიდი ქალაქები საზღვრებს გარეთ.

...ჩვენ აქედან ვეფერებით ფიქრებით ყოველ მანდაურ გათენებას, ვაბოლებთ უზმოზეც, ნაღველს ვაჩოქებთ სხვებში გათქვეფით, ენით შეცვლით და სხვა სურნელი ამ ქუჩებში, ისეთი, ანუ ბითური. დიდი სიყვარულით, ყოველ წუთს აქედან მანდეთ და ხელები მაღლა? ეშხიან გოგოებს ხმამაღლა უთხარით რამე სიყვარულზე, თუნდაც ჩვენს ცოტათი ამღვრეულ მტკვართან, ეხამება თბილისი სიყვარულს და პირიქი. მოეფერეთ მათ და ხედებს მანდაურს, იმორებით ალბათ ისევ მუქად, შავი, კაი რა, გავა დრო, გამოვარდები გათენებისას აივანზე და ხმამაღლა იყვირებ რალაცეებს ბედნიერი, თან გულს გარეთ შეაგონებ ნამძინარევ, გამოვარდნილ მეზობელს მელოტს, გაუღიმებ და ბოლოში „ბიძიას“ დააყოლებ, და დაგეგმავ კიდევ ერთ დღეს შენი ყოფისას. და მაგის დედაც ვატირე, მანდ ხომ ეგ ცა და მზე გავსებთ ბოლობოლო, რა გაგიგებთ, ხელები მაღლა!

*ოქტომბერი 2001 წ.*

• • •

ისევ გამომიწვია დუელში მზემ დღევანდელმა, სამი ნაბიჯი მომცა მანძილი შენამდის, ვერ მოვედი. ამითვალისწუნეს ამ მიდამოებმა, რაც უფრო იკლებს დრო, მით უფრო მიბილწავენ განწყობას, სალოცავს მანატრებენ. გათენებამ სითეთრე ჩამოარიგა კავკასიონის და მოგვტაცა ბოროტი, საძრახი...

ხიდიდან ხიდამდე ნაპრალი არაფრის, დრო-ჟამი, როდესაც ყველაფერს გავიწყებს ნახტომი ხიდიდან და შესართავთან სისხლხორცნი გხვდებიან, ნაკვთებითმკაცრი... მეც ამომათრიეს ჩემებმა უგონო, მახსოვს, რომ გიცანი და მერე ცა მახსოვს...

და დღესაც ვიგონებ არჩევანს, საძრახს და გხედავდე დილამდის, მერე კი ვინ იცის, რა ხდება ამქვეყნად. ვურჩობ და ვიურჩებ დილამდის საშენოდ, მზისთვის და დამრჩება სულ ერთი ნაბიჯი...

და მზესთან დუელში გავდივარ ყოველდღე...

*13 მარტი, 2001 ბრევარდი*



• • •

და რჩება მწვანე ეზოები, მთლიანი ქალაქი მწვანე ფოკუსში, ღამის ზანტი, ჩვენი „ლამპიონებით“, ყველაფერი ისე რჩება... ჩვენ გვინდა გათენდეს თბილისში, ერთს ლიფტში აბოლებ, მერე გაგივლის და გუდაურის სითეთრეს მიაკითხო, თეთრი ყველაფერი, განწყობა მწვანეგარეული და რჩება მახსოვრობაც ბგერების, მწვანე ფოკუსების, გარუჯული სახეების სითეთრეში, გარბის მზე მანქანის მინაში, მისდევ შენ ანუ პატარაობაში რომ ხდებოდა, ადრე. დოლი მზესთან და ატალახებული ეზოები შემოდგომის, ძერწავს მზე თავისას, უწუნებ შენც, როგორც სხვა... და იქ ყოფნისას აღარ გაძინებს ეს ყველაფერი, იხსენებ, გახსენებენ, ილიმება ყველა, ილიმები შენც, რიგითი ცა, დღე, ღამე — ის ზანტი განათება ქალაქის. გაქვს მუქი კანი, გავხარ „მაზლიმს“ და არ იციან, როგორ გამშვიდებდა აღდგომათა ღამისთევები ანჩისხატში, დილით მარტო დარჩენა იმ მწვანე ეზოში, შინდისფერი ნაჭუჭები ქვებზე და ახლა უკვე მტკვართან ნადოლარი მზე გარუჯული.

ისევ ის წამოსული გარუჯული ღიმილები თეთრი თოვლის ფონზე ანუ ეს იმის მერე, ლიფტში რომ გააბოლე დილით, გასვლისას. დარჩება მწვანე აზოები, მთლიანი ქალაქი მწვანე ფოკუსში, ღამის ზანტი, ჩვენი „ლამპიონებით“...

*ატლანტა, 2001, ოქტომბერი*

### ისე, რა

გავრბივარ! მზის ამოსვლას უნდა მივუსწროთ, წყაროა უკვდავების, ჩვენ მოკვდავნი...

თბილად გამოვიდა, რალაც უხარია, არ ახსოვს. ცით ამოჭედილი ხის ტოტები, ფოთლები მინისგან და შემოდგომაა უკვე. მტრედმა გადაიფრინა, ყორლანიდან გნოლი ამოუდგება.

უსაზღვრო გზაზე და მოაყოლებს ამბავს თბილი ყვეყნისას, საქართველოსი...

გზაში ნაპოვნი ტოტების შეკვრა კედელთან მიაყუდა, წამოწვა, გახედა. გადის დრო! წამოდგა, აილო და ფანჯრიდან გადაუშვა. მის ეზოში სამი ხეა და ყველა ივსება ლია კარისას...

ხვალეც ასე იქნება, შედიხარ, დიდ, ნათელ ღიმილს ჩუქნი ყველას და უკან ჯდები, ამას თან რალაც ეჭვის საწყისად არავინ გახდის... ისმენ ათასს, მერე ბრუნდები ან აქ ან სადმე სხვაგან, მაგრამ აქ ჯობია. მიზეზი უბრალოა; დროშა ფრიალებს აქ სამი ფერის; შინდისფერი, შავი და თეთრით. მტრედმა გადაიფრინა, ყორლანელი გნოლი არ ჩანს. ის ეხლა წევს და ილიმება; გვერდით პატარა მზესუმზირები ძველ ჭურჭელში...

გავრბივართ! მზის ამოსვლას უნდა მივუსწროთ?..

## ეთერ თათარაიძე



• • •

ნელა აფრინდ, შავ შაშვო,
არას დაგიშავებ,
ნამცეც გულ არ გაგისქდეს,
დღეს ნუ გამიშავებ...
ნელა აფრინდ, შავ შაშვო,
არას დაგიშავებ...

• • •

სერებ-ნასერ ფერებით,
ფერებ — ნაუხვ ჩუმ ღვთისაჲ,
ოდებ — ნაფენ ფერდებზე,
ჭალა ნადგამ უბისაჲ...
გულსაფონო სამყოფლოჲ
გადალალულ უფლისაჲ.

• • •

*თენგიზს*

ზუგრა აღარ გაკსონსა, —
იასავით მარცხვინა,
თავზე მანდილ დახვეულ...
ობოლ ქალა ლეკისაჲ
ტანს გძელ, წითელ კაბიან,
გულ-ნისლებში გახვეულ...
ემაგთაივ სევდიან,
დედა თან დატანებულ,
ფიქრ-ჯანღებში ჩახვეულ...
ზუგრა აღარ გაკსონსა, —
თავის ლეკეთისკ წაის
ბილიკს რო ედგ გახმეულს...

• • •

გაგეხუმრ მზეჲ, ბუჩქისძირ
გამოგიტყუე, იაო.

• • •

ჩიტების მტკმარ ორკესტრის
მოსასმენად ვემზადებ.

• • •

მოვლენ გაზაფხულებიდ
წავ ბევრ ყირვან ზამთარ,
ჩვენდაც მიცლისად მიგვფლეთს
სიკვდილის ავ აფთარ.
წავლენ გაზაფხულებიდ
მოვ ცივ-ყირვან ზამთარ.

• • •

თავ ბუმბულში ჩანათბუნ
ხის ტოტზე ზის ჩიტ.

• • •

უჩემოდაც მეფევი
თბილისის ცას, მთვარეო?
უჩემოდაც ჩითაფვლი
მზემინაფიცხ მზვარეო?
უჩემოდაც მოხვალი
წუთო, ტკმილოდ-მწარეო?
უჩემოდაც მეღები
ნაზამთრ ფერდებს, მწვანეო?
უჩემოდაც მოხვალი,
ღიმპირს ნაკევ მთვარეო?..

## სალომე ჯანელიძე

*თბილისის 94-ე საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე*



### მურმან ლებანიძეს, ტარიელ ჭანტურიას

თქვენოდნობამდე მე როდის მოვალ
(ჯერ ისევ კვირტში ვარ, როგორც თქვენ ბრძანეთ).
და თუ მაინც თქვენი ქების ღირსი ვარ,
ვაშა, ამ მადლიან მიწას
და მის ზეციურ ძალებს!

### თოვლის სიმღერა

თოვლის ფიფქი მოფრინავდა
ფრთხილად, ფრთხილად, ფრთი...
ნაძვის ხეებს შეუკერა
თეთრი ქუდი ფრთი...
ბელურები ჟივჟივებენ
ფრთილა, ფრთილა, ფრთი...
ცივმა ქარმა დაუბერა -
ყინვის ტახტზე ზის...
თოვლის ბაბუ თეთრი რაშით
მობრძანდება ფრთი...
მოაქვს, მოაქვს საჩუქრები
ახალი წლის დღის...
და ჩურჩულებს თოვლის ფიფქი:
ფრთილა, ფრთილა, ფრთი...

## თენგიზ კიკაჩეიშვილი

• • •

***ჩემი სიჭაბუკის ჟამს არაფერი ამშვენებდა ისე ქალიშვილს, როგორც სისადავე...***

გშვენოდა უწინ კაბები ჩითის,
ეჰ, რა დრო იყო — უდარდელ ჩიტის!
ეს გამახსენა წუხელი ქარმა,
სივრცის მკეცავმა, ჟამის მზარავმა!
და აფრიალდნენ ქარში ჩითები —
იის ფთილები, თეთრი გვრიტები,
ნაზი სოსანი, რძისფერი ტალღა,
ასკილის ბუჩქზე გართხმული ლალღა...
ლურჯი პეპელა — თეძოზე მჯდომი,
მთვარე — ფიფქებში, მზისფერი ლომი!
მტლედ შემოწნილი მაგ წელზე ლერწი,
შენდამი ჩუმი ალერსის მდომი!
დასრულებული უკვე ხაზები,
სიგლუვე ტფილი — სილბოს მდევარი,
მაისის თაფლით სავსე თასები
და მოსაწყვეტად მკრთომი მტევანი...
აფეთქებული მერე ფშატები,
უბეჩახსნილი ქალ-ფაშატები,
ვნებათა თრთოლვა — ღამე შიშველი,
და თრობის წყარო — ვაზი ძირძველი...
გაქრა ყოველი... გახუნდა ჩითზე
ლალღას იარა — სისხლი ნათელი,
დაჭკნა სოსანი, გაფრინდა გვრიტიც,
მღიმარე ფერთა ჩაქრა სანთელი...
ან დარჩა რაღა?! — აღარცა ია,
აღარცა ბუჩქი, აღარცა ტალღა,
აღარც ცისკარი, მხოლოდღა ბინდი...
და შორი მგზავრი — პატარა ჩიტი!..



# პატარა ფიფქის ამბავი, ანუ როგორ იქცა სიმღერა მეკვლედ...



1970 წელი. საქართველოს ტელევიზია. ცნობილი ხმის ჩამწერი სტუდია. ინთება აბრა — „სიჩუმე, მიმდინარეობს ჩაწერა!". ვილაც სტუდიიდან გამოდის — პატარა სკამი არავის აქვს? — კითხვა-კითხვით აღებს დერეფანში ჩამწკრივებულ თითქმის ყველა კარს და კუთხეში უჩინარდება. მალევე ბრუნდება სკამით ხელში და სტუდიაში შედის, სადაც კაცი და ბავშვი ელოდებიან. სკამს იქვე მაგიდასთან დგამენ. კაცი გოგონას ხელში აიყვანს და სკამზე შეაყენებს.

— ასე კარგია? — კითხულობს ხმის ოპერატორი...

— კარგია, დავიწყეთ! — პასუხობს ვილაც.

ირგვლივ ისეთი სიჩუმეა, გოგონას ჰგონია, მისი გულის ბაგაბუგი მთელ დედამიწას ესმის... კაცი თავზე ხელს გადაუსვამს და გაუღიმებს. ეს თითქოს უმნიშვნელო ჟესტი საოცრად ამშვიდებს პატარას, ისიც გაიღიმებს და ძალიან წკრიალა და ლამაზი ხმით იწყებს:

„თოვლი მოდის, თოვლი მოდის, ცვივა თეთრი ფანტელი..."

აი, ასე დაიწყო ბატონ იაკობ ბობოხიძის ცნობილი ლამაზი სიმღერის სიცოცხლე, სიმღერის, რომელიც უკვე ამდენი წელია ყოველ ოცდათერთმეტ დეკემბერს ზუსტად თორმეტ საათზე ტელეეკრანიდან მეკვლედ შემოდის ჩვენს ოჯახებში... და ასე იქცა ბატონ ირაკლი უჩანეიშვილის და იმ პატარა, ლამაზი გოგონას — ლენა რაქვიაშვილის ხმები — ახალი წლის ხმის სიმბოლოდ...

— მუსიკოსების ოჯახში ვიზრდებოდი. ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან ცნობილი კომპოზიტორები და მომღერლები. ძალიან მეტიჩარა და მოძრავი ბავშვი ვიყავი და ამით ხშირად ვიქცევდი სტუმრების ყურადღებას. ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა იაშამ ჩემთვის და ბატონი ირაკლი უჩანეიშვილისთვის შექმნა საახალწლო სიმღერა, სადაც ჩემი ხმა სიმბოლურად გამოხატავდა ახალი წლისას, ბატონი ირაკლი კი თავისი ბოხი, ლამაზი და კეთილშობილური ხმით ძველ წელიწადს გაახმოვანებდა... კარგად მახსოვს სტუდია, ჭერზე ჩამოკიდებული მიკროფონებით, სკამი, რომელზეც დამაყენეს, რადგან ძალიან პატარა ვიყავი და თითქმის არც ვჩანდი. მახსოვს, როგორ ვამახინჯებდი სიტყვებს, რადგან წინა კბილები ახალი მოცვლილი მქონდა და ამის გამო, რამდენიმე დუბლი გაფუჭდა. ბატონი ირაკლი არ მასვენებდა — სულ ხელში აყვანილი დავყავდი — გამუდმებით მეფერებოდა...

მისი ალერსი საოცრად მამშვიდებდა და ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა კარგად მემღერა...

**— პირველ „ფიფქებს" თუ არ ვცდები, მეორეც მოჰყვა...**



— პირველივე წელს ეს სიმღერა ისეთი პოპულარული გახდა, რომ ბატონმა იაშამ გადაწყვიტა, შემდეგი წლისთვისაც შეექმნა საახალწლო სიმღერა ჩვენთვის. ერთი წლის შემდეგ მე და ბატონი ირაკლი კიდევ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს სტუდიაში... ეს სიმღერაც აიტაცა მსმენელმა... მესამე წელს ისევ გვაჩუქა ბატონმა იაშამ ახალი „ფიფქები"... და ასე გაგრძელდა... ხუთი წლის განმავლობაში ხუთი ახალი საახალწლო სიმღერა შევთავაზეთ მაყურებელს... ბოლო სამი, პირველ ორს ნამდვილად არ ჩამოუვარდება, მაგრამ რატომღაც ის ორი უფრო პოპულარულია...

**— წლიდან წლამდე თუ ხვდებოდით ერთმანეთს თქვენ და ბატონი ირაკლი?**

— სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად. მახსოვს, როცა წინასაახალწლო ჩაწერაზე მიმიყვანდნენ, სულ ბრაზობდა — რატომ მაჩვენებთ მხოლოდ წელიწადში ერთხელ ჩემს სანატრელ გოგონასო... მერე უკვე, როცა გავიზარდე და დამოუკიდებლად დავიწყე ქუჩებში სიარული, უფრო ხშირად ვხვდებოდით, — ყოველთვის როგორც უძვირფასეს, დიდი ხნის უნახავ მეგობრებს, ისეთი შეხვედრა გვქონდა ხოლმე. საოცარი დამთხვევა მოხდა მაშინ, როცა ბატონი ირაკლი გარდაიცვალა და პანაშვიდზე მივედი მარჯანიშვილის თეატრში. სწორედ იმ დროს შევდგი ფეხი, როცა ჩვენი სიმღერა ჟღერდა — უცებ ჩვენი შეხვედრების ყოველი წუთი გამახსენდა და „ფიფქებით" გამოვეთხოვე ჩემს უფროს მეგობარს...

**— ამ სიმღერით თქვენ უამრავი ოჯახის მეკვლე იყავით...**

— „ფიფქები" მართლაც საახალწლო განწყობას ბადებს. საოცარი სიკეთე, სიწმინდე და სილამაზე იღვრება მელოდიიდან...

**— როგორც ვიცი, რამდენჯერმე სხვამაც შეასრულა „ფიფქები"...**

— „კუჩხი ბედინერში" შევიდა სიმღერის მეგრული ვარიანტი... შემდეგ სხვებმაც იმღერეს... ეს იმის ნიშანია, რომ მოსწონთ და სურთ, თვითონაც შეასრულონ... რაღაც რეკლამებშიც გამოიყენეს... ამაზე კი, მართალი გითხრათ, ცოტა გავღიზიანდი... „ფიფქები" ჩემი სულის საკრალური ნაწილია, როცა ვუსმენ, ბავშვივით მიხარია და ცრემლიც მადგება თვალზე.

*.... სკამზე შემდგარს სჯეროდა, რომ ახალი წლის დილას ბალიშის ქვეშ თოვლის ბაბუის მოტანილი საჩუქრები დახვდებოდა... ხანდახან ეჩვენებოდა, რომ სტუდიაში ფიფქები მოდიოდა...*

*— დუბლი მეორე! ლენა დაიწყე! — ეუბნებოდა ვილაც და ისიც მღეროდა თავისი წკრიალა, ლამაზი ხმით:*

„ფიფქები ცვივა და
ფიფქები მღერიან...
გამოდით, გამოდით,
ახალი წელია!"

*ეკა მახარაშვილი*

## ორშაბათი 31 დეკემბერი

## სამშაბათი 1 იანვარი

## ოთხშაბათი 2 იანვარი

## ხუთშაბათი 3 იანვარი

## პარასკევი 4 იანვარი

## შაბათი 5 იანვარი

## კვირა 6 იანვარი



# რა ხმებს მიყრიან, ვაი მე!,,



**ნინო დარასელს** რაც გადახდა თავს, ალბათ პირველი არხის არც ერთი თანამშრომელი არ ინატრებდა — ტელედეპარტამენტის თავმჯდომარის კაბინეტზე დაკაკუნებისას, ზაზა შენგელიას ნაცვლად, კარი ნინოს ბებიის აბაზანის ხალათსა და „შლოპანცებში" გამოწყობილმა მსახიობმა გია როინიშვილმა გაუღო. ნინოს გული წაუვიდა. ხელის შემშველებაც ვერავინ მოასწრო, ისე დაენარცხა თურმე ძირს... ეს ამბავი საახალწლო ტელენოველაში ხდება. თუმცა სჯობს ყველაფერი თავად „დაზარალებულმა" გვიამბოს.

— ახალი წლის ღამით ამ „საშინელ" სცენას მაყურებელი თავის თვალით იხილავს, მაგრამ არ შეებრალები, პირიქით — გულიანად იხარხარებს. გია როინიშვილისა და ნინელი ჭანკვეტაძის ცნობილი კლიპის იმიტაცია გავაკეთეთ და ეს სიუჟეტიც ასე გაჩნდა. რაც შეეხება გიას ჩაცმულობას, გადაღების წინ აღმოჩნდა, რომ შესაფერისი სამოსი არ ჰქონდა. სასწრაფოდ ვაფრინე თანამშრომელი შინ და გიას ბებიაჩემის საშინაო ტანსაცმლით „დავეხმარე".

**— ერთი სიტყვით, ზოგს ეხმარები, ზოგს კი — პირიქით, ჰპარავ ტანსაცმელს...**

— უნებლიეთ გავხდი ქურდი — გადაღების დამთავრების შემდეგ ტანსაცმელი სახლში რომ წავხვეტე, თემურ თათარაშვილის ძვირფასი პერანგიც ოქროს საკინძეებიანად გავაყოლე ხელს. მივიტანე და შევკიდე ჩემი ძმის გარდერობში. თემურმა რომ დამირეკა და მითხრა, ოქრო მაინც დამიბრუნეო, კინაღამ გავგიჟდი, რას მეუბნებამეთქი.

**— შენ თურმე გადაღების ჩაშლასაც აპირებდი, წამყვანთან დაკავშირებით რას ჩალიჩობდი?**

— რა ხმებს მიყრიან. ვაიმე... (იცინის). კურიოზების გარეშე არც ერთი გადაღება არ სრულდება და არც ჩვენ ვართ გამონაკლისები. გადამღებ ჯგუფს ჩემდა ჭირად შევთავაზე ჩემი პარტნიორის კანდიდატურა — რუსთაველის თეატრის მსახიობი დათო გოცირიძე, რომელმაც ბოლო დღეს უარი გვტკიცა. მერე ზურა დარჩიაზე შეჩერდა არჩევანი, მაგრამ ჩემზე იმდენად მაღალია, რომ მის გვერდით მიკი-მაუსს დავემსგავსებოდი, ეს კი არ მსურდა. გადაღებამდე ერთი საათით ადრე წავეხეტეთ თეატრალური ინსტიტუტის წინ და იქ აღმოვაჩინეთ კიდეც აპოლონ კუბლაშვილი — ულამაზესი ბიჭი, რომელმაც ყველას უცებ შეგვაყვარა თავი.

**— შენზე მითხრეს, საგრიმიოროში ჩაეძინა და ამის გამო რამდენიმე კადრი ველარ გადაიღესო...**

— მომეჭრა თავი. მართალია, მართალი. მაგრამ ყველაზე მძიმე შემთხვევა ის იყო, აუზში რომ გავცურე და კინაღამ დავიხრჩვი. საცურაო კოსტიუმით გაცურვის მომერიდა და ტანზე ნაჭერი შემოვიხვიე, ასე ჩავხტი წყალში. ხედავდნენ, რომ ვიხრჩობოდი და სიცილით კვდებოდნენ. ამდენი მტერი თუ მყავდა, არ ვიცოდი *(იცინის)*.

**— შენზე ხომ ყველაფერი მიამბეს, ახლა თვითონაც გაგვიმხილე სხვების „ცოდვები".**

— ცოდვების რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც ბატონ მარკ რივკინს დაემართა, ძალიან სახალისო რამე იყო.

არის ერთი ასეთი სცენა, — მალხაზ ქვრივიშვილს კიბეზე კუთხეში ჰყავს მიმწყვდეული ლალი მოროშკინა და როგორც იმერეთში იტყვიან, კარგად „ბურჯგნის". ეს ხდება მაშინ, როცა კიბეებზე ყველა ჩვეულებრივ ადი-ჩადის, ყველამ იცის, რომ გადაღებაა... სამაგიეროდ, არაფერი იცოდა ბატონმა მარკმა, რომელიც კიბეებზე ჩამოდიოდა სამუშაოს დამთავრების შემდეგ. ლალის და მალხაზის დანახვაზე გაშეშდა. სათვალე მოიხსნა და შეყვირა: „მატროსკინა (ყოველდღე სხვადასხვა გვარს უძებნის ლალის) ტი ჩევო?" ეს ხდებოდა მე-9 დუბლის გადაღების დროს, ლალი და მალხაზი დაღლილ-დაქანცულები იყვნენ, არ უნდოდათ, კადრი გაფუჭებულიყო და ბატონ მარკს შეუძახეს — „პრახადიტე". რივკინს ენა ჩაუვარდა, ნაბიჯს აუჩქარა და როცა სიცილისგან ჩაბჟირებულებს შეგვხედა, ყველაფერს მიხვდა და გულიანად ახარხარდა.

*ეკა ლომიძე*

# ჩემი მეგობრები თვლიან, რომ ჩემნაირი თამადა არ არსებობს...



ქართულმა ფილმმა „გარიგებამ" ეკრანზე გამოსვლისთანავე თითქოს მაყურებელს საერთოდ დაავიწყა მსახიობ **ნანული სარაჯიშვილის** მიერ მანამდე შექმნილი ყველა როლი და მის მიერ განსახიერებული მარო სუპერკინოგმირად იქცა. ქალბატონი ნანული ამჯერად მხოლოდ რუსთაველის თეატრში მოღვაწეობს და მისი კოლეგების უმრავლესობის მსგავსად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებაზე ოცნებობს. მაგრამ მაროს „შემქმნელი" მარტო ნატვრის ამარა როდი რჩება....

— ისე მომენატრა კინო, რომ სადაც დამიძახებენ, ყველგან გაერბივარ. ბოლო დღეები სულ საახალწლო გადაღებებში ვმონაწილეობ.

**— ამიტომაც აღმოჩნდით პირველი არხის ეკრანზე ძებნილთა სიაში?**

— დიახ, მეც ვიძებნები. გადამერიენენ ნაცნობები და მეგობრები. ქუთაისიდან დამირეკეს გუშინ საღამოს გაკვირვებულებმა — რა ხდება, თუ მართლა ამდენი ხალხი იძებნებით, შალახოს მუსიკას რად უკრავენ, ვის უხარია თქვენი დაკარგვაო. ჩემი მეზობელი კი თავისთავს ეკითხებოდა თურმე — როგორ თუ ნანული დაიკარგა, ამ დილით ენახე მანქანიდან როგორ გადმოვიდაო.

**— ალბათ მხიარული როლი გაქვთ...**

— ფილმის იმ ნაწილის რეჟისორი, სადაც მე ვთამაშობ, ლევან წულაძეა, ძალიან საინტერესო სცენა მაქვს. ციხეში ვიმყოფებით მე და ელენე თევდორაძე. მე პატიმარი ვარ, ქ-ნი ელენე ჩემს მოსანახულებლად არის მოსული. მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ვთამაშობ, ამიტომაც ვარ დაჭერილი. ქ-ნმა ელენემ არაჩვეულებრივი მსახიობური ნიჭი გამოავლინა. ერთი ასეთი მომენტია: ვეკითხები, რა ამბავია პარლამენტში პარტიები ამდენ ფრაქციებად რომ დაიყო-მეთქი? თქვენ რაში გაინტერესობთო — გაიოცებს. როგორ თუ რაში, ქართველი ვარ, პატრიოტი-მეთქი. განიწმატდება — თუ ქართველი და პატრიოტი ხარ, აქ რა გინდაო. ეს სიუჟეტი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მეძავებიც პოლიტიზირებულნი არიან.

**— ალბათ, როლში შესვლა არც ამჯერად გაგიჭირდათ.**

— არა. მიჩვეული ვარ მსგავს როლებს. თეატრშიც მითამაშია და ფილმშიც „ვერის უბნის მელოდიებში". მეტსაც გეტყვით, ახლახან ზასა ფოცხიშვილმა „უცნობის" ახალი სიმღერის კლიპი გადაიღო. იქაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ვარ და, ხათუნა იოსელიანთან და ქეთინო კანტიძესთან ერთად მატარებლის ვაგონში კაცებს დავეძებ, მერე ერთად ვინაწილებთ „გასამრჯელოს". მგონი, ამ ახალ წელს მსგავსი როლები დამებედება.

(გაგრძელება იხ. გვ. 20)

# „მიჯაჭვული რაინდები“, ანუ ოცი ათას ლარად დაკარგული ქართული იუმორი...

უკვე მერამდენე თვეა, თბილისში ხმები დადის, უცხოეთიდან ქართველ ლოტურგს ოლოფის ნოდუქსებით თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი, ბატონი **რამაზ ჩხიკვაძე** ოჯახთან ერთად სამუდამოდ საცხოვრებლად ევროპაში გადასახლდაო.

„კვირის პალიტრამ“ გადაწყვიტა თვითონ ბატონ რამაზისგან შეეტყო სიმართლე და ვიდრე ამ მიზნით ევროპაში ვეძებდით, აღმოჩნდა, რომ ცხრათვიანი მოგზაურობის შემდეგ იგი დაბრუნებული და ნუცუბიძის პლატოზე, „ვილა ბერიაში“ იღებდა მონაწილეობას.

**— ბატონო რამაზ, სად გადაიკარგეთ, თბილისელებს ძალზე მოანატრეთ თავი, ნუთუ მართლა გეგემოდებოდათ ახსრება?**

— (იცინის) რაში გადავიკარგე, კაცო! წავედი საქართველოდან, მეუღლე ვერ იყო კარგად. მერე ის იყო, სახლში დაბრუნებულმა ვიპოვე, რომ მომმართა დიდმა ებრაელმა კაცმა, გვარად იანნისმა, რომელიც ამჟამად ამერიკის პასპორტით ცხოვრობს ჩეხეთში და შემომთავაზა მთავარი როლი ფილმში, სახელწოდებით „ბანტნის ის ამერიკა“. მართალია, ცოტა კომედიური სახელწოდება აქვს, მაგრამ ძალზე ძნელი ფსიქოლოგიური სურათია. ვისაც ბოლომდე უყვარს, მერე, ნაგულში დარჩება, თუმცა თვითონ ცხოველი ძალზე საინტერესო. ეს არის ისტორია ერთი ხანში შესული ებრაელი კაცისა, რომელიც მთელ ოჯახს ფაშისტებს ხვრეტს. თვითონ როგორღაც გადარჩება — ორი-სამი წლის ბიჭუნა მეზობელი მალავს სარდაფში. ომის დამთავრების შემდეგ თავის სახლ-კარს უბრუნდება...

**— მაშასადამე თქვენ ჩეხეთში სამუშაოდ ყოფილხართ. აქ კი დაგვიჯერეს ჭორები, ჩხიკვაძეებმა სახლ-კარი გაყიდეს და პროტესტის ნიშნად ევროპაში გადასახლდნენ.**

— არა, კაცო, არც მიფიქრია. უბრალოდ, დღე დღეს მიჰყვა, კვირა კვირას — თან საქმე და თან მკურნალობა. ფეხი მაწუხებს, ძალიან გადამღალა ამ ფეხმა.

ჩემი ქალაქიდან და საერთოდ, საქართველოდან მხოლოდ მიქელ-გაბრიელი თუ წამიყვანს, თორემ ისე არსად წამსვლელი არა ვარ...

**— თქვენი თაყვანისმცემლები პენსიონერ რამაზ ჩხიკვაძეს ვერაფრით შევეგუებივართ. თქვენ თვითონ როგორ შეეგუეთ ამ ტიტულს?**

— თეატრს ერთი ჩემი სპექტაკლი — „კავკასიური ცარცის წრე“ შემორჩა და თუ ამ ფეხმა მაცალა, წინააღმდეგი არა ვარ, დროდადრო ვითამაშო, დანარჩენის დეკორაციებიც აღარ არსებობს; ხოლო რაც შეეხება პენსიას, რა ვქნა, ეს რეალობაა და ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ამ დრომდე მაცხოვრა. მე სამოცდათოთხმეტი წლის ვარ და აგერ, ქრისტეს დაბადებიდან ორი ათას წელს შევხვდი. ჩემი მეგობრებიდან კი რამდენი ვერ მოესწრო ამას. არადა, რა ოცნებები ჰქონდათ, თანაც მათი უმრავლესობა ახალგაზრდები წავიდნენ. არც მე, არც იმათ, არც ერთი დღე არ გვიცხოვრია საქართველოს გარეშე. ახლაც, ეს ცხრა თვე, ჩეხეთში საქართველოს ტელევიზიის სამ არხს ვუყურებდი, ასე იყო გერმანიაშიც.

**— კვლავაც ხომ არ აპირებთ გამგზავრებას?**


სანჩო პანსამ, დონ კიხოტმა და ლუარსაბ თათქარიძემ ჯერ „ქართული არ იციან...“

— არა, დიდი ხნით ალბათ არა... თუმცა ახლა იქ, ევროპაში, ირაკლი კვირიკაძე ნანა ჯორჯაძესთან ერთად წერს სცენარს, რომელსაც გერმანელი პროდიუსერები დააფინანსებენ და ფილმში მთავარ როლს მთავაზობენ. იახნისიც აპირებს ახალი ფილმის გადაღებას და კვლავ მთავარ როლში მიმიწვია. აი, ამასთან დაკავშირებით თუ მომიწევს დროდადრო გადაღებებზე გამგზავრება, თუმცა მინდა ერთი-ორი კვირით სცენარზე მუშაობის პროცესსაც დავესწრო, ჩემი აზრიც გავუზიარო ავტორებს. სულ ესაა.

**— ოცდამეერთე საუკუნის მეორე წელიც კარს მოგვადგა. „კვირის პალიტრა“ და მისი მკითხველები მრავალ ახალ ბედნიერ წელს გისურვებენ. რას უსურვებდა ბატონი რამაზი თავის თავს და თავის სამშობლოს?**

— ჩემს თავს რას ვუსურვებდი? მეცხოვრა იმნაირ საქართველოში, მე და ჩემს ხალხს რომ გვინდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაწყნარდეს პოლიტიკური თუ სხვაგვარი ქაოსი. რამდენი წელიწადია ველოდებით, რომ შეიქმნას ეკონომიკური და საერთოდ, ყოველგვარი პირობა, რათა ადამიანებმა ნორმალურად იცხოვრონ, დაიღალა ხალხი — ერთი წელი, ორი, ხუთი, ათი, კიდევ რამდენ ხანს უნდა ველოდოთ. იმედი კარგია მაშინ, როცა ხედავ, რომ ფრთებს ისხამს, თორემ როდემდე?..

**— ბარემ ისიც მითხარით, რას ნიშნავს ეს სურათი...**

— ესაა კადრი გოდერძი ჩოხელის ფილმიდან „მიჯაჭვული რაინდები“. კახი კავსაძე დონ კიხოტია, გივი ბერიკაშვილი სანჩო პანსა, მე კი ლუარსაბ თათქარიძე. ამ ფილმზე მუშაობამ ძალზე მასიამოვნა.

**— ცოტა უცნაურია, დონ კიხოტი და ლუარსაბ თათქარიძე, საიდან სადაო... თუმცა თავს აღარ შეგაწყენთ და ამის გასარკვევად ბატონ გოდერძის მივაკითხავ...**

**გოდერძი ჩოხელი:** ეს ფილმი რუსების დაკვეთით, ანუ მათი ფულით და ჩემი სცენარით შეიქმნა. სიუჟეტის მიხედვით, საქართველოში მიჯაჭვული ამირანის გასათავისუფლებლად ჩამოდის დონ კიხოტი თავის ერთგულ სანჩო პანსასთან ერთად. აქ კი ლიტერატურულ გმირებს: ლუარსაბ თათქარიძეს, კნეინა დარეჯანს, მათ მოურავს და სხვებს ხვდებიან. მაგრამ ერთი რამ არის დასანანი — როცა დამკვეთის სურვილით ფილმი უახლესი დოლბის სისტემით რუსულად გავახმოვანეთ, აღმოვაჩინეთ, რომ გადათარგმნილი ქართული იუმორი დაახლოებით 60-70%-ით დაზარალდა, ანუ მივიღეთ ძალიან მდარე ხარისხი. ფაქტობრივად, მთლიანად დაიკარგა ის კოლორიტი, რომელიც ამ ფილმის ქართული ვარიანტისთვის იყო გამიზნული. დიდი იმედი გვქონდა, რომ გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც ფინანსურად დაგვეხმარებოდა ამ ფილმის ქართულად გახმოვანებაში, მაგრამ დღემდე ვერავინ ვნახეთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ძალიან უფრთხიან ხელოვნებაში ფულის დაბანდებას, არადა ეს ფილმი რომ ქართველებმა ნახონ, სულ ოცი ათასი ლარია საჭირო.

ეს რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს... მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც საერთოდ ახლავს ხოლმე ფილმის გადაღებას, უდიდესი სიამოვნება მივიღე როგორც რეჟისორმა და ეს უპირველესად განპირობებული იყო მსახიობთა იმ მეგობრული ანსამბლით, რომელსაც ბატონები რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი აგვირგვინებდნენ. ჩვენ ფილმს კი არ ვიღებდით, სერვანტესისა და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული გმირების ცხოვრებით ვცხოვრობდით, თანაც ერთ ოჯახად და ჩემი შიში იმის გამო, რომ პირველად მიხდებოდა ბატონ რამაზთან მუშაობა და რატომღაც მიუკარებელ, მიუდგომელ ადამიანად მიმაჩნდა მისი დიდი ავტორიტეტის გამო, საბედნიეროდ, არ გამართლდა. გაცნობის პირველივე დღიდან აბსოლუტურად მომეხსნა დაძაბულობა, რადგან მასში ვერ აღმოვაჩინე დიდი ადამიანების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობის კომპლექსი. საოცრად თბილი კაცია, — ბავშვთან ბავშვია და დიდთან — დიდი. ერთნაირად ეფერება ადამიანებსა და ბუნებას. ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, დიდი სიყვარულით უყურებს... თუნდაც მისი თხრობის მანერა რად ღირს. ამბავს ისე ალწერს, რომ ჩაბჟირებამდე უნდა იცინო. ისე დავამთავრეთ ფილმი, არც კი გაგვიგია. თითქოს აქ, მთაში (გადაღებები, ძირითადად, ხევსურეთში მიმდინარეობდა) იმისთვის ვიყავით კვირების განმავლობაში, რომ ამდენი სითბო მიგვეღო ამ კაცისგან, თუმცა იგივე არც ბატონ კახისა და გივისგან გვაკლდა.

**— არ უჭირდა იქ მთაში, მაინც ქალაქურ კომფორტს მიჩვეული კაცია...**

— კარგი ხევსურივით იქაურ ფლატეებზე ისე მარდად დააჭენებდა ცხენს, რომ ამის შემხედვარეს მე მეშინოდა მის ნაცვლად. არავითარი დაღლა, არავითარი წუწუნი დისკომფორტზე.

**— მთაშიც ვერ აცდებოდით კურიოზებს...**

— ერთ-ერთი კადრის გადაღების დროს ბატონი რამაზი წყალში უნდა ჩამდგარიყო და ფეხი რომ არ დასველებოდა, ოპერატორმა მისთვის ფეხების დასადგმელის ქვებით ამოშენება დაიწყო. რამაზმა უყურა, უყურა და — მაგ ქვებს რომ აკოკოლავებ, მე რა, ბოლოქანქალა ვარ, რომ ზედ შემოვჯდე თუ როგორაა ჩემი საქმეო, უთხრა.

**— ისეთ მსახიობებთან, როგორებიც არიან რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი, რეჟისორს არ გაუჭირდება მუშაობა, მაგრამ თქვენს ფილმებში უპრატესად მთის ხალხს, ასე ვთქვათ, არაპროფესიონალებსაც იღებთ. არ გიჭირთ მათთან მუშაობა?**

— მთის ხალხი ამ მხრივ უკომპლექსო აღმოჩნდა. უცნაურია, მაგრამ ისინი არ თამაშობენ... რეჟისორის ნებისმიერ დავალებას იმდენად ბუნებრივად აკეთებენ, რომ წუნის დადება შეუძლებელია.

**— იმ დროს, როცა კინოინდუსტრია ჩვენში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, გოდერძი ჩოხელი მაინც ახერხებს ფილმების გადაღებას, როგორ?**

— ღმერთს დიდება და ღმერთს მადლობა. ამ შეჭირვებულ დროში სამი ფილმი გადავიღე და ამ მხრივ ბედს არ ვემდური. კარგი ჯილდოებიც მივიღე, მათ შორის — „გრან-პრიც“ „სამოთხის გვრიტებისა“ და „ლუკას სახარებისთვის“. მართალია, „მიჯაჭვული რაინდები“ ჯერ ქართულ ეკრანზე არ გამოსულა, მაგრამ სადაც აჩვენეს, იქვე მიიღო პრიზებიც.

**— რაც შეეხება თქვენს წიგნებს, მგონი ახლახან გამოიცა თქვენი კრებული...**

— გამოიცა და თანაც არა ერთი, არამედ ორი წიგნი, ეს მოხდა თორმეტი წლის ინტერვალის შემდეგ. არადა, ძალიან მაწუხებდა, რომ გაწყდა კავშირი ჩემსა და მკითხველს შორის. ერთადერთი, ვინც ამ ვაკუუმს მივსებდა, „კვირის პალიტრა“ იყო. და მე არ ვმალავ, რომ გამორჩეულად მიყვარს ეს გაზეთი, რადგან მას მართალი სიტყვა მიაქვს მკითხველთან.

გეგმები ბევრი მაქვს, სცენარებიც დამიგროვდა, მაგრამ უფულობის გამო ვერ ვიღებ. თუმცა ამ ახალ წელს წუწუნი არ იქნება. გული მარტო იმაზე მწყდება, რომ ძველით ახალ წელს ჩვეულებისამებრ ჩემს მშობლიურ გუდამაყარში ვერ შევხვდები. ვერ ვაძლევ თავს ამის უფლებას — ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული... სამაგიეროდ, აქაც და იქაც, აგერ, თქვენი გაზეთის საშუალებით ვულოცავ ჩემს ხალხს ახალ წელს, ვულოცავ ჩემს მეგობრებს, უპირველესად კი, ბატონ რამაზს, რომლის გარეშეც ვერ წარმომიდგენია ჩვენი ქვეყანა, ღმერთმა გაგიმარჯვოთ...

P.S. წუხელ საირმის გორაზე ვიყავი. ისე ჩახჩახებდა იქაურობა, ვიფიქრე, ალბათ ასეთი იქნება-თქო საახალწლო პარიზი. გოდერძი ჩოხელს კი სოფელში წასასვლელი ფული არ აქვს. არადა, მისნაირი კაცები ქმნიან ქვეყნის ისტორიას, ასეთების გარეშე მართლაც არაფერი იქნებოდა ჩვენს ისტორიაში წასაკითხი.

*ვაჟა გაგაშელი*

# ჩემი მეგობრები თვლიან, რომ ჩემნაირი თამადა არ არსებობს...

(დასაწყისი იხ. გვ. 19)

**— თქვენს ახალ ეკრანულ როლებს სიამოვნებით დაველოდებით, ჩვენს ინტერვიუში კი, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ფილმ „გარიგებაზე“ საუბარს, რა მდგომარეობაშია მისი მეორე ნაწილი — „შერიგება“?**

— კარგა ხანია, შეიქმნა ძალიან საინტერესო სცენარი. მაგრამ, სამწუხაროდ, კინოს გადაღებისთვის რატომღაც არავის სცალია, ამიტომაც დიდი ხანია ველოდებით სპონსორს. სცენარის შინაარსს ვერ გეტყვით, მაგრამ როცა ფილმს გადაიღებენ, მაყურებელი არაჩვეულებრივ სიურპრიზს მიიღებს.

**— როგორი იყო ზაზა კოლელიშვილი რეჟისორის ამპლუაში? „გარიგებით“ ხომ მისი დებიუტი შედგა.**

— ზაზა, არაჩვეულებრივი კინომსახიობი, რომელიც მიჩვეული იყო რეჟისორების და ოპერატორების ხელმძღვანელობას, კურიოზულ მდგომარეობაში ჩავარდა. ქეიფის სცენას რომ ვიღებდით, მოგვიხმო — აბა, ყურადღება, ყურადღება, მზადა ხართ? მზადა ვართ, ზაზა, მზად — გავძახეთ. ვა, კაცი იყურება აქეთ-იქით... მერე კი, დამავიწყდა, რა უნდა მეთქვაო. ზაზა, მარო, მარო უნდა გეთქვა-მეთქი, შევძახე. აი, კიდევ კარგი რომ მითხარი, მარო... სულ სიცილ-ხარხარში გადავიღეთ ფილმი.

**— იმ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებიდანაც ჩამოვარდით, ალბათ ერთი-ორჯერ...**

— ძალიან გამიჭირდა, თანაც სულ დიდ ქვებზე მიწევდა სიარული. ის საბოები ზაზამ ერთი კახელი ნაცნობისგან წამოიღო. პატრონი საგულდაგულოდ გვაფრთხილებდა, არ დამიკარგოთ, არ გამიფუჭოთო. ჩვენ კიდევ სიცილით ვიხოცებოდით. ფილმის ნახვის შემდეგ ყველა მეკითხებოდა, — ნანული, ის საბოები სად იშოვეო. სხვათა შორის, თბილისში, „დეზერტირების“ ბაზარში რომ ვიღებდით კადრებს, ერთი ჩემი ამხანაგი კინაღამ გადაირია ჩემს დანახვაზე. ვდგავარ მაზალოდ გამოპრანჭული, ის კი ხან შემომხედავს, ხანაც თვალს მარიდებს. ვერ იჯერებს, რომ მე ვარ, ბოლოს დავუძახე, გურამ, მოდი აქ-მეთქი. გადაირია — რა დაგემართა, ნანული, რანაირად ხარ ჩაცმულიო. ზაზა და ოპერატორი შენობის სახურავიდან მიღებდნენ და ვერავინ ხვდებოდა სინამდვილეს.

**— ფილმის სცენარს ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლადო, მართალია?**

— ზაზას დედა, ნუნუ მატარაძე თელავის გაზეთის რედაქტორი იყო. იმ დროს კახეთში მსგავსი ამბავი მომხდარა, მთელი სასამართლო პროცესები და ალიაქოთი მოჰყოლია. მაშინ ნოველა დაუწერია ქალბატონ ნუნუს. მერე ზაზას მეუღლეს ნათია გოგოჭურს სცენარი გაუკეთებია ზაზასთან ერთად. კაი რამე გამოვიდა. უამრავ ფილმში მითამაშია, მაგრამ ხალხისგან მსგავსი სიყვარული არც ერთი როლის გამო არ მიგრძვნია. ქუჩაში რომ მივდივარ, შეძახილები მესმის — „მაროო“, „მნარეე“...

**— საგზაო პოლიციაშიც დიდი პოპულარობით სარგებლობთ თურმე.**

— ო, დიდი მეგობრობა მაკავშირებს. ერთხელ უმიზეზოდ გამაჩერეს. ისევ ის შინდისფერი რენო-მოსკვიჩი მყავს, ფილმში რომ არის გადაღებული. პოლიციელი მეკითხება — მანქანა როდის უნდა გამოცვალო, ქალბატონო მარო? შევატყვე, კახელი იყო. როცა ფული მექნება-მეთქი, ვუპასუხე. შენი ქმარი რას აკეთებსო — მომიბრუნდა. ვა, რა ქმარი, არა მყავს და არც მყოლია-მეთქი. აბა, ი მიტო რას აკეთებსო? გამეცინა. მიტოს თავისი გაჭირვებია, თვითონ ვერ იცვლის მანქანას-მეთქი. ამას წინათ ჩემი დის საფლავზე ასულს ერთი ქალი მომიახლოვდა, მომეფერა, ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ, შვილი რომ გადამირჩინეთო. გავოცდი. თურმე ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი შვილი ჰყოლია, რომელიც დეპრესიიდან „გარიგებას“ გამოუყვანია. ძალიან გამახარა ამ ამბავმა.

**— ქალბატონო ნანული, მანანა თქვენი პირველი კინოროლი იყო. გაგიჭირდათ კინოს სამყაროში შესვლა?**

— ბავშვობაში სკოლის მასწავლებელი ამქვეყნად ყველაზე დიდი ვინმე მეგონა, ამიტომაც პედაგოგობა მინდოდა. რეზო ჩხეიძემ მნახა ერთ-ერთ ოჯახურ წვეულებაზე და „მანანას“ გადამღებ ჯგუფთან რეკომენდაცია გამიწია. ჩემი და იმ დროს უკვე რამდენიმე ფილმში იყო გადაღებული. ძალიან ლამაზი იყო. მე კი არაფრით გამოვირჩეოდი. მაგრამ სინჯების შემდეგ ფილმზე დამამტკიცეს და ისე ვინერვიულე, რომ სიცხემ ამიწია. არანაირად არ ველოდი კინოში თამაშს, თანაც უამრავი ვარსკვლავის გარემოცვაში ყოფნას. პარტნიორების მხრივ შემდგომშიც ყოველთვის მიმართლებდა.

**— ალბათ დღემდე არ გავიწყდებათ „მანანას“ გადაღების პროცესი...**

— ბათუმში გადაღების დროს ბებიკო-ბებიკოს რომ ვღრიალებდი, მანქანაში, ვილაც ქალს ვერ გაუგია, ფილმს რომ იღებდნენ. მოსულა და მანქანის კარი გაუღია ჩემს დასახსნელად. მე კი ამ დროს კარზე მიწოლილი, ქვაფენილზე დავენარცხე. მუხლებგადატყაული და ცხვირ-პირდალეწილი ერთი კვირა ლოგინში ვიწექი. ყოველთვის ღიმილით მახსენდება, თუ როგორ ეშინოდა იპოლიტე ხვიჩიას ძაღლების. პოლიციელს ძაღლი რომ მოჰყავდა, იპოლიტე შიშისგან ცახცახებდა. სინამდვილეშიც და ფილმშიც სულ იხვეწებოდა, მომაშორეთ ეს ძაღლიო. ყველა უსაფრთხოების გარანტიას აძლევდა, მაგრამ ძაღლმა მაინც დაკბინა იპოლიტე და მერე მოთქვამდა — დედა, დედა, როგორ ვერ გადავრჩიო. უამრავია გასახსენებელი.

**— მინახავს, რა შესანიშნავად ცეკვავდით ერთად ერთ-ერთ წვეულებაზე.**

— თვითნასწავლი მოცეკვავე და მომღერალი ვარ. ამიტომაც ძალიან მინდა მიუზიკლში მივიღო მონაწილეობა.

**— იმედის მომცემია, როცა დღევანდელ ურთულეს დროში მსახიობები სასოწარკვეთილებას არ ეძლევით.**

— რას ამბობთ, თუ თეატრში რეპეტიცია არა მაქვს, კუს ტბაზე ვვარჯიშობ, უკვე 12 წელია. იქ რომ ავდივარ, ცხოვრება უფრო მშვენიერია და უკან შესანიშნავ ხასიათზე ვბრუნდები. ცხოვრება რომ აირია და კაცებსაც ფინანსურად გაუჭირდათ, ჩვენ, გოგოები, დავდებთ ხოლმე ფულს და



ხან რის დღესასწაულს ვიგონებთ და ხანაც რისას. ასე ვიმხიარულებ ცხოვრებას. განა სულ ერთ ხასიათზე ვარ? ვცდილობ, ჩემი სევდა სხვას არ მოვახვიო. ამიტომაც თვლიან ჩემი მეგობრები, რომ ჩემნაირი თამადა არ არსებობს. ამას წინათ დილით ავდექი, გადაღებაზე უნდა წავსულიყავი, შუქი არ დამხვდა. აბაზანაში შევედი, წყალი არ მოდიოდა. ნირწამხდარმა კარი გამოვიხურე, მანქანაში ჩავჯექი და არ დაიქოქა. ისიც მივატოვე. გადაღებაზე მივედი. ჩავიცვი. ბიძინა ჩხეიძესთან „გრანტუსს“ ვიღებდით. რომ დამთავრდა ყველაფერი, ბიძინა მეუბნება, აი, ასე კარგად არასოდეს გამოგსვლიაო. გამეცინა, ვა, როგორი გამწარებული მოვედი და კარგი გამოვიდა-მეთქი? ასეთია ცხოვრება. უნდა ეცადო, რომ ლამაზად დაინახო ირგვლივ ყველაფერი და გამოგივა კიდეც. მთავარია ეცადო.

*ეკა ლომიძე*

# შევცოდე მათ წინაშე, ახლა კი გულით მინდა, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ

ცოდვა განახევრებულია, თუ აღიარებ, ხოლო თუკი ეცდები, ჩადენილი შეცდომის გამოსწორებას, მაშინ იგი აუცილებლად მიგეტევება. ასე სჯერა ჩემს რესპონდენტს, 28 წლის ახალგაზრდა ქალს, რომელმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, სამაგიეროდ, გულახდილად მიყვება, თუ როგორ უღალატა მეგობარს.

„როცა მივხვდი, უახლოესი მეგობრის წინაშე შევცოდე, შევეცადე მდგომარეობის გამოსწორებას, მინდოდა თაიას და გიოს ურთიერთობა აღმედგინა, მაგრამ არ გამომივი-



და. გიოს ვერაფრით მივაწვდინე ხმა ბათუმში, თაიამ კი არ მომისმინა. არა მგონია, ჩემი აღსარება მათ გულს მიღმა დარჩეს.

მე და თაია (სახელი მოგონილი არ არის) თბილისის ერთი ძველი უბნის ეზოში გავიზარდეთ. ბაღშიც ერთად დავდიოდით და სკოლაშიც. მერე მან აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ჩააბარა მე კი — ეკონომიკურზე. თაია მოხდენილი, ლამაზი გოგო იყო. არც მე ვიყავი ურიგო, ამიტომაც თაყვანისმცემლები ყოველთვის გვყავდა. სტუდენტობაშივე ჩემს მეგობარს დიდი სიყვარული ეწვია, მერე რაღაც მიზეზით დაშორდნენ. თაია კარგა ხანს დარდობდა. დრომ თავისი ქნა და ნელ-ნელა დაივიწყა ის ბიჭი.

შარშანწინ ზაფხული ბათუმში გავატარეთ. სწორედ იქ გავიცანით გიო. მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. გიო ხან ბარში გვეპატიჟებოდა, ხან კაფესა და რესტორანში... გამომგზავრების წინ შინაც მიგვიწვია და მშობლები გაგვაცნო. ძალიან კარგი და თბილი ოჯახი დაგვხვდა. თავდაპირველად, ვერ გავიგეთ, გიო მე მეპრანჭებოდა თუ თაიას. არადა, ორივეს მოგვწონდა. სხვა დროს ჩვენი სიმპათიების შესახებ ერთმანეთს გულახდილად ვუყვებოდით, ამჯერად კი არც ერთს არ გვინდოდა ერთმანეთს გამოვტყდომოდით. გიომ გამოგვაცილა და დაგვპირდა, საახალწლოდ თბილისში ჩამოვალ და აუცილებლად გინახულებთო. ხშირად გვირეკავდა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ გიოს თაია უყვარდა, რადგან მას კვირაში ორჯერ ან სამჯერ ურეკავდა, მე კი თვეში ერთხელ ძლივს გავახსენდებოდი. ახალი წელი რომ მოახლოვდა, თაიას დაურეკა და უთხრა — ძალიან მიყვარხარ, უშენოდ ვეღარ ვძლებ და რადგან პირისპირ ამის თქმისა მეშინია, ვარჩიე, ტელეფონით მეთქვაო... თაიამ იმ დღესვე ყველაფერი დაწვრილებით მიამბო, თან სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა. შემიძლია დავიფიცო, რომ შურისმაგვარი გრძნობა იმ წუთამდე არასოდეს მქონია, მაგრამ მაშინ რაღაც მოხდა ჩემში, ალბათ ეშმაკი შემიჩნდა, რომელმაც ჩამჩურჩულა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჩემი სიყვარულისთვის მებრძოლა.

გიო ჩამოვიდა და ახალი წლის ღამეს თავის მეგობრებთან ერთად ჩვენც დაგვპატიჟა რესტორანში. თაია ისეთი ლამაზი იყო, რომ მეც კი ვერ ვწყვეტდი თვალს. გიომ ცოტა რომ დალია, ყვავილები კალთაზე გადააყარა, დაუჩოქა და ცოლობა სთხოვა. თაია იცინოდა, არაფერს პასუხობდა. მე თავის ტკივილი მოვიმიზეზე და შინ წასვლა დავაპირე. გიომ მეგობარს სთხოვა, გავეცილებინე. თაიაც აღარ გაჩერდა უჩემოდ.

ახალი წლის დღეები მათთვის ბედნიერად გრძელდებოდა... მერე შემთხვევით გავიგე, თაია გიოს ნათესავთან წაეყვანა. ამან მთლად ამირია გონება და ისეთი რამ გავაკეთე, რასაც მხოლოდ ცოდვა ჰქვია. დავრეკე ბათუმში და გიოს მშობლებს კეთილისმსურველის სახელით მოვახსენე: თქვენს შვილს ერთი თბილისელი უზნეო გოგო შეუყვარდა, რომელიც თქვენს ოჯახს არ შეეფერება. ამ რამდენიმე წლის წინ მას ერთ ყმაწვილთან ჰქონდა ურთიერთობა, რომლისგანაც დაორსულდა, მაგრამ მშობლებმა აბორტი გააკეთებინეს და ახლა ცდილობენ, თქვენს ვაჟს ცოლად შერთონ. თუმცა იმ გოგოს მარტო ერთთან არ ჰქონია ასეთი სიახლოვე-მეთქი. ყურმილი რომ დავკიდე, ვიგრძენი, მთელი სახე მიხურდა, თავი მიგუგუნებდა, ჰაერი არ მყოფნიდა... მეორე დღეს თაიამ მიამბო სტუმრობის ამბავი. თურმე გიომ ნათესავებს თაია თავის საცოლედ გააცნო. მიკვირს, სხვა დროს ჩემს მეგობარს არ გამოეპარებოდა ჩემი უგუნებობა, ახლა კი ისე იყო თავისი ბედნიერებით დაბრმავებული, რომ ჩემს ტანჯვას ვერც ამჩნევდა. დამნაშავე ვარ, რომ ასეთი საშინელი ცილი დავწამე მეგობარს. მას ხომ ინტიმური სიახლოვე არავისთან ჰქონია, მე კი ლამის მეძავად გამოვაცხადე. რა მეკუთვნის ყოველივე ამის მერე? იმქვეყნად, ალბათ ჯოჯოხეთი, მაგრამ სააქაოშიც ხომ სატანჯველად განწირული ვარ... ჩემმა ზარმა სამ დღეში გამოიღო „ნაყოფი“ — ბათუმიდან ჩამოვიდა გიოს დედა და ეტყობა, შვილს უამბო ყველაფერი. ის კი ჩემთან მოვიდა (და არა თაიასთან!) „საქმის“ გასარკვევად. „გაჭირვებით“, კარგა ხნის დუმილისა და ორჭოფობის მერე დავუდასტურე „ინკოგნიტო კეთილისმყოფელის“ ნათქვამი. ისე, ზოგჯერ როგორი ბრიყვები არიან კაცები, რა იოლად წამოეგებიან ხოლმე ანკესს და ერთი ხელის მოსმით ანადგურებენ ბედნიერებას. გიომ რაღაც დაწერა და მთხოვა, თაიას მიუტანეო. თვითონ კი იმ საღამოსვე გაემგზავრა ბათუმში. ქაღალდზე გაკრული ხელით რამდენიმე სიტყვა ეწერა: „არ მეგონა, თუ სიმართლეს დამიმალავდი. სჯობს, აღარ შევხვდეთ. ნუ დამირეკავ, მშვიდობით! გიო“.

თაიასთან მისასვლელად დიდხანს ვითრიე ფეხი. მერე თვითონ დამირეკა: გიო სადღაც გაქრა, შენც არ ჩანხარ, რა ხდება, ხომ არ იციო. მივედი და წერილიც გადავეცი — გიომ დაგიტოვა-მეთქი. ხელის კანკალით გახსნა და რომ წაიკითხა, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო.

მერე ტირილით ჩამკითხა: რას მერჩის, რომელ სიმართლეზე მელაპარაკებაო? ვუთხარი, რომ შენი და იმ ვაჟბატონის სიყვარულის ამბავი ვილაცისგან გაუგია და გაბრაზდა, რატომ არ მომიყვაო. ლამის გაგიჟდა თაია, იმასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია და ოცდაშვიდ წლამდე ნუთუ არავის სიყვარულის და მოწონების უფლება არ მქონდაო? მე კი, უსინდისო ქალმა, ურცხვად ავიჩეჩე მხრები. მერე გაბრაზებულმა მითხრა: ღმერთი სამართლიანია, ვინც წასასვლელია, კიდევაც უნდა წავიდესო.

ეგ კი თქვა, მაგრამ სამი დღე ლოგინიდან ვერ ადგა და ხემსიც არ ჩაუდვია პირში. მათი დაშორებით გამოწვეული სიხარული მალევე გამიხუნდა. თაიას თვალებში ვეღარ ვუყურებდი. აშკარად გავურბოდი მასთან ურთიერთობას, მაგრამ საკმარისი იყო, მისვლა დამგვიანდებოდა, თვითონ რეკავდა და მთხოვდა, მივსულიყავი. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე. მერე დიდმარხვაც დაიწყო და აღსარებისას ყველაფერი ვუამბე მოძღვარს. მირჩია, მეგობარს გამოვტყდომოდი. ასეც გავაკეთე. თაიას თავზარი დასცა ჩემმა გულახდილობამ. მას ასეთი რეაქცია არც პირველი სიყვარულის დაკარგვისას ჰქონია და არც გიოს წერილის მიღებისას. ასეც მითხრა: ქვეყნის დაქცევას ველოდი და შენგან ასეთ მზაკვრობას — არაო. წადი და ამიერიდან ჩემი სახელი აღარ ახსენო. გიო მართლაც სუსტი პიროვნება აღმოჩნდა და არც ვყვარებივარ, რადგან ასე იოლად დაგიჯერა, ჩემთან კი არაფრის გარკვევას არ შეეცადა, ამიტომ გიხაროდეს, მას არასოდეს შევეხმიანებიო.

თაიასაგან ცოცხალ-მკვდარი წამოვედი. ჯერ ვიფიქრე, მანქანას ჩავუვარდები და ჩემს სიბოროტეს ამით გამოვუტან განაჩენს-მეთქი, მერე ხიდიდან მინდოდა მტკვარში გადახტომა, მაგრამ მოძღვრის სიტყვები გამახსენდა: ყველაფერში გამოუტყდი მეგობარს და თუ შეგრისხა, როგორც შემცოდემ, ატარე მძიმე ტვირთი, მაგრამ ამიერიდან ისე იცხოვრე, ეგ ცოდვა გამოისყიდოო.

მეც ვცდილობ, რომ გამოვისყიდო. გიოს დავურეკე, შინ არ დამხვდა... მოთმინების ძაფი გამიწყდა და ბათუმში წავედი მის სანახავად. გადაწყვეტილი მქონდა, ყველაფერი მეამბნა. მშობლებმა მითხრეს, გიო ევროპაში სამოგზაუროდ წავიდაო... იმედგაცრუებული დავბრუნდი თბილისში. მას მერე რამდენიმე თვე გავიდა. გადავწყვიტე, თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო მოტყუებულ ბიჭს და დავუბრუნო ის სიხარული, რომლითაც უზომოდ ბედნიერი იყო ორი წლის წინ:

*„გიო! ახლა შენ უკვე ყველაფერი იცი. გემუდარები, ჩამოდი და ნახე თაია. მჯერა, რომ ორივეს ისევ ძალიან გიყვართ ერთმანეთი. მე კი, თუ საჭირო იქნება, საერთოდ არ დაგენახვებით, ოღონდ თქვენ იყავით ბედნიერები.*

*მაპატიე და შემინდე!“*

*„ჩემო თაია! შენ ხომ ყოველთვის გულმოწყალე იყავი?! აპატიე შენს ბრიყვ და სულელ მეგობარს შეცდომა. ნათქვამია, სიკვდილის გარდა, ყველაფრის გამოსწორება შეიძლებაო. ჰოდა, მომეხმარე, გამოვასწორო ჩემი უგუნურობა. მჯერა შენი კეთილი გულისა და იმედი მაქვს, შენთან მოსულ გიოს ხელს აღარ კრავ. მე კი, როგორც გინდა, ისე დამსაჯე. მზად ვარ, ვიტვირთო ცოდვის სიმძიმე“.*

*ვასრულებთ ჩვენი რესპონდენტის თხოვნას და ვბეჭდავთ მის ნაამბობს. იქნებ, „კვირის პალიტრამ“ კეთილი შუამავლის როლი იკისროს და დაშორებული შეყვარებულები შეარიგოს.*

**მარინა ბაბუნაშვილი**

## ტესტი

### „ჩვენ რომ გვაწყობდეს, დედასამყარო არ მოეწყობილა ისე!“

**დღეს წარმოუდგენელია ცხოვრება პრობლემების გარეშე. მიუხედავად ამისა, ზოგი იოლად წყვეტს ყველაზე რთულ საკითხებს. ზოგი კი მათი მონა ხდება და უმცირესი წვრილმანიც თრგუნავს. თქვენ რომელს ეკუთვნით?**

**გთავაზობთ სპეციალურ ტესტს. თითოეულ შეკითხვას უპასუხეთ ერთი შესატყვისი პასუხით.**

***1. თუ უყვებით ვინმეს თქვენს უსიამოვნებასა და სიძნელეზე:***

ა) არა, ეს ვერ მიშველის — 3 ქულა;

ბ) ვუყვები, თუ შესაფერისი თანამოსაუბრე მყავს — 1 ქულა;

გ) ყოველთვის არა. ხანდახან თვითონაც მიჭირს ამაზე ფიქრი — 2 ქულა.

***2. როგორ განიცდით ტანჯვას:***

ა) ყოველთვის ძალზე მტკივნეულად — 4 ქულა;

ბ). დამოკიდებულია გარემოებაზე — 0 ქულა;

გ) ვითმენ, რადგან დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან გაივლის — 2 ქულა.

***3. (თუ არ სვამთ სპირტიან სასმელებს, მაშინ გადადით შემდეგ კითხვაზე) თუ სვამთ, იმისთვის, რომ:***

ა) „ჩავკლა“ მასში პრობლემები — 5 ქულა;

ბ) ოდნავ მაინც მოვწყდე ყოველდღიურ ამაოებას — 3 ქულა;

გ) უბრალოდ, მომწონს — 1 ქულა.

***4. როგორ იქცევით, როცა გულს გტკენენ:***

ა) ვცდილობ, მივუტევო და შეძლებისდაგვარად არ ვიფიქრო ამაზე — 0 ქულა;

ბ) მეგობართან მივდივარ — 2 ქულა;

გ) ვზივარ და საკუთარ თავს დავტირი — 4 ქულა.

***5. როცა უახლოესი, საყვარელი ადამიანი გაწყენინებთ:***

ა) რწმენადაკარგული საკუთარ თავში ვიკეტები — 3 ქულა;

ბ) მოვითხოვ ახსნა-განმარტებას — 0 ქულა;

გ) დარდს მხიარულებით ვფანტავ და ვოცნებობ შურისძიებაზე — 1 ქულა.

***6. წუთიერი ბედნიერების დროს:***

ა) მავიწყდება განცდილი უბედურება — 1 ქულა;

ბ) მეშინია: ეს დროც ხომ „ჩიტივით გაფრინდება“ — 3 ქულა;

გ) ცხოვრებაში სასიამოვნო და უსიამოვნო მოვლენები ერთმანეთს ცვლის — 5 ქულა.

***7. რას ფიქრობთ ფსიქიატრებზე:***

ა) არ მინდა, მათი პაციენტი ვიყო — 4 ქულა;

ბ) ისინი ხომ ადამიანებს ეხმარებიან — 2 ქულა;



გ) ადამიანს ყველაზე კარგად საკუთარი თავი ეხმარება — 3 ქულა.

***8. რას იტყვით თქვენი ბედის შესახებ:***

ა) კვალდაკვალ მომდევს — 2 ქულა;

ბ) უსამართლოა ჩემ მიმართ — 5 ქულა;

გ) კეთილგანწყობილია — 1 ქულა.

*7-13 ქულა — რეალური ცხოვრებით ცხოვრობთ და არც პრობლემები გაშინებთ. თქვენი გეგმები ალტაცების ღირსია.*

*14-25 ქულა — ხანდახან „ბედს წყევლით“, თუმცა „სულის მოსათქმელი შესაძლებლობები“ არ გაკლიათ. ცდილობთ, თქვენი პრობლემები სხვებსაც მოახვიოთ თავს. გახსოვდეთ, ბედნიერებას მერყეობა აფერხებს!*

*26-33 ქულა — საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვისა და თავის შეცოდების მეტს არაფერს აკეთებთ. გახსოვდეთ: უსუსურობას და უმოქმედობას სიკეთე არ მოაქვს. ნატვრისთვალს კი მხოლოდ ზღაპრებში პოულობენ. აამოქმედეთ ყველა რესურსი და პრობლემებიც თანდათან გადაიჭრება.*

## სილამაზე ცქერით ძოდი გაცვდება

**ბარბარე ყიფიანი**



„თანამედროვე მეცნიერ ქალთა შორის, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით დიდად გვაიმედებენ და სამერმისოდ აქედანვე იქმნიან კიდეც თვალსაჩინო მეცნიერულ კარიერას, ყურადღებას იპყრობს ბარბარე ნიკოლოზის ასული ყიფიანი, წარმოშობით ქართველი“, — ასე წერდა უცხოეთის სამეცნიერო პრესა XX საუკუნის დასაწყისში.

საქართველოს გარეთ მოღვაწე ქართველთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ევროპაში საკმაოდ აღიარებული ფიზიოლოგი ბარბარე (ვარო) ყიფიანი.

იგი ბელგიაში ცხოვრობდა და მუშაობდა. წერდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, ლექციებს კითხულობდა ბრიუსელის, ლეჟის, პარიზისა და ჟენევის უნივერსიტეტებში.

ვარო ყიფიანის პოპულარობაზე მეტყველებს ევროპის სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული მისი სამეცნიერო გამოკვლევები.

ვარო ყიფიანი დაიბადა ცნობილი ქართველი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ოჯახში. მისი მამა — ნიკოლოზი ბრწყინვალე იურისტი იყო, დედა — ანასტასია ერისთავი, ქეთევან წამებულის პირდაპირი შთამომავალი.

ეს ფრიად განათლებული მანდილოსანი იმდროინდელ ევროპაში ცნობილი იყო, როგორც საქართველოს სულიერი, ზნეობრივი და ინტელექტუალური დესპანი, როგორც მომხიბლავი ქალი. ასეთი საოცარი ჰარმონია სულიერების, გარეგნული მშვენიერებისა და ნიჭისა, იშვიათიაო, — წერდა პრესა.

ვარომ ბრიუსელში დაამთავრა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა მისმა სამეცნიერო ნაშრომმა, „კუნთებზე შაქრის ზემოქმედება“, დიდი მოწონება დაიმსახურა 1904 წელს, ბრიუსელში, ფიზიოლოგთა მე-6 საერთაშორისო კონგრესზე. ერთი წლის შემდეგ მისმა მოხსენებამ ევროპის ფიზიოლოგთა ფორუმზე შაქრის მრეწველ ქიმიკოსთა მსოფლიო კონგრესზე სპეციალისტები აღაფრთოვანა. წიგნად გამოცემული ამ მეცნიერული ნაშრომის გამო პარიზის ქიმიკოსთა საზოგადოებამ ახალგაზრდა მკვლევარი ქალი ვერცხლის მედლით დააჯილდოვა, ხოლო პარიზის სამეცნიერო აკადემიამ სპეციალური ჯილდო მიაკუთვნა.

ბარბარე ბრიუსელის ბრმათა და ყრუ-მუნჯთა პრობლემების შემსწავლელ ინსტიტუტში წარმატებით იკვლევდა ბრმათა ფსიქოლოგიას. დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით.

1910 წლიდან, მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებით, ბრიუსელში დაარსდა ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, რომლის ქართული სექციის პრეზიდენტი იყო ბარბარე ყიფიანი.

1911 წელს პედაგოგთა პირველმა საერთაშორისო კონგრესმა მაღალი შეფასება მისცა მის ერთ-ერთ ნაშრომს — „ტროპიზმი მოსწავლეთა შორის“. წიგნი დაისტამბა რამდენიმე ენაზე.

ბარბარე ყიფიანი ამ ნაშრომით წარმოგვიდგება, როგორც მეცნიერი, რომელსაც კარგად ესმის ობიექტური ჭეშმარიტება: „არაფერს შეუძლია დაარღვიოს ბუნების კანონი „სწორწონადობისა“.

მეორე მსოფლიო ომის დროს ვარო ყიფიანმა სალომე დადიანისა და მიურატების ოჯახის ნაანდერძევი ფულით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თავი მოუყარა ქართულ ხელნაწერებს, ხელოვნების ნიმუშებს, დოკუმენტებს და დააბინავა რომში.

ბარბარე ყიფიანი გარდაიცვალა 1965 წელს. დაკრძალულია ბრიუსელში

## ანეკდოტები

****

მთვრალი მამაკაცი გამთენიისას ბრუნდება შინ. ცოლი კარებთან ხვდება:

— როგორ შეგიძლია სახეში მიყურო?

— ყველაფერს ეჩვევა ადამიანი!...

****

კაცი მოსამართლეს ეკითხება:

— რამდენ წელს მომისჯიან, თუ ჩემი სიდედრი მოვკალი?

— რვა წელს, — პასუხობს მოსამართლე, — მაგრამ თუკი ჩემს სიდედრს მიაყოლებთ, მაშინ სამ წელს.

# ელიოზასავით თუ ცას შეჰყურე მთელი ცხოვრება, აგიშენდება ოჯახი...



ჰოროსკოპის მაგიერ: იოსებ ჯანიაშვილი (ისევე როგორც თითქმის ყველა კახელი) ღვინის „ნიშნის“ ქვეშაა დაბადებული ვეჯინში, 82 წლის წინ. ამ „ნიშნით“ დაბადებული ადამიანები, როგორც წესი, გამოირჩევიან თამადობის ნიჭით, ენაწყლიანობით. აქვთ იუმორის გრძნობა და ქეიფის დროს აუცილებლად მღერიან. წყურვილის მოკვლას ამჯობინებენ ღვინით, უფრო იშვიათად, წყაროს წყლით.

იოსებ ჯანიაშვილი, ბოლოდროინდელი მონაცემებით, ლხინში სვამს „მხოლოდ“ 5 ლიტრ ღვინოს (ქალაქურად — 7 ბოთლს). თამადობის დროს უშელავათოა და უყვარს განსხვავებული სასმისის დაძალება (საყვარელი დასაძალებელი ჭურჭელია — დოქი, ერთხელადიანი).

ექიმი და წამალი არ იცის რა არის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მედდას, რომელიც ომში, თურმე რატომღაც გვერდიდან არასოდეს შორდებოდა და მუხლში დაჭრილს, როგორც თვითონ ამბობს, „ტრადიციული მეთოდებით“ მკურნალობდა).

ომში ცხენოსანთა პოლკში იყო და „სნაიპერად მუშაობდა“ („ცხენიდან რო „მაკრატელას“ გავაკეთებდი და „მიშენის“ ვსროდი, ხუთიდან ხუთივე ტყვიას ათიანში გაჰქონდა ზღართანი“). არც ახლა უკანკალებს ხელი, ტყვიას ტყვიაში — ვერა, მაგრამ 30 მეტრზე დადებულ კვერცხს „ბურდღლს ადენს“.

ასალები აქვს 20 თვის პენსია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს და სჯერა, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ შვილებს თუ არა, შვილიშვილებს მაინც მისცემენ.

იოსებ ჯანიაშვილს ველისციხის ბაზარში შევხვდი. თავის ამოსხმულ ქალამნებს, თავის დაწნულ შოლტებს, თოკებს და ქამრებს ყიდდა. ფასები, სიმბოლურიო რომ იტყვიან, ისეთი ჰქონდა, თუმცა კლიენტი მაინცდამაინც არ ანებივრებდა.

ხუთწუთიანი გასაუბრების შემდეგ „თოკები აახვია“, აქ ბაზარში უხერხულია მაგ თემაზე საუბარიო და სახლში მიმიპატიჟა, ქვევრის პირას.

არ გავჯინიანებულვარ...

— **იოსება ძია, ქალამნების ამოსხმა რამ გაფიქრებინა, კაცო, დღეს ვილა იცვამს მაგას?!**

— განა არ ვიცი, მაგრამ... უფრო თბილისელები ყიდულობენ და აქაური შეძლებულები. ზოგს ბუხართან დასაკიდად უნდა რელიკვიადა, ზოგი კიდე, იგრე ყიდულობს, შვილებს რო ასწავლოს, ქალამანი რა არის... ბიჭი მამულში აღარ მიშვებს — დაბერდიო და უსაქმოდ ხო არ დავხავსდებოდი.

— **ეი. მიწას ველარ „ებრძვი“?**

— ვინა, მე? სუფრაზე თუ ვერ მიძლებენ ახალგაზრდები, თოხში და ბარში მაჯობებენ? მაგრამ ბიჭს ერიდება, ხალხი რას იტყვის, 82 წლის კაცი ვენახში დადიოდეო. ახლა კი, სიმართლე რო გითხრა, არ გვიჭირს მაინცდამაინც და არც მე ვატან ძალასა. კვირაში სამოთხ თუმანს ამ საქმიდან ვშოულობ, 45 ლარი პენსია მაქ. ისე რო, არაფერი გვიჭირს, შენ თვითონაცა ხედავ.

— **ღმერთმა ნუ გაგიჭირვოთ, მაგრამ შენნაირები დღეს ერთეულები არიან.**

— ერთეულები თქვენა ხართ, ვინც მაგას ამბობთ, მე ერთეული როგო ვარ, როცა სახლში ათი სული ვართ. ცხვარძროხას, გოჭებს, ქათმებს და ინდაურებს არა ვთვლი. ოთხი შვილთაშვილი მყავს, ამათ ვენაცვალე, აბა, დაინახე, როგორც ბოკვრები, იგეთები არიან...

— **ეი. გული არაფერზე გწყდება?**

— იცი, რაზე მწყდება გული? ჩვენი წინაპრები ყოველდღე მტრის შემოსევას ელოდებოდნენ ხოლმე და არ აყრილან, სხვაგან არ წასულან. ეხლა კიდე გავიხედამ და იტყვიან — მავანი თურქეთში წავიდა საბო... ისა, სამუშაოდაო, მავანი — ამერიკაშიო, ზოგი რუსეთში გარბის, ზოგი კიდე — სადა. შე მამაცხოვნებულო, თუ მუშაობა გინდა, აქა ცოტაა საქმე? მოვიდეს ჩემთან, რამდენი კაციც გინდა იყოს, თუ იმაზე იოლი საქმე არ მივცე, იქ რო კადრულობენ!

აარა! აქ სავარძლებსა თხოულობენ და იქ სხვებს ნიფხვებს ურეცხავენ, ბოდიში ამ სიტყვაზე. აექ იმუშავე, დღეს აქ იჭრება ფული, აქა. სხვაგან რას გარბიხარ, შე მამაძაღლო. უცხო შენა ფულს გაშოვნინებს, მითხარ ერთი?!

ეეჰ, მე რომ ახალგაზრდა ვიყო, დედას ვუტირებდი...

— **მაინც რას იზამდი?**

— სოფელში ბიჭები არიან, 3-4 ჰექტარი ვენახი გააშენეს, დღე და ღამე შიგ არიან, ვენაცვალე მაგათ გამზრდელსა. ხანდახან ერთ ოც ლიტრ ღვინოს ბირჟაზეც გამოგზავნიან ხოლმე — დალიეთ, ბიჭებოო! ეგეთი ხალხი რომ ბევრი ეყოლება სოფელსა, სოფელიც გაიმართება წელში და ქვეყანაც აშენდება. წელს, რთვლის ბოლოს, საფერავის ფასმა ორ ლარს მიუკაკუნა და თუ არ მაიმატა, მაგაზე ქვევით ხო აღარ ჩამოვა. ე.ი. თითოეულმა წელიწადში, იგრე როგო იქნება, რო 40-50 ათასი ლარი ვერ იშოვოს. ეგ არაფერია, შვილო?! ჩემ დროსა, ამაზე ფიქრიც არ შეგვეძლო. რაი შაიყურებთ ხელში სახელმწიფოსა, ხო ხედავთ, არაფერი აბადია რა.

— **ჩემზე კარგად იცი, ერთი ჰექტარი ვენახი რომ გააშენო, სანამ მოსავალს მოგცემს, ხუთი ათასი ლარი მაინც უნდა. საიდან იშოვოს გლეხმა ეს ფული?**

— საიდან და, თავი მარტო იმიტო კი არ გაბია — საერთოდ ვამბობ — ყურძენი წიპწასავით ღვინის ჯამში ატივტივო, უნდა მაიგონო რამე, მა როგო გინდა?! იმ კინოში როა, ელიოზასავით თუ ცას შეიყურებ მთელი ცხოვრება, აგიშენდება ოჯახი! ჩემსავით დღე და ღამე იმუშაოს და თუ ვერ იშოვის მემრე მითხარ. მუშაობის დროს მოდის აზრიცა...

— **ყველას ხო არ შეუძლია ეგ „გამომგონებლობა“, იოსება ძია?**

— ძაან კარგად შეუძლიათ. მაშ, ჩემოდენა აღარ შეუძლიათ? იმათ ედრებიან, ვინც უშრომელად შოულობს ბევრ ფულსა. ის კი არ იციან, რო იმათ სუ სხვანაირი ჯაფა ადგათ, ჩვენზე მძიმე. თან ბალიშზე წესიერად თავი ვერ დაუდიათ. ახლა კიდე, შენი შრომით მიღებული სიკეთე სულ სხვაა, სხვა მადლი აქ... მთელი ცხოვრება სუ ვმუშაობ, ოთხი წელი ციხეში ვიჯექ და იქაც გამორჩეულად ვასრულებდი ჩემს სამუშაოსა. აბა, შემომხედე, ფერ-ხორცი მაკლია თუ ვაჟკაცობა?

— **ციხეში რაზე იჯექ, თუ საიდუმლო არ არის?**

— რა საიდუმლო... რაიკავშირის საწყობში ვმუშაობდი, ცოტა ხანს, მგელაძის პერიოდში. ათ კაპიკზე იჭერდნენ მაშინ ხალხსა. მე 120 მანეთის დანაკლისი მამივიდა და 8 წელი მამიზომეს.

არც იმ მთავრობას დავმდურებივარ ძალიან, რა ექნათ, რუსეთი კარნახობდათ მაშინ ყველაფერს და... ეხლა რო გამოდის ზოგი გულაჩუყებული და იმათ მისტირის, იმ ზარფუშით მინდა გვერდები ავუჭრელო, ქეიფიანობის საწინააღმდეგო კანონთან დაკავშირებით რო ჩამომართვეს. ჩემი ერთი ძმაკაცი კიდე (იგრე დაბერდა, ბაკურციხეს არ გასცდენია!) თავს იკლამდა „ხედამ, კაცო, ეს როგორი ვიზური რეჟიმი შემაიღეს, რო მინდოდეს რუსეთში როგორღა უნდა წავიდეო...“ მე და შენ ამის შემდეგ სადაც უნდა წავიდეთ, იმის ვიზა დიდი ხანია აღებული გვაქ, ზახარ, და ნუ დარდობ-მეთქი — დავამშვიდე.

— **გეტყობა, შენ ეგა არც ამ მთავრობას დაემდურები, ოცი თვის პენსია რომ „გაგიყინეს“?**

— ეგა, სახელმწიფო მავნებლობაა და თუ ჩამივარდა ხელში, ვინც ჩვენი პენსიით ხელს ითბობს და ხალხს კიდე მშიერსა ტოვებს, გჯეროდეს, იმის ტყავისგანაც ამოვასხამ ქალამნებს.

— **ისე, პოლიტიკასთან როგორა ხარ?**

— მე პოლიტიკისთვის სადა მცალია. ან რა ჩემი საქმეა. იქ „აშიბკით“ მოხვედრილებს რო ვუყურებ, იმაზედაც ვჯავრობ. მე აქ, ვენახში უნდა მნახო, იქა ვარ ლამაზი და ლალი. როგორც მეპურე თონეში, დედაკაცი — ლოგინში (იოსება ძიას თვითონვე მოეწონა ასეთ კარგ შედარებას რომ მიაგნო და გემრიელად იქვითქვითა კარგა ხანს. — ფ.ფ.).

— **იოსება ძია, შენზე ამბობენ, „მაგარი“ თამადააო. ძნელია ეგ საქმე?**

— ჰმ, ძნელიაო... სუფრის პრეზიდენტად გირჩევენ და იოლი როგორ იქნება?! ზოგიერთ თავქარიან ლიფსიტას ქვეყნის პრეზიდენტობაც ეიოლება თურმე, როგორც გაზეთებში წერენ.

თამადობა გაბედულება და რისკია. სიტყვაც არ უნდა შეგეშალოს, თორე დაღუპულია შენი საქმე. ლექსები უნდა იცოდე, თანაც კაი სიმღერები დუდუკებზედა. ცეკვაცუცილებელია. ლალი უნდა იყო ტოროლასავით და ძლიერი არწივივით, რო არ გაგითამამდნენ. ღვინის სმა ხო, თავისთავადა.

მე ცხრა ლიტრაზე მეტს ვერა ვსვამდი, მაგრამ ეხლაც ერთ ხელადას ერთი მოყუდებითა ვცლი. ეს ძაან მშველოდა საქმეში.

— **ჩვენი პრეზიდენტი მაგდენს ალბათ ვერ დალევს და სხვას რას უწუნებ, „თამადობაში“?**

— ძალიან დამთმობია და რბილი. ვინც არა მგონია ქვაზე არიგებს, კაცო, ეს კიდე უსმენს. ბალღაუქები მაგას არ უნდა უბედავდნენ. ბოლოში კი გამოკვანძავს ხოლმე ურჩებს, როგორც მე თოკებსა, მაგრამ...

— **იოსება ძია, როგორ ფიქრობ, პოლიტიკაში მთავარი რა არის?**

— პირდაცულობა! ცხოვრებაშიც ეგრეა. ენაჭარტალა და ლაქლაქა კაცისა არა მჯერა არაფერი. მე, შეიძლება ბევრი რამე არ მესმის, მაგრამ გინახავს, ჩვენ პრეზიდენტს ისეთი რამე წამოსცდენოდეს, მსოფლიო ეღავლავებინოს? არადა რამდენს მოუვიდა ეგეთი იაღლიში. აბა, გაიხედ-გამოიხედე მაგის კბილისანი და პატარებიც პანტასავითა ცვივიან სკამებიდან. ეგ პატარა საქმე გგონია შენა? ჯერ მარტო ჩემთვის რამდენს დაუპირებია თამადობის წართმევა სუფრაზე. არ იცი ქართველების ამბავი, ყველა თავქარიანს პრეზიდენტობა უნდა. იმიტომაც ვამბობ ხოლმე, თამადობა და პრეზიდენტობა ერთი და იგივეა, მარტო მასშტაბებშია განსხვავება.

— **ჰო, მაგრამ, რომ მაინც ვერ უშველა ჩვენს გაჭირვებას?**

— კაცო, ეხლა მაგას არ გეუბნებოდი, პრეზიდენტი ის არი, ვინც სუფრის თამადაა- მეთქი?! სად გინახავს თამადის მომზადებული პურმარილი, იმან ქეიფი უნდა წარმართოს სწორედა. თუ ლხინია, მაალხინოს ხალხი; თუ ჭირია, ატიროს. გლეხმა, მიწის მუშამ უნდა შაინახოს ქვეყანა. ღვინო, ხორცი და პური ჩვენი შესაქმნელია. რა უნდა ქნას ქალაქელმა, მეთორმეტე სართულზე რო ცხოვრობს?! გაჭირვებაო, აგიტეხიათ. გაჭირვება ის იყო, აკაციის და კომშის ყვავილს რო ვჭამდით. ეხლა, საღამოს რო სოფელში გაივლი, ყოველ მეორე-მესამე სახლიდან სიმღერების ხმა გამოდის, ღმერთმა ამღეროთ. აბა რა ვიცი, გაჭირვებას რას ეძახით.

— **იოსება ძია, დღეს შენ ყველაზე დიდი სუფრის თამადად გირჩევთ, ვიდრე ოდესმე გითამადია. გაზეთს, სადაც შენი ინტერვიუ დაიბეჭდება, მთელი საქართველო კითხულობს. ასე რომ, შეგიძლია ყველაზე მეტად მოინდომო, სადღეგრძელოს თქმის უფლებას გაძლევ მთელი ერის გასაგონად.**

იოსება ძიას სხვანაირად გაუბრწყინდა სახე, დაირცხვინა. თიხის ჯამი მოკრძალებით აიღო. კამკამა ღვინოს ჩახედა, ულვაშები მოხრილი საჩვენებელი თითით გადაიწკიპა და დინჯად, ლოცვასავით დაიწყო:

— ვაზის სიძლიერე მისცეს ღმერთმა მთელ საქართველოს, ყურძნის სიტკბო და ღვინის ბარაქა არ მოგკლებოდეთ. ყველა სალოცავის მადლი გფარავდეთ და ღმერთთან სიახლოვის ნეტარება ნუ მოგშლოდეთ. ზომიერების გრძნობა ჰქონდეს ჩვენს ხალხს. ზომაზე მეტად მარტო თავისი მიწა-წყალი ჰყვარებოდეს.

ამ მიწაზე უწინაც და ეხლაც ბევრს ეჭირა თვალი და თუ არ დავხაფრეთ ეს მიწა, დავკარგამთ თელასივითა. მერმე შვილებს რა ვუთხრათ? ჩვენს შვილიშვილებს წინაპრების ძვლების „დამზადებასაც“ ხო არ დავაწყებინებთ ფერადი ლითონივითა?! საკუთარ მამულში დამარხვის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. ჩვენ გაუტეხავ ჯიშსა და ჯილაგს გაუმარჯოს!

ღმერთმა დაგლოცოთ!

*ფირუზ ფურცელაძე*

# ნიუ-იორკში ამერიკის მოქალაქე ქართველი ტყუპი ძმები დაიბადნენ

## ...საქართველოში კი ჩასახვის საწინააღმდეგო აბების, სპირალების და პრეზერვატივების რეკლამებს გვთავაზობენ

2001 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ნიუ-იორკში ქართველი ტყუპი ძმები ლევან და ლუკა მიქაბერიძეები დაიბადნენ. თითოეული 3 კილოგრამსა და 200 გრამს იწონიდა. სამშობიარო კლინიკის მედპერსონალი გაოცებული იყო პატარა „გოლიათების“ დაბადებით. ოცდაათწლიანი ჩემი სამედიცინო პრაქტიკის მანძილზე ასეთი ჯანმრთელი და ასეთი წონით დაბადებული ტყუპი არ გვახსოვსო, უთქვამს ტყუპების მშობლებისათვის სამშობიარო კლინიკის მთავარ ექიმს...

ქართველი ტყუპი ძმების დაბადების ამბავი სწრაფად გავრცელდა ნიუ-იორკში. ასზე მეტი ქართველი შეიკრიბა სამშობიარო კლინიკასთან. მოვიდნენ საჩუქრებით, შამპანურებით, ცოცხალი ყვავილებით. ულოცავდნენ ტყუპის მშობლებს — 24 წლის ლევან მიქაბერიძესა და მის მეუღლეს ნათია გულდედავას. ამერიკელმა ქართველებმა და კლინიკის მედპერსონალმა დილამდე იზეიმეს... ანთებული სანთლებით ხელში თავისუფალ საქართველოს უმღეროდნენ ბედის უკუღმართობით საარსებო წყაროს საშოვნელად ოკეანის გაღმა გადახვეწილი ქართველი ახალგაზრდები...

ლევან მიქაბერიძემ, დათო კალმახელიძემ და გიორგი ჩანტლაძემ 1998 წელს წარმატებით დაამთავრეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. უმუშევრობით განამებულმა ახალგაზრდებმა საბოლოოდ დაკარგეს იმედი მოქკავშირის მიერ დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილის შექმნაზე და გადაწყვიტეს ამერიკაში გამგზავრება. ახლობლების დახმარებით, 1999 წლის მარტში ნიუ-იორკის კოლეჯში ჩაირიცხნენ, რომლის დამთავრების შემდეგაც ერთ-ერთ ფირმაში სამსახურიც დაიწყეს.

2000 წლის გაზაფხულზე ლევან მიქაბერიძემ შემთხვევით გაიცნო ნიუ-იორკში ასევე სამსახურის საძებნელად ჩასული თბილისელი ნათია გულდედავა. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და გაცნობიდან ორმოცდამეათე დღეს ნიუ-იორკის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს...

— 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარმა ტერაქტმა თავზარი დაგვცა, გვესაუბრებიან თბილისში მცხოვრები ლევან მიქაბერიძის მშობლები ბატონი ლევანი და ქალბატონი დოდო. დიდი წვალებით დავუკავშირდით ჩვენს შვილს და როცა მისი ხმა გავიგონეთ, შვებით ამოვისუნთქეთ. იმავე დღეს მივაშურეთ ამერიკის საელჩოს. ვთხოვეთ, ტერაქტის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის ჩვენი სამძიმარი გადაეცათ.

მართალია, ჩვენი შვილი დღეს უზრუნველყოფილია და შესაძლებლობის ფარგლებში ცოტაოდენ ფინანსურ დახმარებასაც გვიწევს, მაგრამ მის სიშორეს მტკივნეულად განვიცდით. რძალი და შვილიშვილები ჯერ არც გვინახავს. ახლახან ვიდეოკასეტა და ფოტოალბომი გამოგვიგზავნეს და ასე ვეფერებით. მოქმედი კანონის საფუძველზე, პატარებს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის პასპორტები გადასცეს, რაც ჩვენთვის სასიხარული სრულიადაც არ არის. ლევანი და ლუკა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეები გვინდა გახდნენ და თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ იღვაწონ. გვაშინებს იმაზე ფიქრი, რომ ჩვენთან მცხოვრებმა უფროსმა ვაჟმა ირაკლიმაც არ გადაწყვიტოს საქართველოდან წასვლა...

ოთხ ათეულ წელზე მეტი სამთო ტურიზმს ვემსახურე, — ჲასძენს ბატონი ლევან მიქაბერიძე, — უმაღლესი კატეგორიის ინსტრუქტორის წოდება მომანიჭეს. ჩემი შრომით ოჯახს ვინახავდი. ახლა კი თვალცრემლიან მეუღლესთან ერთად ღმერთს სამი წლის უნახავი შვილის, რძლის და ამერიკელი შვილიშვილების საქართველოში დაბრუნებას ვევედრებით.



ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, თურქეთში, საბერძნეთში და სხვაგან ათასობით ქართველი ქალი თუ მამაკაცი საარსებო წყაროს დაეძებს. ნიუ-იორკში ქართველი ტყუპი ძმები ლევან და ლუკა მიქაბერიძეები ამერიკელ მოქალაქეებად იზრდებიან. ვინ იცის, კიდევ რამდენი ლევანი, ლუკა, ვახტანგი, გიორგი, ეკა, ნინო, ნესტანი თუ მარინე დაიბადება საქართველოს გარეთ.

*რობერტ ცუცქირიძე*




# ღია წერილი საქართველოს მოქალაქეებს

ა. წ.-ის დეკემბრის თვეში ქართულ გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდება სტატიები, რომლებშიც ჩვენი კომპანია ცილისწამების ობიექტად არის ქცეული.

ცილისმწამებლური კამპანია ფინანსდება ერთ-ერთი ჩვენი კონკურენტი ფირმისაგან, რომელიც ერთი რგოლია იმ კრიმინალურ ქმედებათა ჯაჭვში, რომლებიც ჩვენი კომპანიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, მისი დაარსების დღიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ძარცვა, მკვლელობა, ადამიანის გატაცება, ჩვენი ოფისის შენობების დაწვა და დაბომბვა, აი, ის მეთოდები, რომლებსაც კონკურენტებმა მიმართეს ჩვენი ჯგუფის საქართველოს ბაზრიდან გამოძევების მიზნით.

მინდა აღვნიშნო, რომ თავისუფალი პრესის მტკიცედ გვჯერა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ პრესა თავისუფალი აღარ არის, თუკი მისი მოსყიდვა შეიძლება.

დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მკითხველი კარგად ხვდება, თუ რა შეიძლება იყოს მიზეზი კონკურენტების მიერ წამოწყებული იმ კამპანიისა, რომელიც უწინარეს ყოვლისა მისი ავტორების მდაბალ ზრახვებს ააშკარავებს.

სამწუხაროა, რომ ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუარესების საშიშროება დგას და ეს იმ ადამიანთა გამო ხდება, რომლებიც არ ემორჩილებიან კანონს. სამწუხაროა ისიც, რომ ყოველივე ამის შედეგად ისევ და ისევ პატიოსანი ადამიანი ზარალდება.

ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებულმა კრიმინალურმა ქმედებებმა კიდევ უფრო განგვიმტკიცა ქვეყანაში დარჩენის, ჩვენი საქმიანობის გაფართოებისა და განვითარების სურვილი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვუსურვო საქართველოს მცხოვრებლებს მშვიდობიანი და წარმატებული ახალი წელი.

ფადი ასლი
კომპანია „აგროტექნიკის"
გენერალური დირექტორი

R

# როგორ მოვერიოთ სტრესს



ფსიქოლოგები და ექიმები გვირჩევენ: თუ უსიამოვნება შეგემთხვათ და დეპრესიამ, გაღიზიანებამ ან ნერვიულმა დაძაბულობამ დაგრიათ ხელი, არსებობს საშუალებები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც აღგიდგენთ სულიერ წონასწორობას.

ეს არის საყვარელი სამუშაო, ან ურთიერთობა მეგობრებთან და იმ ადამიანებთან, ვისიც გჯერათ და გიყვართ.

შეეცადეთ, ყური დაუგდოთ თქვენს სხეულს, მის მოთხოვნებს. სხეული ბრძენია, არასოდეს ცდება, მისი რეაქცია კი უფრო საიმედო. თუ იგრძნობთ, რომ ქუჩაში გასვლა აუცილებელია — გადით, გაისეირნეთ, გეძინებათ — დაიძინეთ.

ჩაიტარეთ აუტოთრენინგი — თავდაჯერების ვარჯიში. ხმამაღლა გამოხატეთ ან დაწერეთ ის, რაც გაღელვებთ, რაც გაწუხებთ. თავი დაირწმუნეთ სიტყვებით: „მე მშვიდად ვარ, აღარ ვღელავ“, ან ხატეთ და ძერწეთ — მნიშვნელობა არ აქვს, რას!

ყველაზე საიმედო ხერხია სპორტი: დაესწარით (ან ითამაშეთ) კალათბურთი, ფეხბურთი, ირბინეთ, იცეკვეთ ან 10-ჯერ მაინც ჩაჯექით და გასწორდით. გულზე მოგეშვებათ.

უყურეთ კომედიებს, იკითხეთ იუმორისტული ჟურნალები ან წიგნები, მოეფერეთ ცხოველებს, ისინი ხომ არაჩვეულებრივი „ფსიქიატრები“ არიან. უსმინეთ სასიამოვნო, დამამშვიდებელ მუსიკას.

დაბოლოს, გირჩევთ, პანიკაში ნუ ჩავარდებით, ყველაფერს ეშველება... დამშვიდდით, მოდუნდით, მიირთვით ლიმონიანი და თაფლიანი ჩაი, ეცადეთ, დაიძინოთ...

***კომსომოლსკაია პრავდა №235***

# ბეგქონდარა — ბუნების საოცრება



ძველთაგანვე დიდად პატივცემული იყო ეს მცენარე. შუა საუკუნეების ალქიმიკოსები მას მაგიურ თვისებებს მიაწერდნენ. პლინიუსს გველის ნაკბენის უებარ საშუალებადაც მიაჩნდა, ხოლო დიასახლისები ძროხას შეახრჩოლებდნენ, რათა ხბოს მოგების შემდეგ იგი ავად არ გამხდარიყო, ქოთანსაც შეაბამდნენ — რძე არ ამჟავდესო, ხოლო მეთევზეები — ბადე-ანკესს — თევზს უხვად დაგვაჭერინებსო. სწამდათ, თუ ბეგქონდარათი შენელებულ კერძს მიირთმევ, მხნეობა და გულადობა შეგემატებაო.

ბეგქონდარა 5-დან 30 სმ-მდე სიმაღლის სურნელოვანი ბუჩქოვანი მცენარეა, აქვს გართხმული ღერო და სწორმდგომი საყვავილე ყლორტები, თეთრი ან ვარდისფერი ყვავილი. ასეული სახეობიდან პოპულარულია მხოლოდ ორი — ჩვეულებრივი, რომელიც გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-დასავლეთში და მცოცავი ბეგქონდარა, რომელიც გვხვდება აზიასა და ჩრდილო ამერიკაში. მისი ნაყენი არის ანტიბაქტერიული, ამოსახველებელი, ხსნის სპაზმებს. შეიცავს ეთეროვან ზეთებს, თიმოლს, რომელსაც ბაქტერიციდული თვისებები ახასიათებს და გამოიყენება დერმატოლოგიაში — სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ქირურგიაში კი, როგორც ანთებსაწინააღმდეგო და ჭრილობების სწრაფშემხორცებელი. ბეგქონდარა შეიცავს აგრეთვე მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავინოიდებს, გუმაფისს. მისი ნაყენი ან ნახარში აუმჯობესებს ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობას.

ამოსახველებელი თვისებების გამო ბეგქონდარას ჩაი ეფექტურია ბრონქიტებისა და სასუნთქი გზების სხვადასხვა დაავადებისას. დღის განმავლობაში უნდა მიიღოთ 4-6 ფინჯანამდე ბეგქონდარას 1ჩ/კ თაფლდამატებული ჩაი. სასურველია ძილის წინ გაიკეთოთ მისი ინჰალაცია.

**ყივანახველის დროს:** შვებას იგრძნობთ, თუ მიიღებთ თანაბარი რაოდენობის ტუხტის ფესვებისა და ბეგქონდარას ნაყენს ან ნახარშს. სხვათა შორის, ბავშვობიდან ჩვენთვის ნაცნობი „პერტუსინის“ შემადგენლობაში შედის მისი თხევადი ექსტრაქტი.

**გაციების დროს:** დასაწყისშივე გაიკეთეთ ნახევარსაათიანი აბაზანა, ჩაწექით ლოგინში და სწრაფად გამოჯანმრთელდებით.

**ტონზილიტისა და ფარინგიტის დროს:** დღეში რამდენჯერმე გამოივლეთ ბეგქონდარას ბაქტერიციდული და ანტისეპტიკური თვისებების მქონე ნაყენი ან ნახარში.

**ნევროზის დროს:** გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება — მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, პატარა ყლუპებად ყოველდღე მიიღეთ 2-5 ფინჯანი ბეგქონდარას ნაყენი.

**ჭრილობებისა და კანის ქავილის დროს:** როგორც სადეზინფექციო და ანთებსაწინააღმდეგო საშუალება — გაიკეთეთ მისი ნაყენის საფენები.

## გთავაზობთ რეცეპტებს:

**ბეგქონდარას ჩაი:** 1 ჩ/კ ბეგქონდარას (დაახლოებით 1,5 გ) დაასხით 1 ჩ/ჭ (150 მლ) ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე, გააცივეთ 10 წუთი, გაწურეთ, დაამატეთ თაფლი და მიირთვით.

**ნაყენი:** 150 გ დაქუცმაცებულ ბეგქონდარას დაამატეთ 300 მლლ 96%-იანი სპირტი, დადგით რამდენიმე კვირა ოთახის ტემპერატურაზე ბნელ ადგილას. დროდადრო შეანჯღრიეთ. გაწურეთ და ჩაასხით ფლაკონებში.

**აბაზანა:** 1-2 მუჭა ახალ ან გამხმარ ბეგქონდარას დაასხით 2-3 ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 10 წუთი, გაწურეთ და დაამატეთ აბაზანას.

**ინჰალაცია:** 1 ლ წყალში ჩაყარეთ 3 ს/კ ბეგქონდარა, მიიყვანეთ ადუღებამდე, გადმოდგით ცეცხლიდან, გააგრილეთ 10 წუთი და გაიკეთეთ ინჰალაცია.

***ლიზა №52***

# თუ მოიწამლეთ...



თავის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება, ცუდად ყოფნა — ინტოქსიკაციის ნიშნებია. მისი მსხვერპლი რომ გახდეთ, სულაც არ არის საჭირო, დალიოთ დენატურატი ან შეჭამოთ გაფუჭებული საკვები. ყველა ალკოჰოლური სასმელი, სინთეტური გაზიანი სითხე, ყველა ქიმიური დანამატების მქონე საკვები (რომლითაც სავსეა ჩვენი რაციონი) წარმოადგენს შხამს ორგანიზმისთვის.

ცოცხლები კი მხოლოდ იმიტომ ვართ, რომ გაგვაჩნია ღვიძლი, რომელიც დღედაღამ უვნებელყოფს ამ შხამებს, მაგრამ ღვიძლის ამტანობასაც აქვს საზღვარი. ჩვენი ვალია, დავეხმაროთ მას. რითი დავეხმაროთ ალკოჰოლის მიღებისას?

1. **ადსორბენტებით** — ეს გახლავთ ნივთიერებები, რომელიც ღრუბელივით ისრუტავს შხამებს და მასთან ერთად გამოიდევნება ორგანიზმიდან. მათ შორის უფრო ეფექტურია აქტივიზებული ნახშირი და პოლიფიპანი. მიიღეთ 10 აბი (5-7 კ პოლიფიპანი) აქტივიზებული ნახშირი დალევის წინ, 10 — დალევის შემდეგ, 10 — მეორე დილას.
2. **ტიკვეოლით** — იცავს ღვიძლის უჯრედებს ალკოჰოლის ზემოქმედებისგან. ჭამის დროს ნუ დაგეზარებათ მისი მიღება;
3. **ვიტამინი** C — გახლავთ თავისუფალი რადიკალების მტერი, ბიოქიმიური პროცესების კატალიზატორი და ღვიძლის საუკეთესო მეგობარი. მიიღეთ 1 გ C ვიტამინი ლხინის დაწყების წინ, 1გ — შემდეგ და ამდენივე მეორე დილას.
4. **ვიტამინი** B — თუ მიიღებთ ლხინის წინა დღეს (60-100მგ), ნაბახუსევის სინდრომი 40-60%-ით შეგიმსუბუქდებათ.

***ნაუკა ი ჟიზნ №12***

# სპერმატოზოიდები ამინდზე რეაგირებენ

იაპონელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ მამაკაცის მიერ გამოყოფილი სპერმატოზოიდების რაოდენობა პირდაპირ კავშირშია წელიწადის დროებთან — მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს გაზაფხულზე. ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინონ უშვილო წყვილებმა, განსაკუთრებით კი, იმ მანდილოსნებმა, რომელთაც ექიმებმა უნაყოფობის დიაგნოზი დაუსვეს...

***ნოვიე იზვესტია №213***

# გიხაროდეთ, ტკბილეულის მოყვარულებო!



აღარ მოგიწევთ უარის თქმა ნუგბარზე და გასახდომად — დიეტის დაცვა. საკმარისია, დაუმეგობრდეთ ძილს, რომელიც გახდომის საუკეთესო საშუალებაა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძილის დროს თავის ტვინი გამოიმუშავებს ზრდის ჰორმონებს, რომლის დროსაც იწვის კალორიები, რაც გახდომას უწყობს ხელს. ასე რომ, ინტენსიური გახდომისათვის საჭიროა ბევრი გეძინოთ, მაგრამ თუ ძილის წინ მაძღრისად მიირთმევთ, მაშინ ეფექტი საწინააღმდეგო იქნება, რადგან ძილი, რომელიც გახდომას უწყობს ხელს, უნდა იყოს მშვიდი, ღრმა და ხანგრძლივი, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში კი, კუჭი მუშაობს და ძილიც მოუსვენარია.

რაც შეეხება ხანგრძლივ ძილს (13-14 საათი), ასე მხოლოდ თოფ-მოდელებს შეუძლიათ ინებივრონ. დიასახლისებს — უბრალო მოკვდავებს კი გირჩევთ, 8 საათი მაინც გეძინოთ, რადგან უძილობა არა მარტო სახეზე გვაწერია (თვალები გაწითლებულია, სახე ფერმკრთალი), არამედ იწვევს დეპრესიას, ინფარქტს, ჰიპერტონიას, სტენოკარდიას და სხვა სერიოზულ დაავადებებს.

ადამიანი საწოლში ატარებს სიცოცხლის თითქმის მესამედს. დაგვეთანხმებით, რომ ეს უკვე ისეთი საბუთია, რომელიც გვაიძულებს სერიოზულად შევხედოთ ძილს. ასე რომ, თქვენ თვითონ გააკეთეთ დასკვნები.

გარდა ამისა, ნორმალური ძილი რომ გქონდეთ, გირჩევთ: მიირთვათ ბევრი ხილ-ბოსტნეული, არ ინერვიულოთ, არ მოსწიოთ, არ მიიღოთ ზედმეტი ალკოჰოლი, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და ველოსიპედით, ირბინეთ. ბოლოს და ბოლოს, იცეკვეთ სწრაფი მუსიკის თანხლებით. რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ: ჭამეთ დაძინებამდე 2-3 საათით ადრე.

სხვათა შორის, ე.წ. ზრდის ჰორმონების გამომუშავებას ხელს უწყობს მიწის თხილი, კრევეტები, ხილი და ბოსტნეული, მაგრამ წონას არ მოგიმატებთ. ასე რომ, მიირთვით, რამდენიც გსურთ.

***ლიზა №51***

# მკურნალობა ცხოველებით



XX საუკუნის მიწურულიდან დასავლეთში განვითარება დაიწყო მედიცინის ძალიან უცნაურმა სფერომ, რომელსაც ანიმალოთერაპია, ანუ ცხოველებით მკურნალობა ჰქვია.

ცხოველებს აქვთ განსაკუთრებული უნარი, ზეგავლენა მოახდინონ გარშემომყოფებზე. მოხერხებულობითა და სიმარდით თვით პატარა ცხოველსაც კი ვერც ერთი ნავარჯიშევი ადამიანი ვერ შეედრება. შიმპანზე, რომელიც მხოლოდ 15 კგ-ს იწონის, თავისუფლად ერევა ღონიერ მამაკაცს, კატას თათებით შეუძლია 100 კგ სიმძიმის შეკავება, ჯიხვი დაუბრკოლებლად ხტება ხუთსართულიანი სახლის სახურავიდან.

დაახლოებით 2000 წლის წინ ჩინელმა ექიმმა ჰუა ტომ შეიმუშავა საგანგებო სამკურნალო ვარჯიშები დაო-ინი, რომელიც დაფუძნებულია ცხოველების მიმბაძველობაზე. უშუს ოსტატები ფიქრობენ, რომ ცხოველთა მოძრაობის მანერების გამოყენებით, შეიძლება ადამიანი მათებრ მოქნილი, ძლიერი და სწრაფი გახდეს.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ცხოველები დადებითად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. მათ თამამად შეიძლება ეწოდოთ ბუნებრივი ექსტრასენსები. ძაღლები ლოკვით შესანიშნავად ახორცებენ ჭრილობებს, კატები არეგულირებენ წნევას, თუ ფისოს მტკივნეულ ადგილზე დაისვამთ, ძალიან მალე დაგიამებთ. ფსიქიკის დარღვევას და ტუბერკულოზს შველის იპოთერაპია — ცხენით მკურნალობა, ხოლო დელფინებთან ურთიერთობა კურნავს ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორიცაა აუტიზმი და ბავშვთა ცერებრალური დამბლა. უკვე რამდენიმე სეანსის შემდეგ ბავშვი სიარულს იწყებს, ხოლო აუტისტებს — ნორმალური ურთიერთობა აქვთ სამყაროსთან.

რამდენიმე წლის წინ მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ცნობა — ინდონეზიის კუნძულ იავაზე ბინადრობს ძროხა, რომელიც როგორც კი ალოკავს ავადმყოფს, მაშინვე უქრება ტკივილი გულის არეში, შაკიკი (ფაქტობრივად, უკურნებელი დაავადება) და ინსულტიც კი. ძროხასთან სამკურნალოდ დადიან არა მარტო ადგილობრივი პაციენტები, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები.

ყველასათვის ცნობილია, რომ ძაღლები და კატები „ნათელმხილველები“ არიან. მათ შეუძლიათ უკვალოდ დაკარგული პატრონის მოძიება.

მეცნიერები დღემდე იკვლევენ ჩვენი უმცროსი ძმების შესაძლებლობებს. გირჩევთ, იყოლიოთ შინ ცხოველი. იგი დაგამშვიდებთ და განგკურნავთ კიდეც.

***ვოტ ტაკ! №51***

# დედიკო, მიყიდე ყურები!



კრასნოდარელი რომა 11 წლისაა. ბიჭს დაბადებიდან ყურის ნიჟარა არ დაჰყოლია. სმენის ზედა აპარატზეც კანი ჰქონდა გადაკრული და ცუდად ესმოდა. ბავშვები დასცინოდნენ, პაპანაქება სიცხეშიც კი, ნაქსოვი ქუდი ეხურა ნაკლის დასაფარავად. მშობლებმა შვილი ინგლისში წაიყვანეს საოპერაციოდ. ბავშვს სმენის მილზე აპკი გადააცალეს, სილიკონის ყურის ნიჟარები თავის ქალაში ჩამონტაჟებული ტიტანის ჭიკარტებით თავზე მიუმაგრეს. რომას ახლა ორი წყვილი ყური აქვს — საზამთრო — ცოტა ფერმკრთალი და საზაფხულო — ვარდისფერი. ვერც ერთს ვერ გაარჩევ ნამდვილისაგან.

— რომა მეხვეწებოდა ხოლმე, დედიკო, ჩქარა მიყიდე ყურებიო, — ამბობს დედამისი, — ბავშვი ძალიან შეეჩვია პროთეზს, მხოლოდ ღამით იხსნის.

***მედიცინსკაია გაზეტა №21***

# დღეგრძელობის საიდუმლო — კვერცხშია



ჩინელი ლუ სიციანგი 109 წლისაა. იგი ყოჩაღად გამოიყურება, ვარჯიშობს კიდეც და ამტკიცებს, რომ მისი დღეგრძელობის მიზეზი ძალზე მარტივია: ყოველ დილით, საჭიროა მიიღოთ 4 ცალი კვერცხი ნაჭუჭიანად, ტაფამწვარი და ომლეტი დაუშვებელია. სამაგიეროდ, დასაშვებია თოხლო, მოხარშული ან უმი კვერცხი. მთავარია, მას საწყისი ფორმა ჰქონდეს შენარჩუნებული.

ლუ სიციანგმა საკვებად კვერცხი იმიტომ აირჩია, რომ იგი არის სამყაროს შექმნისა და ადამიანის დაბადების სიმბოლო. ამიტომაც, ჩვენს ორგანიზმში მოხვედრილი კვერცხი განახლების პროგრამას აძლევს მას. გარდა ამისა, ნაჭუჭი — იგივე კალციუმია, რომელიც ამკვრივებს ძვლებს.

ალსანიშნავია, ისიც, რომ რიცხვი „4“ ნუმეროლოგიაში აღნიშნავს გამძლეობას, ფეხზე ღონივრად დგომის უნარს.

***ოგონიოკი №50***

ტესტი

# რაზე მეტყველებენ ტუჩები?



**ტუჩებს შეუძლიათ ბევრი რამ გვიამბონ „პატრონის" ხასიათის შესახებ და ისიც, თუ რომელი დაავადებებისკენ აქვს მას მიდრეკილება.**

— ბანტისებრ ტუჩებიანებს იოლად უავადდებათ კუჭქვეშა ჯირკვალი.

— სქელი, წითელი ტუჩები — მამაკაცებში მიანიშნებს ნაადრევ იმპოტენციაზე.

— ფერმკრთალი ტუჩების მქონეს კუჭის სპაზმები ტანჯავს და ადრე თუ გვიან კუჭის წყლულიც დაემართება.

— მშრალი ბაგეები კუჭისა და საყლაპავი მილის ლორწოს პრობლემებზე, ეროზიასა და გასტრიტზე მეტყველებს.

— ზედა პატარა, ვიწრო ტუჩის მქონე ადამიანებს შესაძლებელია აღმოაჩნდეთ კუჭქვეშა ჯირკვლის დისფუნქცია, დიაბეტი.

— ზედა ტუჩზე „ულვაშები" ქალებში მიანიშნებს ჰორმონალურ დარღვევებზე (გაძლიერებულია მამაკაცის ჰორმონები), მტკივნეულ „კრიტიკულ დღეებზე".

— ქვედა მსხვილტუჩიანს — სუსტი ღვიძლი და შარდის ბუშტი აქვს და უნდა მოერიდოს ალკოჰოლს.

— შესივებული ზედა ტუჩი — ალერგიის ნიშანია.

## ფეხმძიმობის სამი მითი

**მითი 1.** ფეხმძიმე ქალმა არ უნდა იხმაროს კოსმეტიკა და შეიღებოს თმა.

**ტყუილია:** ეს ქიმიკატები არ არის საშიში პატარასათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დედა ალერგიულია მათ მიმართ.

**მითი 2.** თმის შეჭრაც არ შეიძლება — მუცელი მოეშლებაო.

**ტყუილია:** გაზრდილი, შეუღებავი და მოუვლელი თმით ფეხმძიმე დედიკო შეიძლება არ მოეწონოს მომავალ მამიკოს...

**მითი 3.** ფეხმძიმე მეტხანს უნდა ინვესო.

**ტყუილია:** საჭიროა მაშინ, თუ მუცლის მოშლის საშიშროება დგას. დანარჩენ შემთხვევაში წოლითი რეჟიმი გააუარესებს ტოქსიკურ მდგომარეობას და წონას მოუმატებს როგორც მომავალ დედას, ასევე პაწიას.

*კომსომოლსკაია პრავდა №219*



## მიირთვით პური

ამ ბოლო ხანს პურს პატივს აღარ სცემენ, რაც სამწუხაროა. შავი პური რომ ვიტამინ $B_6$-ს შეიცავს, რომელიც ცხიმს შთანთქავს, ეს კიდევ არ არის მისი სრული სიკეთე. იგი გვევლინება აგრეთვე უჯრედისის წყაროდ და თავისებურ „შემავსებლად". უჯრედისი კი, ამცირებს უფრო კალორიული საკვების მავნე გავლენას. ამასთან, როცა ცხიმიან საკვებს უპუროდ მიირთმევთ, დიდად რისკავთ, დაიზიანოთ ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი.

*დიეტოლოგია*




სისხლში შაქრის საზომი აპარატები

კომპლექტი 95ლ

ავტომატური საჩხვლეტი

50 ც. ნემსით 14ლ

შპს „კონტრასტი", ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55

ჰომეოპათიური მკურნალობა

ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი

თორნიკე ალაშვილი

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)

ალ. ჭავჭავაძის ქ.№2

№13 პოლიკლინიკა

სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65

Frenkiel Diagnostics

"მიკროგენი" - ფრენკელის დიაგნოსტიკა

ისრაელი-საქართველოს კლინიკა

გილოცავთ შობა-ახალ წელს და

გთავაზობთ საახალწლო ფასდაკლებას:

მკვდარი ზღვის მინერალებსა და მარილებზე დამზადებული Dead Sea Premier Cosmetics-ის კანის მოვლის საშუალებები - 33%

სახისა და სხეულის მოვლის სხვადასხვა პროცედურები - 10%

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


*გთხოვთ მოგვაწოდოთ მაქსიმალური ინფორმაცია გულის უკმარისობისა და სტენოკარდიული შეტევების დროს ადამიანის დროის რეჟიმის და კვების თავისებურებების შესახებ?*

*გ. ლებანიძე, ქ. რუსთავი*

# როგორ ვებრძოლოთ გულის უკმარისობას

გულის უკმარისობა ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებულ პათოლოგიათა რიცხვს მიეკუთვნება. ის ართულებს გულის იშემიური დაავადების მიმდინარეობას, განსაკუთრებით მიკროკარდიუმის ინფარქტის შემდეგ, შეიძლება თან ახლდეს გულის მანკებს, კარდიომიოპათიებს და სხვა გულთან დაკავშირებულ დაავადებებს.

გულის უკმარისობის მკურნალობაში პრეპარატების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიეტას — კვების რეჟიმს. უნდა შეიზღუდოს მარილის მიღება (5-6 გ-მდე). გულის უკმარისობის დროს დარღვეულია წყალ-მარილოვანი ცვლა, ყოვნდება ნატრიუმის იონები, რასაც მოჰყვება ორგანიზმში სითხის შეკავება, ვითარდება შეშუპებები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს გულის მუშაობას.

— დღე-ღამეში მიღებული სითხე არ უნდა სჭარბობდეს 1-1,2 ლ-ს, არც ამაზე ნაკლების მიღებაა მიზანშეწონილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფერხდება ორგანიზმიდან აზოტოვან ნივთიერებითა ცვლის პროდუქტების გამოდევნა. შესაძლებელია განვითარდეს სისუსტე, შეკრულობა.

უმჯობესია, თუკი წყურვილს მოიკლავთ ჩაით, შესაძლოა ხილიც. ყავა უნდა მოსვათ სუსტი, ან რძესთან ერთად, წვენები — ნახევრად წყალში განზავებული, მინერალური წყალი, არა უმეტეს 1-2 ჭიქა დღეში.

— გაამდიდრეთ რაციონი კალციუმისა დ მაგნიუმის მარილებით.

გულის უკმარისობის დროს, როდესაც ორგანიზმი მაგნიუმით ჯერდება, კალიუმი გაედინება. კალიუმი კი ნატრიუმის ანტაგონისტია, შარდმდენის ეფექტი ახასიათებს. მისმა დეფიციტმა კი, შესაძლოა გამოიწვიოს სიცოცხლისთვის საშიში გულის არითმიის პროვოცირებაც.

კალიუმს დიდი რაოდენობით შეიცავს ალჯანაბადი (გარგარის ჩირი) შავი მოცხარი, თხილი, ჭარხალი, კარტოფილი, კომბოსტო, ციტრუსები, კენკრა, მაყვალი და სხვ. მაგნიუმით კი მდიდარია — თხილი, პური, მარცვლეული, ნუში, მზესუმზირა, საზამთრო, ზღვის კომბოსტო.

— საკვები უნდა იყოს მსუბუქი და საჭიროა მიიღოთ 5-6 ჯერზე.

— კვების რაციონში ჩართეთ რძის პროდუქტები, ბოსტნეული (ჭარხალი, კიტრი, პომიდორი, სალათა), მწვანილი, ხილი (მსხალი და ვაშლი), კენკრა.

გულის უკმარისობის დროს მჟავა-ტუტოვანი ბალანსი მჟავის მხარეს არის გადახრილი. ჩამოთვლილი პროდუქტები კი, წონასწორობის აღდგენას უწყობს ხელს.

— შეზღუდეთ შაქრის მიღება. ის ხელს უწყობს შეშუპების განვითარებას.

— უარი თქვით ცხიმოვან საკვებზე. ეს დამატებით ტვირთავს ღვიძლსა და გულს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მსუქანი ხართ. საკვების მომზადების დროს გამოიყენეთ მცენარეული ზეთი.

— აკრძალეთ შოკოლადი, ბულიონი, შემწვარი და შებოლილი ხორცი, მწარე და ცხარე საკვები, სანელებლები. ყველა ეს პროდუქტი უარყოფით გავლენას ახდენს გულზე.

— მიეძალეთ ფაფეულს, მოხარშულ, მოშუშულ საკვებს. მიიღეთ მხოლოდ ხბოს, ძროხის, ქათმის, ინდაურის (უკანოდ) ხორცი, უცხიმო თევზი. გარნირი უკეთესია ბოსტნეულისა (კარტოფილი, სტაფილო, კომბოსტო), წვნიანები სჯობს ვეგეტარიანული (ბოსტნეულისა და ხილის).

— თუკი მსუქანი ხართ, მოერიდეთ პურს. დღეში 2-3 ნაჭერი თეთრი ან შავი პური მიირთვით.

სამაგალითო მენიუ 1 დღისათვის:

1-ლი საუზმე: ფაფა — 6-8 სუფრის კოვზი, ან 100-150 გ ხაჭო და 1/2 ჭიქა რძე. სურვილისამებრ 1 კარაქიანი ბუტერბროდი. 1 ჭიქა რძიანი ჩაი.

მე-2 საუზმე: ვაშლი ან მსხალი, ან 5-6 ცალი გარგარის ჩირი, ბანანი.

სადილი: ვეგეტარიანული წვნიანი, მოხარშული ხორცი (თევზი, ქათამი, ინდაური) სტაფილოს ან ჭარხლის პიურეთი; ან მოშუშული კომბოსტო, ან პომიდვრისა და კიტრის სალათი (მცენარეული ზეთით), კომპოტი.

სამხარი: ვაშლი (ან მსხალი, 6-8 გარგარის ჩირი).

ვახშამი — არაუგვიანეს 9 საათისა. მოხარშული თევზი 1-2 მოხარშული კარტოფილით (ან პატარა ნაჭერი თევზი ფაფასთან ერთად, ან ხაჭო).

ძილის წინ — შეგიძლიათ მიიღოთ 1 ჭიქა მაწონი ან კეფირი.

გულის უკმარისობით დაავადებულთათვის სპეციალურად არის შემუშავებული განტვირთვის დღეები: ხაჭო-რძიანი, ვაშლიანი, ბრინჯი — კომბოსტოთი.

აი, ერთ-ერთი მათგანი: ხაჭო-ვაშლიანი დიეტის დროს მთელი დღის განმავლობაში მიირთვით 300 გ ხაჭო, 500 გ ვაშლი, 400 მლ რძე ან მაწონი. თუკი წონა ნორმალური გაქვთ, ამას დაამატეთ 200-300 გ კარტოფილი.

სტენოკარდიის დროს საუკეთესო ფიზიკური დატვირთვა — სიარულია.



სტენოკარდიის შემთხვევაში გულის სისხლძარღვებით (კორონარები) გულის კუნთის სისხლმომარაგება შეფერხებულია, რომლის მიზეზი შესაძლებელია იყოს ათეროსკლეროზული ფოლაქებით სისხლძარღვების შევიწროება ან სისხლძარღვთა სპაზმი. ორგანიზმში ერთ-ერთი მათგანის არსებობა განაპირობებს სწორედ ფიზიკური დატვირთვის, გადაძაბვის დროს სტენოკარდიული ტკივილის აღმოცენებას. ის შეიძლება წარმოიშვას დღის საათებში, ნერვული სტრესის, ცივი ამინდის და სხვა დროს.

მცდარია ის აზრი, რომ თითქოს ალკოჰოლი გულის სისხლძარღვებს აფართოებს და ამიტომ სტენოკარდიით დაავადებული ადამიანებისათვის ის მიზანშეუწონელია. გაფრთხილებთ! ხანმოკლე სისხლძარღვთა გაფართოებას ალკოჰოლური სასმელების მიღების შემდეგ მოჰყვება ხოლმე კორონარული სისხლძარღვების სპაზმი, რასაც, საბოლოოდ, შესაძლებელია მიოკარდიუმის ინფარქტიც კი მოჰყვეს.

*მაია მუხიგული*

# შეკითხვა ექიმს

**— რამდენიმე თვის წინ მქონდა ძლიერი ტკივილი წელის არეში. ვიფიქრე, გავცივდი-მეთქი. ვსვამდი გამაყუჩებლებს და ტკივილი თანდათანობით მიწყნარდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ კარგად არ ვარ, მაქვს ხშირი თავის ტკივილი, დროდადრო თავბრუ მესხმის, ამას წინათ, შემთხვევით წნევა გავიზომე და 170/120-ზე აღმოაჩნდა. დამალევინეს წნევის წამლები. მას შემდეგ ყოველდღე ვიზომავ წნევას და ხშირად მაღალია. ჯერ მხოლოდ 32 წლის ვარ, რატომ დამემართა ამ ასაკში ეს დაავადება? მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

— გაგიკვირდებათ და, პირველ რიგში უნდა გაიკეთოთ შარდის ანალიზი, რადგან თქვენი მონათხრობიდან ჩნდება ეჭვი, რომ თირკმლის დაავადება გაქვთ. ახალგაზრდა ასაკში ასეთი სტაბილური ჰიპერტენზიის (წნევის მომატების) მიზეზი ხშირად სწორედ თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, თირკმლის კენჭოვანი დაავადება) ხდება ხოლმე. ასეთ წნევას მეორადი რენული (თირკმლისმიერი) ჰიპერტენზია ეწოდება და მხოლოდ მას შემდეგ მოწესრიგდება, რაც მის გამომწვევ მიზეზს, ანუ თირკმლის დაავადებას უმკურნალებთ. თქვენი წნევის თირკმლისმიერ გენეზზე კიდევ ორი ნიშანი მეტყველებს: 1. ტკივილი წელის არეში (რომელიც გაცივების შედეგად მიიჩნიეთ და არაადეკვატური მკურნალობა ჩაიტარეთ ტკივილგამაყუჩებლებით) და 2. მაღალი ქვედა ანუ დისტოლური წნევა (120 მმ ვწყ.სვ)

თქვენ აუცილებლად გექნებათ სხვა სიმპტომებიც, რომლებზეც ყურადღებას არ ამახვილებთ. მაგრამ შარდის ანალიზის პასუხი კონკრეტულად დაადასტურებს ან უარყოფს ჩვენ მიერ ნავარაუდევ დიაგნოზს. დადასტურების შემთხვევაში უნდა მიმართოთ უროლოგს, ხოლო უარყოფის შემთხვევაში (რაც ალბათ ნაკლებსავარაუდოა) დაგჭირდებათ შემდგომი საფუძვლიანი გამოკვლევა (ენდოკრინული, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემისა), ჰიპერტენზიის გამომწვევი მიზეზის დასადგენად.

**— ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად ვირუსული ინფექციის პრობლემა გვიჩნდება. გასაგები მიზეზების გამო ყოველთვის ექიმს ვერ მივმართავთ. ამიტომ იძულებული ვარ, თვითნებურად ვსვა ანტიბიოტიკები. მაინტერესებს, სწორად ვიქცევი თუ არა?**

— ანტიბიოტიკი არ გახლავთ ანტივირუსული მოქმედების ნივთიერება. იგი არის ბაქტერიების (სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი, მენინგოკოკი და სხვ. მრავალი) საწინააღმდეგო პრეპარატი. მძიმე ფორმის ვირუსული ინფექციის დროს მეორადად აქტიურდება ხოლმე ბაქტერიული ფლორა და ამ დროს საქმე გვაქვს ვირუსული ინფექციის გართულებასთან მეორადი ბაქტერიული ინფექციით, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ავადმყოფის მდგომარეობას.

სწორედ ამ მეორადი გართულების მკურნალობის ან პროფილაქტიკის მიზნით ნიშნავს ექიმი ანტიბიოტიკს. მაგრამ არ შეიძლება დაუდევრად, ნებისმიერი გაურთულებელი მსუბუქი ვირუსული ინფექციის დროს ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობა, რადგან ანტიბიოტიკი მოქმედებს არა მხოლოდ პათოგენურ (დაავადების გამომწვევ) ბაქტერიებზე, არამედ ადამიანის ნაწლავის არაპათოგენურ ფლორაზეც, რომელიც აუცილებელია მონელების პროცესისათვის. ამგვარად, ანტიბიოტიკების ხანგრძლივი და გაუმართლებელი მიღების შედეგად ხდება ნაწლავური ფლორის დარღვევა და დისბაქტერიოზის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ორგანიზმის პათოგენური ბაქტერიები უმიზეზოდ მიღებული ანტიბიოტიკების მიმართ იძენს მდგრადობას და მაშინ, როცა ნამდვილად სჭირდება ავადმყოფს ანტიბიოტიკები, მათი მიღება, შესაძლოა, უშუდეგო აღმოჩნდეს.

**— მაქვს სტენოკარდია, ამავე დროს მაწუხებს წნევა. როგორც კი წნევა მატულობს, მეწყება ტკივილი გულის არეში. მაინტერესებს, რატომ ხდება ასე და როგორ მოვიქცე, რომ მორიგი შეტევა თავიდან ავიცილო?**

— სტენოკარდიის დროს (ტკივილის შეტევები გულის არეში) გულის კუნთი ისედაც განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას და ყოველი დამატებითი დატვირთვა მისთვის საზიანოა. ასეთ დატვირთვას წარმოადგენს არტერიული წნევის მომატება, რადგან გულს მეტი ძალით უწევს შევიწროებულ სისხლძარღვებში სისხლის გადასროლა.

სწორედ ეს ხდება სტენოკარდიის მორიგი შეტევის პროვოცირების მიზეზი. ამიტომ, გამუდმებით თვალყური უნდა ადევნოთ არტერიულ წნევას და არ დაუშვათ მისი მომატება.

ექიმის მიერ დანიშნული წნევის დამწევი წამლები უნდა მიიღოთ სისტემატურად და არა მხოლოდ მაშინ, როცა წნევა უკვე მომატებულია.

*თამარ მამაცაშვილი*

# რუსეთის ახალი სუბიექტების შეერთება სურს

ვლ. პუტინმა ხელი მოაწერა „რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების“ საკონსტიტუციო კანონს. ამიერიდან, რუსეთის შემადგენლობაში შეიძლება მიღებული იქნას ნებისმიერი უცხოური სახელმწიფო ან მისი ნაწილი, თანაც არ არის აუცილებელი, მას ჰქონდეს საერთო საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან.

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის მსურველები ჯერჯერობით არც დსთ-ის ტერიტორიაზე და არც შორეულ საზღვარგარეთში ჩანან. ბელორუსიაც კი უარს ამბობს რფ-ის 90-ე სუბიექტად გახდომაზე. მას მხოლოდ „თანასწორუფლებიანი კავშირი“ სურს.

რფ-ის შემადგენლობაში შესასვლელად თავს იკლავენ აფხაზეთი და დნესტრისპირეთი, მაგრამ დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ იქცევიან რუსეთის რეგიონებად, რადგან საქართველო და მოლდავეთი ცხადია, მათ ამის ნებას არ მისცემენ (რფ-ის კანონი კი მათ თანხმობას ითვალისწინებს). ამ კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა თვალსაზრისითაც, რადგან მასზე დაყრდნობით, რუსეთის ფედერაციის 89 სუბიექტიდან (რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები) შეიძლება შეიქმნას ახალი 40 ან სულაც 7 სუბიექტი. კრემლს კარგა ხანია სურს რუსეთის ადმინისტრაციული რუკის გამსხვილება და ახალი კანონი საამისოდ შესაბამის სამართლებლივ ბაზას ქმნის.

*იტოგი* №51

# ჩეჩნეთის ხმა სენის სანაპიროზე



გაზეთმა „ფიგარომ“ ვრცელი სტატია მიუძღვნა რესპუბლიკა იჩქერიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, უმარ ხანბიევის ვიზიტს პარიზში. ხანბიევი ცნობილი ქირურგია, მას 14 ათასზე მეტი ოპერაცია აქვს გაკეთებული, აქედან — 8 ათასი ომის დროს. უმარ ხანბიევი ორ კვირაზე მეტ ხანს იმყოფებოდა ჩერნოკოზოვოს საფილტრაციო პუნქტში, საიდანაც ნათესავებმა გამოისყიდეს. ხანბიევი ჩეჩნეთს „დიდ საკონცენტრაციო ბანაკს“ უწოდებს, სადაც რუსეთის ოთხი ძალისმიერი სტრუქტურა მოქმედებს — თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების ფედერალური სამსახური და დაზვერვის სახელმწიფო სამმართველო. „ჩეჩნებს, რომელთა გამოსყიდვასაც ნათესავები სწრაფად ვერ ახერხებენ, გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე აგზავნიან ერთი ციხიდან მეორეში, სანამ ისევ ჩერნოკოზოვოში არ აღმოჩნდებიან. იმის გარანტია, რომ ისინი ცოცხლები დარჩებიან, არავის აქვს, არავინ აგებს პასუხს მასობრივ მკვლელობებზე. რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ჩეჩნეთის ახლანდელი ხელმძღვანელობისთვის თვითმიზანი არ არის, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობამ მოსკოვს უნდა მოსთხოვოს იმის გარანტია, რომ ჩეჩნებს გენოციდს არ მოუწყობენ ყოველთვის, როცა რუსეთის პრეზიდენტს თავისი რეიტინგის ამაღლება დასჭირდება“, — განაცხადა უმარ ხანბიევმა.

*იზვესტია* №268

# აუშევს პრეზიდენტობა აღარ სურს



რუსლან აუშევმა გადაწყვიტა, გაიმეოროს ბორის ელცინის პოლიტიკური გმირობა და ვადამდე დატოვოს ინგუშეთის პრეზიდენტის პოსტი. „საერთოდაც არ მინდოდა პრეზიდენტობა, — აღიარა აუშევმა და ინგუშეთის მცხოვრებლები გააფრთხილა, — არ შეეცადოთ ჩემზე ზეწოლას, არ მინდა მესამედ გავხდე პრეზიდენტი“.

ინგუშეთის დედაქალაქში დაიწყო მიტინგები, რომლის მონაწილეები მოითხოვენ, რომ რუსლან აუშევმა კვლავაც მიიღოს მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. „ინგუშეთის პრეზიდენტს უფლება არა აქვს, მიატოვოს თავისი ხალხი მაშინ, როცა იგი სჭირდება მათ“, — განაცხადა მოძრაობა „დაი მოხკ“-ის ლიდერმა ს. შადიჯიევმა. უფლებამოსილების ვადამდე მოხსნას აუშევი რესპუბლიკის სტაბილურობაზე ზრუნვით ხსნის, რომელიც მისი აზრით, დაირღვევა, თუ ახალი პრეზიდენტი ვერ შეძლებს ისეთი პარლამენტის არჩევას, როგორიც სურს.

ვადამდე არჩევნები, ალბათ, გაზაფხულზე დაინიშნება, მაგრამ ვინ შეძლებს ამ დროში ინგუშეთის მცხოვრებთა გულში აუშევის შეცვლას, ცნობილი არ არის. ყველაზე მეტი შანსი პრემიერ-მინისტრს, ა. მალსაგოვს აქვს — პრეზიდენტის ფუნქციებსაც არჩევნებამდე სწორედ ის შეასრულებს.

*ვლასტი* №51

# ჰაიდარ ალიევის შაჰს „განსაკუთრებული“ თანამოაზრეები ჰყავს

ბაქოში ჟურნალისტები შეხვდნენ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „ილჰამ ალიევის განსაკუთრებული ხალხის“ საინიციატივო ჯგუფს. მასში გაერთიანებულები არიან აზერბაიჯანის ახლანდელი პრეზიდენტის ვაჟის, ილჰამ ალიევის თანამოაზრეები. ბევრის ვარაუდით, იგი ქვეყნის მომავალი ლიდერია. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელია ვუსალ რზაზადე. მისი თქმით, საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის იდეა სამი თვის წინ დაებადა და ამ პერიოდში 300-მა ახალგაზრდამ მოინდომა მასში გაერთიანება. საინტერესოა, რომ ილჰამ ალიევის თაყვანისმცემლებს მოსწონთ მისი პატიოსნება და გულღიაობა. მათ ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ არც ილჰამის დიდი დამსახურება ნავთობკონტრაქტების დადების დროს, მისი გამოსვლები ევროსაბჭოში. შეიძლებოდა კი, რომ ასეთი დამსახურებების კაცი ორგანიზაციის სიმბოლო არ გამხდარიყო? თუმცა, რზაზადემ ისიც განაცხადა, ილჰამ ალიევმა არაფერი იცის იმის თაობაზე, რომ მისი მიმდევარი ამდენი ახალგაზრდა გაერთიანდა საინიციატივო ჯგუფშიო.

*კომსომოლსკაია პრავდა* №236

# სადამს ნახევარი წელი „მოუზომეს“



აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერაყში ზაფხულში დაემხობა. ბუში-უმცროსის გუნდში ბევრია მამამისის მთავრობის წევრი, ცნობილია მათი პრინციპული დამოკიდებულებაც ჰუსეინის ხელისუფლების მიმართ. დასამუშავებელია მხოლოდ ოპერაციის ტექნიკური დეტალები. ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ თეთრი სახლიდან უკვე მიიღო შეკვეთა ჰუსეინის დამხობის გეგმის მოსამზადებლად. შეკვეთის შესრულების ვადა 6 თვეა. ჯერჯერობით, ჩანაფიქრის მხოლოდ საბოლოო მიზანია ცნობილი — ბაღდადში ხელისუფლების სათავეში უნდა მოვიდეს დასავლეთისადმი ლოიალურად განწყობილი ადამიანი, რომელიც მისაღები იქნება ერაყის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მოხელეებს სურთ, ერაყში გადაიტანონ ავღანეთში მიღებული მდიდარი გამოცდილება, რაც ითვალისწინებს ჰაერიდან დარტყმას და ოპოზიციური ჯგუფების შეიარაღებას. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო კი უპირატესობას ანიჭებს სამხედრო პუტჩის ორგანიზებას. თუმცა ამგვარი მცდელობა ერაყში გასულ წლებში ვერ მოხერხდა, გარდა ამისა, ცსს-ის დირექტორი ტენეტი გადატრიალების მოსამზადებლად სულ ცოტა, ერთ წელს ითხოვს.

ბაღდადი კვლავაც მტკიცედ ამბობს უარს იმაზე, რომ მის თავდაცვის პროგრამებზე განხორციელდეს რაიმე სახის კონტროლი. ერაყიდან გაქცეულები, ე.ი. ისინი, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ქვეყნის სამხედრო პოტენციალთან, აცხადებენ, რომ ერაყში გრძელდება მუშაობა ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შესაქმნელად.

*ნოვიე იზვესტია* №232

# დელიში იმალება კამიკაძეთა კიდევ ერთი ჯგუფი

ინდოეთის სპეცსამსახურებმა გააფრთხილეს დელის პოლიცია, რომ ქალაქში შესაძლოა იმალებოდეს ტერორისტ კამიკაძეთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ამზადებს ტერაქტს. იმ ჯგუფისგან განსხვავებით, რომელიც ინდოეთის პარლამენტს დაესხა თავს, მეორე რაზმი ავღანელებისა და ქაშმირელებისაგან შედგება. სპეცსამსახურების აზრით, ეს ბოევიკები ემზადებიან დელის აეროპორტსა და ქვეყნის მმართველი პარტიის ხელმძღვანელებზე თავდასხმისათვის. დაზვერვის მონაცემებით, რაზმის წევრებს ბანაკები აქვთ ინდოეთის სხვადასხვა ქალაქში, დელიში კი თავს იყრიან უშუალოდ ტერაქტების წინ. ეს გარემოება ძალიან ართულებს მათ დაჭერას. სპეცსამსახურების წყაროები იტყობინებიან, რომ მხოლოდ დედაქალაქის პოლიციას აქვს საკმარისი გამოცდილება და ძალა ტერორისტებთან საბრძოლველად.

*კომერსანტი* №240

# ხარბინის ცივი სილამაზე

იანვრის შუა რიცხვებში ჰეილუნძიანის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში გაიმართება მსოფლიოს ყინულის ფესტივალი, ჯერჯერობით კი, დიდი სამზადისი მიმდინარეობს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული 3 ათასი ადამიანი თვეზე მეტია შრომობს. ამ დროის მანძილზე მდინარე სუნგარიდან ამოღებულია 150 ათასი კუბმეტრი ყინული. მსოფლიოში ყველაზე დიდი ყინულის გამოფენა დაახლოებით 300 ათას კვადრატულ მეტრზე გაიშლება... წლევანდელ გამოფენას — ყინულის სასახლეებს, ეგვიპტის პირამიდებისა და ტიბეტის ტაძრების ყინულის ასლებს — ნახევარ მილიონზე მეტი დამთვალიერებელი იხილავს.

# მოუწევს სოლანას წასვლა?



ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო უშიშროების დარგში ხავიერ სოლანა, შესაძლოა, ევროკავშირის რეფორმების პირველი მსხვერპლი გახდეს. ბრიუსელში გამართულ სამიტზე კატეგორიულად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ თანდათან ევროკავშირი კონფედერაციულიდან ფედერაციულად იქცეს, მოგვიანებით, საერთოდ გაუქმდება თანამდებობები, რომლებსაც დუბლები აქვთ. კერძოდ, ევროკომისიას უკვე ჰყავს თავისი „საგარეო საქმეთა მინისტრი“ — ბრიტანელი კრის პატენი. ევროკომისიის თავკაცს, რომანო პროდის, ბუნებრივია, სურს, რომ სწორედ მისმა ქვეშევრდომმა აგოს პასუხი კავშირის საგარეო პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო უშიშროების დარგში ხავიერ სოლანაც „დუბლიორია“. მისი გადაყენებით ევროკომისია მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს იმისთვის, რომ გახდეს ევროპის სრულფასოვანი მთავრობა. მომავალში ალბათ ასევე „ზედმეტნი“ გახდებიან ნაციონალური საგარეო საქმეთა მინისტრები. სოლანა რიგითი ფიგურა არ არის. სწორედ მისი აქტიური მონაწილეობით გამოიყენა ძალა ნატომ ევროპაში, კერძოდ, კოსოვოში. გარდა ამისა, ევროკავშირის ამასწინანდელ სამიტზე, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია „ევროპის მომავალი“, სწორედ სოლანას სულიერმა თანამოაზრეებმა — ბლერმა და შრედერმა განაცხადეს, საჭიროა ევროკავშირის ცენტრალიზაციისაკენ ავიღოთ კურსიო. ამიტომ სოლანას წასვლა მოუწევს.

*ობშჩაია გაზეტა* №50

# დიპლომატებს მეტი დაფიქრება მართებთ

„ისრაელი პატარა, ნაგავი სახელმწიფოა, რომლის გამო მთელი მსოფლიო მესამე ომის საშიშროების წინაშე დგება“, — თქვა საფრანგეთის ელჩმა დიდ ბრიტანეთში დანიელ ბერნარმა. ასეთი სარისკო განცხადება დიპლომატმა „დეილი ტელეგრაფის“ გამომცემელ კონრად ბლეკთან კერძო საუბარში გააკეთა. გამომცემელმა ეს ამბავი მაშინვე ინგლისურ ჟურნალებს გადასცა, ჟურნალისტებმა კი მსოფლიოს მოსდეს დიპლომატის უტაქტო ნათქვამი. კონრად ბლეკმა ისიც დაუმატა, დანიელ ბერნარი პირწავარდნილი ანტისემიტიაო.

ბრიტანეთში საფრანგეთის საელჩოს პრესატაშემ განაცხადა, რომ მათი ელჩი ვერ იხსენებს, როდის თქვა „მსგავსი რამ“. ისრაელის პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის წარმომადგენელმაც ანტისემიტური უწოდა დანიელ ბერნარის გამონათქვამს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი ბრძანა — რაღაც გაუგებრობაა, ისე კი დიპლომატს მეტი სიფრთხილე მართებსო.



— სამი წლის წინ, დედოფალ ელისაბედ მეორესთან შეხვედრის დროს დანიელ ბერნარს არაფერი შეშლია

# დასახელდა 2001 წლის ადამიანი

ამერიკულმა ჟურნალმა TIME-მ დაასახელა 2001 წლის ადამიანი. ეს საპატიო წოდება ნიუ-იორკის მერს, რუდოლფ ჯულიანის მიენიჭა.

ტრადიციის თანახმად, ჟურნალი TIME ყოველწლიურად ანიჭებს „წლის ადამიანის“ ტიტულს იმ პიროვნებებს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. კანდიდატურებს ასახელებენ ჟურნალის მკითხველები, გადაწყვეტილებას კი მთავარი რედაქტორი ღებულობს კოლეგებთან ერთად.

ნიუ-იორკის მერის შემდეგ (პოპულარობითა და მნიშვნელობით) მეორე ადამიანად აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დასახელდა, მესამე ადამიანად — უსამა ბინ ლადენი. გასაკვირი არ არის, რომ სამივეს სახელი უშუალოდ 11 სექტემბრის ტერაქტებს უკავშირდება, რაც თავისთავად შეიძლება 2001 წლის მოვლენად ჩაითვალოს.

# ამერიკელები ბინ ლადენს საფლავიდანაც ამოიღებენ

„თალიბანის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის განცხადებით, ბინ ლადენი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა და დაკრძალეს თორა ბორას რაიონში. დაკრძალვას ესწრებოდა მისი 30 უახლოესი ადამიანი. ანალოგიური ცნობები თავისი არხებით მიიღო პაკისტანის პრეზიდენტმა მუშარაფმაც.

როგორც ჩანს, პენტაგონი ამ ცნობას სიმართლედ მიიჩნევს, თუმცა საინფორმაციო ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენელი კ. კეიტი აზუსტებს, რომ №1 ტერორისტი ავადმყოფობით კი არ გარდაიცვალა, არამედ როგორც ჩანს, ამერიკული ავიაციის მსხვერპლი გახდაო.

უკვე გაცემულია ბრძანება თორა ბორას რაიონში ბინ ლადენის დაკრძალვის ადგილის აღმოსაჩენად. საძიებო ოპერაცია გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ იპოვიან მის გვამს და არ მოხდება მისი იდენტიფიცირება. ბოროტმოქმედი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოცხალი ან მკვდარი უნდა ჩაიყვანონ.

*ბი-ბი-სი*

# მოკლედ

**აშშ**-ის ხელისუფლების მიერ დაკავებული რიჩარდ რეიდი, რომელიც თავს დიდი ბრიტანეთის მოქალაქედ ასაღებს, AMERICAN AIRLINES-ის თვითმფრინავზე ტერაქტის განხორციელების მცდელობაშია ეჭვმიტანილი. ტერორისტმა ასაფეთქებელი ნივთიერება თვითმფრინავში ფეხსაცმლით შეიტანა.

**პალესტინის** ნაციონალური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა იასირ არაფატმა განაცხადა, რომ სურს ბეთლემში შობის დღესასწაულში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ ისრაელის მთავრობამ აუკრძალა მას წმინდა ქალაქში შესვლა.

**იუგოსლავიის** საქმეში გაეროს საერთაშორისო ტრიბუნალის პროკურორის კარლა დელ პონტეს მტკიცებით, უამრავი საბუთი არსებობს იმისათვის, რომ იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი გაასამართლონ გენოციდის გამო და მოითხოვა ერთობლივი პროცესის გამართვა მილოშევიჩის წინააღმდეგ — კოსოვოში, ბოსნიასა და ხორვატიაში ჩადენილი ბოროტმოქმედებების გამო. მოსამართლეებმა უარი განაცხადეს ერთიანი პროცესის ჩატარებაზე. დელ პონტეს კი მიაჩნია, რომ ეს პროცესი საჩვენებელი იქნება ისეთ დამნაშავეთა გასასამართლებლად, როგორიც უსამა ბინ ლადენია.

მილოშევიჩის სასამართლო 12 თებერვალს დაიწყება.

## ᲕᲪᲐᲓᲝᲗ, ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ



ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.

მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.

ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...

## ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ XI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ

მინდა მოგითხროთ ადამიანზე, რომელმაც გრძელი ცხოვრების გზა გაიარა და ამ გზაზე არასოდეს მიუტოვებია წიგნი. სამაგიეროდ, სწორედ წიგნი დაეხმარა ჩემს გმირს ცხოვრება თავისკენ შემოებრუნებინა — როგორც ამბობენ, თავი მხოლოდ ბალიშზე დასადებად არ აქვს ადამიანს — თავმა უნდა იფიქროს...

ის უბრალო ლექტორი იყო, ატარებდა ლექციებს, უსმენდა ამერიკის ხმას, ოცნებობდა თამარის დროინდელ საქართველოზე... მაგრამ არასოდეს უფიქრია, რომ უმუშევარი დარჩებოდა... მაგრამ მოვიდა დრო, განადგურდა ბოლშევიკების იდეოლოგია და მისი საგანი — პარტისტორია გაუქმდა. უმუშევრად დარჩნენ მისი კოლეგები... თვითონაც ჩაიქნია ხელი და სახლში დაჯდა. დანაზოგით ცოტა ხანს შეინახა ოჯახი, მერე წლების განმავლობაში დაგროვილ წიგნებს დაუწყო გაყიდვა... მაგრამ მშიერ ქვეყანაში, მოგეხსენებათ, წიგნის მსურველი რა ცოტაა...

მალე ისე გაუჭირდა, პურის ფული ენატრებოდა. ნერვებდაწყვეტილი ისევ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა — მხოლოდ კითხვა ამშვიდებდა — განსაკუთრებით, ხელოვნების შესახებ. ეს მისი ჰობი იყო... ერთ დღესაც „ხელოვნების ლექსიკონის" I ტომი გადაშალა და 101-ე გვერდზე 992 წლის წინ დამზადებულ დასაკეცი სკამის ფოტოს წააწყდა — ეს იყო მისი ბიზნესის დასაწყისი. სასწრაფოდ მოიძია სახლში ძველი ხის მასალა, გამძლე ქსოვილი და მეზობლის დახმარებით გააკეთა სკამი, რომელიც მსუბუქი და მოხერხებული იყო...

საქმემ ისე ჩაითრია, სამი დღის შემდეგ უკვე 8 ცალი სკამი ჰქონდა მზად... გარისკა და გასაყიდად გაიტანა — 1 საათში აღარც ერთი აღარ ჰქონდა... ის კი არა, შეკვეთაც კი მისცეს...

ღარიბი და ქილა ერბოსავით აეწყო ყველაფერი, ოღონდ ზღაპარში მხოლოდ ოცნება იყო და ერბოს ქილა დაიმსხვრა, ჩემი გმირი კი, წავიდა და იყიდა ხის მასალა. დაამზადებინა სკამის საფეხურები, გადააკრა ქსოვილი და სტაბილური ბიზნესი ააწყო...

სხვათა შორის, სად აღარ შეხვდებით მის აწყობილ სკამებს, წარმოიდგინეთ, რამდენიმე ადამიანიც დაასაქმა...

ასეა, სწავლა არა მხოლოდ სიბერემდე შეიძლება — სიბერემდეც გამოადგება ადამიანს.

*ნიკო გორგი*

## ᲙᲐᲕᲐᲚᲘᲝᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲢᲐᲜᲒᲝ

ქვეყანაში, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ლათინურ-ამერიკულ სამოთხედ მიიჩნევდნენ, სრული ანარქია სუფევს. ადამიანები ძარცვავენ ბანკებს, მაღაზიებს, ცეცხლს უკიდებენ ავტომანქანებს, ათასობით ადამიანი გარბის არგენტინიდან. დაზარალებულები, უპენსიოდ, უსამსახუროდ დარჩენილი ადამიანები, წყევლა-კრულვას უთვლიან ფერნანდო დე ლა რუას და ეკონომიკის მინისტრს დომინგო კავალიოს. კრიზისი კი გუშინ არ დაწყებულა. სპეციალისტები კარგა ხანია აღნიშნავდნენ შემაშფოთებელ ტენდენციებს. ბოლოდროინდელი მოვლენები განრისხებული ხალხის პასუხი იყო სახელმწიფოს გაკოტრებაზე.

ათი წლის წინ კი არგენტინელები კავალიოს ლამის ეკონომიკურ მესიად მიიჩნევდნენ, რადგან სწორედ მან გადადგა ნაბიჯი არგენტინის ვალებიდან გამოსაყვანად.

დრო აღარ ითმენდა. ქვეყნის ეკონომიკა თვალსა და ხელს შუა ინგრეოდა, 1984 წლის მსოფლიო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებულმა გეგმამ „აუსტრალმა" შედეგი ვერ მოიტანა. პრეზიდენტმა ალფონსინმა თავისი ადგილი კარლოს მენემს დაუთმო. სწორედ მას შესთავაზა რეფორმების ახალი გეგმა კავალიომ. იგი ემყარებოდა სავალუტო მართვის სისტემას, რომელიც დოლართან პესოს თანაბარ შეფარდებას გულისხმობდა. ამასთან, მთავრობას არ ჰქონდა უფლება მიმოქცევაში გაეშვა ნაღდი ფული, რადგან იგი არ იყო უზრუნველყოფილი ცენტრალური ბანკის სადოლარე მარაგით. მთავრობას არც თავისი პროგრამების დაფინანსება შეეძლო დამატებითი ემისიების ხარჯზე. იმავდროულად, მოხდა ყველაფრის პრივატიზაცია, ბანკებით დაწყებული, ტრანსპორტით დამთავრებული.

ცნობილია, რომ სუსტი ვალუტის გათანაბრება დოლართან ინფლაციის შესამცირებლად სწორად გადადგმული ნაბიჯია, თუმცა დიდი სიფრთხილეა საჭირო, თორემ წარმოიქმნება „შეჩვევის ეფექტი" და ორგანიზმი კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. მაგრამ მსოფლიო სავალუტო ფონდისგან მიღებული კრედიტები ისე მოეწონათ არგენტინელებს, რომ ორ სკამზე (პესო და დოლარი) განაგრძობდნენ ჯდომას. კერძო საწარმოები, რომლებმაც სრულიად ვერ მიიღეს თავისუფლება, მთელი ძალით ვერ ამოქმედდნენ და მთავრობისათვის მისაყიდიც აღარაფერი ჰქონდათ. კავალიო კი მსოფლიო სავალუტო ფონდის რჩევებს მისდევდა და გადასახადებს ზრდიდა, ამით კიდევ უფრო ახშობდა კერძო ინიციატივას. ყველაფერმა ამან გამოიწვია ქვეყნიდან კაპიტალის გასვლა, თითქმის ყოველი მეხუთე არგენტინელი უმუშევარი დარჩა.

აღარც მსოფლიოს სავალუტო ფონდმა მოინდომა არგენტინისთვის მორიგი ტრანშის — 1 მლრდ 260 მლნ დოლარის მიცემა. ქვეყანაში მდგომარეობა უაღრესად დამძიმდა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ეკონომიკის მინისტრი და პრეზიდენტი ისტორიიდან გარიყულები აღმოჩნდნენ...

არგენტინის ახალი მთავრობა უარს ამბობს არგენტინის საგარეო ვალის მომსახურებაზე. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს არგენტინის მსგავსი დეფოლტი. დროებითი პრეზიდენტი, საა ირწმუნება, რომ მილიონ სამუშაო ადგილს შექმნის, თუმცა ანალიტიკოსები სკეპტიკურად არიან განწყობილნი და ვარაუდობენ, რომ მისი გეგმების რეალიზაციით მიღებული ეფექტი სიმბოლური იქნება.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №50*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
28 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 2,0600 |
| გერმანული მარკა | | 0,9299 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 2,9858 |
| ევრო | | 1,8888 |
| რუსული რუბლი | | 0,0683 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0143 |

## ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ?



კაიროში გამართულ შეხვედრაზე ოპეკი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც განსაზღვრავს ახალ წელს ნავთობზე მსოფლიო ფასების კონიუნქტურას. კარტელი ვარაუდობს, რომ ნავთობის მოპოვება დღეში 1,5 მლნ ბარელით შემცირდება და ბარელის ფასი 20-25 დოლარამდე აიწევს. რუსეთის ეკონომიკისათვის, პრემიერ-მინისტრის მ. კასიანოვის აზრით, მისაღებია ნავთობის საშუალო წლიური ფასი ბარელი — 18,5 დოლარი. მისი ოპტიმისტური ტონი ალბათ იმით აიხსნება, რომ ოპეკი, როგორც ჩანს, კვლავ ცვლის თამაშის წესებს და ითვალისწინებს „რუსულ ვარიანტს". 1999 წლის დასაწყისში ნავთობის კარტელის მიერ გამოცხადებული ფასის ნაცვლად (ბარელი 22-28 დოლარი), ოპეკი ახლა მზად არის, ფასი 20-25 დოლარამდე დაიყვანოს. ეს სწორედ ის არის, რასაც ნავთობის ყველა მწარმოებელს უკვე რამდენიმე თვეა, სთავაზობს რუსეთი.

კაიროს შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, მიღებული იქნება გადაწყვეტილება ნავთობის მოპოვების დღეში 1,5 მლნ ბარელით შემცირებაზე, მაგრამ მთავარი ის არის, რა დროიდან დაიწყება შემცირება. საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრ ალი ანნუაიმის მიაჩნია, რომ შესაძლოა ეს პროცესი 2002 წლის 1 იანვრიდან დაიწყოს. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ, „მსგავსი კონსენსუსი ოპეკსა და თავისუფალ ექსპორტიორებს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპის შედეგია". საუდის არაბეთი ნავთობის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია და შეიძლება ითქვას, კარტელის ყველაზე გავლენიანი წევრი. როგორც ჩანს, ამჯერად ეკონომიკურმა ინტერესებმა სიამაყე დაჯაბნა. ხუთმა სახელმწიფომ (მათ შორის რუსეთმა), რომელიც არ შედის ნავთობის საერთაშორისო კარტელში, გამოაცხადა, რომ მზად არის, ყოველდღიურად ნავთობის მოპოვების 462 ათასი ბარელით შესამცირებლად. ოპეკი ცდილობდა ეს ციფრი 500 ათასი მაინც გაეხადა. ოპეკმა შესაძლოა გადასწიოს შემცირების დაწყების ვადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იანვრიდან ნავთობის ფასი შეიძლება ისევ გაიაფებისაკენ წავიდეს.

*ბი-ბი-სი ნოვოსტი*

## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ...



### რა არის ირეძუმი?

**— ვიცით, რომ ტატუირების მრავალი სახეობა არსებობს. გთხოვთ, მოგვითხროთ რაიმე ტუშით ტატუირების შესახებ.**

*ვაჟა კ., თემურ ბ., ჯემალ მ.*

— სხეულის მოხატვას ძალზე ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მაგალითად, იაპონიაში ტატუირების ხელოვნება, რომელსაც ირეძუმი (ტუშით ინიექცია) ეწოდება, ჩვ. წ. აღ-მდე მე-5 საუკუნიდან არსებობდა. თავდაპირველად, ტატუირებას სოციალური ხასიათი ჰქონდა. მისი მიხედვით შეიძლებოდა დიდებულების ან დამნაშავეთა გამოცნობა. მათ იძულებით უკეთებდნენ ჯვრებსა და სხვადასხვა გამოსახულებას. ბოროტმოქმედები შავ-ბნელი წარსულის დასაფარავად სხეულს სხვადასხვა ნახატით იჭრელებდნენ. მე-17 საუკუნის დასასრულს ტატუირებას, ძირითადად, მდაბიორები იკეთებდნენ. ირეძუმის ტექნიკის ყველაზე პოპულარულ ნახატად დრაკონი ითვლება. იგი ძალის, ძალაუფლებისა და სიბრძნის გამოხატულებად აღიქმებოდა. ქრიზანთემები აღნიშნავს სიმტკიცესა და სიმამაცეს, პიონი — სიმდიდრეს, ალუბლის გადახლართული ტოტები — სიცოცხლის სწრაფწარმავალობას. ტატუირების სიუჟეტის მიხედვით შეიძლება გამოიცნოთ ადამიანის პროფესია, მისი ფილოსოფიური შეხედულებები და თვით ოცნება-იმედებიც კი.

*ექიმი-კოსმეტოლოგი ბ. მელაძე*

### პოლიტიკურ პარტიაში ყველას როდი იღებენ...

**— თადარიგის ოფიცერს, რომელიც ხელშეკრულებით მსახურობს თავდაცვის სამინისტროში, აქვს თუ არა უფლება გაწევრდეს პოლიტიკურ პარტიაში?**

*თამაზ მუმლაძე*

— საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ორგანული კანონის მე-10 მუხლის მიხედვით: „მოქალაქეს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უწყდება, პარტიის წევრობა".

შესაბამისად, თადარიგის ოფიცერს ვერც ერთ პოლიტიკურ პარტიაში ვერ მიიღებენ...

### უფლებები ბინის მყიდველსაც აქვს...

**— 2001 წლის 10 მარტს გაიყიდა ბინა განვადებით. „ბეს" სახით მივიღე 1000 დოლარი ურთიერთშეთანხმებით, რაც დამოწმებულია ნოტარიუსით. დარჩენილ 300 დოლარი უნდა მოეცათ 3 თვის განმავლობაში. როგორც ნოტარიუსში ამიხსნეს — „ბემ" ძალა დაკარგა უკვე 6 თვეა, ამიტომ ბინა დავაცლევინე. აქვს თუ არა უფლება ყოფილ მყიდველს შემომედავოს ან მოითხოვოს უკან თანხა.**

*ქ.ლ.*

— თქვენს კითხვაში გაუგებარია ორი რამ: თუ თქვენ მიიღეთ თანხა „ბეს" სახით, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად: „თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, „ბე" რჩება მის მიმღებს, ხოლო თუ ბინა გაიყიდა განვადებით, რაც დამოწმებულია ნოტარიულად, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 508-ე მუხლის თანახმად, „უარის თქმისას ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს".

*იურიდიული ფირმის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი*

### კანონის დარღვევას ჯარიმა მოჰყვება...

**— ჩამორთმეული მაქვს ავტომანქანის მართვის მოწმობა, რადგან ვიჯექი სხვის მანქანაზე, რომელსაც არ ჰქონდა გავლილი ტექდათვალიერება. მაქვს თუ არა უფლება გამოვიტანო ჩემი მართვის მოწმობა?**

*გ. ზედგინიძე, ახალციხე*

— ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის იმ სატრანსპორტო საშუალების გადაცემისთვის, რომელსაც არ გაუვლია ტექდათვალიერება, დადგენილი წესით გათვალისწინებულია ჯარიმა 3-8 ლარამდე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასე რომ, თქვენ, აღნიშნული ჯარიმის გადახდის შემდეგ, შეგიძლიათ გამოიტანოთ თქვენი ავტომანქანის მართვის მოწმობა.

*საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო*

### როგორ მოვხვდე ესპანეთში?

**— ჩემი მეუღლე არის ესპანეთში. აქვს ცხოვრების და მუშაობის უფლება. მისი ჩამოსვლის დროს, სათანადო დოკუმენტების წარდგენისას, საელჩო თუ მომცემს უფლებას (ვიზას) ესპანეთში წასვლაზე და რომელ საელჩოს უნდა მივმართო.**

*ნინო კ., კასპი*

— უფლებას ესპანეთში წასვლაზე გასცემს გერმანიის საელჩო 3 თვის ვადით, ხოლო უფრო მეტი ვადისთვის უნდა მიმართოთ ესპანეთის საელჩოს მოსკოვში.

*საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი*


ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲡᲚᲒᲐᲓᲐᲛᲦᲔᲑᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ
ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ, ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ
შესაძლებელია:
ᲒᲐᲜᲕᲐᲓᲔᲑᲐ ᲚᲘᲖᲘᲜᲒᲘ (ᲘᲯᲐᲠᲐ)

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲡᲔᲠᲝᲐᲡᲚᲔᲑᲘ ᲨᲐᲕ-ᲗᲔᲗᲠᲘ
2 ᲗᲔᲗᲠᲘᲓᲐᲜ 5 ᲗᲔᲗᲠᲐᲛᲓᲔ
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ᲤᲔᲠᲐᲓᲘ — 1 ᲚᲐᲠᲘ
ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲕ-ᲗᲔᲗᲠᲘ ᲥᲡᲔᲠᲝᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲓᲐᲜ

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

«ᲨᲠᲝᲨᲐᲜᲘᲡ» ᲗᲛᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ
1. ᲗᲛᲘᲡ ᲪᲕᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲡᲐᲟᲘᲗ, ᲙᲠᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲧᲔᲜᲘᲗ;
2. ᲛᲢᲙᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲛᲓᲔᲜᲘ ᲦᲠᲫᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲥᲢᲔᲑᲘᲗ.
ჭავჭავაძის №5 (ვაკის ლეჩკომბინატი) „მშვენიერების ცენტრი" ☎ 25-00-74 10-18 სთ. კვირის გარდა



ᲨᲞᲡ „ᲑᲣᲠᲒᲘᲚᲘ" აწარმოებს ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ
ᲛᲘᲡ: ᲐᲙᲣᲠᲘᲡ Ქ. №8 (ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ), ᲝᲗ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘ, ᲨᲢᲐᲛᲞᲔᲑᲘ, ᲤᲚᲔᲥᲡᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ, ᲬᲔᲑᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲔᲑᲘ
გამსახურდიას 17 (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17



**თარაზულად:**

5

სათამაშო ატრიბუტი

6

მთავარი ფიგურა კინოგადაღებისას

9

პირობითი ნიშანი, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულს

10

სასმისი

11

ატმოსფეროს მდგომარეობა გარკვეულ დროსა და ადგილზე

15

რეკომენდებული საახალწლო საჩუქარი ტახის წლებში დაბადებულთათვის

17

მცენარეთა სამყარო

18

ტროპიკული მცენარე

19

მეთაურთა შემადგენლობის პირი

20

თევზთა „მეფე“ (დარეჯანის ვერსია)

24

კუნძული-სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში

25

კატის ნაშიერი

26

წარწერის ამოჭრა ლითონზე

29

გეომეტრიული სხეული

32

მჭიდროდ დახვეული თამბაქოს ფურცლები

33

პოპულარული ამერიკელი მსახიობი, რომელიც სტუმრებს წვეულებაზე მხოლოდ საკუთარი ხელით დამზადებული კერძებით უმასპინძლდება

34

პიროვნება, რომლის შემოქმედების მრგვალ თარიღს საზეიმოდ აღნიშნავენ

35

მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება

**შვეულად:**

1

სიხარულის გამოხატვა

2

დამდეგი წლის სიმბოლო

3

რეკომენდებული საახალწლო ნამცხვარი 2002 წელს

4

ნაყინი ჯოხზე

5

ჰავაის ადმინისტრაციული ცენტრი

7

სარბიელი

8

გონდოლიერი თავისი არსით

12

ჯარისკაცი ძველ საფრანგეთში

13

მოწყენილობა, ძილის მორევა

14

კულინარიული ოსტატობით ცნობილი ბანდერასის მეუღლე

16

თეთრი ცეცხლგამძლე თიხა მაღალი ხარისხის ფაიფურის წარმოებაში

21

სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან ჩამოსულ მსახიობთა გამოსვლა

22

ერთადერთი, იშვიათი

23

დაპატიჟებით მისვლა

27

ადამიანის გრძნობა, განცდა

28

სევდის გასაქარვებელი ინსტრუმენტი

30

ხალხური ანტიბიოტიკი

31
წონის ერთეული ძველ რომში

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №52 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. პანოვერი; 6. მანეკენი; 9. არხეინი; 10. ასკანა; 11. ანემია; 15. ლაბირინთი; 17. თხილი; 18. ბარდი; 19. სკიპტრა; 20. კომპასი; 24. პაუზა; 25. სნობი; 26. ასტეროიდი; 29. აგენტი; 32. ლაბაბი; 33. კორნეტი; 34. ასამბლეა; 35. სინაგოგა.

**შვეულად:** 1. დომინო; 2. არარა; 3. საუნა; 4. ოკეანე; 5. პალსტუხი; 7. ინდივიდი; 8. დესერტი; 12. რამშტექსი; 13. მთაწმინდა; 14. გლუკოზა; 16. ნანსენი; 21. კალიგულა; 22. ფარაონი; 23. აბლაბუდა; 27. შტურმი; 28. ბადაგი; 30. ჟოკეი; 31. ატრია.

## საპატარძლოების მეჯლისი

პარიზის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმრო „კრიონში“ ჩატარდა დებიუტანტთა პრესტიჟული მეჯლისი. უმაღლესი საზოგადოების ეს ზეიმი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპაში, რადგან მეჯლისის მონაწილე გოგონები არა მარტო უმაღლესი მოდის პრესტიჟულ სახლებს წარმოადგენენ, არამედ ცისფერსისხლიანობითა და მშობლების აუარებელი სიმდიდრით გამოირჩევიან. „კრიონში“ შეკრებილთა უმრავლესობას ამ სასტუმროს კი არა, ეიფელის კოშკის ყიდვაც შეეძლოთ.



ქალიშვილების ელიტარული მეჯლისის ტრადიცია სენის სანაპიროზე დიდი ბრიტანეთიდან გადავიდა. იქ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დიდგვაროვან ახალგაზრდა ქალებს მეფის სასახლეში იწვევდნენ დედოფალთან წარსადგენად. საპატარძლოების ასაკი თვრამეტ წლამდე იყო და ამ წარდგინების შემდეგ მათთვის ახალი ცხოვრება იწყებოდა — მაღალი საზოგადოების მეჯლისები, წვეულებები და, რაც მთავარია, შესაფერისი მეუღლის არჩევა — ოჯახური, კლანური და პოლიტიკური კავშირების განსამტკიცებლად.

დებიუტანტების მეჯლისი პარიზული საახალწლო ტრადიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, ამ წელიწადში — ბოლო მოვლენაა.

მონაწილე გოგონებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ: ასაკი 15-დან 19 წლამდე უნდა იყოს, სიმაღლე არანაკლებ 173 სმ-ისა, ხოლო წონა... მათ ბუმბულებივით უნდა იფარფატონ ცეკვის დროს, უნდა ფლობდნენ ინგლისურ და ფრანგულ ენებს; ელეგანტური მოძრაობით არ უნდა ჩამორჩნენ პროფესიონალ მანეკენებს და მომხიბვლელობით — კინოვარსკვლავებს. რაც მთავარია, სამეჯლისო კაბით და სამკაულებით შესაფერისად მოირთონ. მეჯლისზე ქალიშვილები თაყვანისმცემლებთან ერთად უნდა გამოცხადდნენ, მაგრამ ვალდებულნი არ არიან, მთელი საღამო მასთან იცეკვონ. საღამო ვენური ვალსის იხსნება.

იმ საღამოსაც ბრწყინავდნენ დარბაზში დიდგვაროვანთა შთამომავლები. ჟან პოლ გოტიეს კაბით კეკლუცობდა ბრაზილიელი პაოლა დე ბურბონ ორლეანი, საფრანგეთის და ესპანეთის მეფეთა შთამომავალი, ჟივანშის მოდების სახლის სამოსით იწონებდა თავს ბერძენი კაროლინა პარტენი-ანგელოპულოსი, რომლის დედა 2004 წელს ოლიმპიურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელებს, ვერსაჩეს კაბით გამოცხადდა მეჯლისზე ფრანგი ამელი რესტიჟენ რაუფელდი — ჟურნალ „ვოგის“ მთავარი რედაქტორის ქალიშვილი. საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იყო ყველაზე „მაღალჩინოსანი“ დებიუტანტის — ბარბარა ბერლუსკონეს მიმართ.

იტალიის სკანდალურად ცნობილი პრემიერ-მინისტრის ქალიშვილს შანელის კაბა ეცვა. იტალიელი არ მალავს, რომ პირსინგის თაყვანისმცემელია: პრემიერის ქალიშვილს საყურე არა მარტო ყურზე, არამედ ენაზეც ეკეთა.

პოლონეთის პრეზიდენტის ქალიშვილს, პოლონელი ცნობილი მოდელიერის, საგანგებოდ ამ დღისთვის შექმნილი კაბა ემოსა.

დეფილეს ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, ელისეს სასახლის გენერალური მდივნის 15 წლის ქალიშვილს მარის კი ემანუელ უნგაროს შედევრით იწონებდა თავს.

თორმეტი ქვეყნის ჩვიდმეტი ფერია ჩავიდა პარიზში ამ ზეიმზე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღებით ამერიკელი გოგონები სარგებლობდნენ — საზოგადოებას ამით უნდოდა გამოეხატა თანადგომა ტერორიზმით დაზარალებული ამერიკელი ხალხისადმი. ამჯერად პარიზში ამერიკელი მედიამაგნატის შთამომავლები — ამანდა და ლიდია ჰერსტები და ცნობილი ამერიკელი რომანისტის დანიელა სტილის ქალიშვილები — ვანესა და ვიქტორია ჩამოფრინდნენ. ისინი კრისტიან დიორისა და კრისტიან ლაკრუას კაბებით თვალს ჭრიდნენ მაყურებელს.

„საუკუნის პირველი მეჯლისისათვის“ ქალიშვილებს კოსმეტიკური ფირმის Make Up For Ever-ის სპეციალისტები ემსახურებოდნენ, თმის ვარცხნილობას კი მსოფლიოში ცნობილი სტილისტები უკეთებდნენ. მეჯლისი იაპონური საიუველირო ფირმის Mikimoto-ს პატრონაჟითა და სპონსორობით მიმდინარეობდა. ამომავალი მზის ქვეყნიდან საგანგებოდ ჩამოიტანეს ისეთი სამკაულები, რომელსაც მხოლოდ დიდგვაროვანი გათხოვილი პრინცესები ატარებენ.

პარიზის ბომონდში უმალ გაიყიდა სამასი მოსაწვევი ბარათი. შუაღამისას საქველმოქმედო აქცია დაიწყო. მემკვიდრეთა მომხიბვლელობით გულაჩუყებული მდიდარი მშობლები და მათი მეგობრები ოქროს კალმებით წერდნენ მრავალნულიან ჩეკებს. შემოსული თანხა გადაეცა შიდსისა და სიმსივნეთა კვლევის ინსტიტუტს.

ნატიფი ვახშმის, ვალსებისა და ტანგოების შემდეგ, ახალგაზრდებმა სასწრაფოდ გაიხადეს კრეოლინები, შლეიფიანი კაბები და ელექტრონულ-კომპიუტერული საუკუნის ჩვეულებრივ თინეიჯერებად იქცნენ — გახეხილი ჯინსებითა და დახატული პერანგებით.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ხალხის ასულები წარამარა გარეთ გარბოდნენ კიბის ქვეშ დამალული სიგარეტის მოსაწევად.

მეჯილისი როკ-ნ-როლის ბაგაბუგითა და კოკა-კოლას შუშხუნით დამთავრდა.

*იტოგი №49*

**ფსიქოლოგიური ტესტი**

## ბედის ისრები

**ფსიქოლოგების აზრით, მაჯის საათი არა მარტო დროს აჩვენებს, არამედ თურმე ბევრი რამის თქმა შეუძლია პატრონის ინდივიდუალობისა და ხასიათის შესახებ. მაგალითად, თუ თქვენ გიყვართ:**

**კვადრატული ციფერბლატი** — იღბლიანი და თადარიგიანი ადამიანი ხართ, მზად ხართ განახორციელოთ ნებისმიერი პროექტი, რომელიც არ უნდა შემოგვთავაზონ. თქვენი ენერგია — განუსაზღვრელია, მიზნით მიღწევის სურვილი — დაუცხრომელი, რისთვისაც დროს არ იშურებთ, გაღიზიანებთ და გაწუხებთ ყოველგვარი წარუმატებლობა და წინააღმდეგობა, მაგრამ დიდი მიზანსწრაფვა გეხმარებათ მათ დაძლევაში. ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ გარშემომყოფთა აზრს, შექება, ისეთივე მნიშვნელოვანია თვქენთვის, როგორც ფული. მადლიერების გრძნობით იღებთ თქენი მისამართით ნათქვამ ყოველ სიტყვას.

**მრგვალი ციფერბლატი** — ბუნებით ლიდერი ხართ. ძალიან ადვილად შეგიძლიათ დააჯეროთ ადამიანები თქვენს სიმართლეში. რადგან გაქვთ ნიჭი, გესმოდეთ ადამიანებისა, რაც გიადვილებთ მათთან ურთიერთობას. ერთგული მეგობარი ხართ, შეიძლება თქვენზე დაყრდნობა. ტრადიციების მიმდევარი ხართ და ყოველთვის იმ აზრზე რჩებით, რაც გწამთ, თუმცა შეგწევთ უნარი ცვლილებების მიღებისა., რაც განერვიულებთ. თქვენთვის მთავარია ოჯახი და მეგობრები. პატივს გცემენ იმისათვის, რომ სიტყვის პატრონი ხართ, მოგწონთ პატიოსანი და პირდაპირი ადამიანები. მატყუარები გაღიზიანებთ.

**თვლებით მოოჭვილი საათი** — იმდენად თავდაჯერებული ხართ, რომ გარშემომყოფნი პატივმოყვარედ გთვლიან. სურვილის მისაღწევად არაფერზე უკან არ დაიხევთ. თქვენზე ამბობენ — არსად დაიკარგებაო. შეუძლებელია არ შეგამჩნიონ. თქვენ ლექსიკონში არ არის — „არ შემიძლია“, არ შეგიძლიათ წაგება. ღირსეულ მეტოქედ და მომხრედ გთვლიან. მაგრამ ფრთხილად იყავით სიტუაციებში, როდესაც შეიძლება გაიძულონ გარისკოთ, დაიცვათ თქვენი შეხედულება.

**უჩვეულო ციფერბლატი** — თუ მოგ-




წონთ მიკი-მაუსის ან პლუტონის სახე ციფერბლატზე, ე.ი. თქვენ თავისუფალი სულის ადამიანი ხართ, იუმორის დიდი გრძნობა გაქვთ, საზოგადოების სული და გული ხართ, რადგან არ გეშინიათ მათ წინაშე ემოციების გამომზეურებისა; რაღაც უცნაურობები კი გახასიათებთ, მაგრამ არავისთვის ვნების მიყენება არ შეგიძლიათ. მიუხედავად თქვენი სარკასტული და მწარე შენიშვნებისა, ყველას სჯერა, რომ მტკიცედ იცავთ თქვენს შეხედულებებს.

*ჩასტნაია ჟიზნ №22*

## „ბოროტი მზე“

### ანუ — მოდით, გადავაკეთოთ ჩვენი ბავშვობა



არსებობს ენერგეტიკის ასეთი კანონი: წარმატება, სიმდიდრე, ბედნიერება სიყვარულსა და ოჯახურ ცხოვრებაში მათ ერგებათ, ვინც ბედნიერ, მეგობრულ ოჯახში აღიზარდნენ. ასეთი ბავშვები პატარაობიდანვე ეგუებიან იმ აზრს, რომ ისინი თავდავიწყებით უყვართ ჯერ მშობლებს, მოგვიანებით კი, ბედის რჩეულებიც ხდებიან. მოინდომებენ ცირკში წასვლას და კი, ბატონო, ახალი ბურთი უნდათ — მაშინვე უყიდიან. მოზარდი თითქოს ნებივრობს სიყვარულის მზის ქვეშ და თანდათან უმტკიცდება აზრი, რომ ცხოვრებაში მუდამ ყველაფერი კარგად ექნება. ამიტომაცაა, რომ ბედის ყველა დარტყმას იოლად უმკლავდება, რადგან დარწმუნებულია: მიუხედავად ყველაფრისა, იგი ბედის რჩეულია და არ შეიძლება არ გაუღიმოს ადრე თუ გვიან. ასეთები ძალზე სასიამოვნო ადამიანები არიან, როგორც მეგობრულ, ასევე ოჯახურ ურთიერთობებში.

რადიკალურად განსხვავებულია პირველისგან ბავშვის მეორე ტიპი, რომელმაც ბავშვობა ხელმოკლე და არასრულყოფილ ოჯახში გაატარა. თუ ადამიანს ბავშვობაში სიყვარული აკლდა, თუ არ ჰქონდა ის, რაც გულით სურდა, მთელი სიცოცხლე კომპლექსები დატანჯავს, კომპლექსები კი შიშით არის განპირობებული — შიშით იმის გამო, რომ ცხოვრებაში არ გაუმართლებს, არაფერი ეღირსება, ისევე როგორც არაფერი გააჩნდა ბავშვობაში. შიში გაზრდილ მოთხოვნილებას წარმოშობს, რაც ძნელად ასატანი ხდება გარშემომყოფთათვის. ჩვენი სურვილების დაკმაყოფილება ხომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენივე ორგანიზმისთვის იმ ენერგიის მიწოდებაა, რომელიც ასე გვაკლია. ამის გარეშე იქმნება ენერგეტიკული დეფიციტი, და თუ იგი შორეული ბავშვობიდან მოჰყვება ადამიანს, აღარასოდეს გაუქრება. უკვე სიმწიფეში შესული ადამიანი ეცდება, რადაც უნდა დაუჯდეს, შეივსოს იგი. ეს დეფიციტია რომ ექაჩება ცხოვრების ფსკერისკენ და არ აძლევს საშუალებას დატკბეს ამქვეყნიური სიამენით.

თუ „ბოროტი მზის“ მსხვერპლი ქალია, იგი მძიმე დაღს ასვამს მამაკაცებთან მის ურთიერთობას. ასეთი ქალები ვერასოდეს იქნებიან უდარდელები და მხიარულები. ნებისმიერი წარუმატებლობა ძაბავს მათ და წინააღმდეგობის გადალახვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. როგორც წესი, ასეთ ქალებს ის მამაკაცები თხოულობენ ცოლად, ვინც მათსავით უბედურ ოჯახებში არიან გაზრდილები და როცა ისინი ერთ ჭერქვეშ იწყებენ ცხოვრებას — იწყება გაუთავებელი სკანდალები, სახლში ჯოჯოხეთური ატმოსფერო ბატონდება.

მამაკაცი, რომელიც ბედნიერ ოჯახში გაიზარდა, ჩვეულებრივ, თავს არიდებს ხოლმე ასეთ ქალთან ქორწინებას. რატომ გაიმწაროს სიცოცხლე?

მაშ, სად არის გამოსავალი, ბედნიერება ხომ ყველას უნდაო, იკითხავთ თქვენ. ეცადეთ გათავისუფლდეთ „ბოროტი მზისგან“. ამისათვის წარსულს მიუბრუნდით და ნაბიჯ-ნაბიჯ, ფიქრით თავიდან გაიარეთ ბავშვობა და სიყმაწვილე ისე, რომ ყველა უსიამოვნო მოვლენა, მძიმე სიტუაცია თქვენდა სასარგებლოდ აქციოთ — თქვენთვის სასიამოვნო გახადოთ. ყველა სიტუაცია ისე წარმოიდგინეთ, როგორადაც გინდოდათ რომ ყოფილიყო. მაგალითად, მამათქვენი წავიდა ოჯახიდან? წარმოიდგინეთ, დედათქვენმა ყველა ღონე იხმარა და ქმარი დაიბრუნა, ოჯახი შეინარჩუნა და ყველანი ბედნიერად ცხოვრობდით. თქვენ ყველაფერი გქონდათ — სათამაშოები, ლამაზი ტანსაცმელი, ტკბილეული, სეირნობდით, ზაფხულში ზღვაზე ისვენებდით და ამ ყველაფერთან ერთად მშობლები ხელისგულზე გატარებდნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოსახვით უნდა მიიღოთ ის, რაც არასოდეს გქონიათ. არ გეგონოთ ყოველივე ეს იოლი გასაკეთებელი იყოს. შეიძლება რამდენჯერმე მოგიწიოთ ბავშვობის წარმოსახვაში გამეორება. ამ დღეებში ხშირად დაანთეთ სანთელი ეკლესიაში და თქვენ თანდათან იგრძნობთ, რომ შიში საოცარმა სიმსუბუქემ შეცვალა. უფრო თავდაჯერებულები და გაწონასწორებულები გახდებით. შეიცვლება თქვენდამი გარშემომყოფთა დამოკიდებულებაც. და კიდევ ერთიც: სანამ ბავშვობას „გაიმეორებთ“, შესაძლოა თავი შეუძლოდ იგრძნოთ, რამდენიმე დღე ლოგინადაც ჩავარდეთ. არ შეშინდეთ, თქვენ ამ დროს „ბედნიერი ბავშვობის“ მოდელს აგებთ და ამარცხებთ „ბოროტ მზეს“. ბედი თქვენს შესახვედრად მოიჩქარის.

*მედიცინა ი ჟიზნ №5*

## უკანასკნელი მოგზაურობა

სახელგანთქმული ახალზელანდიელი მოგზაური პიტერ ბლეიქი 33 წლის განმავლობაში სერავდა ზღვებსა და ოკეანეებს იალქნიანი ნავით. იგი იყო ეროვნული გმირი, კაპიტანი კუსტო მას თავის ზნეობრივ მემკვიდრედ მიიჩნევდა, დედოფალმა ელისაბედმა ბრიტანეთის რაინდის წოდება მიანიჭა, ყველა მოგზაურისა და გემის კაპიტნისთვის სამაგალითო და სათაყვანო გახლდათ.

ეს ჭეშმარიტი ვიკინგი ბოლო ოთხი წელიწადი გარემოს თავგამოდებული დამცველი იყო...

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეზღვაური მდინარე ამაზონზე იმყოფებოდა თავის ეკიპაჟთან ერთად. 4 დეკემბერს, ღამით, მათ თავს დაესხნენ ბრაზილიელი მეკობრეები და ორიოდე გროშისათვის ხელის აუკანკალებლად გამოასალმეს სიცოცხლეს.

„რატომ ვართ აქ? — წერდა იგი მკვლელობის წინა დღეს დღიურში, — ხომ შეგვეძლო აქაურობა თვითმფრინავიდან დაგვეთვალიერებინა? ამისთვის სულ რამდენიმე კვირა დაგვჭირდებოდა, მაგრამ ახლოს ვერაფერს გავეცნობოდით. თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, ბუნებას ხელით უნდა შეეხო, უნდა იგრძნო, უნდა გჯეროდეს, მოთმინების უნარი გაგაჩნდეს და სიყვარული შეგეძლოს“...

პიტერ ბლეი1ი ცდილობდა, შეეგნებინებინა ყოველი ადამიანისთვის, გაფრთხილებოდნენ ზღვებს, მდინარეებს. „თუ არ იქნება წყალი, არ იქნება სიცოცხლე“, — ამბობდა ის.



ბლეიქმა თავისი გემით მოიარა მთელი მსოფლიო, მრავალგზის შემოუარა დედამიწას. 1997 წლიდან ხელმძღვანელობდა ლეგენდარული ზღვაოსნისა და მეცნიერის კაპიტან კუსტოს ფონდს. 2000 წელს შექმნა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ წყალქვეშა სამყაროს მკვლევარნი.

*პარი მატჩი №27/43*


ჟურნალ-გაზეთების გამოწერა თბილისის მაცხოვრებლეთათვის






სახლიდან გაუსვლელად

ტელ: 33-26-73

## მილოცვა



ახალციხის ჰოსპიტლის უფროსს ბატონ **დავით ფეიქრიშვილს!**
დავით, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ უამრავ სიკეთესა და სიხარულს. თქვენი კეთილშობილება, ქველმოქმედება და უანგარობა მუდამ გაგინათებთ მომავლის გზას.
ღმერთი გფარავდეთ!

*პაციენტი თოთლაძე თამარი*

**მზია, ზვიად, ნაირა, გენო, ზაზა, ზურაბ, ლამზირა, ვალტერ, იზოლდა, ტარიელ, თინა, ინეზა, ფიქრია განწერელიებს** ვულოცავთ შვილის შვილიშვილის შეძენას, ამასთან ერთად, შობა-ახალ წელს.

*თქვენი კეთილის მსურველი ფ.ც.*

**დარიკო ბლიაძე-ბერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს!**
იყავი ბედნიერი და ჯანმრთელი, შენი პატარა ოჯახით. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*გკოცნი ბევრს, ხაშურიდან ნანა ოჯახით*

ძვირფასო ჯაოშვილებო! სულითა და გულით გილოცავთ 2002 წლის დადგომას. ყოფილიყოს ეს წელი ჩვენი გვარისა და საერთოდ, ერის გამრავლების, გახარების და წარმატებების მომტანი.
აპრილის ბოლოს (აღდგომისათვის) დასრულდება ფილმი-ნარკვევი, ჩვენი გვარის ისტორიის შესახებ; შეიქმნება საგვარეულო ნიშანი, გენეალოგიური სქემა (პლაკატი), მოეწყობა შეხვედრა (რის შესახებაც დამატებით გაცნობებთ). იმ ოჯახებს კი, ვისთანაც ჯერჯერობით ვერ მოხერხდა შეხვედრა, ვთხოვ, მომაწოდონ ფოტო, კინო, ვიდეო ან სხვა სახის დოკუმენტალური მასალა, წინაპრებისა და ოჯახის წევრების შესახებ. დამიკავშირდით ქ. თბილისში: 822 36-88-69; 822 33-55-86 (17 სთ-მდე). წინასწარ გიხდით მადლობას.

*პატივისცემით, ტელერეჟისორი ირაკლი ჯაოშვილი*

მხატვარ-კერამიკოს **ელდარ მამალაძეს** ვულოცავ დაბადების დღეს, შობა-ახალ წელიწადს, ვუსურვებ სიკეთეს და წარმატებებს საყვარელ ოჯახთან ერთად.

*სალომე*

## ბინები

იტალიურ ეზოში, იზოლირებული, 3 ოთახიანი ბინა, 2 სართულიანი სახლის I სართულზე. ლოჯიით, ტელეფონით, სარდაფით. ფასი $ 16.000. მის: ჩუღურეთის რ-ნი, ჯავახიშვილის ქ. №30. ტელ: 96-71-53

3 ოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული, კუთხის ბინა, 5(5), ს/ფ 105 კვმ, მარმარილოს ბუხრით, სარდაფით, 2 ადგილიანი, ა/ფარეხით, დუპლექსის ტიპის გაფართოების პერსპექტივით, საბურთალოს ცენტრში, ყაზბეგის გამზირის დასაწყისში. ფასი$35.000. ტელ: 37-01-66; 899 55-58-86

ან იცვლება სხვადასხვა ქონებაზე, აეროპორტისკენ კაპ. სახლი, 7X5 კვმ, ვერანდით, 3200 კვმ ხეხილით სავსე, კაპ. შემოღობილი ნაკვეთით, ბ/აურით, წყლით, დენით, დამხმარე ნაგებობებით, რკინის ჭიშკრით. ფასი $2.500. ტელ: 37-01-66; 38-02-52; 899 55-58-86

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურანიდან (კოტორაანთკარზე გადაშენებული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული — ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი — დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

ბუკიას ბაღთან 3 ოთახიანი ბინა. ტელ; 22-03-72

სახლი ბაკურიანში, პანსიონატისთვის ან სასტუმროსათვის, ყველანაირი პირობებით: წყალი (ცივი, ცხელი), ელექტროენერგია, 24 საათი; მომსახურების ყველა სახე. ტელ: 877 71-43-42. სვეტა, მიშა

Сдается дом в Бакуриани, под пансионат или гостиницу все условия: вода (холодная, горячая), Электроенергия круглосуточно. Все виды услуг. Тел: 877 71-43-42. Света, Миша

## მომსახურება

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამყულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

ფირმა „სატურნი" თბილისში ყველაზე იაფად დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის რკინის კარებს, ჟალუზებს, დახვეულ კიბეებს; შეგისრულებთ სამშენებლო-სარემონტო, სამუშაოებს. ტელ: 39-57-00; 39-82-95; 877 42-40-18

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გალიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1 სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაჭარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ქეცბაიძე

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გალიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი — პირველივე სეანსზე. თუ იასრგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „მიმი": შეჭრა — 5 ლარი, დავარცხნა — 5 ლარი, მელირება — 15 ლარი, ქიმიური დახვევა — 15-20 ლარი; გასწორება — 16 ლარი; სადღესასწაულო ვარცხნილობა — 12-15 ლარი; მანიკური — 5 ლარი; პედიკური — 10 ლარი; კოსმეტოლოგიური მომსახურება; მასაჟი. მის: მ. „რუსთაველთან" მიწისქვეშა გადასასვლელში. ტელ: 877 44-17-46

გთავაზობთ ეპილაციას, ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, გალიზიანების გარეშე, მორჩენის გარანტიით, — 1 სთ — 5 ლარი; თმის მოცილებას სახეზე და ტანზე მცენარეული დეპილატორით. მიღება წინასწარი ჩაწერით. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით! მის: მ „300 არაგველი". გულიკო. ტელ: 77-50-32

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე. სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, საშწველა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, აღმოფხვრის ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზებს, სამშობიარო ტრავმას, ცერებრალურ დამბლას. ტელ: 899 55-05-75

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის. აბშილავას ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა №46 (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გაბაშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

ორგანიზმის სრული გამოკვლევა და მკურნალობა. ტელ: 877 46-19-57

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ეველინა ლოლაძე მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, საშწველა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა — მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მომზადება ისტორიაში იაფად. ტელ: 22-78-56

ვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში და ნებისმიერ საგანში. ტელ: 34-84-78. ქეთინო

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოვამზადებ ინგლისურში აბიტურიენტებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61

სახვითი ხელოვნების სტუდია აცხადებს მსურველთა მიღებას. ფუნქციონირებს აბიტურიენტთა, მოყვარულთა და და უმცროსი ასაკის ბავშვთა ჯგუფები. ისწავლება: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, მოდელირება, გობელენი. მეცადინეობას ატარებენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები. ტელ: 53-60-06; 93-64-23

კომპიუტერული სტუდია — „დავი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

## იყიდება

იაპონური ფირმა CASIO-ს სალაროს აპარატი (ახალი), ფისკალური მეხსიერებით. ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ზედა ნაწილი — სამმხრივი ბროლის მინით, 2 კარიანი, ქვემოთ — 2 კარიანი. $200. ტ: 23-07-65

ყვისფერი, გერმანული, როიალი „ბლუტნერი", საუკეთესო მდგომარეობაში, 1,90სმX1,50სმ, ნახევრად საკონცერტო. ფასი $7500. ტელ: 96-09-35

ფრანგული წარმოების ქალისა და მამაკაცის თეთრეული, ფაიფური და შუშა. ტელ: 99-92-88

სოიას შროტი ექსტრუდერში გატარებული. ცილა 33%. ფასი: 1 კგ — 0,65 ლარი. ტელ: 899 54-63-44

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

ორგანიზაცია იქირავებს 1,5 და 2 კვტ-იან გენერატორებს. ტელ: 92-25-33; 899 57-53-61

## ხსოვნა



**გურამ ნადირაშვილის გახსენება**
ფიქრსა და ტირილში, 28 დეკემბერს შესრულდა 1 წელი. გულმა გიმტყუნა და უცაბედმა სიკვდილმა წაიღო შენი თავი, ჩემო ძვირფასო გურამ. მწარეა ჩვენთვის ეს დღეები. ყველას გვენატრები. იმედი მანუგეშებს, რომ ალბათ, მალე შევხვდებით სასუფეველში ერთმანეთს, სიკეთის მთესველო კაცო.

*მეუღლე როზა*

**ნათია გოგიშვილის მონატრება**



ნათია, ჩვენო საყვარელო და სულით სპეტაკო შვილო, გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი 1 წელი. 2 იანვარს 29 წელი უნდა შეგსრულებოდა. ხანმოკლე აღმოჩნდა შენი ამქვეყნიური ცხოვრება. დაგვიტოვე გაუთავებელი ტკივილი და მარადისობაში გადაინაცვლე. ვერ გაუძლო ბედის უკუღმართობას შენმა გულმა. სანამ შემეძლო ტანჯვის ატანა, არ გავქცევივარ ჩემს ბედს ვცდილობ, შენმა განგმირა სხეული ჩემი, გამოვეთხოვე შვილებს დარდიანს.
იმ სიცარიელეს ვერავინ ამოავსებს შენს პატარა ნინოს და ვახტანგს, უდედობის ტკივილი რომ ჰქვია. უზომოდ გვიჭირს უშენობა, მაგრამ სხვა რა დაგვრჩენია.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*მარად მწუხარე შენი მშობლები, ძმა და მამიდა*



**დურმიშხან კვიჟინაძის გახსენება**
დღეს შენი დაბადების დღეა, დურა. პირველად ვხვდებით ახალ წელს უშენოდ. 21 წლის წახვედი და თან გაიყოლე მრავალი აუხდენელი ოცნება. უსაზღვროდ გვენატრები, მხოლოდ შენი საფლავი დაგვრჩენია ნუგეშად. შორიდან ვეალერსებით შენს ლამაზ სულს. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

*შენი გულდამწვარი დედმამიშვილები*

**გიორგი (გოგლა) შოთას ძე ბერიაშვილს**



უშენოდ მეორედ მოვიდა 31 დეკემბერი — შენი დაბადების დღე. მძიმეა უშენობის სუსხი და ატირებული ფიქრი მონატრების. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, ჩემო გოგლა. ოდნავადაც ვერ შეასუსტა მან შენი უდროოდ წასვლით მიყენებული ტკივილი. მუდამ ღიმილიანო, სიყვარულით და სათნოებით გულანთებულო, სულიერად და გარეგნულად ლამაზო გოგლა. უსაზღვროა შენი მონატრება, ძალიან გვენატრები. ყველასთვის სიცოცხლით სავსე, ლამაზი, მოსიყვარულე და არაჩვეულებრივი იყავი. შენს ცივ სამარეს არ აკლია სიყვარულის ცრემლი და ყვავილები. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით ხარ. შენ შენი ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობ და იცხოვრებ მანამ, სანამ ვიცხოვრებთ ჩვენ.
დღეს უიმედოდ მომლოდინე შენი მაიკო, შოთიკო, ჯუბა, მშობლები შოთა, მერი, ძმა დიმიტრი ბერიაშვილები, მეგობრები და ნათესავები მიწისქვეშეთში გილოცავთ 39-ე წელს. სუფრაზე დალოცვის ნაცვლად, შენი სულის მოსახსენიებელს იტყვიან. ნათელში იყავი, შენი ლამაზი სულით, ჩვენო გოგლა.

*ეთერი დეიდა, ავთო ძია*



**ჩვენო საყვარელო ზაზა!**
2002 წლის 1 იანვარი — შენი დაბადების დღის 30 წლისთავი. წელს პირველად უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს, დედი.
ჩვენო დარდო და გაუუქრობელო ტკივილო, ჩვენო ზაზუკა, უშენოდ უბედურები ვართ, შვილო, უძლურები, უიმედოები.
დედი, ვერასოდეს გავითავისებ, რომ აღარ მყავხარ, ყველა ახალგაზრდაში შენ გეძებ და ვერ გპოულობ.
შენი მამიკო დღის თვალცრემლიანი, დღეში 3-4-ჯერ შენს საფლავზე, ეფერება ყველა შენს ახლობელს, მეგობარს, ეფერება ყველა შენს ნაფეხურს. დღეები ილევიან ცრემლსა და დარდში.
2001 წლის 1 სექტემბერი — შავი მანდილი, შავი ძაძები გვარგუნე.
ჩემო სიხარულო, ისევ და ისევ გელოდები, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო თბილო, ჩემო ტკბილო, ჩემო კეთილო, ლაღი ქარივით დაქროდი და დიდ სივრცეს ათბობდი. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა, ენით აუწერელი ტკივილი. შენი სიყვარული თაკო და ერთადერთი ანგელოზი — ანი, შენს საფლავს ეფერებიან, ანთებენ სანთლებს, გელოდებიან.
დატოვე შენი დაიკო კესი ფრთებშემოტეხილი. ოხ, რა ძნელია შენი მონატრების მოთმენა, ოხ, როგორ მინდა და მენატრება შენი გულში ჩაკვრა. განგებამ უხვად დაგამადლა მოყვასის სიყვარული, შენ ხომ მხოლოდ სიკეთისთვის იყავი დაბადებული.
1991 წლის 30 ნოემბერი — შენი და თაკოს ქორწინების დღე, შვილო; 2001 წლის 30 ნოემბერი, ქორწინების 10 წლისთავი. რით ვანუგეშო შენი თაკო, დედი, რა ვუთხრა ანუკების, მამას რომ იფიცება?! როგორ ვუყურო საცოდავი მამაშენის ცრემლიან თვალებს — ხმაც რომ დაკარგა.
ყველა უნდა ვანუგეშო, შვილო, როგორ მინდიხარ, დედის სიყვარულო და სიხარულო. შენ ხომ ყოველთვის ჩვენი სითბო და სიტკბო იყავი.
ენატრები ყველას, შენს ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს, ერთი წუთით არ გტოვებენ მარტოს; ყველა შენს საფლავზე ფუსფუსებს, ყველა გეფერება, დედიკო. მათ გულებში მუდამ დარჩება შენი ნათელი ხსოვნა, დედიკოს სიხარულო, შენა ხარ ჩემი ხატი.
ნათელი არ მოჰკლებოდეს შენს ლამაზ სულს, მუდამ კეთილად მოსაგონარო.
ღმერთმა განანათლოს შენი სპეტაკი სული, ჭირისა და ლხინის გულწრფელო გამზიარებელო, ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*შენი გულმოკლული კირვალიძეების ოჯახი*

**ლექსო სულიკაშვილის გახსენება**



მიილია 40 ცრემლიანი დღე შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო საყვარელო მამა. დაუჯერებელია ის ტკივილი, რომ შენ ჩვენთან აღარა ხარ. ასე მოულოდნელად დაგვტოვე 63 წლის ასაკში. მაგრამ, 2 წლის წინ დატრიალებულმა ტრაგედიამ — შენი უფროსი შვილიშვილის ტრაგიკულად დაღუპვამ, სულიერად და ფიზიკურად დაგცა.



19 წლის **სოსო** გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე და შენმა კეთილმა გულმა ველარ აიტანა ამხელა ტკივილი. 2 წელი მისტიროდი სოსოს სულს და შენც მალე ჩუმად წახვედი შვილიშვილთან. იძინეთ მშვიდად, ერთ სასაფლაოზე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი კეთილი სულები.

*შენი შვილები*



**ომარ კერესელიძის გახსენება**
30 წელი სრულდება, რაც ჩვენგან წახვედი. მჯერა, კაცურად განვლილი შენი ცხოვრების გზა, საწინდარია შენი სულის სამოთხეში დამკვიდრებისა.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*ლამზირა და ვალერი ლოლუები*

**არჩილ შელიას მონატრება!**



რა დიდი სიხარული იყო შენი დაბადება, რა ბედნიერები ვიყავით მაშინ. მეორე დაბადების დღეა უშენოდ, დანთებული სანთლებით, ცრემლიანი თვალებით და უამრავი ლამაზი ყვავილით მოგილოცავთ დაბადების დღეს.
ნაადრევად ჩაქრა შენი მზე, უშენოდ ნაღვლიანად გავა წლები, ჩვენო უსაყვარლესო არჩი.
უშენოდ ისღა დაგვრჩენია, რომ უფლის გზაზე კელაპტრად წაგიძღვება შენი სიკეთე, სითბო და სიყვარული, რსაც უანგაროდ გასცემდი.

*ძალიან გვენატრები*

## ნეკროლოგი



შვილები: ალეკო და დათო; რძლები: მარინა სეფაშვილი, ბელა წერეთელი; შვილიშვილები: თინიკო, ალიკო, დათუნა, ანა, გიორგი; და: ლამარა; სიძე: კოტე ქიტიაშვილი; დისშვილი: ლალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**თინა ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი-გონაძე**
*პანაშვიდი:* 1, 2 იანვარს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 3 იანვარს, 14 საათზე.
*მისამართი:* ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, 28-ე კორპუსი, ბინა №60




გიორგი ასანიძე და მუხრან ვახტანგაძე

# წლის ყველაზე გამორჩეული სპორტული მოვლენები

ვინ გვარცხვენს? ამ კითხვას ბოლო ათწლეულში უამრავი ადრესატი ჰყავდა. XXI საუკუნე დამოუკიდებელ ქართულ სპორტში წინა წლებივით უხალისოდ შემოიჭრა და ვერავინ იფიქრებდა, რომ 2001 წელი, 2000-თან შედარებით გაცილებით ხალისიანად დასრულდებოდა. ამიტომაც ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ 2001 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები.

წლის სპორტსმენი უდავოდ გიორგი ასანიძეა. საჩხერელმა ძალოსანმა სლოვაკეთში ევროპის ჩემპიონობა იზეიმა, ნოემბერში თურქეთიდან საქართველოს მსოფლიო ჩემპიონობა ახარა. შუალედში კი ახალნაოპერაციები ავსტრალიაში კეთილი ნების თამაშებზე ვერცხლის მედალს დასჯერდა. გიორგი უკვე მესამედ გახდა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი (1998, 2000 და 2001 წლები). თუმცა, მოულოდნელად გიორგის პირველობას საფრთხე იქიდან დაემუქრა, საიდანაც მას არავინ ელოდა: კლასიკური სტილით მოჭიდავე მუხრან ვახტანგაძემ 28 წლის ასაკში მოინდომა სიჭაბუკეში დაკარგული პოზიციის დაბრუნება და მსოფლიო ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი. ეს 2001 წლის ყველაზე დიდი სასიხარულო სენსაცია აღმოჩნდა.

როდესაც სენსაციაზე ვსაუბრობთ, უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მიერ მოპოვებული ევროპის ერთა თასი სულაც არ მიეკუთვნება ასეთთა კატეგორიას. ბუქარესტში ხომ ქართველებმა ელიტის მიღმა დარჩენილი სარაგბო ევროპის აღიარებული ლიდერი — რუმინეთი შინვე გაანადგურეს — 31:20.

„ბორჯღალოსნები“ დიდი ხნის მანძილზე ესწრაფოდნენ „დანარჩენ ევროპაში“ პირველობას და ეს მხოლოდ წელს მოახერხეს. გუნდურ სახეობაში საქართველოს ამხელა წარმატება არასდროს უზეიმია. ამიტომაც წლის საუკეთესო გუნდად სწორედ საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრები უნდა მივიჩნიოთ.

მორაგბეთა წიაღშივე გამოჩნდა საქართველოს წლის საუკეთესო მწვრთნელი. რა თქმა უნდა, გიორგი ასანიძის დამრიგებელ ვანო გრიქუროვს დამსახურებას ვერავინ დაუკარგავს. მის ხელში დაოსტატდნენ საბერძნეთს შეხიზნული კახი კახიაშვილი და წლევანდელი სპორტული სეზონის გმირიც, მაგრამ ამ შემთხვევაში მორაგბეთა წარმატება სხვა მხრივაც არის დასაფასებელი. ერთია სპორტსმენის მომზადება ინდივიდუალურ სახეობაში, მეორეა 15 ზრდასრული პიროვნების შეკრება, გაერთიანება და ერთსულოვნების დამკვიდრება. საქართველოში ამ ბარიერებს ემატება გამარჯვებულის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში შექმნილი პრობლემები. ფაქტია, რომ ეს ვერავინ მოახერხა ფრანგ კლოდ სორელამდე. „ბორჯღალოსანთა“ მწვრთნელი საქართველოში მომუშავე მწვრთნელებისგან განსხვავებით უდიდესი პედაგოგი აღმოჩნდა. მანაც მშვენივრად დაინახა ყბადაღებული ქართული მენტალიტეტის პრობლემა, მაგრამ ბიჭების ნაკლოვანი მხარეების შესწავლას მათი დადებითი თვისებების გამოყენება ამჯობინა და შედეგსაც მიაღწია. ფრანგი მეღვინე კლოდ სორელი ამის გამო 2001 წლის საუკეთესო მწვრთნელობას უდავოდ იმსახურებს. იგი ჩეხი ლიმბეკის, რუსების კაჩალინისა და იაკუშინის საქმის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა. მისი გამორჩეული საქმიანობა არც რაგბის საერთაშორისო კავშირს გამორჩა და წლის საუკეთესო მწვრთნელთა ოთხეულში დასახელდა. საფრანგეთის ელიტარული კლუბები რუმინელების ნაცვლად უკვე ქართველებს რომ იწვევენ, ეს უდიდესი პროგრესი და აღიარების მაჩვენებელია.


საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები

სათამაშო სახეობების საუკეთესო სპორტსმენი ლევან ცაბაძეა. ეს ახალგაზრდა ბავშვობაში ვიოლინოზე დაკვრას ეუფლებოდა, მაგრამ მიხვდა, მისგან პაგანინი-2 არ გამოვიდოდა და ამიტომაც შევიდა რაგბის სექციაში. ლირიკული „ლეონსიო“ ისეთი უდრეკი აღმოჩნდა, რომ ბუქარესტში მოწინააღმდეგისგან ხერხემალდაზიანებულმა თამაში მაინც გააგრძელა და ლელოც გაიტანა.

წლის ტრანსფერი ფეხბურთელ კახა კალაძეს უკავშირდება — კიევის „დინამოს“ არაოფიციალური საიტის ინფორმაციით, უკრაინელებმა იტალიის გრანდში პირველი ქართველი 14-15 მილიონი დოლარის საფასურად გაუშვეს. კალაძესთან ასოცირდება წლის სირცხვილიც — ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საქართველოში ცნობილ პიროვნებებსაც არ ეპუებიან და (ლევან კალაძის გატაცების მაგალითზე) ქვეყანას სამარცხვინო მდგომარეობაში აგდებენ.

ისევ და ისევ ფეხბურთს დაუკავშირდა ყველაფერი ცუდიც: წლის იმედგაცრუება ეროვნული ნაკრების ულიმღამო გამოსვლა გახდა და მსოფლიო ჩემპიონატიც კვლავ უჩვენოდ ჩაივლის. ყველაზე სკანდალური, მსაჯ კრიჭაშვილის მიერ ქრთამის აღების ფაქტი შეიქმნა. ტრაგედია კი უდავოდ მცხეთის მიდამოებში დავით ყიფიანის გარდაცვალებაა.

წლის სკანდალად შეიძლება ხიზანიშვილის „არსენალში“ ჩაშლილი ტრანსფერის დასახელება, ისევე როგორც ფეხბურთელთა ჯგუფის (ჯამარაული, იაშვილი, ცქიტიშვილი, დემეტრაძე) მიერ ნაკრების ყოფილ მწვრთნელებთან დაპირისპირება და „შინდისფერთა“ გუნდში თამაშზე უარის თქმა. სკანდალური იყო ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სულ ახლახან, 26 დეკემბერს ქვეყანაში ჩამოსავლელ ვიზაზე უარი განუცხადა რუსული სპორტის ლეგენდას, მოჭიდავე კარელინს. თუმცა, ეს უფრო პოლიტიკას უკავშირდება, ვიდრე სპორტს.

შესაძლოა, გულშემატკივართა მასებს მურმან გოგოლაძეზე წარმოდგენაც არ ჰქონდეთ, მაგრამ სპეციალისტებმა კი იციან, რომ ბავშვთა ფეხბურთის რუსთაველი მწვრთნელის გარდაცვალება წლის დანაკარგია: მურმან გოგოლაძემ ბოლო ათწლეულში საქართველოს ნაკრებს უამრავი ფეხბურთელი გაუზარდა — ცხადაძე, ჯამარაული, ლობჟანიძე, სილაგაძე, ტოგონიძე, კილასონიები. ასეთი სპეციალისტები ყოველდღე ნამდვილად არ იბადებიან მწვრთნელებით მწირ საქართველოში.

წლის საუკეთესო მამლუქობაზე ერთბაშად სამ სპორტსმენს და სამივე მოჭიდავეს წარმოგიდგენთ: „კანადელი“ სისაური და „რუსები“ — გოგშელიძე და მუსულბესი (იგივე ბუთხუზი). ბულგარეთში სამივემ მსოფლიო ჩემპიონობა იზეიმა.

საახალწლოდ ჩვენს წერილს შოთა არველაძის წლის ფრაზით დავასრულებთ: „მილუტინოვიჩმა მითხრა, საქართველოს ნაკრებთან დიდი სიამოვნებით ვიმუშავებო“. ჩვენს სპორტს დიდი პოტენციალი აქვს და დამდეგ 2002 წელს მის გამოვლენას და უდიდეს სიხარულს გისურვებთ.

*ლაშა დუმბაძე*

# „ბენდელას თასს“ „საბურთალო“ დაეუფლა

მეგობრობას შენახვა და მოფერება რომ სჭირდება, ეს ყველამ იცის, მაგრამ ამას ყველა ვერ ახერხებს. ზაზა ბენდელიანის მეგობრები კი მისი გარდაცვალების შემდეგაც არ ივიწყებენ ყოფილი ფეხბურთელის ხსოვნას და აგერ უკვე მეათე, საიუბილეო ტურნირიც ჩაატარეს მინი-ფეხბურთში „ბენდელას“ თასზე.

საქართველოში წლის მანძილზე უამრავი ტურნირი ტარდება, მაგრამ „ბენდელას“ თასი მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მიზეზი მარტივია — ტურნირზე უამრავი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს, რაც მაყურებლის თვალში ტურნირს პრესტიჟს მატებს.


ტურნირის გამარჯვებული — „საბურთალოს“ გუნდი

„ბენდელას“ თასს თან ყოველთვის ახლდა მოულოდნელობა, ინტრიგა. ამ მხრივ გამონაკლისი არც 28 დეკემბერს დასრულებული ტურნირი გახლდათ. ფავორიტად შარშანდელი ჩემპიონი „ნაძალადევი“ იყო მიჩნეული. გუნდის ამბიციებს საქართველოს ნაკრებში ნათამაშევი ფეხბურთელები აძლიერებდნენ: სილაგაძე, ხუჯაძე და დევაძე ნებისმიერ კლუბს დაამშვენებდნენ. მათი ლიდერი კი „ციურიხის“ ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული გახდა (სხვათა შორის, მალე ქართველი ფეხბურთელი შოტლანდიაში ქართველებით გაძეძგილ „დანდის“ უნდა შეუერთდეს, ხიზანიშვილს კი „გლაზგო რეინჯერსში“ იწვევენ).

ნაძალადეველთა სამწუხაროდ, ორი კვირის უვარჯიშებლობამ ჯამარაულს აშკარად დაატყო კვალი და გუნდს ბევრით ვერაფრით შეეშველა. მეტიც — მეოთხედფინალში გაცილებით უსახელო ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „შევარდენთან“, გუნდმა პენალტების სერია სწორედ ჯამარაულისა და სილაგაძის გამოუყენებელი პენალტების გამო დათმო.

ვერც რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედო“ ეღირსა გამარჯვებას. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ქუთაისური გუნდი ლოკომოტიველებით გაძლიერებულმა „საბურთალომ“ უპრობლემოდ გადათელა. „საბურთალოში“ გიორგი ანჩაბაძე ავსტრიული „შტურმის“ ქართველთან, დავით მუჯირთან ერთად თამაშობდა. მართალია „ტორპედომ“ 3:6 წააგო, მაგრამ საბურთალოელები მაინც დაამწუხრა ვალერი აბრამიძემ. მისთვის ჩვეულ, უხეშ ფეხბურთს კინაღამ მუჯირის ჯანმრთელობა შეეწირა. საბედნიეროდ აბრამიძის „იპონს“ „შტურმის“ ფორვარდის მხოლოდ მცირედი ტრავმა მოჰყვა.

მეტად საინტერესო გამოდგა ბრძოლა მესამე ადგილისთვის: „შევარდენი“ დავითაშვილის ბრწყინვალე თამაშის შედეგად „ტორპედოს“ პირველი ტაიმის შემდეგ 4:1 უგებდა, თუმცა ქუთათურებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც მეტად დაძაბულად წარიმართა. მსაჯმა რამდენჯერმე ყვითელი ბარათიც ამოიღო მეტოქეთა დასაშოშმინებლად. საქმე ბოლოს მაინც პენალტების სერიამდე მივიდა, სადაც უფრო წარმატებულნი „შევარდნები“ აღმოჩნდნენ და მესამე ადგილიც დამსახურებულად მოიპოვეს. სხვათა შორის, პენალტების სერიაში რაღაც გაუგებრობამ რევაზ ძოძუაშვილი მეტად გაამწარა. აი, ასეც ხდებოდა.

ფინალში საქართველოს ჩემპიონი მინი-ფეხბურთში „ბაასი“ „საბურთალოს“ დაუპირისპირდა. „ბაასმა“ ტურნირზე საგანგებოდ უკრაინაში მოთამაშე ალიკ სარქისიანი და რამდენიმე ადგილობრივი ფეხბურთელიც დაიმატა. თამაში საბურთალოელთა უპირატესობით წარიმართა და ანჩაბაძემ ანგარიშიც გახსნა, მუჯირმა გააორა — 2:0 და ცხადი გახდა, რომ „საბურთალო“ გამარჯვებას აღარ დათმობდა. ნიკა კბილაძის გოლმა „ბაასს“ იმედი დაუბრუნა, მაგრამ მუჯირმა და გოგობერიშვილმა მალე ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს. საბოლოოდ მათ 4:2 გაიმარჯვეს და საიუბილეო, მეათე ტურნირზე „ბენდელას“ თასს დაეუფლნენ.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი, მოოქროვილი კუ გადაეცა გიორგი ანჩაბაძეს, რომელმაც ტურნირი მართლაც დიდებულად ჩაატარა. საუკეთესო ბომბარდირი კი დათო მუჯირი გახდა.

„ბენდელას“ თასის ორგანიზატორები დიდი ხანია ტურნირისთვის საერთაშორისო ხასიათის მინიჭებაზე ფიქრობენ. მართალია ამჯერად არ მოხერხდა, მაგრამ მომავალი წლისთვის ეს სავსებით რეალურია. ყოველ შემთხვევაში, „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით მომავალ ტურნირს გვერდში მინი-ფეხბურთის ასოციაცია დაუდგება. სავარაუდოა იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, უკრაინის, რუსეთისა და ირანის გუნდების მოწვევა. ეს სიამოვნება 30 ათასი დოლარი ჯდება და არ არის გამორიცხული, ეს თანხები გამოიძებნოს — ტურნირის ორგანიზატორები იმედს არ კარგავენ, რომ მომავალი წლისთვის მაყურებელს წლევანდელზე მეტ სიამოვნებას მიანიჭებენ.

# ქართველთა წარმატება საფრანგეთში

თუ რომელიმე სპორტში სიტყვა გვეთქმის ქართველებს, ჭიდაობა მათ შორის პირველია, ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ გვჭირდება — საქართველოს 2001 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენიდან, 8 (!) მოჭიდავეა. მეტად სასიხარულოა, რომ ჩვენს მოჭიდავეებს წლეულს არც ვეტერანები ჩამორჩნენ და ამას წინათ საფრანგეთის ქალაქ ნიცაში დასრულებულ ვეტერან სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ისეთი შედეგი აჩვენეს, ყველა სპორტში ასე რომ მიგვდიოდეს საქმე, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.


ზის: უ. ყურაშვილი. დგანან მარცხნიდან: ო. ყურაშვილი, ა. ზურაბაული, ზ. სახვაძე

ნიცაში გამართულ ჩემპიონატზე 16 ქვეყნის 131 ვეტერანი გამოვიდა, საქართველო საფრანგეთში ექვსი სპორტსმენით წარდგა და ყველა მათგანმა თავი ისახელა. 74 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი ქართველი უშანგი ყურაშვილი გახდა, რომელმაც ოთხი მეტოქე დაამარცხა, ფინალში კი რუსეთის წარმომადგენელს — რემეზოვს სძლია. ბრინჯაოს მედალი მოიგო ბეჟან ბაგაშვილმა (82 კგ). უცხოტომელს არც ამ წონაში გაუმარჯვია — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ზაურ სახვაძემ ფინალში რუს ფედეტოვს მოუგო და წინა ოთხ ტიტულს მეხუთეც მიამატა. ყველაზე ეფექტური ჭიდაობისათვის იგი ორგანიზატორებმა სპეციალური პრიზებითაც დააჯილდოვეს. ზაურ სახვაძე აქტიურ სპორტსაც ემსახურება და ჩვენი ქვეყნის სამბისტთა ნაკრებს ავარჯიშებს. ახლახან მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც მიანიჭეს.

90 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაო გიორგი ჩიტაშვილმა მოიგო. 100 კგ წონით კატეგორიაში კი უძლიერესი იყო ანზორ ზურაბაული — მსოფლიო ჩემპიონობა მან მეოთხედ იზეიმა. მძიმეწონოსანთა შორის ბადალი არ ჰყავდა ოთარ ყურაშვილს, რომელმაც ყველა მეტოქე სუფთად დაამარცხა.

ამავე ქალაქში პირველად გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი საბრძოლო სამბოში. ქართველმა გიორგი ჩხაიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი მომავალ წელს ინგლისში გაიმართება. წარმატება მივულოცოთ ქართველ სამბისტებს და მომავალი გამარჯვებები ვუსურვოთ.

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დამატება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლb1-b7!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს ოთხ სვლაში.



# ვერ მიხვდა, რა დაემართა...



იშვიათად შეიძლება მოინახოს ისტორიაში ისეთი აღიარებული პიროვნება, როგორიცაა ალბერტ დიდი. კათოლიკურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა, სწავლულებმა — ცნობილ ფილოსოფოსად, ოკულტისტებმა — ჰერმეტული მეცნიერების იმ კორიფედ, რომელმაც ფილოსოფიური ქვის საიდუმლო ამოხსნა. ამიტომაც არის, რომ მისი ცხოვრება უფრო ლეგენდას ნაგავს.

ალბერტ ფონ ბოლშტატი 1193 წელს დაიბადა. იმდენად დიდი იყო მისი ლტოლვა ცოდნისადმი, რომ მხოლოდ ამას შესთხოვდა ღმერთს.

ერთხელ, მხურვალე ლოცვის შემდეგ, ალბერტს ღვთისმშობელი გამოეცხადა:

— მეცნიერების რომელ დარგში გსურს წარმატების მიღწევა? — ჰკითხა ღვთისმშობელმა.

— ცხადია, ფილოსოფიაში, ეს ხომ ყველა მეცნიერების მეფეა, — უპასუხა ყმაწვილმა.

ღვთისმშობელმა ნაღვლიანად დაუქნია თავი: „შეგისრულებ თხოვნას. დიდი ფილოსოფოსი გახდები, მაგრამ ვაი, რომ ფილოსოფია ირჩიე და არა თეოლოგია. თეოლოგია ხომ უპირველესია, რამეთუ არაფერია უფრო მშვენიერი, ვიდრე წვდომა ღვთის სიბრძნისა. უფლისადმი არასაკმარისი სიყვარულისა და რიდის გამო დაისჯები: სიკვდილის სარეცელზე ჩვილის გონებაზე მოექცევი კვლავ“.

მაშინ ალბერტმა ყურადღება არ მიაქცია ამ სიტყვებს, რადგან ყველაფერი შესანიშნავად აეწყო. ისწავლა იტალიაში, პარიზში ლექციებს კითხულობდა, მრავალი ცნობილი მოსწავლე ჰყავდა, ხუთი ალქიმიური ტრაქტატი დაწერა, ორი — მაგიაში, გაიგო ფილოსოფიური ქვის დამზადებისა და ჩვეულებრივი ლითონის ოქროდ ქცევის საიდუმლო. სასწაულების მოხდენაც შეეძლო.

ერთხელ ალბერტ დიდმა გადაწყვიტა, ნაკვეთი ეყიდა მონასტრის ასაგებად. ნაკვეთი ჰოლანდიის მეფეს ვილჰემ II-ს ეკუთვნოდა. მეფე უარზე იყო. მაშინ, მეფის კიოლნში მოგზაურობისას, ალბერტმა ვილჰელმს წვეულება გაუმართა. მეფემ მიწვევა მიიღო და ალბერტს დიდი ამალით ეწვია.

1249 წელს განსაკუთრებით ცივი ზამთარი იდგა. მდინარე რაინი ფსკერამდე გაიყინა. მეფე და მისი ამალა სახტად დარჩნენ, როცა ნახეს, რომ მაგიდები მონასტრის ეზოში, პირდაპირ თოვლში გაეწყოთ. ვილჰელმი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ალბერტის დაჟინებული თხოვნით დარჩა.

როგორც კი ხელმწიფე სუფრას მიუჯდა, ცა მოიწმინდა, ჩადგა ქარი, მზე გამოჩნდა. თვალსა და ხელს შუა გადნა თოვლი. ზოგიერთი თვითმხილველი იმასაც ირწმუნებოდა, ყვავილები ამოვიდა და ხეებზე კვირტები გაიშალაო. მომხდარი საოცრებით შეძრული მეფე მაშინვე დათანხმდა გარიგებაზე. როცა პურობა დამთავრდა, ზამთარი მობრუნდა, ყვავილები დაცვივდა, კვირტები გაიყინა.

ამ საოცრების შემდეგ აღსრულდა ღვთისმშობლის წინასწარმეტყველება: ერთხელ, ლექციის კითხვისას, ალბერტმა გონება დაკარგა და უგონოდ გარდაიცვალა 80 წლის ასაკში...

მაინც გულმოწყალე იყო ალბერტისადმი უზენაესი: იგი ისე გარდაიცვალა, ვერ მიხვდა, რა დაემართა.

*ნლო №1*

## „უიღბლო“ თვითმკვლელები



აშშ-ის მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ნაშრომი, რომლითაც ამტკიცებენ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად მომატებული მზის აქტივობა თავის ტვინის ქერქზე და ადამიანის ორგანიზმზე ნეგატიურად მოქმედებს. ისინი ამბობენ, რომ დედამიწის მოსახლეობას უსაფუძვლო შიში ეუფლება, ის ღიზიანდება და უძილობას უჩივის. ამავე დროს ხდება მოსახლეობის ფსიქიკური დეფორმაცია, ამის შედეგად კი მატულობს სუიციდების რაოდენობა. ადამიანები თავს იწამლავენ, ვენებს იჭრიან, წყალში ხტებიან, მაგრამ თურმე, ცელიანი დედაბერი ყველას როდი ელოდება — ზოგს ის თვითონვე სიკვდილივით გაურბის...

სემიპალატინსკელმა ნურალი ხამზაევმა რამდენიმეჯერ სცადა, მატარებელს ბორბლებში ჩავარდნოდა, მაგრამ არც ერთხელ არ გაუმართლა — ერთხელ მემანქანემ დამუხრუჭება მოასწრო, მეორედ ფეხი აუცდა და რელსებიდან გადავარდა, მესამედ კი, საერთოდ საოცრება მოხდა — ის როგორღაც რელსებს შუა აღმოჩნდა, თავზე მატარებლის შემადგენლობამ გადაუგრიალა, რის შემდეგაც უიღბლო ნურალი შინისკენ გაემართა.

უბედური სიყვარულის გამო თავის მოკვლა გადაწყვიტა 25 თავის ნატაშამ, მეგობარ ექთანს გაანდო გადაწყვეტილება და საწამლავი სთხოვა. მეგობარმა მას ხათრი ვერ გაუტეხა, მაგრამ საწამლავის ნაცვლად ჩვეულებრივი კუჭის ასაშლელი აბები მისცა. ნატაშამ თითქმის მთელი ყუთი გადაყლაპა, გამოსამშვიდობებელი ბარათი დაწერა, დივანზე დაწვა და სიკვდილის მოსვლას დაელოდა, მაგრამ მშვიდად დაწოლა ვინ აცალა. საბრალო ნამდაუწუმ ტუალეტში გარბოდა. ნატაშამ საშინელი სისუსტე იგრძნო და იფიქრა, ვკვდებიო. შეიძლება მართლაც მომკვდარიყო, რომ არა ისევ მისი ერთგული მეგობარი, რომელმაც მილიცია და სასწრაფო გამოიძახა, რომ ნატაშა ორგანიზმიდან სითხის დაცლით არ გარდაცვლილიყო.

იტალიელმა უმუშევარმა რომულომ თავის მოკვლა გადაწყვიტა, სამზარეულოში განმარტოვდა და ხელში დატენილი თოფი დაიკავა. უბედური ცოლი მთელი საათი სასოწარკვეთილი ევედრებოდა ქმარს, თოფი გადააგდეო. მისმა მუდარამ გაჭრა, რომულომ, როგორც იქნა, პირობა დადო, თავს არასოდეს მოვიკლავო და თოფი მოისროლა. საუბედუროდ, თოფი გავარდა და... ცოლი მოკლა.

სტატისტიკის მიხედვით, საკმაოდ ხშირია უიღბლო თვითმკვლელობის შემთხვევები, ამიტომ 71 წლის კოლუმბიელმა ავგუსტო სომერსმა თვითმკვლელობის რამდენიმე ვარიანტი აირჩია. იგი სააბაზანოში დაიმალა, რამდენიმე საძინებელი აბი გადაყლაპა და იოდის ხსნარი დააყოლა. ყელში სამართებელი გამოისვა, თავში ჯერ ჩაქუჩი, შემდეგ კი ნაჯახი ჩაირტყა. არც ამას დასჯერდა და ყელზე ჰალსტუხი წაიჭირა. ძლივს გამოფოფხდა სააბაზანოდან, რომ ჰალსტუხით თავი ჩამოეხრჩო. საბედნიეროდ, მისმა დებმა შეამჩნიეს სისხლიანი კვალი და ავგუსტო გადაარჩინეს.

როგორც იტყვიან, ბედს ვერ გაექცევი.

*სობესედნიკი №47*

ჩვენ გვწერენ

## უცხოპლანეტელები თუ....



ჩემს მეზობელ იას შუაღამისას უეცრად გაეღვიძა. ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებდა. თვალების ფშვნეტით წამოდგა — უნდოდა, გარეთ გაეხედა. მეზობლად, მშენებარე სახლის თავზე, მოელვარე ფერადი ბურთი თამაშობდა — ხან მაღლა ავიდოდა ნარნარად, ხან დაბლა დაეშვებოდა.

უნებლიეთ თვალი მოჰკრა ფანჯრის რაფაზე ჩამომსხდარ ჯუჯებს. პატარა, მომწვანო კაცუნებს, რომლებიც უწამწამო თვალებს აბრიალებდნენ, უცნაური ვერცხლისფერი სამოსი ეცვათ, თავზე ლოკოკინას რქებივით ერხეოდათ ანტენები.

— ხომ არ წამოხვალ ჩვენთან? — ჰკითხა ერთმა. იამ მხრები აიჩეჩა, არ იცოდა, რა ეპასუხა. მერე იგრძნო, მახლობელ მინდორში ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

— დიდი უცნაური ხალხი ხართ ქართველები, — გაიგონა იამ ჯუჯის ნათქვამი. ხმა, რომელიც გონებაში აღწევდა, თითქოს შორიდან მოდიოდა და გიტარასავით ჟღარუნობდა, — რაც გჭირთ, თქვენი თავით გჭირთ. საქართველო, ხომ ხედავ, ევროპისა და აზიის გზასაყარზეა, ორბუნებოვანია ქვეყანაც და ხალხიც. თავისუფლება გინდათ და არც გინდათ. თავის გამოჩენა გიყვართ, ოღონდ უცხომ გითხრათ, — რა კაი ბიჭი ხარ, ყოჩაღ, შენო და ღვიძლ ძმასაც არ დაინდობთ. თქვენიანის აღზევებას, ღირსიც რომ იყოს, ვერ იტანთ... თუ ვინმე მდიდარი გამოგერიათ, საქველმოქმედოდ ისევ ცნობილისა და მდიდრისთვის გამოიღებს ხელს, თორემ გაჭირვებულ და მშიერ-ტიტველს კი არ დაეხმარება!..

ია აღშფოთდა, — ასე ცუდები რატომ გგონივართ, ეტყობა, არ გვიცნობთო.

— ჩვენ ყველას ვიცნობთ, — ჩაესმა ისევ ხმა, — აბა, დაფიქრდი, ციხესიმაგრისა და ტაძრების მეტი რომ აღარაფერი შემოგრჩათ, რატომ?.. ერთი დიდი მეფე გყავდათ, დავითი და იმასაც მტრობდით. მაგარი იყო, მაგარი ქვეყანაც ააშენა... ხომ ხედავ, ამდენი ხანია ანგრევთ და ვერაფერი მოუხერხეთ. ისე, თუ ასე გააგრძელებთ, მალე ხელში აღარაფერი შეგრჩებათ... მარტოკაცი, ქერის ორმოშიც რომ ჩასვა, მაინც საცოდავია და მოწყვეტილი ყვავილივით კვირტს არ გამოისხამს. უცხოეთში რომ აპირებთ გადასახლებას ბევრი თქვენგანი, გაქრებით და გაილესებით სხვებში. ნუთუ არ იცით, რომ პიროვნება, ადამიანი, თავის მიწა-წყალსა და ხალხზეა გამობმული, ამიტომ მისგან დამოუკიდებლად ვერ გაიხარებს?

ია შემცბარი და ილაჯგამოცლილი უგდებდა ყურს ჯუჯებს.

— ისე, თუ გინდათ, გადარჩეთ, ერთმანეთის მოტყუებას დაანებეთ თავი და ამ მიწაზე იფიქრეთ. ბევრი იფიქრეთ და სიკეთე აკეთეთ...

ამის თქმა იყო და, ია ისევ თავის საწოლზე აღმოჩნდა. შიში მერე მოერია და თვალზე რული აღარც მოჰკიდებია. როგორც კი ინათა, მაშინვე ჩემთან გამოვარდა და აღელვებულმა ყველაფერი ჩამიჟიკჟიკა. ნამდვილად ბოროტი უცხოპლანეტელები იყვნენო, დასძინა და შემეხვეწა, — შენი ჭირიმე, გიჟი არ გეგონოო. უნივერსიტეტში მიმავლებს მეზობელი წამოგვეწია და სასხვათაშორისოდ გვითხრა, — წუხელ ძილი გამიტყდა, მთელი უბანი უცნაურად გაკაშკაშებული იყო და მეჩვენებოდა, პაწაწინა კაცუნები დახტოდნენ ირგვლივო.

ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და კრინტი არ დაგვიძრავს...

*ნანა ცქიმანაური*

## გოლიათებში და ქონდრისკაცებში



გოლიათების ნამდვილი სიმაღლის დადგენა ძნელია. საქმე ის არის, რომ დევკაცთა უმეტესობა ცირკში და გასართობ მოედნებზე გამოდიოდა და ამიტომ მათი პატრონები საგანგებოდ ბუქავდნენ ხოლმე არენის ოსტატთა სიგრძე-სიგანეს.

### ყველაზე მაღლები

რეგისტრირებულია, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი არის ამერიკელი რობერტ პერშინგ უოდლოუ. ის 1918 წელს დაიბადა. დაბადებისას იწონიდა 3,85 კგ-ს. ორი წლის ასაკში, თიაქრის ოპერაციის შემდეგ, ბავშვმა თვალის დახამხამებაში დაიწყო ზრდა. 13 წლისა 2.18 სმ იყო, 17 წლის — 2.55 სმ, 22 წლის ასაკში კი მისმა სიმაღლემ 2.72 მ-ს მიაღწია.

ქალთა შორის ყველაზე მაღლად ჩინელი ძენ ჩეინლანი ითვლება. იგი 1964 წელს დაიბადა, გარდაიცვალა 1982 წელს, მაშინ მისი სიმაღლე 247 სმ იყო.

### ქონდრისკაცები

ყველაზე პატარა ლილიპუტად ცნობილია ჰოლანდიელი პოლინა მასტურსი. იგი დაიბადა 1876 წელს. მისი სიმაღლე იყო 59 სმ, ხოლო წონა — 4 კგ.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქონდრისკაცი გოლიათად ქცეულა. ავსტრიელი ადამ რაინერი 21 წლის ასაკში, სულ რაღაც 111 სმ იყო, მერე ზრდა დაიწყო და ათ წელიწადში 2.34 მ-ს მიაღწია.

ადამიანის სიმაღლე მის ეროვნებაზეც არის დამოკიდებული. ტრადიციულად, მაღალ რასად ითვლებიან ნორვეგიელები და ფინელები, ხოლო იაპონელები და ვიეტნამელები — დაბლებად. ჩრდილოეთ ჩინელები ძალიან მაღლები არიან, სამხრეთელები კი, ვიეტნამელებივით პატარები.

ყველაზე მოსული მამაკაცები გვხვდებიან ცენტრალურ აფრიკაში. ტუტსის ტომის წარმომადგენლების საშუალო სიმაღლე 183 სმ-ია, მაგრამ უმეტესობა მაინც 2 მ-ს არ აღემატება.

ყველაზე ტანჩიებად აღიარებული არიან ზაირელი პიგმეები — მბუტები. მამაკაცთა საშუალო სიმაღლე 132 სმ-ია.

*ვოტ ტაკ!*

## ჯო - კამელეონი



ჯო ლულოტი მალის პატარა ქალაქში ცხოვრობს. თანამოქალაქეები მას ჯადოქრად მიიჩნევენ და ეტყობა, არ ტყუიან: უამრავი მაყურებლის თვალწინ ჯოს შეუძლია წამში ცისარტყელასავით აჭრელდეს. სვამს რაღაც უცნობ სითხეს, რომელსაც მუდამ თან ატარებს მათარით და ქვაბის ძირივით შავი კაცი ჯერ სკანდინავიელივით ოქროსფერვარდისფერი გახდება, მერე ჩინელივით ყვითელი, ამის შემდეგ ინდიელის მსგავსად წითელკანიანი, ბოლოს, მწვანე და ლურჯი. ნახევარი საათის შემდეგ ჭის წყალს მოსვამს და კვლავ ზანგი ხდება.

ჯო ამბობს, ამ ჯადოსნური სითხის დამზადება წინაპართა სულებმა მასწავლეს და მისი გამხელის ნება არა მაქვსო.

ასეა თუ ისე, ალაგ წითელ, ალაგ ყვითელი ჯო ამ გაუგონარი ნიჭით პურის ფულს შოულობს.

*კალეიდოსკოპი №3*

## კალენდარი კოსმოსური რიტმების მიხედვით

(1 — 7 იანვარი)



**1-2/I, ლომი** — ოთახის ყვავილებსა და დეკორატიულ მცენარეებზე ნიადაგის გაფხვიერება. მიულებელია სათბურში ნიადაგის რწყვა და განოყიერება. აუცილებელია ბინის განიავება დილით და საღამოს. ნუ გადატვირთავთ გულს და თავის არეს. დედამიწის მთვარის ორბიტასთან მიახლოების გამო, გამორიცხული არ არის კუჭნაწლავის ტრაქტის, თირკმლებისა და შარდის ბუშტის გაღიზიანება. ალკოჰოლის მიღება შეამცირეთ მინიმუმამდე. საახალწლო დღეების შემდეგ ეცადეთ აღიდგინოთ ენერგია — მიიღეთ სამკურნალო ჩაი, თაფლი, ფრინველის ხორცი და მწვანილეულობა — მოერიდეთ თამბაქოს.

**3-4/I, ქალწული** — ოთახის ყვავილების გადარგვა, ნიადაგის დამუშავება, განოყიერება, ხეხილის რგვა, ბოძების დასობა, გამაგრება. მოერიდეთ გაცივებას. ამ დღეებში ვრცელდება წინა დღეების კოსმოსური გავლენა ადამიანის ორგანოებზე, ვინაიდან მაღალია მაგნიტური და მზის აქტიურობა. საკვებად უნდა მიირთვათ წიწიბურა, შვრია, რძის ნაწარმი, კვერცხი, თხილი.

**5-6/I, სასწორი** — დეკორატიული მცენარეებისა და ოთახის ყვავილების მოვლა, სამკურნალო მცენარეების თესვა, რგვა, ოთახის განიავება, სარეცხის რეცხვა, საკუჭნაოსა და სარდაფის დალაგება, დასუფთავება. გაუფრთხილდით თირკმლებს, შარდის ბუშტს, სასუნთქ ორგანოებს, კუჭ-ნაწლავს, დილით აუცილებელია გასეირნება სუფთა ჰაერზე ან მსუბუქი ვარჯიშების ჩატარება.

## „საზალლო-სალალო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**
სიხარული და ბედნიერება დაგვბედებოდეს!

II. მეკვლე

# როგორ შეიქმნა რეზინის საბურავი

მას შემდეგ, რაც 1735 წელს პერუში მყოფმა ფრანგულმა ექსპედიციამ კაუჩუკის ხე აღმოაჩინა, ნოვატორები გამოგონების ახალმა ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ყველა ცდილობდა, ხის ელასტიკური ფისი ნებისმიერი ხერხით ნებისმიერ საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო სფეროში გამოეყენებინა — მისი საშუალებით შლიდნენ ჩანაწერებს ფურცელზე, აზავებდნენ ათა-



სნაირ ნივთიერებასთან — ბამბით დაწყებული და სკიპიდრით დამთავრებული, რათა ტანსაცმლის თუ ფეხსაცმლის შესაკერ მატერიად ექციათ. მაგრამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვერავინ შეძლო კაუჩუკის მასალისთვის სიმტკიცე და გამძლეობა მიენიჭებინა, ამიტომაც მისგან შექმნილი პროდუქცია უმოკლეს ხანში გამოუსადეგარი ხდებოდა. კაუჩუკზე თანდათან ხელი ჩაიქნიეს, ენთუზიაზმი ჩაკვდა და სამხრეთამერიკული აღმოჩენაც დავიწყებას მიეცა. თუმცა, მსოფლიოში მაინც რჩებოდა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც, მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, კაუჩუკისადმი რწმენა მაინც არ დაუკარგავს. ჩარლზ გუდიარი არც ქიმიკოსი გახლდათ და არც მეცნიერებასთან ჰქონდა რაიმე შეხება. მაგრამ ჰქონდა გამოგონებისთვის აუცილებელი თვისება — სიჯიუტე და მანიაკალური რწმენა იმისა, რომ მის გამოგონებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ექნებოდა. ამ „ზოგადსაკაცობრიო" გამოგონების სრულყოფისთვის გუდიარი ნები-

სმიერ საშუალებს იყენებდა — ქიმიურ, ტექნიკურ ნივთიერებებზე არაფერს ვამბობთ, გადამდნარ კაუჩუკს შაქრით, მარილით, პილპილით, ზეთით და ლამის წვნიანითაც კი აზავებდა. ერთ მშვენიერ დღეს მან კაუჩუკს მცირედი მაგნეზია შეურია და შედეგად ტყავივით მტკიცე და ელასტიკური, თანაც წყალგაუმტარი მასალა მიიღო.

ორიოდე დღეში აღტაცებულ გუდიარს „მიწაზე" მოუხდა დაბრუნება, რადგან საჩვენებელ ადგილას გამოფენილ კაუჩუკის მასალას სრულიად შემთხვევით რომელიღაცა მჟავის წვეთი დაეცა — ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მტკიცე და ელასტიკური კაუჩუკი — გუდიარის ზოგადსაკაცობრიო გამოგონება დამდნარიყო და რეზინის უსახურ მასად ქცეულიყო. მაგრამ თვითნასწავლი გამომგონე-



ბელი ბედს ასე იოლად არ ნებდებოდა. მან ცდების ჩატარება განაახლა — და ამჯერად სამეფო არაყი გამოიყენა. მჟავასთან არეული მისი რამდენიმე წვეთი გადამდნარ კაუჩუკს გაშრობის შემდეგ სიმტკიცესაც აძლევდა და მჟავის მოხვედრის შემთხვევაშიც აღარ დნებოდა.

გუდიარმა დიდი ხნის ნანატრი პატენტი მიიღო და ის-ის იყო, წარმოების გაშლას აპირებდა, რომ მას კიდევ ერთხელ გაუცრუვდა იმედი. ამერიკაში მძაფრი ეკონომიკური კრიზისის დაწყებამ უდიდესი საწარმოების გაკოტრება გამოიწვია — გასაგებია, რომ გუდიარის გამოგონებისთვის არავის ეცალა. მაგრამ ამ უკანასკნელს ხელი მაინც არ ჩაუქნევია — მოგვიანებით გუდიარი როკსბერში გადადის და გალატაკებული რეზინის ფაბრიკის მფლობელს კაუჩუკის ერთობლივი წარმოების გახსნას სთავაზობს. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო. პარტნიორებმა სახელმწიფო დაკვეთაც კი მიიღეს — აშშ-ის საფოსტო უწყებამ მათ რეზინის ჩანთები დაუკვეთა, ვინაიდან მასალა წყალგამძლე და მსუბუქი იყო. სულ რაღაც ორ-სამ თვეში ჩამოცხა და გუდიარი კიდევ ერთხელ გაწბილდა — მაღალ ტემპერატურაზე ფოსტალიონებს ჩანთები ეწელებოდათ, ან სულაც მხარზე ადნებოდათ. სახელმწიფო დაკვეთა გაუქმებულ იქნა და პარტნიორებს საჯარიმო სანქციებიც დაადეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი — გუდიარისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია ის გახლდათ, რომ შეერთებული შტატების მეწარმე ბიზნესმენთა შორის ნდობა დაკარგა და შარლატანის სახელი გაუვარდა.

ეს კი თავმოყვარე და ახირებული გამომგონებლისთვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო. მისი ოჯახი იმ დონეზე გალატაკდა, რომ არამცთუ საცხოვრებლის, საჭმლის ფულიც კი აღარ ჰქონდათ და საცხოვრებლად ნათესავთან, ფერმაში გადავიდნენ, რათა სამადლოდ ერჩინათ თავი. ჩარლზ გუდიარმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. დილიდან საღამომდე სახლში, ღუმელთან იჯდა და თავისი სიჯიუტით დაქცეულ ცხოვრებაზე ფიქრობდა... მაგრამ ბედმაც სწორედ ამ დროს გაუღიმა — ერთ მშვენიერ დღეს მან შეამჩნია, თუ როგორ გამოიწვა და დანახშირდა შემთხვევით, ღუმელთან მიგდებული მისი ნაწარმი




კაუჩუკის ნარჩენი. მცირე ხანში დანახშირებული ადგილის გარშემო მასალამ მკვრივი სახე მიიღო და ტყავს დაემსგავსა. კაუჩუკს ცეცხლზე მანამდეც ადნობდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, დაბალ სიმხურვალეზე, დოზირებული „გამოწრთობა" იყო საჭირო. შედეგად გამოყვანილი მასალა სიცხესა და სიცივეშიც ერთნაირ გამძლეობას ინარჩუნებდა. გამოგონება ელვისებურად გავრცელდა არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც. უზარმაზარ ქარხნებში 500-მდე სახის ნაწარმი მზადდებოდა. თუმცა, 1898 წელს, როდესაც ძლევამოსილი ფირმა Goodyear Tyre and Rubber-ი შეიქმნა, ჩარლზ გუდიარი უკვე გარდაცვლილი იყო. რაც შეეხება საბურავის დასამზადებლად კაუჩუკის გამოყენებას, ამაში წვლილი ევროპელ ავტომოყვარულს, ენდრიუ მიშელინის მიუძღვის. მაგრამ ფაქტია, რომ არა გუდიარის გამოგონება, მიშელინი ვერას გახდებოდა და მისი ავტომობილი კვლავინდებურად ხის ან მეტალის ბორბლებით იმოძრავებდა. მიშელინის ნოვაცია ფირმა „გუდიარმა" კიდევ უფრო განავრცო და განავითარა. საბურავზე მუშაობას იმავდროულად მიშელინის მიერ დაარსებული საწარმოც განაგრძობდა — კონკურენციის შედეგი კი სახეზეა — საბურავი დღევანდელი სახით.

## Mini წლის საუკეთესო ავტომობილად დასახელდა



გავლენიანი ამერიკული და ევროპული ავტოჟურნალების გამოკითხვაზე დაყრდნობით, გასულ დღეებში სპეციალურმა ჟიურიმ, რომელშიც რამდენიმე საავტომობილო ფირმისა და ალტერნატიული ავტოტესტის ექსპერტები შედიოდნენ, წლის საუკეთესო მოდელები დაასახელა. წლის საუკეთესო ავტომობილად BMW-ს მიერ განახლებული, „როვერის" ფირმის „მინი კუპერი" აირჩიეს. მეორე ადგილზე „იაგუარი X type" გავიდა, ხოლო მესამეზე „პეჟო 307". საინტერესოა, რომ სამივე ავტომობილი ევროპული კონკურსის — „2002 წლის ავტომობილი" ფინალისტი იყო, თუმცა აღნიშნულ კონკურსზე „მინი" მეოთხე ადგილზე გავიდა, ხოლო „იაგუარი" კი სულაც მეშვიდეზე (ფინალში სულ 7 ავტომობილი იყო).

## შეზითებულ მძღოლებს ახალ წელს დაღუპულ მძღოლებს უფასოდ დაკრძალავენ?

ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურვილი გამოთქვა ვისკონსინში მდებარე დამკრძალავი ბიუროს მფლობელმა, დუგ სიფილდმა. მისი განცხადებით, უფასოდ დაიკრძალება ყველა, ვინც ახალი წლის ღამეს მთვრალი მიუჯდება საკუთარი ავტომანქანის საჭეს და შედეგად ავტოკატასტროფაში მოყვება. უფასო დაკრძალვა კატასტროფაში მოყოლილ მძღოლებს მაშინაც შეეხებათ, თუ მიღებული ტრავმების შედეგად 30 იანვრამდე გარდაიცვლებიან. ეს ერთი შეხედვით მზაკვრული და თავხედური სარეკლამო კამპანია სინამდვილეში ავტომანქანის მთვრალ მდგომარეობაში მართვის წინააღმდეგ მიმართული აქციაა. საქმე ის გახლავთ, რომ უფასოდ დაკრძალვის მსურველმა წინასწარ უნდა შეავსოს სპეციალური ფორმა, სადაც განაცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს ახალი წლის ღამეს უგონოდ დათვრეს და საჭეს მიუჯდეს, რის შემდეგაც ავტოკატასტროფას და სიკვდილს არ გამორიცხავს. ამის შემდეგ მოდის თხოვნა სიფილდის ფირმისადმი, რომ მან თავის თავზე აიღოს დაკრძალვის ხარჯები, რაც მთლიანობაში 4.500 დოლარს შეადგენს.



*გვერდი მოამზადა*
*დაჩი გრძელიშვილმა*

## RENAULT-ს, LAND ROVER-ს და MGF-ს უკან იწვევენ...

ერთდროულად სამმა დიდმა ავტოკომპანიამ განაცხადა თავისი ახალი მოდელების უკან გაწვევის შესახებ. ფრანგული „რენო" უკან ძალზე გახმაურებულ და პოპულარულ „ლაგუნას" იწვევს. უფრო სწორად, იმ მოდელებს, რომლებიც სექტემბრიდან დეკემბრამდე პერიოდში იქნა დამზადებული. დეფექტი არცთუ დიდია, მაგრამ შეიძლება სავალალო შედეგებიც მოჰყვეს — საუბარია აქსელერატორის სატერფულზე (ე.წ. „გაზის პედალი"), რომელიც, როგორც გაირკვა, აღნიშნულ პერიოდში გამოშვებულ მოდელებს რეზინის საფენში („კოვრიკში") ეჭედებათ. „რენო" „ლაგუნას" ყველა მფლობელს ურჩევს, მის საწარმოში ან პროფილაქტორიუმებში შეიარონ, სადაც დეფექტი ფირმის ხარჯებით იქნება აღმოფხვრილი. მათ კი, ვისაც ეს არ შეუძლია (მაგალითად, ქართველ მფლობელებს), ვურჩევთ, რეზინის საფენი დროებით სულაც ამოიღონ სალონიდან.

„რენოს" პარალელურად, უკან გაწვევას ექვემდებარება „ლენდ როვერის" გახმაურებული მოდელის, Freelander-ის 68 ათასი ყველგანმავალი, რომლებიც 2001 წლის მარტშია გამოშვებული — დეფექტი სამუხრუჭე სისტემაშია აღმოჩენილი. ხოლო MGF-ის 7000 როდსტერს პრობლემა უსაფრთხოების ღვედების გამო ექმნება.

## სახალხო «იაგუარი»?!

კორპორაცია „ფორდმა" „იაგუარის" წარმოების შესყიდვისთანავე განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა, ერთ დროს ელიტური ლიმუზინი სახალხო ავტომობილად ექცია და ასე გადაერჩინა იგი გაკოტრებისაგან. როგორც ჩანს, „ფორდმა" დანაპირები აასრულა. საშუალო კლასის „იაგუარი" დაახლოებით 27 ათასი დოლარი ეღირება. მას თითქმის ყველა ის სიკეთე აქვს, რითაც მის წინაპრებს მოჰქონდათ თავი — გარდა ნატურალური ტყავით და ძვირფასი ხით გაწყობილი სალონისა. სამაგიეროდ, ახალი მოდელი უხვად იქნება აღჭურვილი ელექტრონული ტექნოლოგიებით, შედარებით ეკონომიური ძრავით (2,0 ლ.) და, რაც მთავარია, სრული გაწევა ექნება. აღნიშნული პარამეტრების, ფასის და სახელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „მერსედესს" და BMW-ს ნამდვილად სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდებათ.



## გაუნათლებელი მინისტრების წინააღმდეგ

ინგლისში, ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტებმა გადაწყვიტეს გალაშქრება უწიგნურობის წინააღმდეგ. ისინი საგულდაგულოდ აგროვებენ ხელისუფლების წარმომადგენელთა გრამატიკული და მათემატიკური შეცდომების ნიმუშებს. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი გაუთავებლად უშვებს შეცდომას სიტყვა „ხვალ"-ის დაწერისას. კვიმატ რეპორტიორებს სულაც არ აკმაყოფილებთ ბლერის კანცელარიის განმარტება — მთავრობის მეთაურს ცუდი ხელწერა აქვსო და... ტელევიზიის ყველა არხისა და გაზეთების ფურცლები აჭრელდა ბლერის „მცდარი ხელწერით". ბი-ბი-სი-ის კორესპონდენტი ტონის სკოლის მასწავლებელსაც კი ენვია, 30 წლის წინ რომ ასწავლიდა გრამატიკას. მას ყოველთვის უჭირდა სიტყვა „ხვალ"-ის დაწერა, — იგონებს იანა რობერთსონი.

1998 წელს განათლების მინისტრმა დევიდ ბლანკეტმა კი დიდხანს იფიქრა კითხვაზე, რამდენია 8X9. ჯერ სამოციო — თქვა, მერე 72-ად გადააკეთა.

*ეხო პლანეტი* №50-51

## ვინ კრეჭს ჯორჯ ბუშს?



ვინ და, როგორც გაირკვა, ავღანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის აბდულ-ზაჰირის ქალიშვილი, რომელსაც ცნობილი სასტუმრო „უოთერქეითში" საკუთარი სალონი-საპარიკმახერო აქვს.

„პოლიტიკა და ვარცხნილობა არაფერ კავშირშია", — თვლის აშშ-ის პრეზიდენტი. 11 სექტემბრის და ავღანეთში „ოპერაცია შურისძიების" დაწყების შემდეგ, ქ-ნ ზაჰირა ზაჰირის სალონმა ბევრი მაღალჩინოსანი კლიენტი დაკარგა, მაგრამ ბუში მისი ერთგული დარჩა — მით უმეტეს, რომ იქ მომსახურების ფასი დიდი ხანია უცვლელია — 30 დოლარი.

ზაჰირა ქაბულში დაიბადა, მაგრამ დიდი ხანია აშშ-ის მოქალაქეა. იგი ძალიან კმაყოფილია პრეზიდენტი-კლიენტით. ამბობს, — უპრეტენზიო და მშვიდიაო. ბუში საერთოდ სადალაქოში ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ ახლა ხშირად ეკითხება, როგორ არის შენი საწყალი და ყველასაგან მივიწყებული ქვეყანაო. ზაჰირას მამა 30 წლის წინ მეთაურობდა ავღანეთის სამეფო მთავრობას, ამიტომ ქალბატონი ახლა მხარს უჭერს ავღანეთის ექსმონარქს ზაჰირ-შაჰს. განდევნილი მეფე ოდესღაც მის ქორწილშიც კი იყო მიწვეული.

*ეხო პლანეტი* №50-51

## კანცლერ შრედერის ძმამ სამუშაო იშოვა



54 წლის ლოთარ ვოსელერი გფრ-ის კანცლერის გერჰარდ შრედერის უმცროსი ძმა — ნახევარი წელია უმუშევარია და სახელმწიფო დახმარების იმედად იყო. დახმარება კი მხოლოდ 2100 მარკა (1000 დოლარი) გახლდათ. წარმოიდგინეთ საწყალი, გაჭირვებაში ჩავარდნილი. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, მიწვევა მიიღო ესპანური მაიორკიდან — ტურისტულ წყალქვეშა ნავზე გიდად მუშაობა შესთავაზეს.

ლოთარი და გერჰარდი დედით არიან ძმები. მიზანსწრაფული გერჰარდი ოჯახის ნებიერი იყო, ყველანი ხელს უწყობდნენ, რომ იურიდიული ფაკულტეტი დაემთავრებინა. ლოთარმა უფროს ძმას 300-მარკიანი კოსტიუმიც კი აჩუქა. თვითონ კი მხოლოდ ხელოსნობის კურსები აქვს გავლილი. მის შრომის წიგნაკში რა არ წერია: მძღოლი, პროგრამისტი, პორტის მუშა. უმეტეს დროს უმუშევარი იყო. ერთხელ ჩინოსანმა ძმამ სამუშაო უშოვა სხვა ფედერალურ მიწაზე, ლოთარმა კი უარი თქვა. ისე, ძმები მაინცდამაინც ხშირად არ ხვდებიან ერთმანეთს: რა ქნას, დრო არა აქვს, ის ხომ მთელი ქვეყნის პატრონია, — ნამუსს სწმენდს უმცროსი ძმა.

*შტერნი* №1

## ინგლისში ზღარბები გალოთდნენ



ბრიტანეთის მწვანე საფარს მუსრს ავლებს მავნე ლოკოკინა. ბევრი ებრძოლეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ მცოცავ არსებებს იოლად უმკლავდება ზღარბი. განიზრახეს, ერთ-ერთ დიდ ნაკრძალში ლოკოკინების მოსასპობად გაეშვათ ათასი წყვილი ეკლიანი ცოცხალი ბურთი, მაგრამ მათი სქესის დადგენა გაჭირდა. მიაკითხეს ზოოლოგებს. ცხოველთა სპეციალისტებმა მხრები აიჩეჩეს: ერთადერთი არსება, ვინც შეუმცდარად ცნობს დედალ ზღარბს, მამალი გახლავთო!

დედალ-მამლის გარჩევაზე ხელი ჩაიქნიეს და ახლა მათი ნაკრძალში მიტყუება გახდა თავსატეხი. ერთმა მონადირემ ურჩია მეცნიერებს — გამოცდილებით ვიცი, ზღარბებს ლუდი ძალიან მოსწონთ და თუ ნაკრძალში ალაგ-ალაგ დაუდგამთ, აქედან ფეხს არ მოიცვლიანო. გარისკეს და ასეც მოხდა.

ზღარბები, დიდიან-პატარიანად მოედვნენ ტყეს და მუსრს ავლებენ ნუგბარ ლოკოკინებს. სხვათა შორის, არც ქვეწარმავლებს აკლებენ ხელს. მართლაც სასეირო საყურებელია ამ ეკლიანი, ვარდისფერცხვირიანი გორგლისა და უხსენებლის ორთაბრძოლა, თუკი სადმე მძინარეს წააწყდა, იმდენს ურბენს ირგვლივ, რომ გააღვიძებს და მერე შეერკინება. მცურავი ცდილობს, დაუცველ მუცელსა და ფეხებზე ეძგეროს ზღარბს. ის კი რას გაიკარებს, თვითონ კბენს და გამარჯვებაც მას რჩება.

სხვათა შორის, ზღარბებმა რაკი ერთხელ გაუსინჯეს გემო ლუდს, მოჯარდნენ და მოჯარდნენ ყოველი მხრიდან. ხანდახან კაი ლოთი ბიჭივით წამოგორებულს შეხვდება კაცი.

ამ ამბავმა დედოფლის ყურამდე მიაღწია. განრისხებულმა ელისაბედმა ბრძანა, ფაუნის ამ საოცარ წარმომადგენლებს ნუ აფუჭებთო. მთავრობამ კი გამოსცა კანონი ზღარბის ხელყოფის წინააღმდეგ. ამის ჩამდენი სოლიდური თანხით ჯარიმდება.

*პრიროდა* №8

## მაიმუნის შრომა



ცნობილია, რომ მსოფლიოში საუკეთესო და უგემრიელესი ჩაი ველურად ხარობს ჩინეთში, ფუძიანის პროვინციაში, მთების დაკიდულ ფერდობებზე, სადაც ჩიტის გარდა, ვერავინ აღწევს. მაგრამ ფრინველები ხომ ვერ დაკრეფენ ჩაის ფოთოლს? ამიტომ ამ საქმისთვის იყენებენ გაწვრთნილ მაიმუნებს. ეს ცხოველები მარდად არბიან თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, გამალებით კრეფენ სურნელოვან ფოთოლს და კალათებში ყრიან.

თურმე მაიმუნის შრომას სხვა ქვეყნებშიც იყენებენ. მათი საწვრთნელი ბაზებიც არის გახსნილი. „განსწავლული" პრიმატები მზად არიან, ბრძანებისთანავე შეასრულონ პატრონის მოთხოვნა.

*ფლორა ი ფაუნა მირა* №12

## დე ნიროს რესტორნებში სტუმარი აკლდება



ტერაქტებმა დიდად აზარალა რობერტ დე ნირო — მას მანჰეტენის რაიონში იტალიური რესტორნების ქსელი აქვს და აფეთქების შემდეგ აქ ტურისტების რაოდენობამ იკლო.

ცნობილი მსახიობი ძალიან შეაწუხა ამ მდგომარეობამ და ავტობუსიც კი დაიქირავა, რათა ნავახშმევს სტუმრებმა ქალაქი დაათვალიერონ.

დე ნირო ხშირად თავადაც ზის ავტობუსში, თან სტუმრებს თავის ფილმებზე ებაასება. ხშირად ეწვიეთ ჩემს რესტორნებსო, — ეპატიჟება მათ.

ამბობენ, გაკოტრების პირას მდგარ რესტორნებს ესეც არ შველის და მსახიობი მათ დახურვას აპირებს. თუმცა, გულს იმით იმშვიდებს, რომ ამგვარი, მაგრამ შემოსავლიანი რესტორნები მას ლონდონსა და კვებეკშიც აქვს.

*დენგი* №48

## კოსმოსში გასაფრენად მილიონებს იხდიან

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქე მარკ შატლვორტმა 20 მლნ დოლარი დახარჯა, რომ კაცობრიობის ისტორიაში მეორე კოსმოსური ტურისტი გამხდარიყო. საკუთარი ფულით კოსმოსში პირველი გაფრინდა ამერიკელი ფინანსისტი დენის ტიტო.

27 წლის მარკ შატლვორტმა ოთხი წლის წინ დააარსა კომპანია, რომელიც ინტერნეტში უსაფრთხოებას იცავს. ახლახან მან კომპანია 500 მლნ დოლარად მიჰყიდა თავის ერთ-ერთ კონკურენტს.

რუსეთის კოსმოსურმა სააგენტომ განაცხადა, რომ შატლვორტმა უკვე გაიარა მომზადება და 2002 წლის აპრილში იტალიელ რობერტო ვიტორისა და რუს კოსმონავტ ი. გიძენკოსთან ერთად ვარსკვლავეთში გაფრინდება.

*დენგი* №48

## პოლიციელები უსიტყვოდ ნებდებოდნენ

დიდი ხნის მანძილზე ლოს-ანჯელესის პოლიციელებს ატერორებდა მამაკაცი, რომელიც მარტო მდგომ ღამის პატრულს მიუშვერდა საბავშვო წყლის პისტოლეტს და ეუბნებოდა: „ამ პისტოლეტში ფრანგული სუნამო ახია. თუ ორმოცდაათ დოლარს არ მომცემ, შეგასხამ და ცოლს ვერაფრით დაუმტკიცებ, რომ ღამე კახპებთან კი არ ერთობოდი, არამედ მორიგეობდიო".

უცნაურია, მაგრამ ყველა პოლიციელი ტერორისტს ფულს აძლევდა. ეშმაკი გამომძალველი საკმაოდ სარფიანად ლოს-ანჯელესის სხვადასხვა რაიონში „მოღვაწეობდა", სანამ არ წააწყდა უცოლო პოლიციელს, რომელსაც ფრანგული სუნამოსი არ ეშინოდა და საბრალო ყაჩაღი დააპატიმრა. ის სასამართლოს წინაშე წარდგა, როგორც გამომძალველი, რომელიც ფულს ართმევდა პოლიციელებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

*ინტერპოლ-ექსპრესი* №23

## თევზი — ანტიკვარი



1938 წლის მეცნიერთა სამყარო გააოცა უჩვეულო შემთხვევამ: სამხრეთ აფრიკის ნაპირებთან მეთევზეები წააწყდნენ უშველებელფარფლებიან თევზს, რომელსაც რამდენიმე მილიონი წლის წინათ გადაშენებულად თვლიდნენ. განვლო მცირე დრომ და სუეცის უბეში, ზღვის ნაპირზე გამოირიყა მეცნიერებისათვის უცნობი ახალი, ვეშაპის მსგავსი ცხოველი. უფრო დიდი ამოცანის წინაშე დადგნენ მეცნიერები საჰარაში. აქ არტეზიული ჭის გაბურღვისას წყალთან ერთად ამოვარდა ცოცხალი თევზი, რომლის მოშენებასაც მისდევდნენ 5000 წლის წინ ძველი ეგვიპტის ტბორებში.

დაუდგენელია, როგორ გადარჩა თევზი მიწისქვეშა წყალსაცავში.

*ნლო* №35

## მამაკაცები ქალებზე ძუნწები აღმოჩნდნენ

როგორც იტალიელი სოციოლოგების გამოკვლევებმა ცხადყო, მამაკაცები 40%-ით ნაკლებ თანხას ტოვებენ სუპერმარკეტებში, ვიდრე მანდილოსნები. ეს ფენომენი იმით აიხსნება, რომ ძლიერი სქესი უფრო ძუნწია; კაცებს არ იზიდავს ლამაზად შეფუთული ყუთები და არც ბავშვების ხუშტურებზე დადიან, რომლებიც ყოველთვის რაღაცის ყიდვას ითხოვენ. და საერთოდ, ისინი ყიდულობენ მხოლოდ იმას, რაც პირადად გამოადგებათ და არა იმას, რაც ოჯახს სჭირდება.

*პარი მატჩი* №26/65

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"






**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ციცერონის ფრაზას ამოიკითხავთ.

**კ.** მხატვრული ფილმი ლაიზა მინელისა და მაიკლ იორკის მონაწილეობით; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ი.** ერთი ქულა ნარდში; **რ.** სათვალის ცნობილი ფირმა; **ი.** წმინდა გიორგის ეკლესიით განთქმული სოფელი სამეგრელოში; **ს.** საეჭვო მუსიკალური მონაცემების მქონე, სექს-ბომბად აღიარებული იტალიელი მომღერალი ქალი; **პ.** სამხატვრო მუზეუმი მადრიდში; **ა.** მზის ამოსვლა; **ლ.** ძველებური ფრანგული ოქროს ფული; **ი.** დოდო აბაშიძის კინოგმირის სახელი მხატვრულ ფილმში „პირველი მერცხალი"; **ტ.** სამეფო ციხე-დარბაზი ლონდონში, რომელშიც ამჟამად სამხედრო-ისტორიული მუზეუმია განლაგებული; **რ.** 19 წლის მფრინავი, რომელმაც წითელ მოედანზე დასვა თავისი თვითმფრინავი; **ა.** ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილისაგან დამზადებული კერძი; **მ.** ნოდარ დუმბაძის სახელობის პარკის სახელწოდება თბილისში; **უ.** რა ერქვა ზღვის ჯადოქარს მულტიპლიკაციურ ფილმში „სირინოზი" („არიელი"); **დ.** ორლულიანი თოფის ორივე ლულის ერთდროული დაცლა; **ა.** შუააზიელი მეცნიერი და ფილოსოფოსი; **მ.** ედმონ დანტესის მშობლიური ქალაქი; **შ.** მერაბ კოსტავას საყვარელი სიმღერა; **ე.** რაიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; **ნ.** სასიმინდე; **ს.** პატარა თევზსაჭერი გემი; **ბ.** ქალაქი იტალიაში; **ვ.** მოგზაურობა (ეს სიტყვა დღეს ირონიული ფორმით იხმარება); **ე.** რუსი მწერალი, ცნო[illegible] ზღაპრის, „კუზიანი კვიცის" ავტორი; **რ.** სა[illegible]მწიფო აფრიკაში; **დ.** ქვეყანა, რომლის პრინციც იყო ჰამლეტი; **ი.** ცისარტყელას ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კამბალა; **ვ.** ვეშაპი; **ი.** ირვინგი; **რ.** რქები; **ი.** იუნონა; **ს.** სეინერი; **პ.** პრემია; **ა.** აგრაფია; **ლ.** ლიეჟი; **ი.** ირბისი; **ტ.** ტრამალი; **რ.** რემბო; **ა.** არხოტი; **მ.** მიომა; **ო.** ოსლო; **მ.** მროველი; **ა.** ალდაგი; **ვ.** ვისოცკი; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იამბიკო; **ს.** სპაგეტი; **ბ.** გარბენი; **ა.** ასთმა; **ზ.** ზალპი; **ე.** ელეგია; **თ.** თუშეთი; **ი.** ილიონი; **ა.** ალაბამა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **მშვენიერება მხოლოდ სიმართლეშია.**

## №52 (273) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

წინასაახალწლო რეიტინგს 740 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 329 ქალმა და 403-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რისთვის ზრუნავთ საახალწლოდ?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობის — 72%-ის წინაასახალწლო საზრუნავს ძირითადად სუფრა წარმოადგენს. **7,45** საშუალო ქულით „სუფრა“ პირველ ადგილზეა. მხოლოდ ხუთმა მკითხველმა (0,76%) შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით.

შემდეგ ადგილზე „ნაძვის ხეა“, საშუალო ქულაა 5,90. რესპონდენტთა 11%-სათვის კი ნაძვის ხე უპირველესი საზრუნავია. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა (0,61%) სწორედ „ნაძვის ხემ“ დაიმსახურა.

4,84 საშუალო ქულით „საჩუქრები“ მესამე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ საერთო ქულების რაოდენობით იგი წინ უსწრებს „ფეხბედნიერ მეკვლეს“, მაგრამ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით პირიქითაა — „ფეხბედნიერ მეკვლეს“ რესპონდენტთა 7%-მა დაუწერა მაქსიმალური — 8 ქულა, „საჩუქრებს“ კი — 2%-მა.

როგორც ჩანს, საახალწლო სამზადისში გართულ რესპონდენტებს გათბობაზე, საკუთარ გარეგნობასა და ფეიერვერკებზე ზრუნვა ავიწყდებათ. მათი ზრუნვის საგანს ყველაზე ნაკლებად საახალწლო ფეიერვერკი შეადგენს — მხოლოდ ოთხმა მკითხველმა (0,61%) შეაფასა იგი მაქსიმალური ქულით.

უნდა აღინიშნოს, რომ ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის განსხვავება არ ყოფილა. სამაგიეროდ, ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის შემდეგი სხვაობები დაფიქსირდა: მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები საჩუქრებზე უფრო ნაკლებს ზრუნავენ, ვიდრე ფეხბედნიერ მეკვლეზე. საახალწლო დღესასწაულზე მათთვის საკუთარი გარეგნობა უფრო მთავარია, ვიდრე გათბობის პრობლემა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 56 წლის **როზა კუხალაშვილი** და 61 წლის **გუგული მელქაძე**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

ახალ წელსა და რეიტინგში გამარჯვებას ერთად ვულოცავთ ორივე ქალბატონს და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 3 იანვარს, 17 საათზე.

## №53 (274) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის ფურცელში.

№53 (274) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 2 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 3 იანვრის 13 საათამდე.

© თბილისი

თემა №53 (274) —
წარმატებული პოლიტიკოსი

**თქვენი აზრით, ვინ არის წლის ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№53(274) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ჯუმბერ პატიაშვილი | |
| 2 | ლევან მამალაძე | |
| 3 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | ნინო ბურჯანაძე | |
| 5 | ასლან აბაშიძე | |
| 6 | ელენე თევდორაძე | |
| 7 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 8 | ზურაბ ჟვანია | |
| 9 | გაჟა ლორთქიფანიძე | |

მკითხველის ფურცელი

დაასახელეთ წლის ადამიანი მსოფლიოში

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი ________ ტელეფონი ________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

მკითხველის ფურცლის შედეგები

2001 წლის ადამიანი საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| 1. | ბადრი პატარკაციშვილი | 21.5% |
| 2. | მიხეილ სააკაშვილი | 20.4% |
| 3. | გიორგი სანაია | 13.3% |
| 4. | გიორგი ასანიძე | 6.0% |
| 5. | ედუარდ შევარდნაძე | 5.4% |
| 6. | ზურაბ ჟვანია | 4.0% |
| 7. | ნინო ბურჯანაძე | 3.5% |
| 8. | კოტე მახარაძე | 2.1% |
| 9-10. | გიორგი კანდელაკი | 1.5% |
| 9-10. | კახა თარგამაძე | 1.5% |



*მკითხველის რეიტინგში 591-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

*ქალებთან წლის ადამიანთა პირველი სამეული ასეთია: 1. პატარკაციშვილი 2. სანაია 3. სააკაშვილი.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________


ედუარდ შევარდნაძე, დავით თევზაძე

**მ.ს.** — წინა ფოტოპალიტრაში, დიდი ლამაზი გედი რომ იყო, ხომ გახსოვს?
**დ.მ.** — მახსოვს.
**მ.ს.** — ეს ბომბი ამჯერად ენგურჰესში ჩადე და საახალწლოდ ის გედი და შევარდნაძე დუეტში იმღერებენ.

*პაატა ნაზღაიძე, რუსთავი*

**მ.ს.** — ბიძია, დამეხმარე, მთავრობა მყავს ავად!
**დ.მ.** — ჯორბენაძეს უთხარი, ექიმი ეგ არის.

*ო. ბენდერი, თბილისი*

**მ.ს.** — როგორ აფასებთ თქვენს საქმიანობას?
**დ.მ.** — დადებითად, ლეგენდარულ მე-9 და მე-10 ბლოკებს უძღვნეს 9 ლექსი და 12 სიმღერა, ქვეყანაში ძალიან იკლო დენით სიკვდილიანობამ, ამასთან, ვარ ერთადერთი მინისტრი, რომლის ტელევიზორში გამოჩენა ხალხს არ აღიზიანებს, რადგან მიყურებენ მაშინ, როცა დენი აქვთ.

*ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო*

**მ.ს.** — ნუთუ არ შეგრცხვება, თბილისი ჩაბნელებული რომ შეხვდეს ახალ წელს? რას გაჩუმებულხარ?
**დ.მ.** — ვფიქრობ!
**მ.ს.** — რაზე ფიქრობ?
**დ.მ.** — შემრცხვება თუ არა!

*მამუკა ჩხეიძე, სამტრედია*

**მ.ს.** — ხომ მოგეცი ხმა, ახლა შენც მომეცი...
**დ.მ.** — ხმა?!
**მ.ს.** — ხმას რა თავში ვიხლი, ფული, ფუ-ლი!

*ნია გოგატიშვილი, გორი*


მიხეილ სააკაშვილი, დავით მირცხულავა

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 151 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი.

*ასტრიდ ლინდგრენი, ქ. თბილისი*

**მ.ს.** — აი, ამ მარჯვენას, IX ბლოკი აქვს აფეთქებული.
**დ.მ.** — აკი X-ო.
**მ.ს.** — IX-ცა და X-ც.

*პაატა გორელი*

**მ.ს.** — შეხედე დათო, პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დამაჯილდოვა.
**დ.მ.** — გილოცავ! მე კი მგონია გადავრჩი, მაქსიმუმ შეიძლება მომხსნას, თორემ არა მგონია დამიჭიროს.

*ბადრი ზემო ხანდაკელი*

**მ.ს.** — დათო, შენს დაუკითხავად დავაპირე დენის ჩართვა და აი, „ფიდერზე“ ხელიც დავიწვი.
**დ.მ.** — ოო, შენ ახლა რა უნდა თქვა იცი? „რაც მომივა დავითაო, ყველა ჩემი თავითაო!“

*პაატა ჩიქოვანი, სენაკი*

**მ.ს.** — დათო, გვპირდები ამ ზამთარს შუქს, თუ სიბნელეში უნდა გამოვიზამთროთ.
**დ.მ.** — ჩემო მიშა, ქართველები ისედაც ცოტანი ვართ, ამიტომ ჯობია უშუქოდ სიბნელეში გამოვიზამთროთ, რომ გამრავლდეს ჩვენი ერი.

*ლევან როგავა, ფოთი*

**მ.ს.** — ჩემო დავით, რა მაღალი ძაბვის ენერგიას უშვებთ?! შემთხვევით ელსადენს შევეხე და ნახე როგორ დავითუთქე ხელები!
**დ.მ.** — შენ თუ ინტრიგანი არა ხარ, ბიჭო, რა უნდა ჩვენს სადენებში დენს?!
(გიგლა ფირცხალავას მოტივებზე)

*„ვინჩენცო“, ქუთაისი*

**მ.ს.** — დათო, საქართველოში რამდენი ბაბუა?
**დ.მ.** — ორი!
**მ.ს.** — რამდენი ბლოკი გამოვიდა მწყობრიდან?
**დ.მ.** — ორი!
**მ.ს.** — ჩვენ რამდენი ვართ?
**დ.მ.** — ბევრი!
**მ.ს.** — ეე! აი, ბოლოში სულ ურევ, რატომ ბევრი?
**დ.მ.** — იმიტომ, რომ არც შენ ხარ მარტო და არც მე!

*კ. ოთარაშვილი, ბოდბე (სიღნაღი)*

## ფოტო განწყობისთვის



— ზაზთა მომსწ'ოლით... ჩაჩხალონ'ლოთ თოყონ ვიღოგთ...




## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).
„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღმის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კთ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიღუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთშაბათს.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (53) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№53 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 3 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.




„ალიგატორ სერვის"
ყველა ტიპის სიგნალიზაციის დამონტაჟება, შეკეთება, მინის ელექტროამწევებისა და აუდიოსისტემების მონტაჟი.
გარანტიით
20% ფასდაკლება
მის: ვაჟა-ფშაველას №37
☎899 50-31-52



ფირმა „ბერმუხა"
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების ფაქტების ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".